კვირის პალიტრა

# გზა

N7(192) 12/II.-18/II.2004. ფასი 60 თ.

## ბარიგება

„... გადაწყვიტეს, ჩემთვის ვინმე გაერიგებინათ...“

## ნინი ბადურაშვილი: ბებიაჩემთან რეკავენ... სარძლოდ მოგვწონს!

## საკითხავი ქალებისთვის – კანის მოვლის ხალხური საშუალებები

## ხანძარი რუსთაველის თეატრში – დივერსია თუ დაუდევრობა

## ახალი რუბრიკა – ადამიანი, რომელიც არასოდეს დამავიწყდება

# ბაკურიანი

## სასტუმრო „მელი"

ბაკურიანი, აღმაშენებლის 55: სათაო ოფისი: თბილისი უზნაძის 113ბ
მობ: (899) 202 702; (899) 205 942 ფაქსი (995 32) 96 05 64
E-meil: ttsivtsivadze@yahoo.com

№7 (192)
12 - 18 თებერვალი 2004
ფასი 60 თეთრი

**მინიატურები**
„ნანას“ ბეტყვი ძილისთვინა“ ანუ ვიძინოთ მშვიდად 3
**რეპორტაჟი**
ხანძარი რუსთაველის თეატრში – დივერსია თუ დაუდევრობა? 4
**ერთი კითხვა** 5
**აიწონა-დაიწონა**
ემუქრება თუ არა საქართველოს დიქტატურა 7
**საზოგადოება**
ქუჩები „გაიწმინდა“, გარე მოვაჭრეები ლუკმაპურის დაკარგვას უჩივიან 10
**გემოვნება**
ქალაქგარეთ დასახლებული „უცნობი“ საკუთარი ტელესკოპით ვარსკვლავებს აკვირდება და ლექსებს წერს 11
**კრიმინალი**
ერევანში ახალგაზრდა ქალის დანაწევრებული გვამი იპოვეს. გამოძიების მასალებით, სადისტურ მკვლელობაში ქართველი ცოლ-ქმარია გარეული 14
**სასიძო**
„ბესო, მართლა თოჯინასავით გოგო ვარ“ 18
**საპატარძლო**
„კომპლექსიანი, შეიძლება ითქვას – მეტისმეტად აზიატი ვარ...“ 19
**ასტროლოგი**
ტაროს კარტზე მკითხავი გვირჩევს, დავივიწყოთ ცუდი სიგმარი 21
**ანტიდეპრესანტი**
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 22
**შემოქმედი**
ბევი მიზანდარის ვარდები, რომელიც არასდროს დაჭკნება 24
**...არასოდეს დამავიწყდება**
„ისეთი გოგო იყო, ინდოეთში კი არა, ჯანდაბაში გაჰყვებოდა კაცი“ 25
**თემა**
ქორწინება გარიგებით 26
**გზავნილები**
პირველი სიყვარული 29
**სახე**
ნანკა კალატოზიშვილს შეყვარებული საკუთარი ხელით უმზადებს ყვავილების თაიგულს 32
**დღესასწაული**
მიგებება (მირქმა) უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი 34

# ემუქრება თუ არა საქართველოს დიქტატურა

მოსახლეობაც დიდი ინტერესით აღევნებს თვალს დაპატიმრებების სერიას და კითხულობს: ვინ იქნება შემდეგი? როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, ხელისუფლება ხალხზე შოკური თერაპიის მეთოდით მოქმედებს. დასუსტებულ და დაქსაქსულ ოპოზიციას კი მიაჩნია, რომ ქვეყანაში დიქტატურა იწყება....

7

# ქალაქგარეთ დასახლებული „უცნობი“ ვარსკვლავებს აკვირდება

არ მიყვარს ეგრე ჩაცმულ კაცს რომ ვხედავ, ყველა ერთნაირი ტიპი – ფუნქციონერი მგონია. ერთადერთი, ვანო ზოდელავას ჰალსტუხი მაქვს, აუქციონზე ვიყიდე – მგონი, 70 ლარად. ჩაფიქრებული მაქვს, კლიპში ამ ჰალსტუხით თავი უნდა ჩამოვიხრჩო.

11

# ქორწინება გარიგებით

კიდევ ერთ კურიოზს გავიხსენებ. ქუთაისში ანალოგიურ საქმეზე გახლდით ჩასული... ოჯახის ერთმა უხუცესმა წევრმა მიყურა, მიყურა და წამოიძახა: შარშანწინ, ერთი სასიძო ბიჭი რომ აკეთებდა ასეთ ცირკულ ნომრებს და მერე გოგო რომ დაგვიწუნა, ის ხომ არ ბრძანდება ეს ვაჟბატონიო?..

26

# „ისეთი გოგო იყო, ინდოეთში კი არა, ჯანდაბაში გაჰყვებოდა კაცი“

ერთი კვირის შემდეგ თბილისში დავბრუნდი. არადა, მართლა ისეთი გოგო იყო, ინდოეთში კი არა, ჯანდაბაში გაჰყვებოდა ჩემზე გაბედული კაცი, მაგრამ შემეშინდა. შემეშინდა, რომ არ შემყვარებოდა, რაც მოსალოდნელი იყო და მაკასთან დავბრუნდი. თუმცა, ზოგჯერ კი მახსენდება ხოლმე, რა დამავიწყებს...

25

**ტაძარი**
„ახალი აღთქმის“ ღვთისმსახურთა სამღვდელო შესამოსელი 35
**სპორტული მოზაიკა** 36
**მინდვრებზე და მინდვრებს მიღმა** 38
**ვარსკვლავი**
„სტრიპტიზ-აერობიკის“ ავტორის საქორწინო რეკორდი 39
**რომანი**
რუსულან ბერიძე. თავისუფალი თემა (გაგრძელება) 42
**ბომონდი** 46
**ავტო** 48
**ბახუსი**
„ნიკას გვერდით რომ არ ვყოფილიყავი, ალბათ საჭეზე ჩამოეძინებოდა...“ 49
**პრობლემა**
რა იგიდავს ოჯახიდან გაქცეულ მოგვარდს პოლიციის საორიენტაციო ცენტრში? 50
**ტესტი**
ერთგული მკითხველი 51
**შეუცნობელი**
პარაფსიქოლოგი დალი ავაგუმაშვილი: მერწმუნეთ, მხოლოდ ლოცვა გადაგვარჩენს 52
**საკითხავი ქალებისათვის** 54
**ჯანმრთელობა**
- როგორ ვუმკურნალოთ თავის ტკივილს 56
- თუ უძილობა გაწუხებთ 57
- ვიტამინი A 57
- მედიცინის სიახლეები 58

**იუმორი** 59
**ჰოროსკოპი**
კვირის (16-22 თებერვალი) ასტროლოგიური პროგნოზი 60
**სკანვორდი** 61
**სახელოსნო**
მოიკიდებს თუ არა ფეხს შირმა ქართულ ყოფაში? 62
**ტესტი**
- ხართ თუ არა გარმაცი? 63
- გემუქრებათ თუ არა სტრესი? 63

**კალეიდოსკოპი**
ჭრელ-ჭრელი ამბები 64



გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე
**მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8**
**ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com**
**ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“**


## „გვერდით რომ არ ვყოფილიყავი, ალბათ საჭეზე ჩამოეძინებოდა...“

ეტყობა, სასმელი ზედმეტი მომივიდა და დავთვერი. გზადაგზა, უფრო მომეკიდა და... ჭიათურის სილამაზით გაოგნებულმა, იქ დარჩენა მოვინდომე – გინდათ თუ არა, უნდა დავრჩე საცხოვრებლად-მეთქი. „მარშრუტკის“ მძღოლს ყოველ წუთს ვაჩერებინებდი მანქანას, ჩავდიოდი და გავრბოდი...

49

## ნანკა კალატოზიშვილი – ბედუკუღმართ ქალთა როლის შემსრულებელი

ჩემი შეყვარებულის როლს სინამდვილეშიც ჩემი შეყვარებული – დათუნა გამცემლიძე ასრულებდა და წარმოვიდგინე, ის რომ ჩემგან წასულიყო... თან, სიმღერის თანხლებით ტექსტს რომ ჩავწვდი, ვიფიქრე – სად მიდის, რომ მიდისმეთქი?

32

## „სტრიპტიზ-აეროზიკის“ ავტორის საქორწინო რეკორდი

...პოლიცია იძულებული გახდა, ორივე მათგანი დაეპატიმრებინა. გირაოს გადახდის შემდეგ გათავისუფლებულ მეუღლეებს კი, სასამართლომ ერთმანეთთან 150 მეტრზე მიახლოება აუკრძალა. ათ დღეში ცოლ-ქმარი ოფიციალურად გაიყარა; ამის მერე კარმენი ბევერლი-ჰილზში გაემგზავრა...

39

## თავისუფალი თემა

– რა უნდა იყოს? იარაღია... – ავტომატი ოთახის კუთხეში ფრთხილად მიაყუდა ლუკამ.

– მეც ვხედავ, რომ იარაღია... – გაღიზიანდა გვანცა. – ვინ მოგცა? ან აქ რაგომ მოიტანე?

– ომში მივდივარ.

– რომელ ომში? – შეიცხადა გვანცამ. – ხომ არ გაგიჟდი?!

42

# „ნანას" გეწყვი ძილისთვინა" ანუ ვიძინოთ მშვიდად

იყო დრო, როცა ჩვენს ქვეყანაში ხალხს არაფერი ეკითხებოდა, მთავრობას თვითონ მთავრობა ირჩევდა და ისიც, ბუნებრივია, მხოლოდ მის ამომრჩეველზე, ანუ საკუთარ თავზე ზრუნავდა... მაგრამ ჩვენს ქუჩაზეც დადგა მაისი (უფრო სწორად, ნოემბერი) და სამართლიანობამ იზეიმა: უკვე მოსახლეობამ აირჩია საკუთარი მესაჭე (უფრო სწორად, მემანქანე) და მანაც თავის ამომრჩეველზე – ხალხზე დაიწყო ზრუნვა.

საზრუნავი კი მართლაც ბევრი ჰქონდა, მაგრამ მან, უპირველესად, მოსახლეობის სიმშვიდეზე იზრუნა: ვინც დღეს გვიბნელებდა, ყველას „მრავალწლიანი საგზური" გამოუწერა ორთაჭალაში, ხოლო ვინც ღამეს თეთრად გვათენებინებდა და ეკრანებთან მიჯაჭვულებს შუაღამემდე გვაყურებინებდა პოლიტიკოსთა კანიბალიზმს, ყველა „დაასვენა". ერთადერთი ღამის საინფორმაციო პროგრამა დარჩა გაუუქმებელი, მაგრამ იქ ისეთი მშვიდი „დიალოგი" მიდის, რომ დაძინებაში ხელს არავის უშლის და პირიქით, საუკეთესო საძილე საშუალებადაც კი იქცა.

ხელისუფლების ამ ნაბიჯმა ისე აღმაფრთოვანა, რომ მინდა, რამდენიმე რჩევაც კი შევკადრო, თუ რა თქმა უნდა, არ მიწყინა და მეც არ „დამასვენა": ღამის ძილი კარგია და აუცილებელიც, მაგრამ დილის ძილს ხომ ვერაფერი შეედრება და როგორც „მეცნიერ-ძილოლოგები" ამტკიცებენ, ყველაზე ღრმად და მშვიდად ადამიანს დილით სძინავს თურმე. ამ დროს სიზმრებსაც გაცილებით მხიარულს ხედავს, თან, „დილის სიზმარმა ახდენა იცისო", ესეც ხომ გვსმენია წინაპართაგან"...

ჰოდა, რა საჭიროა მამლის ყივილად ქცეული დილის გადაცემები?! ერთი პოეტურ ინსტინქტს გვიმოწმებს, მეორე ძვირად ღირებული საუზმის მომზადებას გვასწავლის და ნერვებს გვიშლის ისედაც ჯიბემაცივარგამოფხეკილ ხალხს; მესამე კი რუსთაველის მეტროსთან გვიბარებს უთენია, რომ ჩვენთვის სასურველ პოლიტიკოსს რაიმე მოვთხოვოთ. ვინ გვისმენს? ის პოლიტიკოსიც ხომ ადამიანია და მასაც სჭირდება დილის ძილი და მხიარული სიზმარი...

დილის გადაცემები რომ არ იქნება, ადგება 11-12 საათზე გამოძინებული ადამიანი და დაწყნარებული გავა სახლიდან. ჯერ ბაზარში გაისეირნებს, რომ ვინიცობაა, დასჭირდეს, ფასებს გადახედოს; მერე ფოსტაში ან ბანკში შეივლის, რომ კიდევ ერთხელ, ყურადღებით წაიკითხოს ბოქლომდადებულ სალაროზე გაკრული საჰედლაინე წარწერა: „ფული არ გადმოურიცხავთ და მე საიდან მოქცე პენსია, უჰ!!!" ასეთი პასუხი აბრაზებს მკითხველს და შეიძლება მიაწყევლოს კიდეც, „შენ ამოწყდიო!.." მიაწყევლის და იმავე ფურცელზე პასუხიც მზადაა: „ქეც ამოწყდი და არ მოესწარი ამ პენსიის აღებას!" – მოლარეები ხომ გამოცდილი ხალხია...

სალაროდან გამოსულს სადილის დროც მოუსწრებს და ისიც ნელა ჩაისეირნებს რომელიმე ცენტრალურ ქუჩაზე, რომ ერთმანეთის გვერდით ჩარიგებული კაფეებისა და რესტორნების ვიტრინებში შეიჭყიტოს, ნერწყვის ყლაპვით ამოიყოროს სტომაქი და შინ დაბრუნდეს – სადილის მერე ძილი ხომ პირდაპირ, მისწრებაა და ამ დროს რაიმე გადაცემის გაშვება ტელევიზორში დანაშაულის ტოლფასადაც კი მიმაჩნია. ასე რომ, შუადღის გადაცემებიც გასაუქმებელია, თუ გვინდა რომ ბიოლოგიური საათი, ჰარმონია და ნერწყვის მომნელებელი ორგანოების სწორად ფუნქციონირება არ დავურღვიოთ მოსახლეობას, რომელმაც საკუთარი ნდობის თითქმის 100-პროცენტიანი მანდატი ჩააბარა მთავრობას.

მოსაღამოვებულზე რომ შეიღვიძებს, შეიძლება ჩართოს ტელევიზორი, მაგრამ ეს ხომ ის დროა, მეზობლები რომ დომინოს უჭახუნებენ ეზოში. ნარდის კამათლის ხმაც ხომ გიხმობს, ხალხში რომ გაერიო და ლოკოკინასავით არ გამოიკეტო საკუთარ ბინაში?! ჰოდა, საღამოს გადაცემებიც გასაუქმებელია და საერთოდ, რა საჭიროა ტელევიზია? ისაა კარგი, ტელევიზიების რაოდენობამ რომ გაუსწრო ტელევიზორების რაოდენობას?! არ ჰქონია დავით აღმაშენებელს „პირველი არხი" და „ყინწვისი-2", მაგრამ ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმა ქვეყნის საზღვრები და ისე აკონტროლებდა ყველაფერს, რომ არავის უგრძნია ინფორმაციული ვაკუუმი. ჰოდა, ჩვენი ახალი პრეზიდენტიც ხომ სწორედ ამას დაგვპირდა?!

ასე რომ, ძირს ტელეისტერია, ვიძინოთ მშვიდად და ბუმბულივით ყოფილიყოს ჩვენთვის გადაფარებული საბანი!..

P.S. ტელეატელიეში:

– ტელევიზორებს თქვენ არემონტებთ?

– დიახ. რა სჭირს?

– „ღამის მზერას" და „ღამის კურიერს" აღარ უჩვენებს და მიზეზი „ვიშკა" ხომ არ არის?

– მიზეზი, ძმაო, „ვიშკა" კი არა, მიშკაა...

*პროვოკატორი*

# ხანძარი რუსთაველის თეატრში – დივერსია თუ დაუდევრობა?

ნანა ქიბიმაური

*رუსთაველის თეატრის სახურავზე გაჩენილმა ხანძარმა, ახალგარემონტებული შენობა საგრძნობლად დააზიანა. შემთხვევის ადგილას მისულებს, კონკრეტულად ვერავინ გვითხრა, თუ რამ გამოიწვია ხანძარი. თეატრის გარშემო შეკრებილთა უმრავლესობა ამბობდა — თუ ექსპერტები ამ ფაქტს ობიექტურად გამოიძიებენ, ხანძრის ნამდვილი მიზეზი, ელექტროშესადუღებელი აპარატის ნაპერწკალი ნამდვილად არ აღმოჩნდებაო...*

*სანამ გამოძიება დასკვნას გამოიტანს, სახელდახელოდ ჩაწერილ კომენტარებს გთავაზობთ.*

**გიგი წერეთელი,** *პარლამენტის ვიცე-სპიკერი:*

— დიდი ხანია, რუსთაველის თეატრში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა და არ არის გამორიცხული, რომ ხანძრის მიზეზი, ელექტროელსაწყოსთან დაუდევარი მოპყრობა იყოს. ჩემი აზრით, აუცილებელია, შესაბამისი მოკვლევა ჩატარდეს, რომ დივერსიის შესახებ ეჭვი გამოირიცხოს: ასეთი ეჭვი მაშინვე გავრცელდა, როგორც კი რადიო-ტელევიზიით გადაიცა ინფორმაცია ხანძრის შესახებ.

**— თქვენ თავად როგორ ფიქრობთ — ეჭვი იმისა, რომ ხანძარი სარემონტო სამუშაოებზე არამიზნობრივად დახარჯული თანხის დაფარვის მიზნით მოხდა, უსაფუძვლოა?**

— ყველას გვიხაროდა, რომ რუსთაველის თეატრის აღდგენის მიზნით, სერიოზული თანხა იყო გათვალისწინებული და ისეთი მასშტაბის სამუშაოები მიმდინარეობდა, რომ სულ მალე, განახლებული თეატრი ყველას გულს გაუხარებდა. აღდგენითი სამუშაოები თითქმის დამთავრებულიც იყო. იმ სართულზე, სადაც ხანძარი გაჩნდა, ელექტროგაყვანილობის დამონტაჟებაზე მუშაობდნენ და ვფიქრობ, მხოლოდ დაუდევრობასთან გვაქვს საქმე. როგორც მეხანძრეები ამბობენ, ადვილი შესაძლებელია, ცეცხლი შესადუღებელი აპარატის ნაპერწკლიდან გაჩენილიყო. მთელ პერიმეტრზე მის გავრცელებას კი, ქარმა შეუწყო ხელი.

**— დაახლოებით როგორ გამოისახება ციფრებით ხანძრისგან მიყენებული ზარალი?**

— ამ ეტაპზე, ზარალის შეფასება შეუძლებელია. მთავარია, ხანძრის ლოკალიზება მოხდეს, რომ ის შენობის მეორე მხარესაც არ მოედოს, სადაც უფრო ფართომასშტაბიანი აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს და დიდი იმედი მაქვს, რომ მეხანძრეები ამას მოახერხებენ.

**თემიკო ჭიჭინაძე,** *მსახიობი:*

— ჩემი ინფორმაციით, იქ, სადაც ხანძარი გაჩნდა, მილებს ცვლიდნენ. დაიწვა ახალგარემონტებული სპორტული დარბაზი, რომელშიც აღდგენითი სამუშაოები ბოლომდე დამთავრებული იყო. გულდასაწყვეტია, მართლაც, ძალზე კარგად იყო გაკეთებული ყველაფერი. რაც ცეცხლს გადაურჩა, მის ჩასაქრობად მიშვებულმა წყლის ჭავლმა გაფუჭა — სახურავი ჩამოინგრა და დარბაზი დააზიანა. მთლიანად განადგურდა სათავსები, სადაც აპარატურა უნდა დამონტაჟებულიყო. ამავე სართულზე იყო განთავსებული მსახიობთა საგრიმიოროები, საშხაპეები. ზარალს ვერ განვსაზღვრავ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ის ძალიან დიდ თანხას შეადგენს.

**ვანო ზოდელავა,** *თბილისის მერი:*

— გამოძიებამ უნდა დაადგინოს, თუ სინამდვილეში რამ გამოიწვია ეს ხანძარი და რა არის მიზეზი ან ვინ და რამდენ ხანში შეძლებს მიყენებული ზარალის დაფარვას. რუსთაველის თეატრს საკუთარი ინვესტორი ჰყავს და დარწმუნებული ვარ, რომ ის საჭირო თანხებსაც გამოყოფს. არა მგონია, რომ ეს ისეთი თანხა იყოს, რომლის გაღახდასაც ინვესტორი ვერ შეძლებს — რუსთაველის თეატრს ხომ „ქართუ-ჯგუფი“ აფინანსებს.

**— ბოლო დროს, იმდენს საუბრობენ მოსალოდნელ დივერსიებზე, რომ ადამიანებს უმალ გაუჩნდათ — ვის აძლევდა ეს ხელს? თქვენ გამორიცხავთ, რომ ხანძარი დივერსიის შედეგი იყო?**

— გამორიცხულია, რომ რუსთაველის თეატრის დაწვა ვიღაცას აძლევდეს ხელს. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მას ბიუჯეტი კი არა, კერძო სტრუქტურა აფინანსებს: კაცმა ფული გაჩუქა, სიკეთე გაგიკეთა — ვინ უნდა იყო, რომ ნაჩუქარი მოიპარო ან ამ ფულით აშენებული დაწვა?!

**მამუკა ლორია,** *მსახიობი:*

— სპორტული დარბაზი 300 კვადრატული მეტრია. ეს ფართი ხანძრისგან დაიწვა. მაგრამ მთელი მე-8 სართული წყლისგან დაზიანდა. აპარატურა, რომელიც ამ სართულზე ინახებოდა, მსახიობებმა გამოვიტანეთ. დიდი ნაწილი გადავარჩინეთ, უმნიშვნელო კი — დაგვრჩა, რადგან ცეცხლი ძალიან მალე მოედო იქაურობას და შეუძლებელი გახდა იქ ხალხის მოძრაობა. რეპეტიცია ახალი დამთავრებული იყო, როცა მსახიობებს, რომლებიც მე-5 სართულზე, ბუფეტში ვისხედით, გვითხრეს — თეატრი იწვისო. ყურადღება არავის მივიქცევია: არ დავიჯერეთ, რადგან, ერთი-ორჯერ, ადრეც უხუმრიათ ასე სულელურად... მეხანძრეები ძალზე სწრაფად მოვიდნენ. ჩვენც ვეხმარებოდით — მე, გია თევზაძე, ჩვენი თეატრის გოგონები... ცეცხლის გაჩენიდან 40 წუთის შემდეგ, უკვე აღარ არსებობდა საშიშროება, რომ ხანძარი სხვა სართულზე ან სხვა მიმართულებით გავრცელდებოდა. პირადად მეც, გამოვრიცხავ დივერსიას, თუმცა ვფიქრობ — ბოლო სიტყვა მაინც ექსპერტებმა უნდა თქვან... ■

## „ჯორბენაძის გვერდით დგომას არ ვაპირებ“

**— ბატონო ირაკლი, გასულ კვირას პარლამენტში თქვენმა გამოსვლამ სერიოზული აჟიოტაჟი გამოიწვია, ოპონენტები ექსპრეზიდენტის თანაგუნდელობას გიხსენებდნენ. საუბრობდნენ იმაზეც, რომ ავთო ჯორბენაძესთან გაერთიანებას აპირებთ. რამდენად რეალურია მათი ვარაუდი?**

***ირაკლი გათიაშვილი,*** *ყოფილი სახელისუფლებო ბლოკის ერთ-ერთი ლიდერი:*

— რაც შეეხება პარლამენტში ჩემს გამოცხადებას, ამის თაობაზე გეტყვით — არ შემეძლო, საკუთარი პოზიცია არ დამეფიქსირებინა იმ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, რომელიც „თურქმენიზაციის“ პროცესს მაგონებს. არ მქონდა იმის ილუზია, რომ ჩემი განცხადების შემდეგ, ის ადამიანები, რომლებიც შინაგანად ეწინააღმდეგებიან კანონს, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტს აქვს უფლება, განახორციელოს სრული კონტროლი აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, გაბედავდნენ საკუთარი პოზიციის ხმამაღლა დაფიქსირებას, მაგრამ სათქმელი მაინც უნდა მეთქვა, რადგან ეიფორია გაივლის და მოსახლეობა დარწმუნდება, რომ არ ვცდებოდი. მე დღესაც არ ვნანობ, რომ ბოლომდე ვიდექი შევარდნაძის გვერდით: მიმაჩნია — ნიღბით თამაში და პოზიციების ცვლა ადამიანური ღირსებების შემლახველია. ვაპირებ მომავალშიც ამ პრინციპებით მოღვაწეობას. აქტიურად ჩავებმები პოლიტიკურ ცხოვრებაში, თუმცა, ეს არ იქნება ჯორბენაძესთან ალიანსი. რადგან მის გვერდით დგომას არ ვაპირებ. უამრავი ღირსეული ადამიანი მეგულება, რომელთანაც ვითანამშრომლებ, მათ ვინაობას კი, ახლო მომავალში შეიტყობთ. ■

## „1997-2000 წლებში დაგროვილი დავალიანებების გასტუმრება აპრილიდან დაიწყება“

**— ბატონო ზურაბ, თქვენ 2004 წლის ძირითადი პარამეტრები დაასახელეთ. ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები, შარშანდელთან შედარებით, 400 მილიონი ლარითაა გაზრდილი. რამდენად რეალურია ამ ბიუჯეტის შესრულების საკითხი და, რაც საზოგადოებას ყველაზე მეტად აინტერესებს — დაიწყება თუ არა დავალიანებების დაფარვის პროცესი?**

***ზურაბ ნოლაიდელი,*** *ფინანსთა მინისტრი:*

— შარშანდელი ბიუჯეტის შეუსრულებლობის ფონზე, როცა გარღვევამ 200 მილიონ ლარს მიაღწია, 400 მილიონი ლარით გაზრდილი ბიუჯეტის შესრულების საკითხს, ვინმემ შესაძლოა, სკეპტიკურად შეხედოს, მაგრამ ამის იმედი რომ არ მქონდეს, კონკრეტულ ციფრებს არ დავასახელებდი. ბიუჯეტის შესრულების გარანტი, არა ცალკეული პირები, არამედ მთავრობის ერთობლივი მუშაობა იქნება. დარწმუნებული ვარ, მივაღწევთ იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში ბიუჯეტის შესრულების ტრადიცია დამკვიდრდეს. ფინანსთა სამინისტროში განხორციელდება სტრუქტურული რეფორმები, შეიქმნება ფინანსური პოლიცია, რომელიც ეკონომიკური დანაშაულების გახსნაზე იქნება პასუხისმგებელი, ამასთანავე, ის შეითავსებს შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების ფუნქციებს, რომელიც მას დამნაშავეთა მოძიებასა და აღმოჩენაში შეუწყობს ხელს. ძველი დავალიანებების გასტუმრებაზე შემიძლია გითხრათ: მოზიდული თანხების ნაწილით დაიფარება შარშანდელი დავალიანებები, ასევე 1997-2000 წლებში დაგროვილი გაყინული ხელფასები, პენსიები და შემწეობები. ეს პროცესი აპრილიდან დაიწყება. რაც შეეხება წლევანდელ სოციალურ ხარჯებს, პირველი იანვრიდან დაგეგმილი, ხელფასების მატება კანონის ძალას იძენს და მას ფინანსთა სამინისტრო ბიუჯეტში გაითვალისწინებს. იანვრის ხელფასების გაცემა კი, მიმდინარე კვირას დასრულდება. ■

## „იმუნიტეტის მოხსნა, ოპოზიციის მიმართ ანგარიშსწორების საშიშროებას ქმნის“

**— ქალბატონო ელენე, დეპუტატების უმრავლესობა და მათ შორის თქვენც, ხშირად საუბრობდით პარლამენტარებისათვის იმუნიტეტის გაუქმების აუცილებლობაზე. ახლა, როცა ეს საკითხი დღის წესრიგში დადგა, კატეგორიულ პროტესტს გამოხატავთ. რამ გამოიწვია თქვენი პოზიციის შეცვლა?**

***ელენე თევდორაძე,*** *„ბურჯანაძე-დემოკრატების“ წევრი:*

— დღესაც მიმაჩნია, რომ პარლამენტის წევრს იმხელა იმუნიტეტი არ სჭირდება, რასაც დღევანდელი კანონმდებლობა ითვალისწინებს, მაგრამ ის, რაც ცვლილებების ტექსტში ამოვიკითხე, საშინელება იყო. ამ კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, განსხვავებული აზრის მთქმელი არც ერთი პარლამენტარი ხელისუფლების მხრიდან ანგარიშსწორებისაგან დაცული აღარ იქნება. ამ პროექტის მიხედვით, თუ პოლიციაში შევა ინფორმაცია, რომ რომელიმე დეპუტატი ნარკომანია, სამართალდამცავებს შეუძლიათ, მივიდნენ პარლამენტარის სახლში, ადგილზე ჩაატარონ ჩხრეკა და დააკავონ კიდეც დეპუტატი. ამის შემდეგ, პარლამენტმა 24 საათში უნდა გადაწყვიტოს მისი გათავისუფლების საკითხი, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი პატიმრობაში რჩება. თქვენ წარმოიდგინეთ, ბოლო დროს გახშირებული, ნარკოტიკებისა და იარაღების ჩადების ფონზე, ეს რა საფრთხეს უქმნის დეპუტატს?! მინისტრების ან პრეზიდენტის მიმართ გამოთქმული ნებისმიერი კრიტიკული განცხადების გამო, პარლამენტარი შეიძლება, ანგარიშსწორების მსხვერპლი გახდეს. გამორიცხული არ არის, რომ ეს რიგითმა პოლიციელმაც ჩაიდინოს, თავისი უფროსის გულის მოსაგებად. თუ ეს ფაქტი საპარლამენტო არდადეგების პერიოდს დაემთხვა, 24 საათში სხდომა ვერ დაინიშნება და დეპუტატი გისოსებს მიღმა აღმოჩნდება. ზემოთ აღნიშნულ კანონს, ბუნებრივია, ოპოზიციის წინააღმდეგ გამოიყენებენ და მაშინ, სიტყვისა და აზრის თავისუფლებას უნდა დავემშვიდობოთ. ■

# „კოკო გამსახურდიას ამ ეტაპზე სერიოზული მიზნები არა აქვს“

***— ცოტა ხანში, საქართველოში ზვიად გამსახურდიას ვაჟი ჩამოდის. კონსტანტინე გამსახურდია საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებს. ამბობენ, შესაძლებელია, პარტია „თავისუფლებისა“ და თქვენი გაერთიანება მოხდეს.***

**სანდრო ბრეგაძე,** *ფრაქცია „თავისუფლების“ ლიდერი:*

— ჩვენი ფრაქციისა და კოკო გამსახურდიას პარტიის სახელწოდებები შემთხვევით დაემთხვა ერთმანეთს და სწორედ ეს გახდა ამ მითქმა-მოთქმის საბაბიც. მე კოკო გამსახურდიას ვიცნობ და დიდ პატივს ვცემ, როგორც განათლებულ და ნიჭიერ ადამიანს. ჩვენ შორის გარკვეულ საკითხებზე საუბარი მართლაც შედგა, თუმცა, ეს გაერთიანების პერსპექტივას არ გულისხმობს. რამდენადაც ვიცი, პარტია „თავისუფლება“ არჩევნებში მონაწილეობას აპირებს, მაგრამ ამ ეტაპზე, არა მგონია, კოკო გამსახურდიას რაიმე სერიოზული გეგმები ჰქონდეს. მასა და მის თანამოაზრეებს ჯერ საკუთარი თავის დაფიქსირება სურთ იმისათვის, რომ შემდგომში, აქტიურ პოლიტიკაში ჩაებან. სიმართლე რომ ვთქვათ, გაერთიანების თვალსაზრისით უფრო რეიტინგულ პარტიებთან ვმართავ კონსულტაციებს. პოლიტიკაში ყოფნის პერიოდში იმხელა გამოცდილება მივიღე, რომ სწორად შევაფასო პარტნიორის ძალები და პრაგმატული გადაწყვეტილებები მივიღო. ■

# „ციხეები პატიმრებს დაიტევს, მაგრამ რა პირობებში – ეს სხვა საკითხია“

***— რამდენიმე თვის განმავლობაში, საგრძნობლად იმატა პატიმართა რაოდენობამ. როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, მათ უმძიმეს პირობებში ყოფნა უწევთ და რაც მთავარია, არსებობს იმის საშიშროება, რომ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში პატიმრები უბრალოდ, ველარ დაეტევიან...***

**ზოია კოპაძე,** *სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე:*

— პატიმართა რაოდენობამ მართლაც, საგრძნობლად იმატა, რაც თავის მხრივ, სირთულეებს გვიქმნის. თავისუფლებააღკვეთილ პირებს უმძიმეს პირობებში უწევთ ცხოვრება. საკვები პროდუქტები იმდენად დიდ პრობლემას არ წარმოადგენს, რამდენადაც მედიკამენტებით უზრუნველყოფა. ჰიგიენური საშუალებების შეძენაც პრობლემად რჩება. შესაკეთებელია სახურავებიც — შენობებში წყალი ჩამოდის. ყოფითი პრობლემების მოსაწესრიგებლად, სასწრაფო ღონისძიებებია გასატარებელი. რაც შეეხება პატიმრების დატევის საკითხს — ჯერჯერობით სირთულეს არ წარმოადგენს. დატევით დაიტევს, მაგრამ რა პირობებში — ეს სხვა საკითხია. რუსთავის ციხე რომ დასრულებული იყოს, სიტუაცია საგრძნობლად გამოსწორდებოდა, მაგრამ როდის დამთავრდება მისი მშენებლობა, ძნელი სათქმელია. ამ ეტაპზე, მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ შემუშავებულია პროგრამა პრობლემების სწრაფად და ოპტიმალურად მოსაგვარებლად, კანონმდებლობაში ეს უკვე განისაზღვრა. გვპირდებიან კონკრეტული თანხის გამოყოფასაც, რაც პირველ რიგში, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოსაწესრიგებლად იქნება გამოყენებული. ■

# „ხელისუფლების გაყოფას, ქონების გაყოფის პროცესი მოჰყვება ...“

**— „ნაციონალებსა“ და „დემოკრატებს“ შორის გაერთიანების ოფიციალური გაფორმება 25 თებერვლისთვის გადაიდო. ამბობენ, ლიდერებს რაღაც პრობლემები დარჩათ მოსაგვარებელიო. როგორ ფიქრობთ — შედგება თუ არა ეს გაერთიანება და რამდენად მყარი იქნება იგი?**

**ვალერი გელბაყიანი,** *პარლამენტის წევრი:*

— ეს არის ერთგვარად, იძულებითი პროცესი, რომელიც რევოლუციის შემდგომ პერიოდში აუცილებლად უნდა განხორციელდეს. ორ პარტიას შორის გარკვეული დაპირისპირება უკვე აშკარაა, ამ გაერთიანებით კი, კონფლიქტის გამწვავება დროებით შეჩერდება. განხეთქილება „ბურჯანაძე-დემოკრატების“ ინტერესებში ნამდვილად არ შედის, რადგან ზურაბ ჟვანია და მისი გუნდის წევრები ფიქრობენ, რომ პრეზიდენტის პარტიასთან შერწყმა მათ პოლიტიკურ ინტერესებს დააბლოებს და ისინი „პარტიული ზურგით“ ხელისუფლებაში თანამდებობებს გაიმაგრებენ, რასაც საკაშვილი, გარკვეული მოტივირების გარეშე, ნამდვილად არ დათანხმდება. „ნაციონალების“ მხრიდან უკმაყოფილება თანდათან, აშკარა ხდება, რისი მიზეზიც ძირითადად, თანამდებობების განაწილებაა. ხელისუფლების გაყოფას კი, ქონების გაყოფის პროცესი მოჰყვება, რაც ყველაზე კრიტიკული ეტაპი იქნება ორი პარტიის ურთიერთობებში... უკმაყოფილება დღითი დღე მატულობს, მისი აყეტირება ჯერ ხელოვნურად არის შეჩერებული, მაგრამ აგორებულ ტალღას წინ ვერავინ აღუდგება, რაც ძლიერ ოპოზიციურ სეგმენტს შექმნის. თუმცა, ეს არჩევნების შემდეგ მოხდება, მანამდე კი „ნაციონალებისა“ და „დემოკრატების“ გაერთიანება აუცილებლად განხორციელდება. ■

## „ჩრდილოელი მეზობლისგან სიტუაციის ხელოვნურად ესკალაციას შეჩვეულები ვართ“

— რუსეთი ბათუმსა და ახალქალაქში ბაზების გაძლიერებაზე ალაპარაკდა. ამის პარალელურად თავდაცვის მინისტრი, სერგეი ივანოვი კვლავ აკეთებს განცხადებას საქართველოში ტერორისტების არსებობის შესახებ. ამ დროს, კოდორის ხეობაში სიტუაცია იძაბება. ამ ფონზე რა შედეგებს უნდა ველოდოთ საქართველოს პრეზიდენტის რუსეთში ვიზიტთან დაკავშირებით?

**რამაზ კლიმიაშვილი,** *პოლიტოლოგი:*

— ვერ ვიტყვი, რომ პუტინისა და სააკაშვილის შეხვედრა მნიშვნელოვან გარდატეხას შეიტანს ორი ქვეყნის ურთიერთობაში. თუმცა, პარტიზანთა რიგებიდან კრიმინალური ელემენტების დაპატიმრებამ ამ ჯგუფის მნიშვნელოვანი შესუსტება გამოიწვია, რაც რუსეთის ინტერესებშიც შედის. ამის სანაცვლოდ, ჩვენმა მთავრობამ პუტინის ხელისუფლება უნდა აიძულოს, გარკვეულ დათმობებზე წავიდეს. რაც შეეხება ბაზების გაძლიერების საკითხს, მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოელი მეზობლისგან სიტუაციის ხელოვნურად ესკალაციას შეჩვეულები ვართ, არა მგონია, რომ ეს ნაბიჯი სეპარატისტების მხარდასაჭერად იყოს გადადგმული. ვფიქრობ, ამის მოტივი, რუსეთის მხრიდან ამერიკის შეერთებულ შტატებთან მორიგი ვაჭრობაა. რუსები საქართველოდან სამხედრო ტექნიკური აღჭურვილობის გასაყვანად მილიონობით დოლარს ითხოვენ. ამერიკა მზადაა, ამ საკითხის მოსაგვარებლად, კონკრეტული თანხა გაიღოს, მაგრამ რუსებს სურთ, რაც შეიძლება მეტი ფული გამოსცანცლონ... მიუხედავად იმისა, თუ რა მიზნებს ემსახურება ბაზების გაძლიერებაზე საუბარი, აუცილებელია, ახალმა ხელისუფლებამ კატეგორიულად დასვას სტამბოლის ხელშეკრულების შესრულების საკითხი. ამ პროცესის გაჭიანურება რუსეთს მუდმივი სპეკულირების საშუალებას აძლევს. ■

მოამზადა ხათუნა მაღრაძემ

ლელა ჭანკოტაძე



# ემუქრება თუ არა საქართველოს დიქტატურა

***ახალმა ხელისუფლებამ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა პრიორიტეტულად გამოაცხადა. მოსახლეობაც დიდი ინტერესით ადევნებს თვალს დაპატიმრებების სერიას და კითხულობს: ვინ იქნება შემდეგი? როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, ხელისუფლება ხალხზე შოკური თერაპიის მეთოდით მოქმედებს. დასუსტებულ და დაქსაქსულ ოპოზიციას კი მიაჩნია, რომ ქვეყანაში დიქტატურა იწყება. ამას დაემატა რამდენიმე ტელეარხზე ღამის ანალიტიკური გადაცემების გაუქმება. პრეზიდენტის თანაგუნდელი კობა დავითაშვილი მიუკიბ-მოუკიბავად ალაპარაკდა პრესისა და სიტყვის თავისუფლების აშკარა შეზღუდვაზე, ზოგი კი უკვე, მოახლოებული დიქტატურის შესახებ ლაპარაკობს...***

**შალვა ნათელაშვილი,** *ლეიბორისტული (შრომის) პარტიის ლიდერი:*

— დიქტატურა უცბად არ დაწყებულა. ეს რეჟიმი შევარდნაძემ, ჟვანიამ და სააკაშვილმა ერთად ჩამოაყალიბეს ათი წლის განმავლობაში. როცა შევარდნაძე დაბერდა და მიხვდნენ, რომ ხელისუფლებაში ლეიბორისტული პარტია მოვიდოდა, ერთადერთი გამოსავალიღა დარჩათ — სოროსის ფულით რევოლუციის ინსცენირება. მხოლოდ ამ გზით დაიდგამდა სააკაშვილი შევარდნაძის გადამყენებლის გვირგვინს და მოიპოვებდა ხალხის ნდობას. ეს სოროსის ფონდიდან 100 მილიონი დოლარი დაჯდა. დიქტატურა არსებობდა და დღესაც გრძელდება. უბრალოდ, კლანებს შორის შიდაგარჩევები დაიწყო. სააკაშვილის კლანი უფრო ახალგაზრდაა, აქედან გამომდინარე, შევარდნაძის კლანმა შედარებით მეტი შეჭამა. ამიტომ ერთმანეთზე დაბოღმილები არიან. შიდაგარჩევები მაფიოზურ ოჯახებს შორის ხშირად ხდება, ზოგჯერ ერთმანეთსაც ხოცავენ, მაგრამ ამის გამო მაფია არ გამქრალა. იგივე შეიძლება ვთქვათ ქართულ მაფიაზეც — იმ განსხვავებით, რომ არც ერთ მაფიას სოროსისგან 100 მილიონი დოლარი არ აუღია. არ იკადრებდნენ, რადგან სოროსი აფინანსებს მხოლოდ პოლიტიკურ — ე.ი. სამშობლოს გამყიდველ მაფიოზებს. სოროსისეული რევოლუციები ეროვნულ ძალებს სპობს. ეს იგივე ახალი ტროცკიზმია. იუგოსლავიის მაგალითს თუ გავიხსენებთ, იქ ერის თავმოყვარეობა შეილახა: ჩერნოგორიად და სერბიად დაიშალა იუგოსლავია, კოსოვო დაიკარგა. ადამიანებს საშინელი ნიჰილიზმი დაეუფლათ. ძლივს ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, რომელშიც ისევ იმ ძალებმა გაიმარჯვეს, ვინც დაამხო სოროსმა და ამერიკამ. სოროსი მხოლოდ ბიზნესმენი რომ იყოს, ნაკლებად იქნება საშიში. ის თეორეტიკოსია და მსოფლიო მოწყობის თავისი მოდელი აქვს. ამ მოდელის ერთ-ერთი ფორმაა ღია საზოგადოება, რომელშიც მეოთხე სექტორი უნდა იყოს ძლიერი. ჩვენს მაგალითზე თუ განვიხილავთ, უძლიერესი უნდა ყოფილიყო „რუსთავი2“, „თავისუფლების ინსტიტუტი“, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ა.შ. თუ მთავრობა არ იქნება მართვადი და მორჩილი, მეოთხე სექტორმა უნდა მოახდინოს სოროსისეული რევოლუცია. „რუსთავი2“-ს რომ არ ჩაერთო ეთერში, როგორ მოდიოდა წალენჯიხიდან გაკრეჭილი მიშა ავტობუსებით, ხალხი ქუჩებში არ გამოვიდოდა. ეს

იყო საზოგადოების ზომბირება – ისეთი, როგორსაც კაშპიროვსკი აკეთებდა. ეს ყველაფერი შევარდნაძის თანხმობით მოხდა. ის თუ იცით, როგორ წინააღმდეგობას უწევდა ვითომ ოპოზიციას? ქალს რომ უნდა, დაემორჩილოს მამაკაცს, მაგრამ მაინც უწევს წინააღმდეგობას, რათა უფრო აღაგზნოს – ეს იყო შევარდნაძის როლი რევოლუციაში!

**— რევოლუციას ყოველთვის თან ახლავს იმედგაცრუებები. იქნებ, იმედგაცრუებულთა საუბარი დიქტატურის ნიშნებზე ნაადრევია?**

– ეს არ იყო რევოლუცია. რევოლუციას ახალი კლასი მოჰყავს. როცა რევოლუცია ტოვებს პარლამენტის თავმჯდომარეს თავის პოსტზე, ხელმოცარულ ზურაბ ჟვანიას კი, პრემიერ-მინისტრად აქცევს, ეს მხოლოდ ხალხის მოტყუება და რევოლუციების შეურაცხყოფაა. შევარდნაძის შემოტანილი კონსტიტუციური ცვლილებები, რასაც აქამდე, ჟვანია-ბურჯანაძე-სააკაშვილი მიუღებელს უწოდებდა, დღეს გადაიქცა კანონად. თქვეს: წინასწარი განხილვაც აღარ სჭირდება, რადგან თავის დროზე, ედუარდ შევარდნაძემ შემოიტანა განსახილველად, ასე რომ, განიხილვისთვის საჭირო დრო არ ირღვევაო... ეს უკვე გახსნილი კარტით თამაშია. დიქტატურა არის, მაგრამ ამაზე ყველა დუმს. ძალიან შეურაცხყოფილი ვარ ამის გამო. ასე მგონია – უცხოელი დამპყრობლები რომ შემოვიდნენ ქვეყანაში, ეს პოლიტიკოსები ისევ დუმილს ამჯობინებენ. თუ აქამდე პოლიტიკოსები ამბობდნენ – სააკაშვილი ხელისუფლებაში რომ მოვიდეს, იარაღს ავისხამთო, – ახლა ისეთი განაზებულები არიან, იარაღი კი არა, მგონი, რკინის გასაღებიც კი აღარ უდევთ ჯიბეში!.. ქვეყანას რომ არ ჰყავს ოპოზიცია, ეს საშინელებაა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქართულ პოლიტიკაში ინტერესჯგუფები მოქმედებს და არა პოლიტიკური ძალები. თუ ამ ინტერესჯგუფის ინტერესები ილახება, ქვეყნის ბედი აღარ აინტერესებთ. აი, ამიტომ ამჯობინებენ დუმილს.

**— მიხეილ სააკაშვილს მსოფლიო იცნობს, როგორც დემოკრატიული პრინციპების მიმდევარ პოლიტიკოსს. ძნელი დასაჯერებელია, რომ მან ქვეყანაში დიქტატურა დაამყაროს...**

– მთელი სოციალისტური ეპოქა ყველაზე დიდ დემოკრატად ლენინს აღიარებდა. ბევრს საუბრობდნენ ხრუშჩოვის დემოკრატიაზე, რომელიც დემოკრატიც იყო და სულელიც და ძალზე ჰგავს ჩვენს ახალ ხელისუფლებას. დამნაშავე ყოველთვის ცდილობს, რომ არ დამტკიცდეს მისი დანაშაული. ასევე იქცევა ანტიდემოკრატი – თუ არასრულფასოვნების კომპლექსი აწუხებს, ყოველთვის ამტკიცებს, რომ დემოკრატია. გადავხედოთ უკვე დაპატიმრებულ ჩინოვნიკთა სიას. შოთა მეფარიძემ ამხილა სააკაშვილი იმაში, რომ მისმა მშობლებმა აიღეს მიწის ნაკვეთები წყნეთსა და ბაგებში და ამისთვის დაიჭირა ოთხმოცი წლის კაცი. სუპატაშვილმა მიტინგზე გამოსვლისას, გია ბარამიძეს აწყენინა – გაუხსენეს და დაიჭირეს. დავით მირცხულავა, რომში განსწავლული კაცი, ალბათ იმიტომ დაიჭირეს, რომ წილების მიტანა შეუწყვიტა. მერაბ ჟორდანია დაიჭირეს – 700.000 ლარი რატომ არ შეიტანე ბიუჯეტშიო? კოტე კემულარია, რომელმაც ინვალიდთა ორგანიზაციაში 2 მილიონი შეჭამა – დააწინაურეს და ელჩად დანიშნეს. არადა, კოტე კემულარიას დასაჭერად ჰქონდა საქმე და დარწმუნებული ვარ, მასალები ახლაც წინ უწყვია ირაკლი ოქრუაშვილს. ვანო მერაბიშვილმა 4 მილიონი შეახრამუნა, მიწის მესაკუთრეთა ასოციაციის პრეზიდენტობის დროს. ეს იყო გლეხებისთვის გამოყოფილი გრანტი. ახლა ჩვენი უსაფრთხოება სწორედ ვანო მერაბიშვილზეა დამოკიდებული...

**— ეი. თქვენ ამტკიცებთ, რომ ახალი ხელისუფლება ქვეყანაში დიქტატურას ამკვიდრებს?**

– მიხეილ სააკაშვილი კორუმპირებული დიქტატორია. მისი, როგორც დიქტატორის პირველი შემზარავი ნაბიჯი იყო, ავტონისპექციის შენობაში 60-მილიონიანი სასახლის მშენებლობის დაწყება. ინაუგურაციის შოუ მშიერი ხალხის დასანახავად მოწყობილი, მილიონიანი ღონისძიება იყო, თავისი პარტიის დროშა გამოაცხადა სახელმწიფო დროშად – ეს წარმოუდგენელი მკრეხელობაა და მსგავსი რამ ლენინსაც არ მოსვლია თავში. იგივე ითქმის საქართველოს ჰიმნზე. სააკაშვილის პრინციპია, რაც თავის დროზე ლუდოვიკომ თქვა: „მე ვარ სახელმწიფო, მე ვარ კანონი“. ამ ყველაფრის მიმართ წინააღმდეგობის არგაწევა, ქვეყნის წინაშე დანაშაულია. დროა, ვინმემ შემოუძახოს, თანაც – საკმაოდ მკაცრად. ყველა ანალიტიკური ტელეგადაცემა აიკრძალა. ეს არის ცენზურა. ჟურნალისტები ისე შეაშინეს, რომ ვეკითხები – რა მოხდა-მეთქი? – ვერაფერს მპასუხობენ. თუ ასეთი ტემპით გააგრძელეს მოქმედება, ყველაზე მეტი, რამდენი ხანიც შეიძლება ხელისუფლებაში დარჩნენ, რამდენიმე თვეა – მეტხანს ესენი ხელისუფლებას ვერ შეინარჩუნებენ... რამდენიმე დღის წინ, დასავლეთ საქართველოდან მოვდიოდი. რიკოთის უღელტეხილზე თოვლმა გზა ჩაკეტა. უამრავი ხალხი ღია ცის ქვეშ დარჩა. ერთი მაშველიც კი არ გამოჩნდა, ერთი ტრაქტორიც არ მოვიდა, გზა რომ გაეწმინდა. არადა, როცა ვინმეს დასაჭერად მიდიან, თან ასამდე სპეცრაზმელი მიჰყავთ... აი, ასე უყვართ ხალხი. მაგრამ ახლა, ხალხი აღარ სჭირდება მიხეილ სააკაშვილს. რამდენიმე თვის წინ კი, ხალხი ფარად გამოიყენა და თავი გადაირჩინა.

***სოსო ცინცაძე,*** *პოლიტოლოგი:*

– ბოლო დროს, ხშირად ისმის: დიქტატურა იწყებაო! არ მიმაჩნია, რომ ასეთი დასკვნის გაკეთება მართებულია. დღევანდელ საქართველოში სტერილურად დემოკრატიული ხელისუფლება ვერც გაამართლებს. დემოკრატიის აკვანში – დიდ ბრიტანეთში შობილმა გენიოსმა ჩერჩილმა ბრწყინვალედ თქვა: ნამდვილი დემოკრატი უნდა იყო, რომ ანტიდემოკრატიულ ნაბიჯზე წახვიდე და ამისი არ შეგეშინდესო... ედუარდ შევარდნაძე არასდროს ყოფილა ნამდვილი დემოკრატი, ამიტომ ღიად ანტიდემოკრატიულ ნაბიჯებზე წასვლას ვერ ბედავდა. ეშინოდა, რომ ამას წამოაყვედრებდნენ. ჩერჩილს რაც არ უნდა გაეკეთებინა, მასზე ვერავინ იტყოდა, დემოკრატი არ არისო, ამიტომ მას ზოგიერთი ისეთი ნაბიჯი გადაუდგამს – ეს რომ შევარდნაძეს გაებედა ან

ახლა მიხეილ სააკაშვილმა გაბედოს, — ნამდვილად ჩაქოლავენ. მაგრამ ბრიტანეთის საზოგადოებას ეჭვიც არ ეპარებოდა იმაში, რომ ჩერჩილი ნამდვილი დემოკრატი იყო... საქართველო რომ ძლიერ სახელმწიფოდ იქცეს, წმინდა დემოკრატიული ნაბიჯებით სიარულით ამ შედეგს ვერ მივიღებთ. მე ძლიერი პრეზიდენტის მომხრე ვარ. ვეწინააღმდეგები ძლიერ პარლამენტს, რადგან პარლამენტის ავტორიტეტი ხალხში ძალზე დაბალია, პრეზიდენტის ავტორიტეტი კი — უპრეცედენტოდ მაღალი. მოწინააღმდეგეები ხშირად ამბობენ: როგორ შეიძლება, პრეზიდენტს სრული კარტ-ბლანში ჰქონდესო? მაგრამ ეს ჩვენი რეალობაა: სააკაშვილს ამომრჩეველთა 96%-მა მისცა ხმა, ე.ი. ხალხი მას თვალდახუჭული ენდობა. მიკვირს იმ პოლიტიკოსთა რიტორიკა, რომლებიც მშვენივრად ეგუებოდნენ ასლან აბაშიძის ბლოკში ყოფნას, მათ არავითარ დისკომფორტის გრძნობას არ უქმნიდა დიქტატორის გვერდით დგომა. რა უფლება აქვს ამ ხალხს, დღეს დემოკრატიაზე იმსჯელოს?! „აღორძინების“ თბილისის წარმომადგენლობას უფლება არა აქვს, მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურ კურსს დიქტატორული უწოდოს. მათ ფრანგულ ანდაზას შევახსენებ: ჩამხრჩობილის ოჯახში თოკზე არ ლაპარაკობენო...

**— ეი. თქვენი აზრით, ქვეყანაში დიქტატურის საფრთხე არ არსებობს?**

— მე ვხედავ მხოლოდ ერთ საფრთხეს: კლასიკური დემოკრატია ეს გახლავთ თერაპია, საქართველოს კი, თერაპიით აღარ ეშველება — ქირურგიული ჩარევაა საჭირო. საგანგებო რეჟიმში ქვეყნის ცხოვრება ქირურგიულ ჩარევას ნიშნავს, რაც დემოკრატიულ ნორმებს სცილდება, მაგრამ დიქტატურისგან ძალიან შორს დგას. გავიხსენოთ, რა გადავიტანეთ, რა მდგომარეობაში ვიყავით ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს. იმ ხალხს, ვისაც არ განუცდია სიდუხჭირეში ცხოვრება, აღიზიანებს დაპატიმრებები, რომლებსაც ახალი ხელისუფლება კორუფციის დასამარცხებლად მიმართავს. მათ შეუძლიათ თქვან, რომ ეს დემოკრატიული ნორმებიდან გადახვევაა. ხშირად ამბობენ: როგორ შევაფასოთ ის, რომ პრეზიდენტი მოსამართლეებს ნიშნავსო?.. პრეზიდენტს მოსამართლეების შერჩევის უფლება კი არა აქვს — ის უბრალოდ, მათ ამტკიცებს, იუსტიციის საბჭოს წარდგინების შემდეგ.



**— როცა ანტიდემოკრატიულ ნაბიჯებზე პრეზიდენტის თანაგუნდელი კობა დავითაშვილი საუბრობს, ეს ალბათ ყურადსაღები ფაქტია...**

— ნეტავ, კობა დავითაშვილისნაირი იყოს ყველა, ვინც კონსტიტუციური ცვლილებების წინააღმდეგია. კობა დავითაშვილს აქვს თავისი პრინციპული შეხედულება პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის და თავად ზურაბ ჟვანიას მიმართ. ის ყოველთვის, პოლიტიკურ სამზარეულოში ტრიალებდა, ამიტომ მას სრული უფლება აქვს, განაცხადოს, რომ ზურაბ ჟვანია დემოკრატიას მოსპობს, თავის თავსაც დაღუპავს და ქვეყანასაც. მე არ გამოვრიცხავ, რომ კობა დავითაშვილი ჩემზე უკეთ იცნობდეს, როგორც ზურაბ ჟვანიას, ასევე ნებისმიერ სხვა პოლიტიკურ ლიდერს, მაგრამ მეეჭვება, რომ ჩვენს პარლამენტს დემოკრატიზაციაზე საუბარი ან დიქტატურის ნიშნების დანახვა შეუძლია. გულახდილად გეტყვით — ღმერთმა დამიფაროს, ჩემი შვილის ბედი ვანდო ზოგიერთ პარლამენტარს ან მათ მიერ მიღებულ კანონს. დღეს პარლამენტში უპრინციპობა ყველაზე დიდი საფრთხეა. საკონსტიტუციო ცვლილებებს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, მაგრამ ხმა უმრავლესობამ მისცა. მიხეილ სააკაშვილის ადგილას ვიღაც პირსისხლიანი დიქტატორი რომ ყოფილიყო, დეპუტატებს ეტყოდა: ან მხარს დაუჭერთ საკონსტიტუციო ცვლილებებს, ან ყველას დაგიჭერთო. დარწმუნებული ვარ, თითქმის ყველა დეპუტატი შეშინდებოდა. შეიძლება, ასეთ პარლამენტს ქვეყნის ბედი ვანდოთ?!

**— თუ შეიძლება ვისაუბროთ ასლან აბაშიძეზე, როგორც დიქტატორზე?**

— თუ ედუარდ შევარდნაძეს ვერ ვუწოდებდით დიქტატორს, ასლან აბაშიძეზე იმავეს ვერ ვიტყვით. ბევრი ადამიანი ბათუმში დიქტატურის არსებობაზე საუბრობს. ედუარდ შევარდნაძისთვის „კმარა“, სიურპრიზი აღმოჩნდა, მან „კმარას“ შესაძლებლობები ვერ შეაფასა. ასლან აბაშიძე შედარებით ჭკვიანი პოლიტიკოსია. მას შეუძლია, სხვის შეცდომებზე ისწავლოს. შევარდნაძის მაგალითიდან გამომდინარე, მან უკვე იცის, თუ რა ელის. ამიტომაც იღებს ზომებს — ხალხისთვის იარაღის დარიგების ფაქტი იმას მოწმობს, რომ აბაშიძე თავის ხელისუფლებას უსისხლოდ არ დათმობს. რეჟიმის შეცვლა აჭარაში რთულად მოხდება. დღევანდელი ხელისუფლების ადგილზე რომ ვიყო, დავკმაყოფილდებოდი აჭარაში მძლავრი ოპოზიციური გუნდის შექმნით. ამ ეტაპზე, სხვა გამოსავალს ვერ ვხედავთ. დემოკრატიის ნაბიჯ-ნაბიჯ და თანდათანობით დამყარება, აჭარაში აბაშიძის კლანის შესუსტებას გამოიწვევს.

**— და მაინც, ხელისუფლების რომელ შეცდომებში ხედავს ოპოზიცია დიქტატურის ნიშნებს?**

— საზოგადოება კმაყოფილებით ხვდება დაჭერებს, რადგან იმის სურვილი, რომ ხალხს ვინმე სამართლიანად დასჯილი ენახა ათი წლის მანძილზე, ღვივდებოდა. მაგრამ შეიძლება, ვიღაცამ ზომიერება დაკარგოს და უდანაშაულო ადამიანი საბრალდებო სკამზე მოხვდეს. ახალმა ხელისუფლებამ გარე ვაჭრობის აკრძალვა დაიწყო. მეტროს სადგურებიდან ბრმა მუსიკოსებიც კი გაყარეს. მთელ მსოფლიოში, სადაც კი ვარ ნამყოფი, ბრმა მუსიკოსს ხელს არავინ ახლებს. დაუცველ, უმწეო ბრმა მუსიკოსს არ შეიძლება, აუკრძალო, უდანაშაულო გზით მოიპოვოს ლუკმაპური!.. წესრიგის დამყარებას მივესალმები, მაგრამ ამას ვერ მოვიწონებ. არსებობის სხვა გზა მათ არა აქვთ. სახელმწიფო მათ მატერიალურად ვერ უზრუნველყოფს. მათი დასჯა დაუშვებელია. ამას ხელისუფალთ არ აპატიებენ. გავა წლები და მაინც გაუხსენებენ, რომ მათ ბრმა მუსიკოსებზეც კი აღმართეს ხელი... დანარჩენებზე, კი, რა მოგახსენოთ: ვიმეორებ, როცა ქვეყანა საგანგებო რეჟიმში მუშაობს, როცა დიდი საქმე კეთდება, შეცდომები უეჭველად იქნება. ჩასაფრებული კაცი ამას ალბათ, დიქტატურის ნიშნებსაც დაარქმევს... ■

ნინო ჯავახიშვილი

# quCebi `gaiwminda~, gare movaWreebi lukmapuris dakargvas uCivian

***მას შემდეგ, რაც დეზერტირების ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ვაჭრობა აკრძალეს და მოვაჭრეებს ადგილი ბაზარში მიუჩინეს, ქუჩები დაცარიელდა და დასუფთავდა. თუ ადრე, ფეხით მოსიარულეთათვის მოძრაობა შეუძლებელი იყო, ახლა ეს პრობლემა უკვე აღარ არსებობს. კმაყოფილია ყველა — გარე მოვაჭრეების გარდა. მათი ნაწილი „დეზერტირებზე“ დგას, ნაწილი — მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ბაზარში — „დიდუბე+“ (რომელსაც ძლივს, კითხვა-კითხვით მივაგენით), ნაწილიც კი — ფიროსმანის ქუჩის დასაწყისში.***

*დავინტერესდით, შეასრულა თუ არა ყველა დანაპირები ხელისუფლებამ, რა პირობები შესთავაზეს გარე მოვაჭრეებს.*

**მარინა,** *გარე მოვაჭრე:*

— პოლიციელები ქუჩაში ვაჭრობას გვიშლიან, მაგრამ მაგათი მოვალეობა ეგ არის და რა ქნან?.. რაიონებიდან იმისთვის ვართ ჩამოსულები, შვილებისთვის ლუკმაპური რომ ვიშოვოთ. ქუჩიდან აგვყარეს, მაგრამ რა გამოვიდა? იქ, სადაც ადგილი მოგვცეს, პურის ფულსაც ვეღარ ვშოულობთ — ისეთი ადგილია, სადაც ხალხი ნაკლებად მოძრაობს. აღარ ვიცით, რა გზას დავადგეთ. ჩვენც ხომ ცოდონი ვართ?! ორი-სამი თვე მაინც დაეცადათ — ან აღებულ საქონელს გავყიდდით, ან ფულს შევაგროვებდით და ასეთ ცუდ დღეში არ ჩავცვივდებოდით. იძულებული ვარ, ქუჩაში ვიარო, ვიწვალო, რომ დღეში რამდენიმე ლარი მაინც ვიშოვო.

**პოლიციელი:**

— ჩვენ კანონის შესაბამისად ვმოქმედებთ. გარე მოვაჭრეებს ვაფრთხილებთ, რომ ქუჩაში ვაჭრობა აკრძალულია, მაგრამ საქონლის ჩამორთმევის უფლება არ გვაქვს. რომ გვიბრძანონ, საქონელი

ციური ქველიაშვილი

ჩამოართვითო, მილიცია ამ დავალებასაც შეასრულებს, მაგრამ ვფიქრობ, ეს ბრძანება იმათზე კი არ გავრცელდება, ვისაც პური და ხილი დააქვს ქუჩაში გასაყიდად, არამედ მათზე, ვისაც დახლები აქვთ დადგმული.

**ციალა ჯგერენაია,** *გარე მოვაჭრე:*

— აქ დგომით კმაყოფილები ნამდვილად არ ვართ. თვითონაც ხედავთ, რომ აქ არანაირი პირობები არ არის. ნაგავში ვართ ჩაფლულები. ხალხმა არ იცის, ამ ბაზრის არსებობის შესახებ და მთელი დღის განმავლობაში, თითოოროლა კაცი თუ შემოვა რაიმეს საყიდლად... სასოწარკვეთილები ვართ, რა გავაკეთოთ, რა მოვიფიქროთ, არ ვიცით... მინდა მჯეროდეს, რომ ასე დიდხანს არ გაგრძელდება და მდგომარეობა გამოსწორდება. ასე, ერთი ხელის მოსმით, ხომ არ შეიძლება ხალხის გაუბედურება?! გადასახადს არ გადაგახდევინებთო, — დაგვპირდნენ. ადრე ადგილში ლარ-ნახევარს გვახდევინებდნენ და გვირჩევნია, ისევ ლარ-ნახევარი გადავიხადოთ, ოღონდ ისევ იქ — თუნდაც, წვიმასა და ქარში ვიდგეთ... გადახურულ ბაზარში რომ ვდგავართ, ამას რა აზრი აქვს?!.

**ჰამლეტ კოგახიძე,** *„დიდუბე+“-ის დირექტორი:*

— ჯერჯერობით, კვლავ არეულობაა. ქუჩაში ვიღაცები ისევ დგანან და ვაჭრობენ. აქ მდგომნიც გარეთ გასვლას ცდილობენ, რადგან ვაჭრობა არ არის. პირველ ფლიგელში ვინც დგას, ისინი უფრო კმაყოფილები არიან. ერთი-ორ კვირაში, მდგომარეობა გამოსწორდება. ქუჩაში ერთი კაციც ვეღარ ივაჭრებს. თუ საჭირო იქნება, გადასახადებს ერთი კი არა, ორი წლის განმავლობაშიც არ გადავახდევინებთ და ყველანაირად ხელს შევუწყობთ. მოკლედ, ეს ტირილი და ვაება *(ჩვენი საუბრის დროს, ქალები თავს ვერ იკავებდნენ და ტიროდნენ. — ავტ.)*, გპირდებით, მალე დასრულდება...

ამ დანაპირებმა გარე მოვაჭრეები ვერ დაამშვიდა. როგორც მათ განაცხადეს, ერთ კვირას კიდევ დაიცდიან და თუ მათთვის სასიკეთოდ არაფერი შეიცვლება, კვლავ ქუჩაში გამოვლენ, პროტესტის ნიშნად.

**ციური ქველიაშვილი,** *გარე მოვაჭრე:*

— 4-5 დღეა, ამ ბაზარში ტყუილად ვდგავართ, უბრალოდ, ადგილს ვინარჩუნებთ. საბრუნავი თანხაც არ გვრჩება და თავი როგორ უნდა ვირჩინოთ?.. მთავრობამ ჩვენისთანა გაჭირვებული ხალხით რომ დაიწყო ქვეყნის შენება, სხვა არაფერი ჰქონდა მოსაგვარებელი?! გაჭირვების გამო, იცით, რამდენმა ჩააბარა სისხლი, 18-20 ლარი რომ აეღო და შვილებისთვის საჭმელი ეყიდა?! ერთი კვირა კიდევ მოვითმენთ და თუ ასე გაგრძელდა, თუ დღეში 5 ლარი მიანც არ დაგვრჩა, ყველანი ერთმანეთს ავუბამთ მხარს და ავბუნტდებით... ■

ნათია თენიეშვილი

# ქალაქგარეთ დასასლებული „უცნობი“ საკუთარი ტელესკოპით ვარსკვლავებს აკვირდება და ლექსებს წერს

**„ნიჭს პლუს გემოვნება, არის უკვე ხელოვნება“ — ეს სიტყვები ერთ-ერთმა ყველაზე გემოვნებიანმა მომღერალმა და მამაკაცმა — „უცნობმა“ მაშინ მითხრა, როცა საგურამოში, მას სახლში ვეწვიე და, ჩვენი საუბრის თემა, გემოვნებაა-მეთქი, ვუთხარი. ისიც მთხოვა — მომღერალს ნუ დამიძახებთ, მე მსახიობი ვარ, ესტრადაზე, ფაქტობრივად, არ გამოვდივარ, თუ ვინმემ ძალიან არ მთხოვა; არც „არტ-იმედში“ გავწევრდი, თუმცა შემოთავაზება მქონდა; ერთადერთი, რაც მიტაცებს, თეატრალიზებული შოუს დადგმაა, შეიძლება, „თეატრალიზებული მომღერალი“ დამერქვას, თუ არსებობს ასეთი ტერმინიო...**

*„უცნობი“ უკვე დიდი ხანია, ოჯახთან ერთად, საცხოვრებლად საგურამოში გადავიდა. როგორც თვითონ ამბობს, იქ ისვენებს, რეალობას მოწყვეტილი. რეალობა კი, თბილისშია. თუმცა, მთლად უთბილისოდ ცხოვრებაც არ შეუძლია და როცა სჭირდება, მანქანის წყალობით, 10 წუთში ისევ უბრუნდება ამ რეალობას.*

*საგურამოში მისი მეზობელი, ღვიძლი ძმა — ლევან გაჩეჩილაძეა. გვერდით კი, ბიძინა გეგიძის სამფლობელოა, თუმცა ამ სამფლობელოში ჯერ სახლი არ დგას. „უცნობის“ სახლი კი, როგორც თვითონ თქვა, მთლიანად მისი გემოვნებითაა მოწყობილი. მაღლა, კედელში ჩატანებული აკვარიუმის დამონტაჟებაც მისი იდეა ყოფილა. თევზებს გიორგის მეუღლე, ნინო ანკესით აწვდის საკვებს. ოთახში, რა თქმა უნდა, ბევრი, სხვადასხვანაირი ნიღაბია. ბუხრის თავზე, „უცნობის“ ორი უსაყვარლესი მოღვაწის — ვაჟა-ფშაველასა და დავით კლდიაშვილის, დიდი ფოტოებია. იქვე ნახავთ დეკორატიულ იარაღს, ხელჯოხს, დანას, ზურა მახნიაშვილის ნაჩუქარ საქსოფონს, ვიოლინოს, რომელზეც გიორგის ბიძას უსწავლია დაკვრა და უამრავ სხვა ნივთს, რომელიც მსახიობს უსახსოვრეს და ძალზე ეძვირფასება...*

— დღეს ქვეყანაში სწორედ გემოვნების დეფიციტია. საბედნიეროდ, საქართველოში ნიჭი ძალიან უხვადაა, უბრალოდ, დანახვა და სწორი გამოყენება სჭირდება... ნიჭი ადამიანს დაბადებიდან აქვს, გემოვნება კი, ცხოვრების გამოცდილებასთან ერთად იხვეწება. მე ვაკეში გავიზარდე, 55-ე საშუალო სკოლა დავამთავრე, მერე — თეატრალური ინსტიტუტი. გემოვნებიანი ხალხის გარემოცვაში ვიზრდებოდი, ვურთიერთობდი ისეთ ადამიანებთან, როგორებიც არიან: ერლომ ახვლედიანი, რობერტ სტურუა და ა.შ. მათთან ურთიერთობისას ჩამომიყალიბდა ის, რაც ასე მნიშვნელოვანია ჩემთვის.

**— შენი მუსიკალური გემოვნება როგორ ყალიბდებოდა?**

**აქ ისვენებს რეალობას მოწყვეტილი**

— დედაჩემმა მუსიკალური შვიდწლედი წივილ-კივილის საფასურად, ძალით დამამთავრებინა. ახლა ვხვდები, რომ ძალიანაც კარგი გააკეთა, რომ დამაძალა. მამიდაჩემი მუსიკალური ათწლედის მასწავლებელია, მასთან დავდიოდი ფორტეპიანოს დასაუფლებლად. ძალზე გემოვნებიანი ქალია, კარგად უკრავდა და გემოვნებიან მუსიკასაც უსმენდა. კარგად მახსენდება მამიდაჩემთან გატარებული დღეები. მამაჩემის დედასაც ისე უყვარდა ხელოვნება, რომ უნივერსიტეტის მე-4 კურსის სტუდენტმა, სწავლას თავი დაანება და მარჯანიშვილის თეატრში სუფლიორად დაიწყო მუშაობა.

**— მუსიკაზე ძალით გატარებდნენ და სკოლაში როგორ სწავლობდი?**

— სკოლის პერიოდში, ლევანს რომ ვუყურებდი, ვგიჟდებოდი: გადაშლიდა წიგნს, ერთხელ წაიკითხავდა გაკვეთილს და უკვე ნასწავლი ჰქონდა. ასე იყო ყველა საგანში. მიკვირდა — როგორ ახერხებს-მეთქი?! მე არასდროს მისწავლია ფიზიკა, ქიმია და მსგავსი საგნები. მხოლოდ იმას ვსწავლობდი, რაც მაინტერესებდა, მაგალითად — პოეზიას... ლევანს ბავშვობიდან, ფულის შოვნა აინტერესებდა. ქვისგან შეეძლო ფუ-

**მეუბნება – მე წელებზე ფეხებს ვიდგამ, ეს ერთს იმღერებს და...**

**სწორედ ბავშვების სიყვარულით გავაგრძელე სიმღერა, თორემ, აღარც ვაპირებდი... (ირინა – „უცნობის“ შვილი)**

ლის „გამოწურვა“. 10-12 წლის ბიჭები ფეხბურთს რომ ვთამაშობდით ლიმონათზე, ამ დროს ლევანი გამოართმევდა ბებიაჩემს მანეთს. იყიდდა რაღაცას, მერე იმ ნივთს გაცვლიდა, ჩაატარებდა სხვადასხვა ოპერაციას და თავისი სამყოფი ფული – 3-5 მანეთი ყოველთვის ჰქონდა. მე მივადგებოდი და ცოტ-ცოტას ვართმევდი... ახლაც ასე გრძელდება, ოღონდ – უკვე დიდ მასშტაბებში... აი, ასე იყო – ის ფულს შოულობდა, მე ლექსებს ვსწავლობდი და თეატრალურ წრეზე დავდიოდი პიონერთა სასახლეში თამარ თეთრაძესთან. იქ გავიცანი ძალიან ბევრი ჩემი მეგობარი – მაგალითად, მერაბ ნინიძე.

**— ლევანი არ გეუბნებოდა, რომ ეს არასერიოზული საქმიანობა იყო?**

– ლევანი ყოველთვის ფიქრობდა და დღესაც ფიქრობს, რომ ეს არასერიოზული საქმიანობაა. მეუბნება – მე წელებზე ფეხებს ვიდგამ, ეს ერთს იმღერებს და... მე ასე არ მიმაჩნია. პირიქით – ვფიქრობ, რომ ეს უფრო სერიოზულია, ვიდრე მისი საქმიანობა.

**— ლექსები ბავშვობიდან მიყვარდაო, — ამბობ; შენი ლიტერატურული გემოვნების ჩამოყალიბებაზე კონკრეტულად ვინმემ თუ მოახდინა გავლენა?**

– ბავშვობაში ბებია ხშირად მასეირნებდა. ამიყვანდა მთაწმინდის პანთეონში, ორი საათი ივჯდა და მეგობარს ელაპარაკებოდა, მე დავრბოდი და ვეკითხებოდი – ეს ვისი საფლავია, ეს ვისიმეთქი? ბებიაც ყველაფერს მიხსნიდა. მერე თეატრალურში ჩავბარე. იქ მხატვრული კითხვის ნიჭი აღმომაჩნდა. მახსოვს, გურამ საღარაძეს მოვეწონე ძალიან. მერე საათნახევრიანი სპექტაკლი დავდგით ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებების მიხედვით. მე ვკითხულობდი ლექსს „ბედნიერი ერი“... ჩემი სტუდენტობის პერიოდში ლენინგრადში ტარდებოდა მხატვრული კითხვის კონკურსი, რომელშიც საბჭოთა რესპუბლიკებიდან და სოციალისტური ქვეყნებიდან 2000-მდე მსახიობი მონაწილეობდა. ჩვენ ნოდარ დუმბაძის „ჰელადოსი“ წავიღეთ, რუსულ ენაზე ნათარგმნი. მესამე და მეორე ადგილებზე გასულები რომ გამოაცხადეს, მანანა ბერიკაშვილს ვეუბნებოდი – ჩვენ აქ რაიმე ადგილს ვინ მოგვცემს-მეთქი?!. – და ამ დროს, ჩემი გვარი გავიგონე: პირველი პრიზი ავიღე, უზარმაზარი მედალი და სიგელი ჩამოვიტანე, რომელიც ახლაც რექტორის კაბინეტშია კედელზე გაკრული.

**— თეატრიდან რატომ წამოხვედი?**

– თეატრალურ ინსტიტუტში მისაღები გამოცდები სულ „ხუთებზე“ ჩავაბარე. ძალიან კარგი ხალხი აბარებდა იმ დროს და კარგი ჯგუფი ჩამოყალიბდა: მერაბ ნინიძე, თემიკო ჭიჭინაძე, ჭოლა (ლევან წულაძე), ეკა კახიანი, ნანა შონია, ნინო თარხან-მოურავი და სხვები. ინსტიტუტის, რუსთაველის თეატრისა და გასტროლების პერიოდი კარგად მახსენდება. ეს ჩემთვის ყველაზე სასიამოვნოდ გატარებული წლებია – ინსტიტუტიდან მოყოლებული, 1993 წლამდე, მანამ, სანამ თეატრს დავტოვებდი. იმ დროს, თბილისში უკვე აღარაფერი ხდებოდა და გადავწყვიტე, ცოტა ხნით მოსკოვში წავსულიყავი. მე და ჩემმა მეგობრებმა ბიზნესს მოვკიდეთ ხელი და მოსკოვის ცენტრში დიდი სუპერმარკეტი, რესტორანი და საიუველირო მაღაზია გავხსენით. ეს ჩვენი მეგობრის, ერთ-ერთი ბანკის პრეზიდენტის დახმარებით მოვახერხეთ. მიუხედავად იმისა, რომ საქმე კარგად მიდიოდა, დეპრესიაში ჩავვარდი და ვეღარ გავძელი. მერე ამერიკაში წავედი თვე-ნახევრით, მაგრამ ვერც იქ გავჩერდი... ჩემთვის გამორიცხულია ცხოვრება საქართველოს ფარგლებს გარეთ – ერთ თვეში დეპრესიაში ვვარდები, სადაც არ უნდა ვიყო და როგორ კარგადაც არ უნდა ვგრძნობდე თავს. ძალზე რთულ დროს დავბრუნდი. ვერ ავიტანე აქაურობა და ვფიქრობდი იმაზე, თუ როგორ მიმეწოდებინა ხალხისთვის ის, რაც გულში მქონდა. გამოვუშვი ლექსების კრებული, მაგრამ არავის წაუკითხავს... მერე მივხვდი, რომ მუსიკას ყველა უსმენდა და ხალხს ამ ფორმით მივაწოდე ჩემი სათქმელი. დავინახე, რომ ბავშვებს ძალიან ვუყვარვარ. დღეში 100 კაცი მირეკავს და მეუბნება – ჩემი შვილი შენზე გიჟდება, მასთან სურათი გადაიღეო და ა.შ. სწორედ ბავშვების სიყვარულით გავაგრძელე სიმღერა, თორემ, აღარც ვაპირებდი... შეწუხებით მგონი, არავინ შემიწუხებია. ამას თუ ვიგრძნობ, მაშინვე დავანებებ თავს – „შემწუხებელი ტიპი“ ნამდვილად არა ვარ.

**— თეატრში დაბრუნება არ გიფიქრია?**

– დაბრუნებას ისე, რომ შტატში ჩავჯდე და ყველა სპექტაკლში მივიღო მონაწილეობა, არ ვფიქრობ. ბევრი შე-



**მაღლა, კედელში ჩაგანებული აკვარიუმის დამონტაჟებაც მისი იდეა ყოფილა**

მოთავაზება მქონდა სხვადასხვა რეჟისორისგან ამ წლების მანძილზე, მაგრამ ვერ მოვახერხე. ახლა ვფიქრობ, ერთი-ორი წლით თეატრზე გადავერთო...

**— სცენიდან ფაქტობრივად, არც ჩამოსულხარ, მაგრამ თეატრი მაინც სულ სხვაა. შიშის გრძნობა ხომ არა გაქვს?**

— არა, შიში არა მაქვს, რადგან ეს დრო უქმად არ გამიტარებია. ამ 10 წლის განმავლობაში, სცენაზეც ვიდექი, შოუც გავაკეთე რუსთაველის თეატრში, ლევან თუთბერიძის ფილმშიც — „გასეირნება ყარაბაღში“ ვითამაშე — კლიპებზე ვმუშაობდი და ა.შ.

**— ახლა ჩაცმულობის საკითხს შევეხოთ. ყოველთვის თავისუფალი სტილის ტანსაცმელი გაცვია. ოდესმე თუ გამოწყობილხარ კლასიკურად?**

— არა. მგონი, მხოლოდ მომიზომებია კლასიკური პიჯაკი.

**— სკოლის გამოსაშვებ ბანკეტზე ან საკუთარ ქორწილშიც არ გკეთებია ჰალსტუხი?**

— არა. სკოლის ბანკეტზე რაც მეცვა, კარგად მახსოვს. ქორწილშიც ზოლიანი პიჯაკი მეცვა და შიგნით — მაისური. არც პერანგი მცმია და არც ჰალსტუხი მკეთებია. არ მიყვარს ეგრე ჩაცმულ კაცს რომ ვხედავ, ყველა ერთნაირი ტიპი — ფუნქციონერი მგონია; ასე „შეკრული“ და შებოჭილი, არათავისუფალი იქნები. ასე ვფიქრობ...

**— ეი. ჰალსტუხი არა გაქვს?**

— ერთადერთი, ვანო ზოდელავას ჰალსტუხი მაქვს, აუქციონზე ვიყიდე — მგონი, 70 ლარად. ჩაფიქრებული მაქვს, კლიპში ამ ჰალსტუხით თავი უნდა ჩამოვიხრჩო.

*თავის ჩამოხრჩობის მიზეზი აღარ მიკითხავს და საუბარი ისევ პოეზიაზე გადავიტანე. პირველი ლექსი „უცნობს“, აფხაზეთში დაღუპული მეგობრის — კოკა კლდიაშვილისთვის მიუძღვნია. „რუსეთში გავიგე მისი დაღუპვის ამბავი და რომ წამოვედი, მატარებელში დავწერე ეს ლექსი. ასეც ჰქვია — „კოკა“. 1997 წლიდან, სეიშელის კუნძულებზე ყოფნის დროს ინტენსიურად დაუწყია ლექსების წერა. იქ თურმე სტაფილოსფერი ბეღურები დაფრინავენ და როგორც ერთხელ, თავად აღნიშნა — თუ საერთოდ, წერა იცი, არ არსებობს, ლექსი არ დაწეროო... ლექსის დასაწერად, საგურამოშიც კარგი გარემოა და „უცნობს“ დაჰგროვებია კიდეც ლექსები, თუმცა წიგნის გამოსაცემად ჯერჯერობით ვერ იცლის. ისიც დაიწუწუნა — რვეული არა მაქვს, ფურცლებზე ვწერ და იმასაც აქეთ-იქით ვფანტავ, მერე, ნინო თუ იპოვის, გადაწერს და შეინახავსო... შემდეგ, ნინოს შენახული რვეული გამოიტანა და რამდენიმე ლექსი წაიკითხა:*

ნიღაბი ჰრიას ჩემი ცხოვრება
დედამიწაზე, რომ მეცხოვრება.
ნიღაბი ჰრიას ჩემი სიმბოლო
და ამ ყველაფერს ჰრა აქვს ბოლო.
ნიღაბი ჰრიას გარდაცვალება,
სიყვდილი – მხოლოდ ჰრსის ცვალება.
ნიღაბი ჰრიას თვითონ უფალი
შენა ხარ შენი თავის უფალი,
შენა ხარ შენი თავისა ღმერთი,
ადამიანი სრულიად ერთი.

რიგორი მარტო ვარ, არავინ იცის,
უცნობის ცნობა მეც კი არ ვიცი.
ვიცი, რომ მხოლოდ დავდევი ფიცი,
ვპოვე სიწმინდე და გადავიცვი.
მცივა, მარტო ვარ, არავინ იცის,
დადებული მაქვს უფალთან ფიცი.
რაა ის ფიცი, მართლა არ ვიცი,
მაგრამ ქვეყანა რომ მწყივა, ვიცი.

*ლექსების კითხვის შემდეგ, „უცნობმა“ ეზო დაგვათვალიერებინა. გვიჩვენა საკუთარი ხელით დარგული ცაცხვები, ბუნგალოს ტიპის ნაგებობა — საქეიფო ადგილი, სადაც რამდენიმე ცარიელი ჭური მალე, „ჯი-ვი-ესის“ ღვინით აივსება და... „ზაფხულში აქ დიდი ამბავი იქნება... ბევრს არ ვსვამ, მაგრამ ჩემიანებთან ქეიფი მიყვარს. როცა შენ გვერდით, გიტარა, ნიაზა და ზუმბაა, როგორ არ დალევ?!“ — თქვა გიორგიმ.*

*საგურამოს მოსახლეობას გაუმართლა და მალე უფასო კონცერტების ხილვის თუ არა, მოსმენის საშუალება მაინც უეჭველად ექნება... ეზოში მუშები სცენას აწყობდნენ. იქვე საუნა და საცურაო აუზია, მაგრამ მთავარი, როგორც თავად „უცნობმა“ აღნიშნა — სივრცეა, რომლის ნაკლებობაც მის ეზოში ნამდვილად არ იგრძნობა. ეზოში ასევე ორი უზარმაზარი ქვა დევს: „ეს ქვები ყაზბეგიდან ჩამოვატანინე, 18-ტონიანი გრანიტია. ქვა მაგარი რამეა — ცუდი ემოციები მასზე გადადის. ეს ქვები აქ იდება და იდება, საუკუნეების მანძილზე, არავინაა აქედან ამის წამღები...“*

*მეორე სართულის აივანზე ტელესკოპი დავინახე. როდესაც ვკითხე — ვარსკვლავებს აკვირდები-მეთქი? — ვარსკვლავებსაც ვუყურებ და აქედან მცხეთის სახლში ეკა კახიანსაც ვხედავ ხოლმეო, — მიპასუხა.*

*ამ აივანზე იწერება „უცნობის“ ლექსებიც: ერთ-ერთმა დონ კიხოტი გამახსენა:*

მინდა, რომ მახლდეს დიდი ამალა
და ამ ამალით შემოვიარო მთელი
სამყარო
სიყვეთე ვთესო, ჭირი ავყარო,
ამოვასუნთქო ცოცხა სამყარო.

■

**როგორი მარტო ვარ, არავინ იცის,
უცნობის ცნობა მეც კი არ ვიცი.
ვიცი, რომ მხოლოდ დავდევი ფიცი,
ვპოვე სიწმინდე და გადავიცვი.
(გიორგი მეულლესთან, ნინოსთან ერთად)**

# ერევანში ახალგაზრდა ქალის დანანევრებული გვამი იპოვეს

## გამოძიების მასალებით, სადისტურ მკვლელობაში ქართველი ცოლ-ქმარია გარეული

**მკვლელობა, რომელიც სომხეთის დედაქალაქში 2003 წლის თებერვალში მოხდა, პირველ ხანებში ძალზე გახმაურებული და ბურუსით მოცული იყო. უკვალოდ გაუჩინარებული ახალგაზრდა ქალი — ორი შვილის დედა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, სასტიკი დანაშაულის მსხვერპლი გახდა. მისი გვამი მკვლელობიდან 10 დღის შემდეგ ერევანთან ახლოს, მდინარეში იპოვეს. ჩანთაში მოთავსებული, დანაწევრებული სხეული მოწმობდა, რომ დანაშაული სადიზმის ფარგლებსაც კი გასცდა. ქალის თავი ვერსად იპოვეს. ბოლოს, გვამის იდენტიფიკაცია მკერდში აღმოჩენილი სილიკონის პროთეზების ნომრების საფუძველზე მოხდა.**

### *მეგი ცანავა*

ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ ეს შემზარავი მკვლელობა თბილისში გაიხსნა. 2003 წლის 23 თებერვალს, თბილისის შს მთავარ სამმართველოში 22 წლის მარიამ მნაცაკანიანი გამოცხადდა და სამართალდამცავებს უთხრა, რომ ზუსტად ერთი კვირის წინ, ერევანში კრასნოდარელი ლიუდმილა ლიაპკუსოვა მოკლეს. გოგონას თქმით, მოკლულის გვამი მან თავად გადააგდო მდინარეში. მნაცაკანიანმა დანაშაულში მონაწილე სამი ქართველი დაასახელა: საგარეჯოელი მიხეილ ბერძენიშვილი და თბილისელი ცოლ-ქმარი — ბესარიონ და ციცო საბაშვილები.

თბილისის შს სამმართველოს თანამშრომელთა მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ერევნის პოლიციამ არარატის ოლქის სოფელ რანჩპარის მახლობლად, მდინარე არაქსის ე.წ. შავი წყლის არხში მოკლულის სხეული მართლაც იპოვა. გვამის მდგომარეობა ზუსტად დაემთხვა მნაცაკანიანის ახსნა-განმარტებაში მოყვანილ ფაქტებს. ამის შემდეგ, მნაცაკანიანი ეჭვმიტანილის სახით დაჰკითხეს. დაადგინეს მის მიერ დასახელებულ პირთა ვინაობაც. ოფიციალური მონაცემებით, მიხეილ ბერძენიშვილი სხვადასხვა დანაშაულისთვის, წარსულში სამჯერაა ნასამართლევი. პოლიციამ მისი ადგილსამყოფელი ვერ დაადგინა, რის გამოც ბერძენიშვილზე ძებნა გამოცხადდა. იგი დღემდე იმალება. თბილისში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მცხოვრები, 1963 წელს დაბადებული ბესარიონ საბაშვილი ადრე ოთხჯერ იყო ნასამართლევი და საშიშ რეციდივისტადაა ცნობილი. მას, ისევე, როგორც მის მეუღლეს — 1967 წელს დაბადებულ ციცო საბაშვილს, პოლიციის თანამშრომლის — ძნელაძის განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობაშიც ედება ბრალი. ციცო საბაშვილი წარსულში ნასამართლევი არაა.

შს სამმართველოში მარიამ მნაცაკანიანის გამოცხადებიდან მესამე დღეს — 26 თებერვალს სამართალდამცავებმა საბაშვილების ბინა გაჩხრიკეს. საძინებლიდან ამოიღეს საბრძოლო მასალა, ხელყუმბარა „ფ-1“ დეტონატორით. პირადი ჩხრეკისას კი, ბესარიონ საბაშვილს შარვლის მარჯვენა ჯიბეში 0,247 გრამი ჰეროინი უპოვეს. იგი მაშინვე დააკავეს. მნაცაკანიანის თქმით, ბესარიონ საბაშვილი ლიუდმილა ლიაპკუსოვას მკვლელობის მთავარი ინიციატორი იყო. მისივე ჩვენების თანახმად, დანაშაული ლიაპკუსოვას კუთვნილი 50.000 დოლარის გამო მოხდა.

სისხლის სამართლის საქმე თავად მნაცაკანიანის წინააღმდეგაც აღიძრა, ყაჩაღობისა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვის მუხლებით. იმის გამო, რომ მას ჰყავს მცირეწლოვანი შვილი, რომელსაც მარტო ზრდის, სასამართლო დათმობაზე წავიდა და აღმკვეთი ღონისძიების სახით შინაპატიმრობა შეუფარდა. საქმის გამოძიების შემდეგ, პროკურატურამ ოთხივე პირი ბრალდებულად ცნო.

პროკურატურის მასალების თანახმად, 2003 წლის 5 თებერვალს, კრასნოდარის მკვიდრი ლიუდმილა ლიაპკუსოვა თავის მცირეწლოვან შვილებთან ერთად დროებით საცხოვრებლად ერევანში გადავიდა. ხაჩატურიანის ქუჩაზე მდებარე კორპუსის ერთ-ერთი ბინა მან მარიამ მნაცაკანიანთან ერთად დაიქირავა.

**ომარ მდივნიშვილი,** მნაცაკანიანის ადვოკატი:

*„ლიაპკუსოვა მნაცაკანიანის მამიდის ნაცნობი გახლდათ. სწორედ მისი მეშვეობით გაიცნეს ერთმანეთი. თავად მნაცაკანიანი საქართველოს მოქალაქეა, თბილისელი, თუმცა, როგორც ამბობს, იმ პერიოდში გადაწყვიტა, მეუღლესთან და შვილთან ერთად საცხოვრებლად ერევანში გადასულიყო, იმ იმედით, რომ სომეხი ახლობლები მათ სამუშაოს შოვნაში დაეხმარებოდნენ“.*

ერთად ცხოვრების პერიოდში, მარიამ მნაცაკანიანმა შეიტყო, რომ ლიუდმილა ლიაპკუსოვას სოლიდური თანხა — 50.000 დოლარი ჰქონდა თან. ამ თანხის თაობაზე მან, 2003 წლის 15 თებერვალს, თბილისში, ციცო საბაშვილის ოჯახში მოჰყვა. საუბარი ბესარიონ საბაშვილმაც მოისმინა.

**ომარ მდივნიშვილი:**

*„ციცო საბაშვილი და მნაცაკანიანის მამიდა ერთად მუშაობდნენ და მეგობრობდნენ. სწორედ მამიდამისთან ოფისში შეხვდა მნაცაკანიანი პირველად ციცო საბაშვილს. რაც შეეხება ამ უკანასკნელის მეუღლეს, შემთხვევამდე ის სულ ორჯერ ჰყავდა ნანახი. 2003 წლის თებერვალში, მნაცაკანიანი ერევნიდან თბილისში, თავის სახლში ჩავიდა. ოჯახში დახვდა მეუღლე და მამიდა. მანამდე მამიდამისისთვის ლიაპკუსოვას უთქვამს — შენს ძმისშვილს ერევანში ვიღაცა მეგობარი მამაკაცი აკ-*

*ითხავსო. მამიდაც შეეკითხა მნაცაკანიანს, თუ ვინ იყო იგი. ეს საუბარი მეორე ოთახში მყოფმა, მნაცაკანიანის მეუღლემ გაიგონა და ცოლს ჩხუბი დაუწყო. სპოლოოდ, ეჭვიანობის ნიადაგზე, ოჯახი დაინგრა.*

*მნაცაკანიანი ქუჩაში ტირილ-ტირილით მიდიოდა, როცა შემთხვევით ციცო საბაშვილის დედა შეხვდა. რა გატირებსო? – ჰკითხა. მანაც უთხრა, რაშიც იყო საქმე. იმ ქალმა შესთავაზა – ნუ ტირი, დამშვიდდი, წამოდი, ციცოსთან სახლში ავიდეთ და იქ მომიყევი ყველაფერი დაწვრილებითო. სწორედ მაშინ შედგა ის საუბარი, რომელიც ბესარიონ საბაშვილმა მოისმინა და რაც საშინელი დანაშაულის საფუძველი გახდა.*

*მარიამ მნაცაკანიანის მონათხრობიდან იკვეთება, რომ ციცო საბაშვილი ლიუდმილა ლიაპკუსოვას ადრეც იცნობდა. ცალ-ცალკე, ორივე მათგანი მეგობრობდა მნაცაკანიანის მამიდასთან და აქედან გამომდინარე, საბაშვილისა და ლიაპკუსოვას ნაცნობობაც ლოგიკურია.*

*საბაშვილების ოჯახში ყოფნისას, მნაცაკანიანი ქმართან უთანხმოების ამბავს ჰყვებოდა და ყველაფერში ლიაპკუსოვას ადანაშაულებდა. ამ გვარის გაგონებაზე, ციცომ იკითხა – ვინ ლიაპკუსოვა, ლიუდაო? მნაცაკანიანიც დაეთანხმა და მოჰყვა, რომ ლიუდას მატერიალურად არ უჭირდა, ახლო მომავალში არაბეთის გაერთიანებულ საამიროების დედაქალაქ დუბაიში აპირებდა გამგზავრებას, სადაც საკუთარი საპარიკმახეროები ჰქონდა, იახტაც ჰყავდა, ერევანში, ნაქირავებ ბინაში კი სოლიდური თანხაც ედო. ბესარიონ საბაშვილმა ეს რომ მოისმინა, ლიაპკუსოვას დაყაჩღების სურვილიც მაშინ გაუჩნდა, თუმცა მნაცაკანიანს თავისი განზრახვა არ გაანდო. მხოლოდ ის თქვა – რა ბედი გვქონია, სწორედ ერევანში ვაპირებთ ჩვენც გამგზავრებას, შენც ჩვენთან ერთად წამოდი, ტაქსის ფულს ჩემი მეგობარი გადაიხდის, რომელიც ერევანში უნდა წამყვესო.“*

პროკურატურა მოვლენებს სხვაგვარად გადმოგვცემს: მნაცაკანიანის ინფორმაციით დაინტერესებულმა ბესარიონ საბაშვილმა ლიაპკუსოვას დაყაჩღება გადაწყვიტა და ამის შესახებ მნაცაკანიანს მაშინვე უთხრა, რადგან ჩანაფიქრის განსახორციელებლად მისი დახმარება სჭირდებოდა. მოგვიანებით, საქმეში ჩართო ახლო მეგობარი – მიხეილ ბერძენიშვილიც. მნაცაკანიანის დათანხმება მას შემდეგ შეძლო, როცა გასატაცებელი თანხიდან 15.000 დოლარის გადახდას დაჰპირდა. თანაც დააიმედა – თუ მის ფულს დავეპატრონებით, საშიში არაფერი იქნება, რადგან ლიაპკუსოვას ეს თანხა „შავი ბიზნესით“ აქვს ნაშოვნი და პოლიციაში არ განაცხადებსო.

იმავე დღეს, გვიან საღამოს, ცოლ-ქმარი საბაშვილები და მნაცაკანიანი, ბერძენიშვილთან მოსალაპარაკებლად საგარეჯოში ჩავიდნენ, ისიც გარკვეული წილის საფასურად დაითანხმეს და ოთხივენი მაშინვე, თბილისში დაბრუნდნენ. იმავე ღამით, ორთაჭალის ავტოსადგურიდან, გამოძიებით დაუდგენელი ტაქსით გაემგზავრნენ ერევანში.

იქ 2003 წლის 16 თებერვალს, გამთენიისას ჩავიდნენ. დაახლოებით დილის 9 საათისთვის, მიადგნენ ლიაპკუსოვას საცხოვრებელ კორპუსს. ციცო საბაშვილი მეთვალყურედ დარჩა სახლის ეზოში, დანარჩენები კი, ბინაში ავიდნენ. ბესარიონ საბაშვილს მნაცაკანიანი უკვე გაფრთხილებული ჰყავდა – მე ბიძად გამასაღე, ბერძენიშვილი – ახლო ნათესავადო.

კაკუნზე ლიაპკუსოვამ კარი გააღო, თუმცა უცნობი მამაკაცები რომ დაინახა, უსიამოვნო გამომეტყველებით მიესალმა მათ და მნაცაკანიანს უხეშად ჰკითხა – ვინ არიანო? მას შემდეგ, რაც მნაცაკანიანმა აუხსნა – საშიში არაფერია, ბიძაჩემი და ახლო ნათესავი არიანო, – ლიაპკუსოვამ ისინი შინ შეიპატიჟა. ბინაში მათ ამ უკანასკნელის ნაცნობი, ოთხი ქალბატონი დახვდათ. ცოტა ხანში, საბაშვილმა და ბერძენიშვილმა წყალი მოითხოვეს. ლიაპკუსოვა წყლის მოსატანად სამზარეულოში გავიდა, მამაკაცები მას არ დაელოდნენ და უკან გაჰყვნენ. გეგმის თანახმად, ამ დროს, მნაცაკანიანი საძინებელში უნდა შესულიყო და ფული მოეძებნა. საბაშვილი და ბერძენიშვილი ლიაპკუსოვას შეჩერებას ცდილობდნენ, ზოგადი საუბრით ართობდნენ მას. მნაცაკანიანი ამაოდ ეძებდა ფულს საძინებელში, სადაც, სხვათა შორის, იმ დროს, ლიაპკუსოვას ორ მცირეწლოვან შვილს ეძინა. მარიამი ოთახიდან გავიდა და საბაშვილს ანიშნა – ვერაფერი ვიპოვე და ჯობს, თავი დავანებოთ ყველაფერს, აქედან წავიდეთო.

საბაშვილმა მნაცაკანიანს ბინიდან მისთვის უცხო ქალბატონების გაყვანა დაავალა და ამჯერად, მუქარის ტონით მოსთხოვა – დაბრუნდები და ფულს კარგად დაძებნიო. იმის გამო, რომ მნაცაკანიანი ფულს მაინც ვერ პოულობდა, მამაკაცებმა გადაწყვიტეს, ლიაპკუსოვაზე ძალადობის გამოყენებით მიეღწიათ მიზნისთვის. საბაშვილმა ქალს მაგრად გაარტყა ხელი სახეში. ლიაპკუსოვამ ტირილი დაიწყო. ბერძენიშვილმა ხელები გადაუგრიხა მას და ისე გაიყვანა სამზარეულოდან სასტუმრო ოთახში. თითქმის გონებამიხდილი ქალი სკამზე დასვეს, პირი და ხელ-ფეხიც სკოჩით შეუკრეს. ამის შემდეგ, გამეტებით დაუწყეს ცემა. ლიაპკუსოვამ ერთხანს გონება დაკარგა. როცა გონს მოვიდა, ბოროტმოქმედებს იმ ადგილზე მიუთითა, სადაც ფული ჰქონდა შენახული.

50.000 დოლარი აიღეს, მაგრამ ამას არ დასჯერდნენ და გადაწყვიტეს, ყაჩაღობის კვალის დასაფარავად, ქალი მოეკლათ. მისი გვამი კი დაენაწევრებინათ და მდინარეში გადაეგდოთ. როგორც

საქმის მასალებშია აღნიშნული, ბოროტმოქმედებს წინასწარი შეთანხმება ამის თაობაზე არ ჰქონიათ.

მკვლელობის მიზნით, ბესარიონ საბაშვილმა წვეტიანი, რკინის ხელკეტი აიღო და რამდენჯერმე თავში ჩაარტყა ლიაპკუსოვას. ქალი ადგილზევე გარდაიცვალა. ყოველივე ეს საბაშვილმა ლიაპკუსოვას შვილების თვალწინ ჩაიდინა.

**მარიამ მნაცაკანიანის** ჩვენებიდან:

*„ხმაურზე ბავშვებს გაელვიძათ, ტირილი ატეხეს. ბესო ბავშვების ტირილზე გაღიზიანდა, იძახდა – მომაშორეთ ესენი აქედანო! – დანა ყელზე მომაბჯინა და მითხრა – ფული დაძებნეო. ხელზე ლითონის კასტეტი ჰქონდა წამოცმული. ჯერ მე დამარტყა, შემდეგ – ატირებულ პატარა ილიას ჩაავლო ხელი და „ზალაში“ გაათრია, მისი მოკვლით იმუქრებოდა. „ზალაში“ შევიხედე და დავინახე, რომ იატაკზე ხელფეხშეკრული ლიაპკუსოვა ეგდო... მათ ამგვარ ქმედებაზე ყვირილი დავიწყე. ბერძენიშვილი მირტყამდა და მეუბნებოდა – თუ არ გაჩერდები, ბესო ბავშვს მოკლავსო!..*

*უბედურება რომ ამეშორებინა თავიდან, გადავწყვიტე, როგორმე ფული დამეძებნა. ბოლოს, საძინებელში, რადიატორის უკან კონვერტის კუთხე შევნიშნე...“*

მნაცაკანიანის თქმით, ფულის ადგილსამყოფლის შესახებ მან თავად უთხრა ბოროტმოქმედებს.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, ციცო საბაშვილმა და მარიამ მნაცაკანიანმა ბავშვები ქალაქში გაიყვანეს და ხალხმრავალ ადგილას დატოვეს – იქ, სადაც მათი ვარაუდით, ბავშვები ხალხის ყურადღების არეში მოექცეოდნენ. ლიაპკუსოვას შვილები საბოლოოდ, ბავშვთა სახლში მოხვდნენ.

ბესარიონ საბაშვილმა და მიხეილ ბერძენიშვილმა ხერხით დაანაწევრეს ლიაპკუსოვას გვამი. ტანს თავი და ქვედა კიდურები მოახერხეს, ჩააწყვეს ცელოფანის ტომრებში და სხეულის ნაწილები ორ დიდ ჩანთაში გადაანაწილეს. როცა ციცო საბაშვილი და მნაცაკანიანი დაბრუნდნენ, ერთად მოწმინდეს იატაკზე დაღვრილი სისხლი. კვალის დაფარვის მიზნით, ცელოფანის პარკში ჩაყარეს ლიაპკუსოვას ტანსაცმელიც, რათა შემდგომში გაენადგურებინათ.

**მარიამ მნაცაკანიანის** ჩვენებიდან:

*„...ბესო ციცოს ეუბნებოდა – ამ „ტრუპს“ აქ ვერ დავტოვებ, ეს ჩამიშვებსო – ჩემზე უთითებდა. ციცო ცდილობდა, შეეჩერებინა – არ დაგასმენს, მეორე „ტრუპი“ რად გინდაო?! მაშინ ბესო მოკლულ ლიაპკუსოვასთან მივიდა, სამედიცინო ხელთათმანები გაიკეთა და თავის მოკვეთა დაიწყო. აშკარად ეტყობოდა, რომ ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, რადგან რას აკეთებდა, ვერ აკონტროლებდა. მე თვალები დავხუჭე. ამის დანახვაზე, ბესომ ბერძენიშვილს უთხრა – თვალები გაახელინე, უყურო. ბერძენიშვილმა თმაში ჩამავლო ხელი და დანის მუქარით მაიძულებდა, ყველაფრისთვის მეყურებინა, მაგრამ თვითონაც ნერვიულობდა, რადგან ვგრძნობდი, რომ ხელები უკანკალებდა. ბესომ მოჭრილი თავი თმით აათრია და გვერდზე დაფენილ ხალიჩაზე დადო. გული მიმდიოდა, მაგრამ ბერძენიშვილი მირტყამდა, რომ გონს მოვსულიყავი. გვამის დახერხვაში ბესოს ისიც დაეხმარა. ვიგრძენი, რომ ნერვიულობისგან ყელი გამისივდა“.*

ყოველივე ამის შემდეგ, საბაშვილებმა და ბერძენიშვილმა მნაცაკანიანი ბინაში მარტო დატოვეს, წაღებული თანხიდან მას დაპირებული 15.000 დოლარი არ მისცეს. პირიქით, დაემუქრნენ, რომ მოუკლავდნენ ერთადერთ მცირეწლოვან შვილს, თუკი ის წყალში არ გადაყრიდა გვამის ნაწილებსა და ტანსაცმელს, ხოლო მომხდარის შესახებ არსად არაფერს იტყოდა. მნაცაკანიანმა ყველაფერი ისე შეასრულა, როგორც მოსთხოვეს.

**მარიამ მნაცაკანიანის** ჩვენებიდან:

*„ამის გაკეთებას მარტო ვერ შევძლებდი და დასახმარებლად მეგობარ ბიჭს მივმართე. მას და მის ძმაკაცს ვუთხარი, რომ უსარგებლო ნივთები მქონდა გადასაყრელი... ბინაში მათი აყვანა არ მინდოდა, მაგრამ ჩანთები ძალიან მძიმე იყო და იძულებული გავხდი, ბიჭებისთვის დამეძახა. ჩანთები ავტომანქანის საბარგულში მოვათავსეთ. გზაში ჩემმა მეგობარმა მკითხა – კი, მაგრამ რა ნივთებიაო? მაშინ ტირილი ამივარდა, ვეღარ მოვითმინე და ყველაფერი მოვყევი, რაც ბინაში მოხდა. შეშფოთდნენ, მაგრამ დახმარებაზე უარი ვეღარ მითხრეს... ჩანთები არხიდან გადავყარეთ, ტანსაცმლიანი პარკი კი, გზიდან მოშორებით დავწვით...“*

მნაცაკანიანმა სამართალდამცავებს აღნიშნული პირების გვარებიც დაუსახელა. ოფიციალური ინფორმაციით, დანაშაულის დაფარვისათვის პასუხისგებაში ისინიც მიეცნენ.

**ომარ მლივნიშვილი:**

*„მნაცაკანიანის ყველა მოქმედება შიშმა განაპირობა. ბესომ საშინლად დააშინა იგი. ამიტომაც ვერ გაბედა ერევნის პოლიციაში მისვლა. დანაშაულის დაფარვას მნაცაკანიანი აღიარებს, მაგრამ საბრალდებო დასკვნაში ბევრი ისეთი ქმედებაა დაფიქსირებული, რაც მას რეალურად არ ჩაუდენია. მაგალითად, ლიაპკუსოვას ბავშვები მხოლოდ ციცო საბაშვილმა გაიყვანა ქალაქში, მნაცაკანიანს ამაში მონაწილეობა არ მიუღია. იმავე დღიდან იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ როგორ ჩამოსულიყო თბილისში. მისი პასპორტი ციცო საბაშვილს ჰქონდა და ამის გამო, რამდენიმე დღით ერევანში დარჩა. ტაქსის მძღოლები და მატარებლის გამცილებლები უარს ეუბნებოდნენ უპასპორტოდ წაყვანაზე. ბოლოს, ერთ-ერთი გამცილებელი დაითანხმა და ასე ჩამოაღწია თბილისში 2003 წლის 23 თებერვალს. პირდაპირ თბილისის შს სამმართველოში მივიდა და მომხდარის შესახებ განაცხადა.*

დაკავებულმა ცოლ-ქმარმა – საბაშვილებმა, მათ მიერ ლიაპკუსოვას დაყაჩაღება და მკვლელობა კატეგორიულად უარყვეს. გამოძიების არც ერთ ეტაპზე არ დაადასტურეს მარიამ მნაცაკანიანის ჩვენება. მათი ინტერესების დამცველი ადვოკატი ირაკლი ჩიკვაიძე აცხადებს, რომ ცოლ-ქმარი პროკურატურის უსამართლობის მსხვერპლი გახდა. მისი თქმით, ბესარიონ საბაშვილს ქართველ სამართალდამცავთა შორის ბევრი მტერი ჰყავს და ისინი მის „ჩაძირვას“ ცდილობდნენ, საამისოდ კი, მარიამ მნაცაკანიანი გამოიყენეს. ადვოკატი ჩიკვაიძე აღნიშნავს, რომ მნაცაკანიანსა და პოლიციას შორის გარიგებას ჰქონდა ადგილი.


ნდობის ტელეფონი
ჯონსულტასია
ინტიმი 18 წლიდან
☎822 009 005
„ბავთი“, „ჯეოსელი“,
„ჟეგაკომი“ – 0,70 ლ.
თბილისი – 0,45 ლ.
რაიონები – 0,65 ლ.

**ირაკლი ჩიკვაიძე,** საბაშვილების ადვოკატი:

*„მამხილებელი ჩვენების სანაცვლოდ, მნაცაკანიანი ერთი დღეც არ მჯდარა ციხეში, მიუხედავად იმისა, რომ საბრალდებო დასკვნაში მოყვანილი ფაქტების თანახმად, იგი დანაშაულის ერთ-ერთ ორგანიზატორად გვევლინება. წინასწარი გამოძიება აბსოლუტურად უკანონოდაა წარმოებული. სერიოზული პროცესუალური დარღვევებია დაშვებული, რის შედეგადაც ციცო საბაშვილი ორთვე-ნახევრის მანძილზე, უკანონოდ ჰყავდათ დაპატიმრებული.“*

ადვოკატ ჩიკვაიძის ვერსიით, ერევანში მომხდარი მკვლელობა ლიაპკუსოვასა და მნაცაკანიანის მეგობარი ბიჭების ჩადენილია. ციცო საბაშვილის ჩვენებით, საცხოვრებელ კორპუსთან მან ორი საეჭვო მამაკაცი შენიშნა.

**ციცო საბაშვილის** ჩვენებიდან:

*„2003 წლის 15 თებერვალს მარიამ მნაცაკანიანი ჩვენთან ოჯახში მოვიდა, ნასვამი იყო... ჩემს ქმარს ეხვეწებოდა – ოჯახი დამენგრა და როგორმე მეუღლესთან შემარიგეო. ბესო გარიკას* (მნაცაკანიანის ქმარს. – ავტ.) *კარგად იცნობდა. ბესოს უთხრა – ჩემს ქმარს 18.000 დოლარი აქვს და შენთვის 2.000-ს ვასესხებინებ, თუკი ერევანში წამომყვები და პრობლემას მომაგვარებინებო. თანაც, იმ ფულით მაღაზიისთვის პროდუქტს იყიდი, საქონელს იაფად გაშოვნინებო... თან წავიყვანეთ საგარეჯოელი მიხეილ ბერძენიშვილი, რომელიც პროდუქტების ყიდვასა და ტვირთის გადაზიდვაში უნდა დაგვხმარებოდა...*

*ერევანში დილის 9 საათისთვის ჩავედით. მნაცაკანიანმა ჯერ ერთ სახლში მიგვიყვანა, შემდეგ – მეორეში. გარიკა ვერსად იპოვა, ბოლოს თქვა – თბილისში წასულაო... მიშასა და ჩემს ქმარს სთხოვა, ბინაში ამომყევითო, მე კი მანქანაში დამტოვა. 10-15 წუთში ბესოც და მიშაც ჩამოვიდნენ. ჩემმა ქმარმა მითხრა – ამას აქ თავისი საქმეების გასარჩევად ჩამოვუყვანივართო... ამის შემდეგ, რკინიგზის სადგურზე წავედით, იქიდან კი, თბილისის ნომრების მქონე ტაქსიში გადავსხედით და თბილისში დავბრუნდით“.*

ციცო საბაშვილი თავის ჩვენებაში ადასტურებს, რომ საზღვარი მანაც და მისმა ქმარმაც სხვისი (როგორც თავად აღნიშნავს, ახლობლისა და მეზობლის) პასპორტებით გადაკვეთეს. მისივე თქმით, ერევნიდან გამგზავრებისას მათ მნაცაკანიანი არ უნახავთ: *„მინდოდა მისი ნახვა, რადგან, მისთვის პასპორტი მქონდა დასაბრუნებელი, ამიტომაც ბინაში დავბრუნდი, კარზე დავაკაკუნე, კარი არავინ გამიღო, იქიდან ბავშვების ტირილის ხმა ისმოდა“*, – წერს ციცო საბაშვილი. რაც შეეხება მის ქმარს, მან სამართალდამცავებს ჩვენება მხოლოდ ერთხელ მისცა. ბესარიონ საბაშვილმა არც ერთ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნო. ადვოკატ ჩიკვაიძის თქმით, ცოლ-ქმარზე პოლიციისგან პროკურატურის მხრიდან ზეწოლას, ფიზიკურ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია. *„წამებამდე საქმე არ მისულა, რადგან ადვოკატები გამოძიებაში დროულად ჩავერთეთ და ამის უფლება არავის მივეცით“*, – აცხადებს ირაკლი ჩიკვაიძე.

მნაცაკანიანის ადვოკატი – ომარ მდივნიშვილი კატეგორიულად უარყოფს მისი დაცვის ქვეშ მყოფსა და პოლიციას შორის მოლაპარაკებას. მისი თქმით, მნაცაკანიანს შინაპატიმრობა ჰქონდა მისჯილი, ვადა უკვე ამოიწურა და ამჟამად ის სრულიად კანონიერადაა თავისუფალი.

**ომარ მდივნიშვილი:**

*„ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი რომ სიმართლეს ამბობს, ეს საქმეში არსებული არაერთი მტკიცებულებით დასტურდება. დაკითხულები არიან მოწმეები, რომლებიც ბევრ მნიშვნელოვან ფაქტს ადასტურებენ. ასევე დადგენილია, რომ საბაშვილებმა უკანონოდ გადაკვეთეს სომხეთის საზღვარი სწორედ მკვლელობის წინაღამეს.“*

აღნიშნული დანაშაულის დეტალებს ამჟამად საქართველოს უზენაესი სასამართლო განიხილავს. განსასჯელებს სასამართლო კოლეგიისთვის ჯერ ჩვენებები არ მიუციათ. თუმცა საბაშვილებმა უკვე განაცხადეს, რომ თავს არც ახლა ცნობენ დამნაშავედ. მათ გვერდით, განსასჯელის სკამზე ზის 1960 წელს დაბადებული ნოდარ ბაზერაშვილიც. იგი წარსულში სამჯერ გახლდათ ნასამართლევი. ამჟამად კი, ცოლ-ქმარ საბაშვილებთან ერთად, პოლიციელის მკვლელობაშია ბრალდებული. ერევნის ეპიზოდის გარდა, საბაშვილებს 2002 წლის ნოემბერში, თბილისში მომხდარი დანაშაულისთვისაც მოუწევთ სასამართლოსთვის პასუხის გაცემა.

პროკურატურის ინფორმაციით, 2002 წლის 13 ნოემბერს, საბაშვილები და მათი ახლო ნათესავი ბაზერაშვილი ვინმე ზურაბ ნეფარიძის ოჯახში მივიდნენ, ვალთან დაკავშირებული საკითხის გასარკვევად. იქ ოჯახის წევრებთან შელაპარაკება მოუხდათ, რის შედეგადაც ნეფარიძეებმა პოლიცია გამოიძახეს. შემთხვევის ადგილას გამოცხადებულმა სამართალდამცავებმა საბაშვილებს, ისევე, როგორც ნეფარიძეებს, მათთან ერთად განყოფილებაში წასვლა შესთავაზეს. საბაშვილები, ბაზერაშვილთან და პოლიციელებთან ერთად ავტომანქანაში ჩასხდნენ, რომელსაც ბესარიონ საბაშვილი მართავდა და პოლიციის განყოფილებისკენ დაიძრნენ. გზაში საბაშვილებმა პოლიციელების თავიდან მოშორება გადაწყვიტეს. ერთ-ერთი პოლიციელი – ძნელაძე მათ დიდი სიჩქარით მოძრავი ავტომანქანიდან გადაგდეს. ამის შედეგად, ძნელაძემ სიცოცხლისთვის საშიში დაზიანებები მიიღო, კერძოდ – ქალა-ტვინის ბლაგვი ტრავმა, სისხლჩაქცევა ქალის ღრუსა და თავის ტვინის რბილ გარსებში. რაც შეეხება მეორე პოლიციელს – ლეიტენანტ ბზიშვილს, საბრალდებო დასკვნის თანახმად, ბოროტმოქმედებმა ავტომანქანიდან მისი გადაგდებაც მოახერხეს, თუმცა ბზიშვილი სიკვდილს გადაურჩა.

ეჭვმიტანილებმა იმავე ავტომანქანით სცადეს მიმალვა, თუმცა იმავე ღამით, ისინი რუსთავის პოლიციამ დააკავა. ციცო საბაშვილი მალევე გაათავისუფლეს, პროკურატურას მისთვის ბრალი არ წაუყენებია. რაც შეეხება მის მეუღლესა და ბაზერაშვილს, სამართალდამცავებმა მათ მხოლოდ პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევაში დასდეს ბრალი. როგორც ამბობენ, ძნელაძის მკვლელობაში ბრალდებისთვის იმ დროს გამოძიებას საკმარისი მტკიცებულება არ გააჩნდა, რადგან გამოძიება მხოლოდ პოლიციელ ბზიშვილის ჩვენებას ერყნობოდა. სამთვიანი წინასწარი პატიმრობის ვადის ამოწურვის შემდეგ, ციხიდან ბესარიონ საბაშვილიც გაათავისუფლეს, რადგან საქმის მასალები მისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის საფუძველს იძლეოდა. ბაზერაშვილს კი პატიმრობის ვადა გაუგრძელეს. ამჟამად პროკურორი აცხადებს, რომ გარკვეული დროის შემდეგ გამოძიებამ მტკიცებულებები მოიპოვა და შედეგად საბაშვილებსა და ბაზერაშვილს განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის მუხლი წაუყენა.

■

მარი ჯაფარიძე

# „ბესო, მართლა თოჯინასავით ვოვო ვარ“

***„გზის“ წინა ნომრის „სასიძო“, ბესო თედიაშვილი** გახლდათ. თვითონაც დაუფარავად გვიამბო თავისი თავგადასავლების შესახებ, მაგრამ რაც დაფარა, ისიც გამოუცავნდა — ერთ-ერთმა მისმა ძველმა ნაცნობმა აი, რა მიამბო:*

„ორი წლის წინ, დასავლეთისკენ მივემგზავრებოდი მეგობრებთან ერთად. ძალზე უკაცრიელ ადგილზე სამარშრუტო ტაქსი გაფუჭდა და გზაში დავრჩით. გადავწყვიტეთ, გამვლელი მანქანა გაგვეჩერებინა და გავყოლოდით. სამი გოგონა ვიყავით და ვერც ერთმა მანქანამ ვერ წაგვიყვანა — ამდენი ადგილი არც ერთს არ აღმოაჩნდა. ბოლოს, ჩვენ წინ „მერსედესმა“ დაამუხრუჭა. ორი მამაკაცი იჯდა. ერთ-ერთი მათგანი, თქვენი „სასიძო“ გახლდათ. ადგილზე მიგვიყვანეს, ტელეფონის ნომრები გავცვალეთ და თბილისში დაბრუნებულებმა ურთიერთობა განვაგრძეთ. ბესომ ჩემს მეგობარ გოგოს დაადგა თვალი. ყველა ვფიქრობდით, რომ მათი ურთიერთობა კარგად აეწყო, მაგრამ სულ სამჯერ თუ ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, შემდეგ, ბესო დაიკარგა. ჩემი მეგობარი კი, დღე და ღამე ტიროდა. დღემდე არ ვიცი, რა მოხდა მათ შორის, მაგრამ ის ვიცი, რომ ჩემს მეგობარს ბესო დღემდე უყვარს. მარი, თუ ბესო მისი ვინაობით დაინტერესდება, ჟურნალის საშუალებით შემატყობინე და დაგიკავშირდებით. პატივისცემით, ნონა“.

*ახლა კი, დანარჩენ გამოხმაურებებს გადავხედოთ:*

„ბესო, როგორც ჩანს, მაგარი მექალთანე იქნები. სიამოვნებით გაგიცნობ. ბარბი“.

„ნეტავ, ბევრი ტეკილა რომ დავლიო, მეც მწვანე თვალები მექნება? ისე, ბესო, კარგი ტიპი ხარ, მაგრამ ბარბივით გოგო ალბათ არ შეგფერის — შენ უფრო ტანსრული, ვარდივით საცოლე მოგიხდება.“

„ბესო, მაგხელა კაცს ბარბივით გოგო ხელებში დაგეკარგება ან საწოლში შემოგეჭყლიტება და მერე რა უნდა ქნა? მართალია, თაგვი ზვინის ქვეშ არ იჭყლიტება, მაგრამ... სიამოვნებით გაგიცნობდი. ლამაზი და კოხტა გოგო ვარ. თითქოს სახით დედაშენს ვგავარ. დამირეკე და არ ინანებ“.

„საინტერესო ადამიანი ჩანს ჩვენი „სასიძო“. ყოველმხრივ შემკული და ვაჟკაცური. ასეთ კაცებს უზომო პატივს ვცემ. ნესტანი“.

„ბესო, იცი, რა მომეწონა? ქალებთან დაკავშირებულ ამბებს რომ ჰყვები და ამბობ: ისე მოვყვები, რომ ვერ ამოიცნონ, ვისზე ვსაუბრობო. როდესაც მამაკაცს საიდუმლოს შენახვა შეუძლია, ის საიმედო დასაყრდენია“.

„ბესო, მინდა, ანეკდოტი მოგიყვე: კაცი საყვარელთან იყო და ქმარმა მოუსწრო. ქალმა საყვარელს დანები და სალესი შეაჩეჩა და მლესავად გაასაღა. შემდეგ კაცი შინ წავიდა, თავისი დანები შეამოწმა და გაიფიქრა: საინტერესოა, ჩემს დანებს ვინ ლესავსო?.. მოკლედ, შენც ასე მოგსვლია. ერთგულ მეუღლეს გისურვებ, ჩემო კარგო“.

„ასეთი კაცის მოტყუება ძალზე ძნელია. ისეთი გამოცდილება აქვს მიღებული, რომ ვერაფერს გამოაპარებ. ამიტომ, მისი მეუღლე ფრთხილად უნდა იყოს და „ცერად“ არავის გახედოს, თორემ, მტერს მოხვდა მისი მუშტი!.. ვისაც არ ეშინია, გამოეხმაუროს. მე — პას“.

„გინდა, აგიხსნა, ვინ ხარ? რა ხარ? მზე ხარ, მთვარე ხარ, ზეცა ხარ, ზღვა ხარ, არა, შენ ჩემთვის მსოფლიოში პირველი საოცრება ხარ. სოფო. ბესო, ველი შენს ზარს“.

„ბესო, მთელი ჩემი ახალგაზრდობა მამაშენს ვეტრფოდი. ძალიან მიყვარს ლევანი. არ იფიქრო, მას ვიცნობდე. სულ რამდენჯერმე მყავს ნანახი, მაგრამ მის შესახებ ძალზე ბევრი მსმენია. ახლა ჩემმა ძმისშვილმა წაიკითხა შენი ინტერვიუ და გადაირია. მის მაგივრად მე ვგზავნი „მესიჯს“. იქნებ, მას მაინც გაუმართლოს და თედიაშვილების რძალი გახდეს?!. ნანული დეიდა“.

„ბესო, მართლა თოჯინასავით გოგო ვარ. დიდი, ცისფერი თვალები მაქვს. საშუალო სიმაღლის ვარ და თანაც, შენნაირი მამაკაცები მომწონს. რომ მნახო, აუცილებლად მოგეწონები“.

„დედაჩემი, ქალბატონი ნანას პაციენტი იყო და რამდენჯერმე შევხვდი ბესოს დედას. ძალზე სათნო, გულისხმიერი ადამიანი გახლავთ. რაც მთავარია, თავისი საქმის მცოდნე და პროფესიონალია. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ქალბატონ ნანას. ის, როგორც ჩანს, კარგი დედაცაა“.

„ბესო, ამერიკაში ნაცხოვრები კაცი საქართველოში ეძებ საცოლეს? იქ რატომ არ მოძებნე? თუ აქ ჩამოხვედი, ალბათ მე ვიყავი შენი ბედი და იმიტომ. ვგრძნობ, რომ ჩვენ ერთმანეთისთვის ვართ დაბადებულები. როგორ მოვახერხო, რომ შეგხვდე?“

„მარი, ერთადერთი იმედი შენ ხარ, ვინც საშუალებას მომცემს, ბესოსთან დამაკავშიროს. თუ მნახავ, თვითონ მიხვდები, რომ კარგი გოგო ვარ და ბესოსთვის შესაფერისი. იქნებ, ჯერ შენ მნახო?“

„ძალზე ვიხალისეთ ბესოს ინტერვიუზე. კარგი ტიპია, მაგრამ ჩვენ ძალზე შორს ვართ თბილისიდან და ვერ ვინახულებთ. რომ დავბრუნდებით, მერე იყოს... ნინო და ლიზი, საბერძნეთიდან“.

■

მარი ჯაფარიძე

**ამ რუბრიკით, „საპატარძლოს“ ამპლუაში მოდელი სულ ორჯერ წარმოგვიდგენია მკითხველის წინაშე. მაშინ ძლივს გავუძელი მათი თაყვანისმცემლების „შემოტევას“ და სწორედ ამიტომ ვამბობდი — კარგა ხანს აღარ გავეკარები ამ პროფესიის წარმომადგენელს-მეთქი, — მაგრამ როდესაც სოფო თუთისანი ვნახე, ისე მოვიხიბლე მისით, რომ საკუთარი თავისთვის მიცემულ პირობაზე ხელი ავიღე და გადავწყვიტე, მის ბედზე მეზრუნა... სოფოს შესახებ დაწვრილებით, ინტერვიუდან შეიტყობთ. მანამდე კი, მისი ოჯახის წევრების შესახებ მცირე ინფორმაციას მოგაწვდით:**

**დედა:** ბელა მეტრეველი. ექიმი-ანესთეზიოლოგი;

**მამა:** ზაალ თუთისანი, ინჟინერი, ბიზნესმენი;

**ძმა:** ირაკლი თუთისანი, სამედიცინო უნივერსიტეტის მე-3 კურსის სტუდენტი;

**შვილი:** თეკლა დალაქიშვილი, 3 წლის.

# „კომპლექსიანი, შეიძლება ითქვას — მეტისმეტად აზიატი ვარ...“

**— საკმაოდ იშვიათი გვარი გაქვს. მისი წარმომავლობის შესახებ რას გვეტყვი?**

— მისი ისტორია არ ვიცი, წარმოშობით ლეჩხუმიდან გახლავართ. ძალზე მცირერიცხოვანი გვარია და ქართველებსაც კი უჭირთ მისი წარმოთქმა. პირველად რომ გაიგონებენ ჩემს გვარს, რამდენჯერმე მამეორებინებენ ხოლმე.

**— ზოდიაქოთი ვინ ხარ?**

— 27 მაისს ვარ დაბადებული, ზოდიაქოთი ტყუპი გახლავართ. ამ ნიშნისთვის დამახასიათებელია ბუნების გაორება. ეს მეც მახასიათებს. შესაძლოა, ერთი საათის განმავლობაში, უამრავჯერ შემეცვალოს ხასიათი, თანაც — აბსოლუტურად საპირისპირო „მიმართულებით“.

**— ვიცი, რომ ტყუპები ეჭვიანები არიან...**

— ძალიან ეჭვიანი ვარ. საშინლად მაწუხებს ეს გრძნობა... კარგი ინტუიცია მაქვს. თუ რაიმემ ჩემში ეჭვი გამოიწვია, ინტუიცია მკარნახობს, რომ ეს უსაფუძვლო არ არის.

**— შენი თვისებებიდან საუკეთესოდ რომელს მიიჩნევ?**

— ერთადერთი, რაც მიმაჩნია, რომ კარგი მაქვს, ის გახლავთ, რომ მიზანდასახული ვარ: რასაც ჩავიფიქრებ, აუცილებლად სისრულეში მოვიყვან.

**— საკუთარ თავზე ხომ არ მეჭორავები?..**

— რატომაც არა?! ზარმაცი ვარ. თუმცა, როცა საქმე მოითხოვს, სიზარმაცეს დავძლევ ხოლმე და ვაკეთებ იმას, რასაც საჭიროება მოითხოვს.

**— ჯიუტი ხარ?**

— უჰ, საშინლად ჯიუტი ვარ. სვანი არა ვარ, მაგრამ როგორც ჩანს, ჩემი გვარის სვანური დაბოლოება მაინც თავისას შვრება და ჩემს ხასიათზე აისახება. თუ რაიმე ჩავიფიქრე, ჯიუტად მივიწევ წინ მიზნის მისაღწევად და ვერავინ გადამათქმევინებს.

**— ბუტია ხარ?**

— კი, ვიბუტები ხოლმე, მაგრამ წყენა მალე მავიწყდება... ბოღმიანი ნამდვილად არა ვარ და გულში არ ვიტოვებ წყენას.

**— ხშირად ტირი?**

— ტირილი არ მიყვარს, მაგრამ მაინც ხშირად მიწევს ცრემლის ღვრა: სულ მცირე წყენაც საკმარისია, რომ თვალები ამიწყლიანდეს. ყველაფერი გულთან ახლოს მიმაქვს, განსაკუთრებით, თუ ახლობელ ადამიანს ეხება. ამიტომ თავის შეკავება მიჭირს და ვტირი...

**— საოჯახო საქმე თუ გეხერხება?**

— კი. ჩემთვის უცხო არ გახლავთ სახლის დალაგება, რეცხვა და უთოობა, მაგრამ უპირატესობას კერძების მომზადებას ვანიჭებ. მიყვარს სამზარეულოში ტრიალი და გემრიელი კერძების გაკეთება.

**— ვიცი, რომ გათხოვილი იყავი. მოგვიყევი, როგორ გათხოვდი და რატომ დასრულდა კრახით შენი ქორწინება?**

— 17 წლის გავთხოვდი. ჩემი მეუღლე გახლდათ ლექსო დალაქიშვილი. ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა. ჩვენი ქორწინება ოჯახების თანხმობით მოხდა, მაგრამ რატომღაც ერთმანეთს ვერ შევეწყვეთ. ბავშვი რომ შეგვეძინა, თეკლა დავარქვი. ვიცოდი, რომ ეს სახელი ლექსოს მოსწონდა, მაგრამ წინასწარ შეთანხმებულები არ ვიყავით. ამან ოჯახის წევრების გულისწყრომა გამოიწვია... სამშობიაროდან ბავშვიანად დედასთან წავედი. მეუღლეს თვეების მანძილზე არ მოუკითხავს შვილისთვის. ძალზე განვიცდიდი. შემდეგ გავიგე — დედამთილი ითხოვდა, ბოდიში მომეხადა მისთვის, რადგან მათ დაუკითხავად დავარქვი ბავშვს სახელი. შვილიანად მივედი ქმრის ოჯახში. დედამთილს ბოდიში მოვუხადე და დავრჩი მათთან საცხოვრებლად.

**— რატომ მოიქეცი ასე? მეუღლის ინიციატივა იყო თუ შენი?**

— ჩემი ინიციატივა გახლდათ, რადგან არ მინდოდა, ბავშვი უმამოდ გაზრდილიყო. მინდოდა, ოჯახი შემენარჩუნებინა, მაგრამ მიუხედავად ჩემი მცდელობისა, არაფერი გამოვიდა... ექვსი თვე ვიცხოვრე ქმრის ოჯახში. ბოლოს მივხვდი, რომ ჩემს იქ გაჩერებას აზრი არ ჰქონდა და კვლავ შინ დავბრუნდი... თითქოს კონკრეტული მიზეზიც არ არსებობს, მაგრამ როდესაც ოჯახი ინგრევა, იქ მხოლოდ ერთი მხარე არ არის დამნაშავე. შესაძლოა, მეც მიმიძღვის მცირე „წვლილი“. მთელ პასუხისმგებლობას მეორე მხარეს ვერ დავაკისრებ, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი ერთობლივი ცხოვრება ჩემთვის გაუსაძლისი იყო და თავს ვუშველე.

**— ახლა რას აპირებ? შესაძლებლობა რომ მოგეცეს, ოჯახს შექმნი თუ მეგობარ მამაკაცს მოძებნი?**

— მე ტრადიციულ ქართულ ოჯახში გავიზარდე და ნუ გაგიკვირდებათ, თუ ვიტყვი, რომ მეგობარი მამაკაცი ჩემთვის მიუღებელია. თუ შემიყვარდება, ოჯახს შევქმნი, ოღონდ, გადაწყვეტილების მიღების დროს, აუცილებლად გავითვალისწინებ ჩემი შვილის ინტერესებს. ვისაც მე ვუნდივარ, ჩემი შვილიც უნდა უყვარდეს...

**— როგორი მამაკაცები მოგწონს?**

„ვისაც მე ვუნდივარ, ჩემი შვილიც უნდა უყვარდეს...“

— გარეგნობას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ — მთავარია, იყოს კარგი ადამიანი და ჰქონდეს ის თვისებები, რომელიც მამაკაცს უნდა ახასიათებდეს. მის საზოგადოებრივ მდგომარეობას და არც მატერიალურ მხარეს ყურადღებას არ მივაქცევ, თუმცა ვფიქრობ, რომ ელემენტარული, საარსებო წყარო უნდა ჰქონდეს.

— **უცხოელზე თუ გათხოვდები?**

— არა, გამორიცხულია! სხვა ეროვნების ადამიანს არავითარ შემთხვევაში არ გავყვები ცოლად.

— **რამდენადაც ვიცი, ჩინეთში იყავი სამუშაოდ წასული...**

— თბილისში ჩატარდა შესარჩევი ჩვენება და სამი გოგონა აგვირჩიეს. იქ დილის 7 საათიდან გვიან ღამემდე ვმუშაობდით. სხვადასხვა ფირმის რეკლამირებით ვიყავით დაკავებულები. თუ სხვა ქალაქში გვიწევდა წასვლა, წინასწარ არც გვაფრთხილებდნენ: დილით მოგვცემდნენ ბილეთს, მიგვიყვანდნენ აეროპორტში და გვეუბნებოდნენ, რომელ ქალაქში უნდა ჩავსულიყავით. ერთხელ, აეროპორტში დამტოვეს და მითხრეს, რომ უნდა წავსულიყავი ქალაქ ჰანჯოში. დავრჩი მარტო უზარმაზარ აეროპორტში. ინგლისური კარგად ვიცი, მაგრამ ჩინელები ინგლისურად არ ლაპარაკობენ. ვერავის ვაგებინებდი, რა მინდოდა. — ჰანჯო? — ვკითხულობ, ერთ-ერთ გასასვლელთან მისული. უარის ნიშნად, თავი დამიქნიეს. ზოგი მხრებს იჩეჩდა. ბოლოს, სოლიდურად ჩაცმული მამაკაცი შევნიშნე და ვკითხე: ჰანჯოში მივდივარ და რომელ გასასვლელს უნდა მივადგე-მეთქი? როგორც იქნა, გამაგებინა, რომ თვითონაც იქ მიდიოდა და გამომყვევიო, მანიშნა. ცოტა შევშინდი. ვიფიქრე, — რაღა მაინცდამაინც იმ კაცს მივაგენი, რომელიც ჰანჯოში მიდის-მეთქი?!. აღმოჩნდა, რომ არ მატყუებდა. როგორც იქნა, ჩავედი ჰანჯოში... იქ აეროპორტში დამხვდნენ და სააგენტოში მიმიყვანეს. მეორე დღიდანვე დავიწყე მუშაობა. შუადღისას, სადილობისას, ნომერში ჩინური საჭმელი მოიტანეს. უარი ვთქვი და ვთხოვე — იქნებ, პიცა მომიტანოთ-მეთქი. შემომთავაზეს, ქვემოთ ჩავსულიყავი და საჭმელი თვითონ ამერჩია. ერთი წარმომადგენელი გამომყვა. ქუჩაში რომ გამოვედი, დავინახე, რომ ვიღაც კაცი კერძებს ყიდდა. თიხის ქოთნის ამობრუნებულ თავსახურზე ხინკალი შევნიშნე. ქართული კერძის დანახვისას, სიხარულით ცას ვეწიე და ჩემს მეგზურს ვანიშნე — ეს მინდა-მეთქი. — არ ვარგაო, — მიხსნიდა. გავჯიუტდი. სამი ვიყიდე და უკან დავბრუნდი. ერთი სული მქონდა, როდის შევჭამდი. ვერ მოვითმინე, პაკეტი გავხსენი და გზაშივე ჩავკბიჩე ერთი ხინკალი... კინაღამ ცუდად გავხდი: აღმოჩნდა, რომ შიგთავსი მიწის ჭიებისგან იყო დამზადებული — ორთქლზე მოხარშული ჭიები ნახევრად ცოცხლები იყვნენ... ეს ყველაზე შემზარავი „ბლუდა“ იყო, რომელიც კი ოდესმე მიჭამია... ქალაქ სანიოში ჩასულს, კიდევ ერთი კურიოზი მომივიდა. რომ ჩავედი, სააგენტოს წარმომადგენლები — ქალი და მამაკაცი დამხვდნენ. კაცმა ხელი ჩამომართვა და მკითხა — სოფია, დაგბანოო? — კინაღამ გავგიჟდი, ამ კაცმა რატომ უნდა დამბანოს ან რა შემატყო ისეთი, რომ დასაბანი ვარ-მეთქი?! გავბრაზდი და პეკინში, ქართველ ხელმძღვანელს დავურეკე — ასე და ასე მითხრა და არავითარ შემთხვევაში ამ კაცს თავს არ დავაბანინებ-მეთქი. ჩაბჟირდა... აღმოჩნდა, რომ სამხრეთ-ჩინურად „დაგბანო“ ნიშნავს — როგორა ხარ? მე კი, აღშფოთებისგან ისიც ვერ გავითვალისწინე, რომ ჩინელს ქართული არ ეცოდინებოდა...

— **ეროტიკულ ფილმში გადაღება რომ შემოგთავაზონ, თუ დათანხმდები?**

— არავითარ შემთხვევაში! ამ მხრივ, ძალზე კომპლექსიანი, შეიძლება ითქვას — მეტისმეტად აზიატი ვარ. ვერც ფოტოაპარატის და ვერც კინოკამერის წინ ვერ გავშიშვლდები... ამას წინათ, კახა ცისკარიძის კლიპში გადაღება შემომთავაზეს. დავთანხმდი, რადგან პირველად, სცენარი სულ სხვაგვარად იყო დაწერილი. შემდეგ შეიცვალა და საჭირო იყო, კლიპში შიშვლად გამოჩენა. უარი ვთქვი. დამამშვიდეს — სხეული მოხატული გექნებაო, — მაგრამ ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. არავითარ შემთხვევაში არ გავშიშვლდებოდი. თუნდაც საზღვარგარეთ ასეთივე წინადადებით რომ მოემართათ, მაინც უარს ვიტყოდი.

— **კარგ ფორმაში რომ იყო, ვარჯიშობ?**

— არა, სპორტს არ მივდევ. სულ ახლახან, ოჯახთან ერთად ბაკურიანში გახლდით დასასვენებლად წასული და პირველად დავდექი თხილამურებზე. ინსტრუქტორი სამი დღის განმავლობაში მასწავლიდა სრიალს, მაგრამ ძალზე ძვირი მიჯდებოდა ეს გაკვეთილები. გადავწყვიტე, დამოუკიდებლად მეცადა. ავედი მთის წვერზე და შევჩერდი — გული გავიმაგრე და მოვემზადე დასაშვებად... ამ დროს, ახალგაზრდა კაცი მომიახლოვდა და — თუ გეშინიათ, ერთად დავეშვათო, — შემომთავაზა. დავთანხმდი. როგორც ჩანს, არც ის გახლდათ გამოცდილი მოთხილამურე და სულ კოტრიალ-კოტრიალით, ერთმანეთთან გადაფსკვნილები დავგორდით და ბოლოს, პირდაპირ თავით ჩავერჭე თოვლში. ძლივს დაგვაშორეს ერთმანეთს... ოჯახის წევრები დამცინოდნენ: მაგ კაცთან კოტრიალი თუ გინდოდა, გეთქვა და ჩვენც დაგეხმარებოდითო...

— **სოფო, დაინტერესდები იმ თაყვანისმცემლების ვინაობით, ვინც შენი გაცნობის სურვილს გამოთქვამს?**

— აუცილებლად. შეხვედრაზეც თანახმა ვარ: ვინ იცის, ბედი რას მიმზადებს?!.

*მოგეწონათ ჩვენი „საპატარძლო“? მაშინ დამიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. იქნებ, სოფომ სწორედ თქვენთან შეხვედრა ისურვოს...* ■

კაცმა ხელი ჩამომართვა და მკითხა — სოფია, დაგბანოო...

# ტაროს კარტზე მკითხავი გვირჩევს, დავივიწყოთ ცუდი სიზმარი

ლელა ჭანკოტაძე

*მარინა ბაბ-უშანა წარმოშობით ასირიელია. მისი წინაპრები, რომლებიც ძირითადად ასტროლოგები და ღვთის მსახურნი იყვნენ, საქართველოში XIX საუკუნეში დასახლებულან. სიტყვა „ბაბ-უშანა“ ნიშნავს „მამა ბზისა“. რაც ამ ხალხმა ირანი (ურმიის დასახლება) დატოვა და საქართველოში ჩამოვიდა, მას შემდეგ, ეკლესიების რესტავრაციასა და მოხატვაზე მუშაობდნენ. კომუნისტურმა რეჟიმმა ისინი აიძულა გვარი გამოეცვალათ. დაიწყო გვარების „სოვეტიზაცია“. თბილისში მცხოვრებ ყველა ასირიელს შესთავაზეს, თხუთმეტი მოძმე რესპუბლიკის მოსახლეობის ძირითადი ეროვნებიდან ერთ-ერთი აერჩიათ. ამიტომაა, რომ დღეს, ზოგი სომხურ გვარს ატარებს, ზოგი — ქართულს, ზოგი — რუსულს... მარინას მამამ, როგორც კი ამის საშუალება მიეცა, თავისი გვარი დაიბრუნა, მაგრამ ზოგიერთ ასირიელს საკუთარი წარმომავლობა არ ახსოვს, ისინი ქართულ და სომხურ მოსახლეობას შეერწყნენ.*

*მარინა ბაბ-უშანა ერთ-ერთი მათგანია, ვინც ძველი ტრადიციები არ დაკარგა, წინაპართა ცოდნა გააღრმავა და ასტროლოგია შეისწავლა. ის ტაროზე მკითხაობს და პირად ჰოროსკოპებს ადგენს. ამავე დროს, სპორტითაა დაკავებული. საუბარი მისი სპორტული მიღწევებით დავიწყეთ:*

— ჩემი ცხოვრება ყოველთვის სპორტთან იყო დაკავშირებული. 13 წლიდან მძლეოსნობაში დავიწყე ვარჯიში და მალე, საქართველოს ჩემპიონი გავხდი. სკოლა რომ დავამთავრე, მინდოდა, ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩამებარებინა, მაგრამ ბოტკინი შემეყარა. გამოჯანმრთელების შემდეგ გავთხოვდი. სამწუხაროდ, ჩემი პირველი ქორწინება უიღბლო აღმოჩნდა. ქმარს რომ გავეყარე, ისევ ვარჯიში დავიწყე, ინსტიტუტშიც ჩავბარე. მაშინ საქართველოში ბეისბოლი იკიდებდა ფეხს. შემომთავაზეს სპორტის ამ ახალ სახეობაში მომესინჯა ჩემი ძალები. საქართველოს ბეისბოლისტთა პირველი გუნდის წევრი გავხდი. თითქმის მთელი მსოფლიო მოვიარეთ. წარმატებებიც გვქონდა, მაგრამ წლების შემდეგ, გუნდი დაიშალა. მეორედ გავთხოვდი, სპორტს დროებით ჩამოვცილდი, მეორე შვილი შემეძინა. იმ ორ-სამ წელიწადში, რაც ბავშვის გამო სპორტს ჩამოვცილდი, გადავწყვიტე, ასტროლოგია შემესწავლა. ასტროლოგია ძალიან მაინტერესებდა. წიგნები მოვიძიე და ბევრი რამ ვისწავლე. ჩემი ბავშვობის ოცნება, რომ კოსმონავტი გავმხდარიყავი, ამ სახით ავისრულე: ახლა პლანეტებზე ვმოგზაურობ, მაგრამ არა კოსმოსური ხომალდით, არამედ გონებით, წარმოსახვით. იმდენ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, რომ ჩემთვის საჭირო ლიტერატურის შეძენა პრობლემას არ წარმოადგენდა. თანაც, იმდენად გამძაფრებული ინტუიციის გრძნობა მაქვს, რომ შემიძლია, ადამიანს თავისი წარსული და მომავალი წიგნივით გადავუშალო.

**— ეი. დამოუკიდებლად შეიძინეთ ცოდნა, მასწავლებელი არ გყოლიათ?**

— ჩემი მასწავლებელი ჩემი შინაგანი ხმა იყო, რომელიც მარწმუნებდა, რომ ყველაფერი გამომივიდოდა. როგორც თევზი წყალში, ისე ვგრძნობდი თავს, როცა პლანეტების გავლენაზე ვიწყებდი საუბარს. ჩემი თავი ბევრჯერ გამოვცადე. უამრავ ადამიანს შევუდგინე პირადი ჰოროსკოპი, წარუმატებლობა არასდროს მქონია. შინაგანად ვგრძნობ, როდის როგორი განწყობით მოდის ან მიდის ადამიანი ჩემგან. როგორც არ უნდა შეეცადოს, საკუთარ შინაგან განწყობას ვერ დამიმალავს.

**— როგორ ახერხებ ადამიანების ბედის ამოცნობას?**

— ჰოროსკოპებს ვუდგენ ყველას, ვისაც ამის სურვილი უჩნდება. ადამიანებს განსაკუთრებით რეინკარნაცია აინტერესებთ, თუმცა, წინა ცხოვრება ყველას როდი ჰქონია. თუ სული ახალგაზრდაა, ის პირველად არის ამქვეყნად მოვლენილი. ასეთი ადამიანი ჯერ არ შემხვედრია. უფრო ხშირად, „ბებერი სულის“ ადამიანები მხვდებიან. ზოგიერთი მათგანი მეხუთედ ან მერვედ არის დაბადებული. ხშირად ამბობენ ხოლმე კონკრეტულად: ქვეყანას მესამედ მოევლინაო. ასეთი რამის ზუსტად განსაზღვრა, ჩემი აზრით, შეუძლებელია. მსოფლიოში სულ რამდენიმე ძლიერი ასტროლოგია, ვინც რეინკარნაციის საფეხურებს ზუსტად განსაზღვრავს. სამაგიეროდ, მე შეუცნობლად ადამიანის ბედს ვჭვრეტ, რაშიც ტაროს კარტი მეხმარება. ტაროს სიმბოლოები თავისი ცნებებით პირამიდების კედლებზე იყო გამოსახული. თითოეულ კარტს თავისი აზრი აქვს, მასზე სამყაროს კოსმოსური კანონის აღთქმა ჩანს. თითოეულს თავისი მფარველი პლანეტა ჰყავს. მაგალითად: მეორე კარტი — ე.ი. მეორე არკანი — მთვარის მფარველობის ქვეშაა, ე.ი. თუ რომელიმე პიროვნებას ეს კარტი ამოუვა, მთვარის თვისებებიდან გამომდინარე ავხსნი მის ხასიათს... ტაროზე მკითხაობა ურთულესი რამაა.

**— ტაროზე მკითხაობა დამოუკიდებლად ისწავლე?**

— არა. თბილისში ისრაელიდან იყო ჩამოსული მკითხავი. მე მასთან შემთხვევით მოვხვდი. როცა მიმკითხავა, თავად მიხვდა, რომ მაგიურ ძალას ვფლობდი და სამყაროს განსხვავებული აღქმა მქონდა, შემომთავაზა — ტაროს ენას

## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

### ეოჩა დვალის
### უშის წიგნაკიდან:

1. მურყვამი სვანური ციხე-კოშკია.
2. სარკეს ადრე მიჭვრიტინას ეძახდნენ.
3. ვენეცია 120 კუნძულზეა განლაგებული.
4. ციანიდმჟავას, ნუშის სუნი უდის, ცრემლსადენ გაზს — იისა.
5. მდიდარ ბერძნებს ყველაზე მეტად ღმერთების შურის ეშინოდათ.
6. ღვარძლი სარეველა ბალახია. იგი პურეულის ნათესებში იზრდება.
7. მარმელადი შაქრის, ხილის წვენისა და კარტოფილის ფქვილისგან მზადდება.

8. ყინვაში მობილური ტელეფონის ბატარეა ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად ჯდება.
9. არწივის თვალის ბადურა ადამიანის თვალის ბადურაზე რვაჯერ უფრო მგრძნობიარეა.
10. გალაკტიონ ტაბიძე 17 მარტს, ლავრენტი ბერიას დაბადების დღეს გარდაიცვალა.
11. მდედრი ბაბუინები არჩევენ მცენარეს, რომელიც მათ მენსტრუაციულ ტკივილებს უყუჩებს.
12. იმას, ვინც თითქმის სულ ავადმყოფობს, არც ავად არის და არც კარგად, ჭირკოდილას ეძახიან.
13. რიცხვი 2520 უნაშთოდ იყოფა 1-ზე, 2-ზე, 3-ზე, 4-ზე, 5-ზე, 6-ზე, 7-ზე, 8-ზე, 9-ზე და 10-ზე.
14. საოჯახო ნივთებს, ჭურჭელს, ავეჯს და სხვას, რომელიც მეზობლებმა შეიძლება ერთმანეთს ათხოვონ, საციქველი ჰქვია.
15. ქიზიყში ჯარიმას, რომელსაც ჩხუბში დამნაშავე, დაზარალებულის სასარგებლოდ იხდის, საუდიეროს ეძახიან.
16. რუსული ეკრანიზაციისაგან განსხვავებით, კონან დოილის მოთხრობებში შერლოკ ჰოლმსი არასოდეს წარმოთქვამს ფრაზას: „ელემენტარნო, ვატსონ!“
17. მოსკოვის მცირე თეატრი, რომელიც ტვერის ბულვარზე პუშკინის თეატრის პირდაპირ მდებარეობს, მოსკოველებმა დანტესის მეტსახელით მონათლეს.
18. 1930 წელს, ამერიკის შეერთებასწავლიო და 78-ივე კარტი ძირფესვიანად შემასწავლა. როცა ტაროთი მკითხაობა დავიწყე, ვიგრძენი, რომ კარტი „თვითონვე მელაპარაკებოდა“. თავიდან გავოცდი, მერე მივხვდი, რომ კარტი თავისი ზეგავლენის ქვეშ მაქცევს და ჩემსა და არკანებს შორის ტელეპათიური კონტაქტი მყარდება.

**კვირაში ორი დღეც რომ ივარჯიშოთ, თქვენი აურის დარღვევა ძალზე ძნელი გახდება**

**— ე.ი. ყოველთვის არ შეგიძლია ტაროზე მკითხაობა?**

— განწყობა აუცილებელია. საერთოდ, არსებობს სამი დღე, როდესაც მკითხაობა არ შეიძლება. ამ დღეებს მთვარის შავი დღეები ჰქვია. ეს გახლავთ მთვარისთვის 29-ე, 30-ე და პირველი დღე. ამ დღეებში მთვარე არ ჩანს. ამიტომ შავი მაგია ძლიერდება. მაგიური რიტუალები და ჯადო სწორედ ამ დღეებში კეთდება. მკითხაობა სასურველი არ არის, რადგან ძირითადად, ჩანს ის უბედურებები, რომელიც ადამიანს ელოდება. სხვათა შორის, ჩემთან სამკითხაოდ მოსული ადამიანების უმრავლესობა მთხოვს, რომ ვუთხრა, თუ რაიმე ცუდი ელოდება. ყველას ვურჩევ, რომ არც ერთ მკითხავს ან ნათელმხილველს მოსალოდნელი უბედურებების თქმის უფლება არ მისცენ, რადგან ის, რაც ითქმება, შეიძლება ახდეს. ცუდს ადამიანის გონება ისრუტავს. კარგი შეიძლება გონებაში არ ჩარჩეს, ცუდი კი მთელ აურას ანგრევს და ამიტომაც უეჭველად რაღაც მსგავსი მოხდება. ცუდი სიზმარი არ უნდა მოჰყვეთ, თუ გინდათ, რომ ის არ აგიხდეთ. სიზმარი ჩემთვის ძალზე სერიოზულ წინათგრძნობას ნიშნავს. სიზმრის ახსნასაც დიდი ზებუნებრივი ნიჭი სჭირდება, რადგან ის, რაც ერთი ადამიანისთვის ავის მომტანი შეიძლება იყოს, მეორეს სიკეთეს მოუტანს. მაგალითად, უამრავ ადამიანს სიზმარში ხორცის ნახვა ცუდად აქვს დაცდილი. ყვავილების ნახვა თითქმის ყველას კარგად აქვს დაცდილი, მაგრამ ის ზოგჯერ ცუდი მოვლენების მომასწავებელია.

**— რა შემთხვევაში ხდება სიზმარი?**

— თუ ემოციისგან გაგეღვიძა, თუ გრძნობ, რომ სიზმრიდან შთაბეჭდილება გამოგყვა — ე.ი. ეს სიზმარი „მეტყველია“ და ის შეიძლება, სამი წლის განმავლობაშიც კი ახდეს. დიდი მნიშვნელობა აქვს პლანეტების განლაგებას იმ მომენტში... სიზმარზე შეგვიძლია დაუსრულებლად ვისაუბროთ, რადგან ჩემთვის ეს ამოუწურავი თემაა.

**— შეგიძლიათ, კონკრეტული რჩევები მისცეთ ადამიანებს?**

— უარყოფითი ენერგიისგან რომ დაიცვათ თავი, მეტი დრო დაუთმეთ ლოცვების კითხვას. ყველაზე სასურველი და სასიკეთო შედეგის მომტანია ვარჯიში. კვირაში ორი დღეც რომ ივარჯიშოთ, თქვენი აურის დარღვევა ძალზე ძნელი გახდება. ცნობილია, რომ სპორტსმენებს ძლიერი აურა აქვთ და მათზე ჯადოს ზემოქმედება მინიმალურია. ყველას, ვისაც ჰგონია, რომ ჯადოს ზემოქმედების ქვეშ იმყოფება, ვურჩევ, ხშირად დალიოს ნაკურთხი წყალი. ჯადო შვიდ თაობაზე გადადის. ჯადოს ცოდვის ჩამდენი სასტიკად ისჯება — ის მომავალში ღმერთის სასჯელს ვერ ასცდება. ამიტომ ნებისმიერმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ჯადოს უფრო დიდი ზიანი მოაქვს იმისთვის, ვინც მას აკეთებს, ვიდრე იმისთვის, ვისაც უკეთებს. ჩემთან სამკითხაოდ მოვიდა ქალი, რომლის დედამთილიც თბილისში ცნობილი

მკითხავი იყო. ამბობდნენ, ჯადოსაც აკეთებდაო. ეს ალბათ, სიმართლე გახლდათ, რადგან, ყველა შვილიშვილი ვაჟი დაეღუპა. მისი ცუდი და ბოროტი ზრახვა საგვარეულო ცოდვად იქცა.

**— შენი პირადი ცხოვრების შესახებაც მიამბე რამე...**

— მე და მალხაზი ერთმანეთთან სპორტმა დაგვაკავშირა. 1992 წელს ბეისბოლისტთა ერთ-ერთ შეჯიბრებაზე ვიმყოფებოდით, ფული შემოგვაკლდა და იძულებულნი გავხდით, თბილისში დაგვერეკა და დახმარება გვეთხოვა. ჩვენმა სპონსორმა მაშინვე გამოგვიყო ფული, რომელიც მალხაზმა ჩამოგვიტანა. ერთმანეთის გასაცნობად სულ რამდენიმე დღე გვქონდა. თბილისში რომ დავბრუნდით, მეგონა, სხვადასხვა გზით წავიდოდით, მაგრამ მალხაზი თურმე მაკვირდებოდა. მატარებლიდან რომ ჩამოვედი, ბაქანზე მივდიოდი და უზარმაზარ ჩანთას მივათრევდი... მერე მალხაზმა მითხრა: „იმწუთას, საოცრად პატარა და უსუსური იყავი, საკუთარ თავს ვუთხარი, — ეს ქალი ჩემი ცხოვრების ნაწილად იქცევა-მეთქი“... მაგრამ მალხაზი ცოლიანი იყო. სამი შვილიც ჰყავდა. მათი ოჯახი და მე საშინელ მდგომარეობაში ჩავცვივდით, მალხაზმა თქვა: მარინას არ დავტოვებ, მიყვარს, გინდათ — შეეგუეთ და გინდათ — არაო. გარკვეული ხანი, მას ფაქტობრივად ორი ცოლი ჰყავდა. იყო პერიოდი, სამივე ერთად დავდიოდით ხოლმე რესტორანში, ამხანაგებთან ერთად წვეულებებზე. ორივე ქალი საყვარელი მამაკაცის შესანარჩუნებლად ვიბრძოდით. მისმა ცოლმა იფიქრა — ქმარს შევინარჩუნებ, თუ კიდევ ერთ შვილს გავაჩენო, — და მეოთხე შვილი გააჩინა. მაგრამ არც ამან დაგვაშორა. საერთო ბავშვი ჩვენც გვინდოდა და ამიტომ, 1997 წელს, გოგო გაგვიჩნდა. ვფიქრობ, რომ ეს ერთ-ერთი მიზეზი გახდა მალხაზისა და მისი პირველი ცოლის გაყრისა...

**— ახლა შენ და მალხაზი ერთად ცხოვრობთ?**

— სწორედ ეს არის ჩვენი ტრაგედია, რომ ერთად არ ვცხოვრობთ. თორმეტი წელი მე და მალხაზმა ჩვენი სიყვარულის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში გავატარეთ. ჩვენი ურთიერთობა ჩემი მშობლებისთვის შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა და დღემდე არ უნდათ იმ აზრთან შეგუება, რომ მათ შვილს ოთხშვილიანი მამა აურჩევია ქმრად. ისინი მალხაზს თავიანთ ოჯახში არ უშვებენ. არც მალხაზის დედას სურს ჩემი მიღება. ამიტომ შეყვარებულებივით ვხვდებით ერთმანეთს, მეგობრები გვიგებენ და გვეხმარებიან ზოგჯერ. მალხაზი არ მუშაობს, ამიტომ ბინას ვერ ვქირაობთ. მე სამ ადგილას ვმუშაობ, მაგრამ იმდენად მცირე ხელფასი მაქვს, რომ ორი შვილის შენახვასაც და ბინის ქირის გადახდასაც ვერ შევძლებ. ფიზკულტურის მასწავლებელს, მოგეხსენებათ, რა ხელფასიც ექნება. გოგონების ბეისბოლის გუნდსაც ვავარჯიშებ. თითქმის შიშველ ენთუზიაზმზე ვმუშაობ, რადგან ეს საქმე ძალიან მიყვარს. ჩვენში რაგბის განვითარებასა და პოპულარიზაციას ორმოცი წელი დასჭირდა. იმედი მაქვს, მომავალში, ბეისბოლსაც მიაქცევენ ყურადღებას. ბოლო დროს ვგრძნობ, რომ მალე, ჩემი ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვლება. ჩემი და მალხაზის ურთიერთობა გმირობაა. მთელი დღე ერთად ვართ, საღამოთი კი ერთმანეთს ვემშვიდობებით... ჩვენც გვიჭირს და ბავშვებსაც. მათ მალხაზი ძალიან უყვართ. ერთად ყოფნა, რაც ჩვეულებრივი, რიგითი ოჯახისთვის ბუნებრივი მდგომარეობაა, ჩვენთვის ოცნებად ქცეულა... ■

**გარკვეული ხანი, მას ფაქტობრივად ორი ცოლი ჰყავდა. იყო პერიოდი, სამივე ერთად დავდიოდით ხოლმე რესტორანში**

## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

### ეიზა დვალის უბის წიგნაკიდან:

ბულ შტატებში იყიდებოდა სიგარეტი, რომელიც 11 დუიმის (27,5 სმ) სიგრძისა იყო და კოლოფში სულ 5 იდო. საქმე ისაა, რომ თამბაქოს მწარმოებლები იმ დროს, გადასახადს სიგარეტის თითოეულ ღერზე იხდიდნენ.

19. ოზი ოზბორნმა საკუთარ კონცერტზე ცოცხალ ღამურას თავი მოაკვნიტა. სცენაზე დაცემული, ის მომღერალს თავდაპირველად, პლასტმასის ეგონა, ხელში აიყვანა და აკოცა. ღამურამ ენაზე უკბინა. გამწარებულმა ოზბორნმა ასეთი სახით იძია შური.

20. ინგლისელმა ფსიქოლოგმა მაიკლ არჩელმა დაადგინა, რომ ერთი საათის მანძილზე საუბრის დროს, ფინელი მხოლოდ ერთხელ იყენებს ჟესტიკულაციას, იტალიელი — 80-ჯერ, ფრანგი — 120-ჯერ, მექსიკელი კი — 180-ჯერ.

21. ებრაული ტრადიციის თანახმად, კაცმა იმაზე უარესად უნდა ჩაიცვას, ვიდრე ამის შესაძლებლობა აქვს, შვილებს შესაძლებლობის შესაბამისად ჩაცვას, ხოლო ცოლს — შესაძლებლობაზე უკეთესად.

22. ფილიპინებზე მოღვაწე ქრისტიანი მისიონერები მიიჩნევდნენ, რომ ქოქოსის პალმის არსებობა ეწინააღმდეგებოდა ღვთის განჩინებას იმის შესახებ, რომ ადამიანმა შრომითა და ოფლით უნდა მოიპოვოს პური არსობისა და აიძულებდნენ აბორიგენებს, გაენადგურებინათ ეს ხეები.

23. ლეგენდის თანახმად, ინგლისური იარდი სიგრძის საზომ ერთეულად 1101 წელს დადგინდა. იგი უდრიდა მანძილს ინგლისის მეფის, ჰენრი პირველის ცხვირის წვერიდან მისი გაწვდილი ხელის შუათითის წვერამდე.

24. ზოგიერთი მედიკამენტი ხელს უწყობს ორგანიზმის სისხლით მომარაგებას იმით, რომ ჭარბ სისხლს კარგად მომარაგებული ორგანოებიდან იღებს და სისხლნაკლულ ორგანოებს აწვდის. ამ მოვლენას ექიმები რობინ ჰუდის ეფექტს უწოდებენ. ■

„რევოლუციამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე – როგორც შემოქმედსა და მხატვარზე“

*ნოემბრის მოვლენებმა დიდი გავლენა მოახდინა ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროზე. ამგვარი მოვლენები ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას ახდენს შემოქმედ ადამიანებზე, რომლებიც თავიანთ დამოკიდებულებას ახალ ნაწარმოებებში ასახავენ ხოლმე. თბილისის სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ გივი მიზანდარის სახელოსნოში, კამბოჯაში შექმნილ ბუდას, თამარ მეფის, ოტია იოსელიანისა და სხვათა ბიუსტებს შორის გაჩნდა „ვარდების რევოლუციისადმი“ მიძღვნილი სკულპტურა — თაბაშირისგან ჩამოსხმული სამი ზეაღმართული, ვარდებიანი ხელი. ეს ჯერჯერობით მხოლოდ მოდელია და მისი ბრინჯაოსგან ჩამოსხმა და ქალაქში ადგილის მოძებნა სამომავლო საქმეა.*

# გივი მიზანდარის ვარდები, რომელიც არასდროს დაჭკნება

**ნათია თეთიეშვილი**

— რევოლუციამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე — როგორც შემოქმედსა და მხატვარზე. იმ პერიოდში, ავად ვიყავი, სიცხე მქონდა და ვიწექი, მაგრამ როცა მიშა სააკაშვილმა ხალხს მოუწოდა — მთავრობის სასახლის წინ გამოდითო! — ავდექი და წავედი. ჩვენს ცხოვრებაში რაღაც ახალი და ძალიან მნიშვნელოვანი ხდებოდა — როგორ არ წავიდოდი?!. ჩემთვის ახალი წელი 4 იანვარს დაიწყო. დიდი იმედი მაქვს, რომ ყველაფერი შეიცვლება. ეს ქანდაკება, რა თქმა უნდა, „ვარდების რევოლუციას“ და პირადად მიშა სააკაშვილს მივუძღვენი. რევოლუციას სამი გამოკვეთილი ლიდერი ჰყავდა, ამიტომაც არის სამი ხელი. მათ შორის ერთი ქალის ხელია, თითზე ბეჭდით. სხვათა შორის, ერთხელ, ტელევიზორში ნინო ბურჯანაძის ხელზე შევამჩნიე მსგავსი ბეჭედი.

ბატონი გივი წარსულში, პოპულარულ მოკრივედ ითვლებოდა. დღეს ის საწყალოსნო-სანაოსნო ტურისტული სპორტითაა გატაცებული. 2003 წლის 6-დან 14 დეკემბრამდე, მეგობრებთან ერთად, რომელთა შორის ცნობილი მოგზაური ჯუმბერ ლეჟავაც იყო, რევოლუციას ურთულესი და საინტერესო სპორტული ლაშქრობა მიუძღვნა: ვარძიიდან ხელოვნური ვარდებით შემკული ნავებით დაეშვნენ და მტკვარზე იმოგზაურეს. ლაშქრობის სახელიც შესაფერისი იყო: „ვარძიიდან ვარდების ვარდნილებზე“.

1960-63 წლებში გივი მიზანდარი ვიეტნამში, ქალაქ ჰანოის სამხატვრო ინსტიტუტში იყო მიწვეული ლექციების წასაკითხად. 1968-70 წლებში კი, კამბოჯის სამეფო ხელოვნების უნივერსიტეტში ასწავლიდა. მასთან საუბრისას, გვერდი ვერ ავუარე ამ ფაქტს და ვთხოვე, იქ ცხოვრების წლები გაეხსენებინა.

— მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. ვიეტნამში ჩემი ყველა სტუდენტი ნაომარი და ჩემი ასაკის იყო. უაღრესად საინტერესო ისტორიის მქონე ქვეყანაა და ძალზე მებრძოლი ხალხია. კამბოჯაში ჩემი სტუდენტები უმეტესად, ჩინელები და ვიეტნამელები იყვნენ. საოცარი ადგილია, შუა საუკუნეების ძეგლებით ისეა გადატვირთული, რომ კაცს შეშურდება... ისე, გურიას ჰგავს, ოღონდ — უფრო მეტადაა დამშვენებული მცენარეებით. ბევრი კუნძულია, რომელზეც არავინ ცხოვრობს — მარტო მაიმუნები დარბიან... მხოლოდ, შაბათ-კვირას, რაღაც ჯგუფი მივდიოდით და დროდადრო ვისვენებდით. წარმოიდგინეთ — ჯუნგლებში მანქანით მიდიხარ და გხვდება უცნაური უსაფრთხოების ნიშნები, მა-



„მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. ვიეტნამში ჩემი ყველა სტუდენტი ნაომარი და ჩემი ასაკის იყო...“

„მათ შორის ერთი ქალის ხელია, თითზე ბეჭდით“

# „ისეთი ტიტა იყო, ინდოეთში კი არა, ჯანდაბაში ტავუეშებოდა კაცი“

## ხათუნა ჯავახიშვილი

„ჩვენ შეხვედრისთანავე დავმეგობრდით“ — *ასე იწყება დათო ტურაშვილის მოთხრობა „ჩემი ირლანდიელი პაპა“, სადაც გადმოცემულია, თუ როგორ გაიცნო ავტორმა არგენტინაში „ირლანდიელი პაპა“ და როგორ ავიდნენ ერთად სანტა ელენას მთაზე. მათი ნაცნობობა სულ რაღაც ორი დღეღამე გაგრძელდა, რადგან ნაწარმოების გმირი არგენტინაშივე გარდაიცვალა. მიუხედავად ამ ხანმოკლე ურთიერთობისა, ამ პიროვნებამ წარუშლელი კვალი დატოვა მწერლის ცხოვრებაში.*

*ჩვენი ახალი რუბრიკის იდეაც სწორედ ეს არის და სწორედ ამ მოთხრობაში აღწერილმა დაუვიწყარმა შეხვედრამ განაპირობა, რომ* **დათო ტურაშვილი** *ყოფილიყო ამ რუბრიკის პირველი სტუმარი.*

*როდესაც დათოს ინტერვიუს შინაარსი გავაცანი, მითხრა:* ვერ არ მქონია ისეთი შემთხვევა, რომ ვინმეს შევხვედროდი და დამვიწყებოდესო. — *ვთხოვე, ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა გაეხსენებინა. მითხრა* — დავწერ და მოგიტანო. *მეც დავეთანხმე, რადგან ჩვთვალე, რომ განმარტოებით, ფურცლისა და კალმის ამარა დარჩენილი მწერალი, უკეთ მახერხებდა სათქმელის გადმოცემას, ვიდრე ჟურნალისტთან საუბრისას.*

*ასე რომ, სიტყვასიტყვით გთავაზობთ დათო ტურაშვილის, კატმანდუში შემდგარი, დაუვიწყარი ნაცნობობის მოკლე ამბავს.*

— კატმანდუში გავიცანი ძალიან, ძალიან ლამაზი ინგლისელი გოგო — გადახოტრილი თავითა და პატარა ოქროსფერი რგოლით ცხვირში. კატმანდუში ბევრნაირი მოსაწევია და თითქმის ყველანი ეწევიან. ნებისმიერ ბარში, ნებისმიერმა უცნობმა (მეგობრულ ამბავში) შეიძლება შემოგთავაზოს მოსაწევი და გაგიღიმოს. მე არ ვეწეოდი (მგონი, ერთადერთი ასეთი ადამიანი ვიყავი კატმანდუში), მაგრამ იმ ლამაზმა ინგლისელმა რომ შემომთავაზა (გაცნობის ამბავში), უარი ველარ ვუთხარი. სწორედ მაშინ აღმოვაჩინე, რომ „ყანწის დარტყმა“ საერთაშორისო მოვლენაა და არა მხოლოდ თბილისური, როგორც ეს მანამდე მეგონა. იმ ინგლისელ გოგონას რომ დავთანხმდი — ჯანდაბას ჩემი თავი, ერთ ნაფაზს შენი ხათრით დავარტყამ-მეთქი! — პირი გააღეო — გამიღიმა და ჩემ გვერდით დაჯდა. პირი კი არ გავაღე — უბრალოდ, დავაღე. მან ღრმა ნაფაზი დაარტყა, ღრმად ჩაისუნთქა და ჩემს დაღებულ პირს ფრთხილად დაუმიზნა თავისი ტუჩები. თავისი ზედა, ოდნავ ამობურცული ტუჩი ოდნავ შეახო ჩემს ზედა ტუჩს და მისი ფილტვებიდან ღრმად, მონდომებით შევისუნთქე კვამლი... მერე ვიჯექი გაუნძრევლად, საკმაოდ დიდხანს, სანამ ბარი არ დახურეს და მახსოვს, როგორ მესიამოვნა კატმანდუს ღამის გრილი ჰაერი.

ის ლამაზი ინგლისელი გოგო მეორე დილით, ინდოეთში მიდიოდა ექვსი თვით და ბოლომდე მთხოვდა, წამომყევი, მარტო ნუ გამიშვებო. ძალიანაც მინდოდა, მაგრამ აბა, როგორ გავყვებოდი, ამათ *(ცოლ-შვილს. — ავტ.)* ხომ არ დავტოვებდი და ერთი კვირის შემდეგ თბილისში დავბრუნდი. არადა, მართლა ისეთი გოგო იყო, ინდოეთში კი არა, ჯანდაბაში გაჰყვებოდა ჩემზე გაბედული კაცი, მაგრამ შემეშინდა. შემეშინდა, რომ არ შემყვარებოდა, როგორც მოსალოდნელი იყო და მაკასთან დავბრუნდი.

თუმცა, ზოგჯერ კი მახსენდება ხოლმე და რა დამავიწყებს...

# ქორწინება გარიგებით

## ტრადიცია, რომელიც ბევრისთვის ღიმილის მომგვრელ ანაქრონიზმად იქცა

*წინათ 12-13 წლის გოგონებს მშობლები ისე ათხოვებდნენ, რომ ზოგი საქმროს პირველად ქორწილში ნახულობდა. ოჯახები შუამავლის (თუ გნებავთ — მაჭანკლის) საშუალებით ქალ-ვაჟისგან დამოუკიდებლად აგვარებდნენ საქმეს. გარიგებით ქორწინება ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა — მთავარი, ოჯახ-ის შექმნა იყო. არავინ კითხუ-ლობდა, ახალგაზრდა წყვილს სურდა თუ არა ერთად ყოფნა. ამას ზოგჯერ, ტრაგიკული დასასრულიც მოჰყოლია...*

*თუმცა, გარიგებით ქორწინება არც დღევანდელობისთვისაა მთლად უცხო. როგორია ტრადიციები და რა ხდება დღეს?*

ნინო ჯავახიშვილი

**თინა ივალიშვილი**, *ეთ-ნოლოგი:*

— ძველად 100 ქორწინებიდან 99 გარიგებით ხდებოდა. ეს იყო ეროვნუ-ლი საქმე — უნდა დაფუძნებულიყო ოჯახი, კერა უნდა შექმნილიყო. დღეს ეს ტრადიცია დაიკარგა, თუმცა გარი-გებით დღესაც იქმნება ოჯახები. ეს უფრო მეტად, სოფლადაა შემორჩენი-ლი. ადრე არც ქალს ეკითხებოდა ვინმე რაიმეს და არც ვაჟს. ყველაფერში მშობლები თანხმდებოდნენ და ზოგჯერ, აკვანშიც კი ნიშნავდნენ შვილებს. თუ ვაჟის ოჯახს ქალი მოეწონებოდა, მოხ-უცები დასხდებოდნენ და ძირფესვიანად გამოიკვლევდნენ, ვინ იყვნენ მისი წინაპრე-ბი. დიდი ყურადღება ექცეოდა ქალის ოჯახსა და გვარიშვილობას. თუ გვარ-ში ვინმეს მძიმე დაავადება — მაგალი-თად, ჭლექი, ეპილეფსია სჭირდა, მაშინ იქიდან რძლის მოყვანას ყველა ერიდე-ბოდა. ამ გაკითხვა-გამოკითხვის შემ-დეგ, მოძებნიდნენ შუამავალს. შუამავ-ლად ისეთ პიროვნებას ირჩევდნენ, რომელ-საც ქალის ოჯახი უარს ვერ ეტყოდა — ეს უნდა ყოფილიყო ან ქალის ბიძა (დედის მხრიდან), ან მისი ნათლია. შუამავალი თავად წყვეტდა, შეეფერე-ბოდნენ თუ არა ოჯახები ერთმანეთს. მხოლოდ ამის შემდეგ მიდიოდა ის ქა-ლის ოჯახში. პირველ მისვლაზე მას აუცილებლად უარით გამოისტუმრებდ-ნენ. ასე იყო მეორედაც... ამასობაში, ქალის ნათესავები იწყებდნენ სასიძოს ნათესაობისა და გვარიშვილობის დად-გენას, არკვევდნენ — ხომ არ ენათესავ-ებოდნენ ოჯახები ერთმანეთს. ეს პრო-ცესი ზოგჯერ, ერთი წლის განმავლო-ბაში გრძელდებოდა და ბოლოს, ქორ-წილით გვირგვინდებოდა.

*ასე ხდებოდა ძველად და არცთუ ისე შორეულ წარსულშიც. ამ ტრადიციი-ს მიმდევარი დღესაც ბევრია, ამიტომ გარიგებით დაქორწინებულ წყვილსაც ხშირად შეხვდებით.*

*თუმცა, დღეს, ამ მოვლენას ბევრი მხოლოდ ხუმრობის საფუძვლად მიიჩ-ნევს, მაშ, რამდენად სერიოზულად აღიქ-ვამენ გარიგებით ქორწინების პერსპექ-ტივას სხვადასხვა თაობის წარმომად-გენლები? თავდაპირველად, პოპულარუ-ლი ფილმის — „გარიგების“ მთავარ პერსონაჟს, მაროს — ანუ მსახიობ* **ნან-ული სარაჯიშვილს** *მივაკითხ-ეთ.*

— **ქალბატონო ნანული, როგორც ვიცით, ფილმის სი-უჟეტს ნამდვილი ამბავი დაე-დო საფუძვლად...**

— დიახ, ასეთი ამბავი ნამდვილად მოხდა კახეთის ერთ სოფელში. სიუჟე-ტი აბსოლუტურად არ არის შეცვ-ლილი. ეს ფილმი რომ გამოვიდა, მახ-სოვს, ერთხელ ქუჩაში ვიღაც ქალმა გამაჩერა და მკითხა — თქვენ ნანული სარაჯიშვილი არა ხართო? — კი-მეთქი, — ვუპასუხე. — იცით, მე თვითონ მოვესწარი მაგ ამბავს და სასამართ-ლოებსაც ვესწრებოდიო... დაზარალე-ბულმა ცოლმა მას შემდეგ, რაც სიხარ-ბის გამო ქმარი დაკარგა, სასამართლო-ში იჩივლა და ითხოვდა — დამი-ბრუნდესო. ეს გახმაურებული ამბავი ზაზა კოლელიშვილის დედამ — ნუნუ მატარაძემ აღწერა და გამოაქვეყნა თე-ლავის გაზეთში, რომლის რედაქტორიც თვითონ იყო. ნათიამ *(ზაზა კოლელიშ-ვილის მეუღლე, ნათია გოგოჭური. — ავტ.)* კი, შემდეგ, სცენარი დაწერა და კარგი ფილმიც გამოვიდა.

— **თქვენ თვითონ რამდე-ნად სერიოზულად უყურებთ გარიგებით ქორწინებას?**

— რატომაც არ შეიძლება, გარიგე-ბით გათხოვდე? მერე რა მოხდა? მო-მავალ საქმროსა თუ საცოლეს ყველა, ნათესავის, მეგობრის ან უბრალოდ, ნაც-ნობის ოჯახში ეცნობა. მე ვფიქრობ, ეს კარგი ტრადიციაა და მომწონს, დღემდე რომ არის შემორჩენილი. ვიღაცას მოე-წონები, იტყვის — ნახე, რა კარგი გო-გოა, ისიც კარგი ბიჭია, მოდი, ერთმა-ნეთს გავურიგოთო, — და ასე იქმნება ოჯახები. მართალია, ახლა ხანუმები აღარ არიან და შუამავლობაში ფულს

აღარავინ იღებს, მაგრამ ამ ფუნქციას მაინც ასრულებს ხოლმე ვინმე. ამასთან დაკავშირებით, ერთ საინტერესო ამბავს გავიხსენებ: ერთი პერიოდი, ვიღაც ქალი სისტემატურად მირეკავდა და მეუბნებოდა — მამაშენთან ვმუშაობდი და თქვენი ნახვა მინდაო... ზოგი სამსახურში მოწყობას მთხოვდა — აქაოდა, ქვეყნის ხალხს იცნობო, ზოგიც — შვილის სასწავლებელში მოწყობას, ამიტომ ვიფიქრე — ალბათ ამასაც მსგავსი სათხოვარი ექნებამეთქი. ასაკოვანი ქალი თავის ქალიშვილთან ერთად მესტუმრა. მამაჩემის გახსენების შემდეგ, როგორც იქნა, გამბედა — თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს: ეს გოგო გვიან შემეძინა, დასაოჯახებელია, თქვენ კი, „გასული“ ქალი ხართ, ვის არ იცნობთ, თან ეს ფილმიც („გარიგება“ ჰქონდა მხედველობაში) რომ ვნახე, იმედი მომეცა და უნდა დამეხმაროთო... — რაშია საქმე, რა გინდათ-მეთქი? — ვერ მივხვდი, რას მთხოვდა. — რა მინდა და იქნებ, ჩემს გოგოს ვინმე გაურიგოთო... ამის გაგონებაზე, სიცილი დავიწყე, დედაჩემიც ამყვა, ის ქალბატონი კი, განაწყენდა — ნუ იცინით, ეს საკმაოდ სერიოზული საკითხიაო!.. დედაჩემმა სიცილითვე უთხრა — სერიოზული საკითხი როგორ არ არის, მაგრამ ნანულის საკუთარი თავისთვის ვერ მოუვლია და თქვენ რას გიშველითო?!. სტუმრებს დიდი ბოდიში მოვუხადე — მაგ საქმეში ვერ დაგეხმარებით-მეთქი...

**ბევრს უთქვამს — კარგი ახლობელი მყავს და უნდა გაგირიგოო. გამიცნია კიდეც მაგრამ...**

**— თქვენთვის თუ გაურიგებიათ ვინმე?**

— როგორ არა, მაგრამ როცა ახალგაზრდა ვიყავი, ეს ამბავი სასაცილოდაც არ მყოფნიდა. მერე და მერე, ასაკი რომ მომემატა, მივხვდი, რომ გარიგება არც ისეთი არასერიოზული და სიცილის მომგვრელი ტრადიციაა. ბევრს უთქვამს — კარგი ახლობელი მყავს და უნდა გაგირიგოო. გამიცნია კიდეც, მაგრამ არავინ მომწონებია. ვინმე რომ მომწონებოდა, ალბათ ცოლადაც გავყვებოდი...

*გარიგებით ქორწინების პერსპექტივა თურმე არც ჩვენს მეორე რესპონდენტს — პატენტმცოდნე* **გივი თუშიშვილს** *ხიბლავდა ახალგაზრდობისას, მაგრამ უარს მაინც არ ამბობდა ქალის გაცნობაზე და ამის გამო ბევრ ხათაბალაშიც გახვეულა. ბოლოს კი, მაინც გარიგებით დაქორწინება მოუხდა... ბატონმა გივიმ გარიგებასთან დაკავშირებით ძალზე საინტერესო თაგადასავლები მოგვითხრო.*

— როდესაც ჩემმა ახლობლებმა იმის იმედი დაკარგეს, რომ მე სიყვარულით შევირთავდი ცოლს, გადაწყვიტეს, საქმე ძველებური, მამაპაპური ტრადიციით მოეგვარებინათ — ე.ი. გაერიგებინათ ჩემთვის ვინმე. „გადანახულება-გარიგების“ პრინციპი მარტივი იყო — ნათესავ-მეგობრების, მეზობლების თუ ნაცნობების ხელშეწყობით იშლებოდა სუფრა, ამ ოჯახში „შემთხვევით“ უნდა შემევლო და იქ შემხვედრებდნენ „გასაცნობ ობიექტს“; მერე კარგად მოვილხენდით და თუ ერთმანეთი მოგვეწონებოდა, შეხვედრები გაგრძელდებოდა ბედნიერ დასასრულამდე. თავდაპირველად, სრული სერიოზულობით მოვეკიდე ამ სამაშვლო სამსახურს, არც ვაცდენდი და არც ვაგვიანებდი მსგავს შეხვედრებზე. საპატარძლოსაც ყურადღებით ვათვალიერებდი ხოლმე... მაგრამ მერე და მერე, ეს მუქთა წვეულებები ისე გამიტკბა, რომ გარიგების ნამდვილი მიზანი სულ გადამავიწყდა და იმის გაფიქრებაც კი მზარავდა, ცოლის შერთვის შემდეგ, ამ განცხრომას რომ უნდა გამოვმშვიდობებოდი: ხუმრობა ხომ არ იყო — უფასო საჭმელ-სასმელი, ქეიფი და დროს ტარება?!. ჩემი საქმე კი, მხოლოდ საპატარძლოს შესახებ შთაბეჭდილების გაზიარება ანუ „რეცენზია“ იყო. ზღაპარში მეგონა თავი. მე, როგორც ჯენტლმენს, ყველა ქალი მომწონდა, ოღონდ — მხოლოდ სიმთვრალეში. უშნო საპატარძლოების ნახვის შემდეგ, ერთი ნახვით მოწონება და სიყვარული ღვინის გამონელებისთანავე ქრებოდა. ასეთ შემთხვევაში ოჯახიდან გაპარვის მრავალი მეთოდი მქონდა შემუშავებული... იყო შემთხვევები, როდესაც ჩემი ნაცნობები, დროისა და ჯიბის ეკონომიის მიზნით, ერთ ნახვაზე ორ და ზოგჯერ მეტ საპატარძლოსაც მახვედრებდნენ. ერთ წვეულებაზე ერთდროულად სამი გოგონა გამაცნეს — ფატი, ნატო და კატო — წარმოგიდგენიათ?! ფატისა და კატოს ფონზე, ნატო მზეთუნახავი ჩანდა. ჰოდა, ავდექი და „სალფეტკზე“ დაწერილი ეს ლექსი ნატოს სადღეგრძელოს მაგივრად წავუკითხე:

ჩემო ლამაზო ნატო, ჩემო ღმერთო და ხატო,

ჭკუა-გონებით კანტო, ლალო და ბრილიანტო.

თუმც კენტად კი ვარ მარტო, ვით სულ — ობოლი ტატო.

არ გამაჩნია ავტო, ვერ მიყიდია პალტო,

მაგრამ ძვირფასო ნატო, ძლიერ მომწონხარ „ზატო“!..

ამ „ბაირამობაში“ სხვა ქალაქებში — „გამსვლელ სესიებზეც“ მიწევდა ჩასვლა. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ვიზიტები ქუთაისში. ერთ ზაფხულს ახლობელმა დამირეკა და მითხრა — ქუთაისში თუ ჩამოხვალ, ისეთ გოგოს გაგაცნობ, უკეთესს ვერ ინატრებო. შევთანხმდით, რომ ჩავიდოდი. მივედით ოჯახში, გაიშალა სუფრა. ცოტა ხნის შემდეგ, საპატარძლოც მობრძანდა, რომელიც ჩემ პირდაპირ დასვეს. მართლაც, მშვენიერი გოგონა აღმოჩნდა. შვებით ამოვისუნთქე. გულში ვიფიქრე — მადლობა ღმერთს, რომ არც კოჭლია, არც კუზიანი, არც უკბილო და არც ბრუციანია-მეთქი, მაგრამ მალე აღტაცებასთან ერთად, ეჭვმა შემიპყრო: ჯერ იმის გამო, რომ გაცნობის დროს, გოგონამ ხელი ისე ჩამომართვა, ხმა არ ამოუღია, მისი ორიგინალური სახელი — ფასო, მასპინძელმა მითხრა; გავიდა ერთი საათი, ქეიფი ეშხში შევიდა, მაგრამ გოგონა კვლავ არ იღებდა ხმას. ვიფიქრე — საწყალი, ალბათ ყრუ-მუნჯია-მეთქი... ეს ეჭვი შუამავალს რომ გავუმხილე, გადაირია — როგორ გეკადრება? ყრუ-მუნჯი კი არა, მგონი, პირიქითაც არისო!.. ვერ მივხვდი, რაში იყო საქმე. — თუ

ეთერ კაკულია

მუნჯი არ არის, მაშინ, როგორც გინდათ, ისე აალაპარაკეთ-მეთქი, – გავჯიუტდი ნასვამი. ამასობაში, შეზარხოშებულმა თამადამ და სუფრის წევრებმა მთხოვეს, მემღერა. იცოდნენ, გიტარაზე კარგად რომ ვუკრავდი და ვმღეროდი. გავჭირვეულდი – სანამ ფასო არ მთხოვს, არაფერსაც არ ვიმღერებ და არც დავუკრავ-მეთქი. მთელმა სუფრამ, „ფასო-ძვირფასოს“ ძახილით, ჩემი ულტიმატუმი გაიმეორა. მცირე ხნის შემდეგ, რაკიღა არა და არ მოეშვნენ, უზომოდ გაცეცხლებული საპატარძლო უეცრად მომიბრუნდა და სეტყვასავით დამაყარა: „რასაა, ბიჭო, რომ იტყლარჭები?! თუ იცი და თუ უკრავ, დოუკარი, თუ არა და, გადაშენდი და გადაქუხდი აქედან! დედაა, არ წაგვჭამა ტვინი ამდენი გლახაობით და ჯღანაობით?! ვინაა აი კვტარგაცივებულ-გაფირჩხინებული?!“ ამის შემდეგ, სხვებს მიუბრუნდა და გამყინავი ხმით აქოთქოთდა: „ამ უცოლო კაცებს დაცვინდეს ხორცები და არ გოუთენდეს სახაშე დილა! აგენს შეეყაროს შიდსია თუ რაცხა ჯანდაბა და აგენი ვნახე ერთ კუბოში „ვახტანგურად“ გადაკვარჩხული! რავა ყველა ოხერი და მუდრეგი მე უნდა გადამეყაროს?! გაწყდა აგენის ფესვი და სინსილა, აგენს დეეწვა და დეეხრუკა ოჯახი და ჯილაგი, აგენს ჩოუშავდა და ჩოუბნელდა თვალები, ჩემისთანა ქალი რომ ვერ დეინახეს, აგენის გულიზაა, რომ არ იქნა ჩემი გათხოვების საშველი!..“ როდესაც გული იჯერა და თავისი მონოლოგი დაამთავრა (თუ დაამთავრებინეს – აღარ მახსოვს), სუფრის წევრებმა შვებით ამოისუნთქეს. წამით, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, რის შემდეგაც თამადამ

ნინი ბადურაშვილი

უხერხულობის გასაფანტავად გრძელი „მრავალჟამიერი“ წამოიწყო, სხვებიც აჰყვნენ. მე კი, ჯერ კარგა ხანს გაოგნებული ვიჯექი, ხმის ამოღების თავიც აღარ მქონდა (როგორც მერე გავიგე, თურმე წინასწარ ყოფილა გაფრთხილებული – ხმა არ ამოეღო), მერე კი ექსპრომტად დაწერილი ლექსი ფასოს დემონსტრაციულად დავუგდე თეფშზე, თან დავაყოლე: რისი ფასო, რისი ლექსი, ჯობს, გავასწრო, აბა – „თესი“-მეთქი, – და გარეთ გავვარდი... ის ლექსი კი ასეთი იყო:

ფასო, ფასო, ფუფლო-ფარსო,
თუმც ძვირფასო, მაგრამ თარსო,
ნეტავ, მართლა მუნჯი იყო,
ენა „ტროსივით“ რომ გაქვსო.
ალბათ მაშაც არ გჭირდება,
ისე იღებ ნაკვერჩხალსო,
და თუ არ ვუშველე თავსო,
კაცს კი არა, მოკლავ ხარსო!..

კიდევ ერთ კურიოზს გავიხსენებ. ქუთაისში ანალოგიურ საქმეზე გახლდით ჩასული. ქუთაისური პურმარილის შემდეგ, უკვე ყველანი კარგ ხასიათზე რომ დავდექით, ცეკვა მოვისურვეთ. გიტარა ხან ზურგზე გავიდე, ხან წელზე, ისე დავუკარი და ვიმღერე. თავის მოსაწონებლად, ვიცეკვე კიდეც. ოჯახის ერთმა უხუცესმა წევრმა მიყურა, მიყურა და წამოიძახა: შარშანწინ, ერთი სასიძო ბიჭი რომ აკეთებდა ასეთ ცირკულ ნომრებს და მერე გოგო რომ დაგვიწუნა, ის ხომ არ ბრძანდება ეს ვაუბატონიო?.. ბიჭოს, დამკრა თავში. მაშინღა მივხვდი, მეორედ რომ მივსულვარ იმ ოჯახში საპატარძლოს სანახავად და დაუყოვნებლივ, უჩუმრად გამოვიპარე იქიდან... აი, ასეთი ამბები გადამხდენია თავს გარიგებასთან დაკავშირებით და ამის შემდეგ, სერიოზულად როგორღა უნდა აღმექვა ეს ტრადიცია?

*ასეთივე განწყობა აქვთ ორი თაობის წარმომადგენელ მომღერლებს – ქალბატონ ეთერ კაკულიას და ნინი ბადურაშვილს: მათი აზრით, უსიყვარულოდ გათხოვება მიუღებელია...*

**ეთერ კაკულია:**

– გარიგებას ყოველთვის არასერიოზულად აღვიქვამდი. არადა, ხშირად მოდიოდნენ ჩვენს ოჯახში მაჭანკლებიცა და სასიძოებიც. ერთხელ, ერთმა ბიჭმა, რომელსაც ვუყვარდი, ჯერ შუამავალი მომიგზავნა და უარით რომ გავისტუმრე, მერე მშობლებთან ერთად მობრძანდა. მე არ მომწონდა და მით უმეტეს, მასთან ოჯახის შექმნაზე არ ვფიქრობდი. ჩვენი მშობლები საუბრობდნენ, მე ხმას არ ვიღებდი. ბოლოს, ძალიან რომ შევწუხდი, ასეთი წინადადებით მივმართე მათ: ერთი კარგი გოგოა, ჩემი მეგობარი, ერთმანეთს ძალიან შეეფერებით და მოდი, რა, გაგირიგებ-მეთქი. წარმოიდგინეთ, დამთანხმდნენ. დავურეკე იმ გოგოს, ვუთხარი – კარგი ბიჭი უნდა გაგაცნო-მეთქი, – და ქუჩაში შევახვედრე ერთმანეთს. ასე დავაქორწინე ჩემთან ხელის სათხოვნელად მოსული კაცი. მოკლედ, მაჭანკლობა მეხერხება და მომწონს კიდეც ეს საქმე...

**ნინი ბადურაშვილი:**

– გარიგება და გარიგებით გათხოვების პერსპექტივა ჩემთვის ღიმილის მომგვრელია. ბებიაჩემთან ვიღაცები რეკავენ და ეუბნებიან – ასეთი და ასეთი ბიჭი გვყავს და თქვენს გოგოს გავურიგოთ, სარძლოდ მოგვწონსო... ამაზე ძალიან მეშლება ნერვები. მაჭანკლობა ძველი ტრადიციაა და აბსოლუტურად მიუღებელია ჩემთვის, მით უმეტეს – ამ ასაკში: ჯერ იმის საფრთხე ხომ არ მემუქრება, რომ გაუთხოვარი დავრჩე?!. გარიგებით ქორწინება დასაშვები და მისაღები მაშინ იქნება, როდესაც 30 წლის ვიქნები და შინაბერად დარჩენის საფრთხე შესაძლოა რეალურად დამემუქროს. აი, მაშინ შეიძლება ვინმემ იზრუნოს ჩემზე, იფიქროს – მოდი, ვიღაცას გავაცნობ, იქნებ, ერთმანეთი მოეწონოთ და დაქორწინდნენო...

■

მარი ჯაფარიძე




**დღევანდელი „გზავნილების“ თემიდან გამომდინარე, წერილის შესავალიც შესაფერისი — რომანტიკული უნდა იყოს, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით ერთ ფაქტს, რომელმაც გაგვაოცა და აღგვაშფოთა. როდესაც „გზის“ ერთ-ერთ ნომერში გთხოვეთ — „მესიჯებში“ ანგარებით სიყვარულისა და ქორწინების შესახებ მოგეთხროთ — ერთმა ახალგაზრდა ქალმა დამირეკა და აღელვებული ხმით მიამბო იმის შესახებ, თუ როგორ აღუდგა წინ ანგარებიანი „სადედამთილო“ მის სიყვარულს; სხვა მამაკაცთან შექმნილმა ოჯახმა კი ბედნიერება ვერ მოუტანა... გოგონა ისე მიზიარებდა სატკივარს, რომ ეჭვიც არ შემპარვია — საკუთარ თავგადასავალს მიამბობდა... როგორც შემდგომ გაირკვა, რესპონდენტს თავისი მეგობრის ამბავი გაუზიარებია ჩვენთვის, რომელმაც ჟურნალის ფურცლებზე აღწერილ ადამიანში საკუთარი თავი ამოიცნო...**

**აქამდე, აზრადაც არ მოგვსვლია, მკითხველისთვის გვეთხოვა — რაოდენ კეთილშობილური მიზნებიც არ უნდა გამოძრავებდეთ, სხვისი, თუნდაც უახლოესი ადამიანის მიერ განცდილს ისე ნუ გაგვიზიარებთ, რომ მას არ დაეკითხოთ... ახლა კი დღევანდელ თემას მივუბრუნდეთ და ვნახოთ, თუ რას „გვიმესიჯებენ“ მკითხველები თავიანთი პირველი სიყვარულის შესახებ.**

## „ლადო მასწავლებელს თმაში ხელი ჩავავლე და ვაკოცე...“

*30 წლის ნინა გვწერს:*

„გავიზარდე წყალტუბოს რაიონის ერთ-ერთ სოფელში. მე-10 კლასში რომ გადავედი, სკოლაში მასწავლებლად თბილისელი ბიჭი მოავლინეს. მაშინ ლადო 26 წლის იყო. დანახვისთანავე შემიყვარდა. კარგი მამაკაცი იყო, ლამაზი და ბუნებრივია, მთელი სოფლის გოგონები თვალებს უპრაწავდნენ. ის კი ყურადღებას არავის აქცევდა. მის გაკვეთილზე გასუსული ვიჯექი ხოლმე და ყურადღებით ვუსმენდი. მოკლედ, ლადო ჩემი ოცნება გახდა. დედაჩემს შევუჩნდი — მათემატიკაში მომზადება მჭირდება, რეპეტიტორი ამიყვანე-მეთქი. ერთადერთი კანდიდატურა ლადო გახლდათ. მიმიყვანეს. დავიწყე მასთან შინ სიარული. ლადო ქირით ცხოვრობდა, მარტოხელა ქვრივის ბინაში. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ მისი დიასახლისი ასე, 40-45 წლის იქნებოდა. ერთ დღეს, ლადო მასწავლებელს მოულოდნელად ვეწვიე. თავის ოთახში არ დამხვდა. დავუწყე ძებნა. ერთი ოთახიდან საეჭვო ხმები შემომესმა. ფეხაკრეფით მივუახლოვდი და კარის ღრიჭოდან შევიხედე. ჩემი მასწავლებელი და მისი დიასახლისი ისე იყვნენ ალერსით გართულები, რომ ჩემი მისვლა არც გაუგონიათ. გამოქცევა მინდოდა, მაგრამ ფეხები არ მემორჩილებოდა. ვიდექი და ვუყურებდი, როგორ ვნებიანად ეფერებოდნენ ერთმანეთს... ყველაფერი ბოლომდე ვიხილე და მხოლოდ ამის შემდეგ გამოვიქეცი თავქუდმოგლეჯილი. ამის შემდეგ, ღამეები არ მეძინა. იქ ნანახი მედგა თვალწინ. ვიწვოდი ლადოს მოფერების სურვილით... ერთ დღეს, ლადოს დიასახლისი თბილისის ავტობუსს გაჰყვა. ეშმაკი შემიჩნდა, არ მომასვენა და საღამო ხანს, ლადო მასწავლებლის კარს მივადექი. არ დამიკაკუნებია, ისე შევედი. ლადო სავარძელში იჯდა და ტელევიზორს უყურებდა. ხელით მანიშნა, დაჯექიო. ავდექი და პირდაპირ კალთაში ჩავუჯექი. არ იუცხოვა. შემომხედა და ისევ ტელევიზორს მიუბრუნდა. თმაში ხელი ჩავავლე, თავი ავუწიე და ვაკოცე... გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა, მაგრამ მერე თვითონ დამიწყო მოფერება... იმ დღიდან მოყოლებული, 4 წელი ვხვდებოდით ერთმანეთს. შემდეგ თბილისში დაბრუნდა, მეც თან წამომიყვანა, უნივერსიტეტში ჩამაბარებინა, დამაბინავა და... ცოლი მოიყვანა. ჩემი ცხოვრება თავისი გზით გაგრძელდა. დღეს ორი შვილის დედა ვარ, მეუღლეს არასოდეს უკითხავს, ვინ იყო ჩემი პირველი მამაკაცი. ის ჩემთვის პირველი სიყვარული იყო და დღემდე მიყვარს... ვნანობ, რომ ჩვენი ურთიერთობა ასე ცოტა ხანს გაგრძელდა..“

## „პირველი სიყვარული უცებ დამავიწყა“

„პირველი სიყვარული მე-10 კლასში მეწვია. ჩვენს მეზობლად ახალი ოჯახი გადმობარგდა. ჩემი კბილა ბიჭი ჰყავდათ. ჰოდა, იმ ბიჭმა გზაზე გამაჩერა და მითხრა: თუ გინდა, ჩემი შეყვარებული იყავიო... ვიუკადრისე ასე ნათქვამი და უარი ვუთხარი. მერე ისე შემიყვარდა, ვერც მივხვდი, როდის წარმოიქმნა ამხელა გრძნობა. ჩემს კარის მეზობლად ჩემი თანაკლასელი გოგონა ცხოვრობდა. გალეული, ჭორფლიანი, საცოდავი შესახედი გოგო იყო. ერთ დღეს, საიდუმლოდ გამანდო — ნიკას ვუყვარვარო. კინაღამ გული გამისკდა. მე სიგიჟემდე მიყვარდა, მას კი ისეთი გოგონასთვის უძგერდა გული, რომელიც ყველაფრით ჩემზე ნაკლები გახლდათ... ავდექი და ნიკას სიყვარულში გამოვუტყდი. — დაგაგვიანდა, მე მადონა მიყვარსო, — მითხრა... ისე ვინერვიულე, რომ ლამის მშობლები გავაგიჟე. საჭმელს აღარ ვჭამდი, გავხდი, აღარც ვმეცადინეობდი. ვიწექი და ბალიშში თავჩარგული ვტიროდი. ვერ წარმომედ-

გინა, მადონას შეყვარება თუ ვინმეს შეეძლო, მას კი უბანში საუკეთესო ბიჭი ეტრფოდა. ერთად მოსეირნენიც ხშირად დამინახავს, საჩუქრებსაც ხშირად უძღვნიდა, მადონა გალაღდა და სრულიად შეიცვალა: თავის მოვლა ისწავლა, თმა შეიჭრა, კაბა დაიმოკლა და უცებ, ისეთ ალვისტანა გოგოდ იქცა, რომ შურით გულზე ვსკდებოდი... მოკლედ, ნიკა და მადონა დაქორწინდნენ. არასოდეს დამავიწყდება ის დღე, როცა გაიპარნენ... მადონამ გამანდო განზრახვა და მთხოვა – ნიკას მეგობარიც მოდის და შენც გამომყევი, ნუ გამიშვებ მარტოო... რა უნდა მექნა? იმ ღამით ბევრი ვიფიქრე. მეორე დღეს, მათთან ერთად მანქანაში ჩავჯექი და ნიკას ბებიასთან წავედით. მთელი გზა, ვიდრე სამეგრელოში ჩავიდოდით, ენა არ გამიჩერებია. წინ, მძღოლის გვერდით ვიჯექი და უკან თავის მიბრუნებისაც კი მეშინოდა, რადგან ვგრძნობდი, „სიძე-პატარძალი“ ერთმანეთს ჩახვეოდა და ამის დანახვას ვერ ავიტანდი... ახლაც არ ვიცი, რატომ გავყევი. ნიკას მეგობარი კი მხარს მიბამდა, – მეხუმრებოდა, მეარშიყებოდა კიდეც... ბებომ თბილად მიგვიღო. საღამოს, რამდენიმე სტუმარიც მოვიდა და სიძე-პატარძალი დავლოცეთ. ნიკას მეგობარი აშკარად გამოხატავდა ჩემით დაინტერესებას. ხელზე ხელს მიჭერდა, მეჩურჩულებოდა... ღამით ნიკა და მადონა მეორე სართულზე დააწვინეს, დათო (მეგობარი) მათ გვერდით ოთახში, მე კი – ქვემოთ, პატარა ოთახში მომათავსეს. მთვარიანი ღამე იყო. ფანჯრის რაფაზე შემოვჯექი, ვტიროდი და სიგარეტს სიგარეტზე ვეწეოდი. ამ დროს, კარს ვიღაც მოაწვა და ოთახში დათო შემოვიდა... უხმოდ მომიახლოვდა და მოფერება დამიწყო. წინააღმდეგობა არ გამიწევია... დილით კი გამოაცხადა – ჩვენც დავქორწინდით, ახლა ჩემებსაც შევატყობინებ, რომ ცოლი მოვიყვანეო. შევნიშნე, ნიკა ანერვიულდა. დათო იმდენად კარგი ადამიანი აღმოჩნდა, რომ პირველი სიყვარული უცებ დამავიწყა; სულ მალე თავს უბედნიერეს ქალად ვთვლიდი... მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა – მთელი 25 წელი გავიდა... ნიკა და მადონა 12 წლის შემდეგ გაიყარნენ. ჩვენ კი, უკვე დიდი შვილები გვყავს და ერთმანეთი ისევ ისე გვიყვარს. არ გეგონოთ, ამას ნიშნის მოგებით ვამბობდე – მართლა გული მწყდება... ნიკა ჩვენი ხშირი სტუმარია, მაგრამ მის დანახვაზე გული სულაც არ მითრთის... ასე რომ, შესაძლოა, მეორე სიყვარულმა უფრო გაამართლოს“.

## „ყურძნის სიყვარულით ღობეს ვკოცნიდი...“

„პირველი სიყვარული 12 წლის ასაკში მეწვია. ღმერთო, როგორ მიყვარდა! ის ჩემზე ოთხი წლით უფროსი გახლდათ, მმამჩნდა, რომ ძალზე დიდი ბიჭი იყო და სიყვარულის გამხელას ვერ ვუბედავდი. მის სახლთან საათობით „ვაბირჟავებდი“ ხოლმე, რომ რამდენიმე წამით მომეკრა თვალი. მისი ძმა ჩემი თანაკლასელი გახლდათ და როგორც იტყვიან, „ყურძნის სიყვარულით ღობეს ვკოცნიდი“... ჯარში ისე წავიდა, ჩემი გრძნობა ვერ გავუმხილე. მას ბავშვად მივაჩნდი და ყურადღებასაც არ მაქცევდა. ორი წელი ერთგული ცოლივით ველოდი მის დაბრუნებას. ამ დროისთვის უკვე 16 წლის ვიყავი, მაგრამ მაინც ვერ მოვახერხე, მეთქვა, მიყვარხარ-მეთქი. შემდეგ გავიგე, შეყვარებული ჰყავსო და... ცხოვრება აუტანელი გახდა ჩემთვის... ცოლად პირველსავე მთხოვნელს გავყევი. ოჯახი დამენგრა... ცხოვრების წესით, ყოველთვის ქმრის ერთგული ვიყავი, მაგრამ გონებით – მოღალატე ცოლი გახლდით: ყოველთვის „ის“ მიყვარდა. მის ამბებს შორიდან ვგებულობდი და თუ სადმე ქუჩაში შემთხვევით გადავეყრებოდი, გული ისე გამალებით მიცემდა ხოლმე, მეგონა, მთელ ქვეყანას ესმოდა. თვითონ კი აინუნშიაც არ მაგდებდა. გვერდით ჩამივლიდა და არც კი იცოდა, რომ წლების განმავლობაში მისი სიყვარული მტანჯავდა... სამი წლის წინ, სრულიად შემთხვევით, საერთო ნაცნობის ოჯახში გავიცანით ერთმანეთი. მაშინვე არშიყი დამიწყო... მოკლედ, რამდენიმე ხნის შემდეგ, სიყვარულიც ამიხსნა. სიხარულით ცას ვეწიე – 20 წლის შემდეგ ვისმენდი იმ სიტყვებს, რომელიც ასე მენატრებოდა... ყველაფერზე თვალი დავხუჭე (მის ოჯახზე, ჩემს სახელზე) და მასთან ურთიერთობაზე უარი არ მითქვამს... თუ წინათ, ჩემთვის, გულში ვესაუბრებოდი და ვეუბნებოდი – მიყვარხარ-მეთქი, – ახლა ყურში ვუჩურჩულებ და უზომოდ ბედნიერი ვარ, როცა პასუხად – მე უფრო მეტად მიყვარხარო, – მეუბნება. ჩემი ოცწლიანი სიყვარულის საიდუმლო კი, მხოლოდ მას შემდეგ გავუმხილე, რაც საერთო საიდუმლო გაგვიჩნდა. ბუნებრივია, გაოცდა და თანაც, ძალზე გაუხარდა... აი, ასე წლების შემდეგ დავიბრუნე პირველი სიყვარული. ღმერთმა იცოდეს, რომ ჩემი ძალისხმევით ეს არ მომხდარა – ეს განგების ბრალია მხოლოდ...“

## „იმ ქვეყნად პაემანზე დამიბარა...“

„ჩემს პირველ სიყვარულს ილია ერქვა. არა მგონია, ქვეყნად ვინმეს ისე ჰყვარებოდა ერთმანეთი, როგორც ჩვენ... მაშინ 21 წლის ვიყავი, ილია – 23-ის. ყველა, ვინც გვიცნობდა, დარწმუნებული იყო, რომ ვერაფერი დაგვაშორებდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ ჩემმა თანამშრომელმა, 32 წლის კაცმა მომიტაცა. ბევრი ვეცადე, ჩემი სიწმინდე გადამერჩინა, მაგრამ ჩემზე ღონიერ ადამიანს ვერ გავუმკლავდი. მან იცოდა – თუ ჩემს დამორჩილებას ვერ მოახერხებდა, მასთან არ დავრჩებოდი. სწორედ ამიტომ იხმარა ძალა და დამისაკუთრა... ორი კვირა ისეთ ადგილას გადამმალა, ეშმაკიც ვერ მომაგნებდა. შემდეგ, ჩემს მშობლებს შეატყობინეს ჩვენი ადგილსამყოფელი და ჩემს სანახავად მოსულებს, შინ გავყევი. იმ დღესვე მოვიდა ილია და მემუდარებოდა – ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, რა მოხდა, ცოლად გამომყევიო. ვტიროდი, საშინელ დღეში ვიყავი, მაგრამ ჩემს სიყვარულს სხვისგან გათელილი სხეული ვერ ვაკადრე და უარი ვუთხარი. ერთი კვირის შემდეგ კი, მოძალადეს გავყევი ცოლად. რა თქმა უნდა, ამაში დიდი როლი თვითონ და ჩვენმა მშობლებმა ითამაშეს. ვერ ვიტყვი, შმაგი ცუდი ქმარი იყო-მეთქი, მაგრამ ჩემი თანაგრძნობა ვერ მოიპოვა. თუმცა, ჩემს მოვალეობას ქმრის, შვილებისა და ოჯახის წინაშე პირნათლად ვიხდიდი. ჩემი გათხოვების შემდეგ, ილია რუსეთში წავიდა და კარგა ხანს, მის შესახებ არაფერი შემიტყვია. ვიცოდი, რომ წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ჩამოდიოდა და კვლავ უკან ბრუნდებოდა... ერთმანეთს თბილისში, 15 წლის შემდეგ, შემთხვევით შეეხვდით. ვერ აღგიწერთ, რა დღეში ჩავცვივდით. ჩემი 13 წლის გოგონა მახლდა თან და ბავშვი გაოცებული გვიყურებდა, ვერ გაეგო, რატომ ვტიროდით ორივე ასე გულამოსკვნილები. ჩემი ტელეფონის ნომერი მივეცი და – ხანდახან დამირეკე-მეთქი, – ვუთხარი. მართლაც, იშვიათად რეკავდა. გავიგე, რომ მშობლები აღარ ჰყავდა და თვითონ ძველ მისამართზე, მარტო ცხოვრობდა... ძმა აფხაზეთში იბრძოდა და იქიდან ინვალიდი დაბრუნებულა, მაგრამ ცალკე ცხოვრობდა... ერთ დღეს, შეხვედრაზე შევთანხმდით. მასთან შინ მივედი, ბევრი ვისაუბრეთ. ტიროდა და ისე მემუდარებოდა, – ქმარი მიატოვე და ჩემთან გადმოდი საცხოვრებლადო (ცოლი არ ჰყოლია), მერე კოცნა დამიპირა. გავბრაზდი და ვუთხარი – აღარ დამირეკო, არც ჩემს ქმრობაზე იფიქრო და

არც საყვარლობაზე-მეთქი – და მისი ბინის კარი გამოვიჯახუნე. საღამო ხანს მე თვითონ დავურეკე. ვიფიქრე – ცოტა უხეშად მომივიდა თქმა და დავამშვიდებ-მეთქი. ყურმილი არ აიღო. მერეც, მთელი კვირის მანძილზე არ პასუხობდა ტელეფონის ზარს. ერთ საღამოს კი, ვიღაცა მამაკაცმა მიპასუხა. ილია მინდოდა-მეთქი, – ვუთხარი. – ილია გარდაიცვალა და აგერ, „ზალაში“ ასვენიაო, – ძალზე მშვიდი ხმით მიპასუხა. გავოგნდი. კარგა ხანს ასე, გაუნძრევლად ვიჯექი. მერე ვიფიქრე, ალბათ ვიღაცამ უკბილოდ იხუმრა-მეთქი და ისევ დავრეკე. ამჯერად ქალმა მიპასუხა და იგივე მითხრა. ვცადე, გამომეკითხა, რა მოხდა, მაგრამ ვერაფერი ვათქმევინე. გასვენების დღეს მივედი. ხმამაღლა ღრიალი მინდოდა, მაგრამ უცხო ხალხის მომერიდა. მერე გავიკითხე და მითხრეს – ერთი კვირის გარდაცვლილი იპოვეს საწოლში, გვერდით კი, წამლების ცარიელი შუშები ეყარა, როგორც ჩანს, თავი მოიკლაო... ისიც თქვეს, ნათესავები მისი ბინისთვის ერთმანეთს დაერივნენო. თითქმის ყოველდღე დავდიოდი მის საფლავზე და გულს ვიოხებდი ტირილით. რამდენიმე ხნის შემდეგ, უცხო მამაკაცმა დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. ილიას წერილი და რაღაც საბუთები გადმომცა. ჩემი წინათგრძნობა გამართლდა – წერილში მიხსნიდა, რომ იმედგადაწურული იყო და ამიტომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება. უამრავ სასიყვარულო სიტყვას მწერდა და იმ ქვეყნად პაემანზე მიბარებდა... წარმოიდგინეთ, როგორი მძიმე გადასატანი იქნებოდა ჩემთვის ეს ამბავი. რაც შეეხება საბუთებს – იქ მისი უძრავ-მოძრავი ქონება ჩემზე იყო გაფორმებული – ერთადერთი მემკვიდრე გახლდით. ამან მთლად შემშალა ჭკუიდან. არავისთვის გამიმჟღავნებია ეს ამბავი. მთელი წელი ისე გავიდა, საფლავიც კი არავის შემოუფარგლავს. გავბრაზდი. მისი ნათესავები კანონის ძალით გამოვასახლე მისი ბინიდან, გავყიდე და საფლავი საკადრისად მოვუწყვე. მის ძმას ვუმკურნალე და კიდევ ერთი ოცნება შევუსრულე, რომლის შესახებაც წერილში მაუწყებდა: მისი მშობლების ნეშტი მის გვერდით გადმოვასვენე... ახლა ცხოვრება თავისი გზით მიდის და ველი იმ დღეს, როდესაც მასთან იმ ქვეყნად პაემანზე მისვლა მომიწევს. მისი სიკვდილის შემდეგ ქმარს გავეყარე და მიზეზიც არ დამიმალავს. ჩვენი ცხოვრება მან დაანგრია და პასუხი ასე ვაგებინე. არ ვიცი, სწორად მოვიქეცი თუ არა, მაგრამ ახლა თავს გაცილებით მშვიდად ვგრძნობ. გმადლობთ, რომ მომისმინეთ...“

## „ჩემი პირველი სიყვარული „პონჩიკების“ გამყიდველი იყო...“

*ახლა კი, ტრადიციისამებრ, მოკლე „მესიჯები“.*

„პირველი სიყვარული 5 თვის წინ მეწვია. ოცნებაში თეთრ რაშზე ამხედრებულ, ზღაპრულ პრინცს ველოდი, ის კი საკმაოდ შელახული BMW-თი გამოცხადდა. არც გარეგნობით ბრწყინავდა, მაგრამ დამჭრა ამურმა სიყვარულის ისრით. სუპერკაცია! – გავიძახოდით მე და ჩემი დაქალები, მისი ჯენტლმენობითა და თავაზიანობით მოხიბლულები... სიყვარული ისე ამიხსნა, რომ ჩემი გრძნობა მის მიმართ გაათმაგდა. ერთ დღესაც აღმოვაჩინე, რომ მისთვის ერთადერთი სიყვარული არ ვყოფილვარ. ჩემს მეგობარსაც ეარშიყებოდა და იმავე სიტყვებს ეუბნებოდა, ზუსტად ისეთსავე „მესიჯებს“ სწერდა, როგორსაც მე. ვეღარ მოვითმინე და ვუთხარი – „დაიწვი“, გენაცვალე-მეთქი, მაგრამ თავი ისე იმართლა, რომ დამნაშავედ საკუთარი თავი ჩავთვალე. მარი, „გზავნილების“ აქტიური მკითხველი ვარ და ჩემი „მესიჯებიც“ მოხვედრილა „გზის“ ფურცლებზე. ახლა კი, მინდა, ჩემს პირველ სიყვარულს ვუთხრა: შესაძლოა, შანსი ვეღარ მოგცე, შესაძლოა, ვერ გაპატიო, მაგრამ მიყვარხარ... რატომ გამიბრაზდი?“

„მინდა, ჩემი სიყვარულის შესახებ გიამბოთ, რომელსაც სამი წელი მძევლად ვყავდი და „მსხვერპლშეწირვის“ მიჯნაზე, ჩემმა გონებამ ევოლუცია განიცადა და ყველაფერი დამთავრდა. ის ჩემი პირველი სიყვარული გახლდათ და ვშიშობ, უკანასკნელიც, რადგან მის გარეშე ცხოვრება უღიმღამოა და გაცვეთილი. მისმა ეგოიზმმა დამშოკა. არადა, ყველაფერი რა ლამაზად დაიწყო! ცხოვრების ხელახლა დაწყების შანსი რომ მომეცეს, იმავეს გავიმეორებდი. სამი წელი მასზე ოცნებაში გავატარე. შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ ჩემს შეყვარებულს ცოლი, სამი შვილი და საყვარელი ჰყოლია. ასე გამიცრუდა იმედები... ახლა ოცნებისაც მეშინია...“

„ჩემი პირველი სიყვარული უიღბლო აღმოჩნდა. მას არ ვუყვარდი, უფრო მეტიც – ვეჯავრებოდი. ახლა კი, პირიქით – მას ვუყვარვარ, მე მეჯავრება... გუგუ, დაგაგვიანდა! ნენსი“.

**„ნათია დავითაძე ჩემო ანგელოზო, ჩემი ქალღმერთი ხარ. შენზე ფიქრებმა დასერა გული, ჩემი ოცნება და ჩემი ფერია ხარ, ჩემი ცხოვრება და ჩემი სიყვარული.** ბათუმი. ფ-მ“.

„ჩემი პირველი და უკანასკნელი სიყვარული მაკაა, რომელიც გავიცანი ეკლესიაში და ვფიქრობ, რომ ღმერთმა დაგვაკავშირა ჩვენ, ორნი. ვ.დ.“

„ჩემი პირველი სიყვარული „პონჩიკების“ გამყიდველი იყო, რომელიც თანაგრძნობის ნაცვლად, „პონჩიკებს“ მჩუქნიდა ხოლმე. მშიერს, ბევრჯერ მინატრია გიოს ნაჩუქარი „პონჩიკი“. მზია“.

„ერთი ბიჭი შემიყვარდა. მას ვიღაც გოგო მოსწონდა და მასთან საქმეს ვუწყობდი, მე კი სიგიჟემდე მიყვარდა... ახლა კლასელები ვართ. მე ისევ მიყვარს, მაგრამ მან არაფერი იცის. მიცანი, სიხარულო? ნათია ვარ“.

„მინდა, კოსტა კაკულიას საიდუმლო გავუმხილო. ის ჩემი პირველი და ერთადერთი სიყვარულია, მან კი არ იცის. თქვენი ჟურნალით ვუხსნი სიყვარულს. იქნებ, იმ „ზღარბმა“ წაიკითხოს. კოსტიკ, ამქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარხარ. „ლურჯთვალა“ სამედიცინოდან“.

„დათო, შენ ნამდვილი ჯენტლმენი ხარ. განა არ ვაფასებ შენს საქციელს? მაგრამ მაინც ოხერი ვარ და რა ვქნა? უპასუხოდ არაფერს ვტოვებ. ამიტომ, ჩემი ახირებებიც შენი ბრალია. თუ გადავაჭარბე, მაპატიე. იმედია, ჰოლანდიაში წასვლის თარიღს შემატყობინებ. მშვიდობით. ნინო“.

„პირველად ახლა მეწვია სიყვარული. მიყვარს ბიჭი, რომელსაც თვალებით ველაპარაკები. ერთმანეთს მხოლოდ ვესალმებით... ლევანზოს, ნაცნობისგან“.

„ჩემი პირველი სიყვარული მალე დამთავრდა – 8 თვეში. იცით, რატომ? მშობლებმა გადაწყვიტეს ასე. მინდა, თქვენი საშუალებით გიორგის ვუთხრა: ყველაფრის მიუხედავად, მაინც მიყვარხარ და არასდროს შემიყვარდება ვინმე ასე ძლიერად. მარი“.

**„ჩემს დედამთილს ვენაცვალე – ბატი უსუქებია, ერთი ბიჭი გაუზრდია, ჩემთვის უჩუქებია...** ლევან, მიყვარხარ. ლიზი“.

*ამჯერად ამით დავამთავროთ. მომდევნო „გზავნილების“ თემად კი, მობილური ტელეფონის მნიშვნელობაზე საუბარს გთავაზობთ. ის ხომ ძალუმად შემოიჭრა ჩვენს ყოფაში და ხშირად, გადამწყვეტი როლიც შეუსრულებია. ველით თქვენს „მესიჯებს“ ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. გვიამბეთ თავგადასავლები, რომლის დროსაც მობილური ტელეფონი გაჭირვების ტალკვესად მოგევლინათ.*

■

მას შემდეგ, რაც აჩი მეფარიძის სიმღერაზე გადაღებული კლიპი — „მშვიდობით“ ეკრანზე გამოვიდა, „თეატრალური სარდაფის მსახიობი“ ნანკა კალატოზიშვილი, რომელიც ამ კლიპში ნარკომანი გოგონას როლს ასრულებს, საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. მასზე ათასი ჭორი გავრცელდა, ნარკომანობაც კი დასწამეს, თუმცა მსახიობი ჭორებზე კარგად ხალისობს... ნანკამ ასევე ეპიზოდური როლი შეასრულა ქართულ სერიალში — „მგლების ხორუმი“, მონაწილეობს კახაბერის კლიპში — „ისევ მიდიხარ“, ამასთანავე, არის ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემების — „ექსკლუზივისა“ და „არტ ბულვარის“ წამყვანი. რა კომპლექსები აქვს ნანკას და აპირებს თუ არა იგი უახლოეს მომავალში გათხოვებას? ამ და სხვა კითხვებზე თავად მსახიობი გვიპასუხებს.

# ნანკა კალატოზიშვილს შეუყვარებული ცალთვალა ხვლით შემზადებს ყვავილების თაიგულს

## ბედუკულმართ ქალთა როლის შემსრულებელი ჭორებს ყურს არ უგდებს

ნათია ქივიძე

**— ნანკა, ახლა თუ მუშაობ რაიმე ახალ როლზე?**

— ჯერ არაფერზე არ ვმუშაობ, მხოლოდ სპექტაკლები მაქვს „თეატრალურ სარდაფში“. მომავლისთვის, სამი პროექტია დაგეგმილი. ერთ სპექტაკლს თავისსავე პიესაზე რეჟისორი გიო მგელაძე დადგამს და მასში მივიღებ მონაწილეობას. ასევე, ოთარ ეგაძესაც აქვს რაღაც პროექტი... საერთოდ, რაიმე საკითხზე წინასწარ არ ვლაპარაკობ ხოლმე, რადგან მერე ყველაფერი მეშლება. ამიტომ მეტს აღარაფერს გეტყვი *(იცინის)*. რაღაც სერიალის გადაღებაც არის პერსპექტივაში, რომლისთვისაც ძალიან კარგი სცენარია დაწერილი. უბრალოდ, გადამღებმა ჯგუფმა მთხოვა, ამის შესახებ ჯერ არ ილაპარაკოო და ამიტომ არაფერს ვამბობ.

**— როგორ მოხვდი „მგლების ხორუმის“ გადაღებებზე?**

— ძალიან უცნაურად მოვხვდი. კასტინგზე არც ვყოფილვარ. ზაზა ხალვაშს „იმედის“ გადაცემების კასტინგის ჩანაწერები ჰქონდა ნანახი და როცა ამ სერიალს იღებდა, რატომღაც მე გავახსენდი. გადაღებაზე მივედი თუ არა, არც გამომცადეს — პირდაპირ ამიხსნეს, რა უნდა გამეკეთებინა. მერე, აბსოლუტურად სხვა სცენა გავიდა ეთერში. უფრო კარგი რაღაცები გვქონდა გადაღებული, მაგრამ ცუდად დაამონტაჟეს. რომ ვნახე სერიალი, ვიტირე, იმდენად არ მომეწონა. ვინ დაამონტაჟა, არ ვიცი. ის ვიცი, რომ რეჟისორი სერიალის მონტაჟს არ დასწრებია...

**— საერთოდ, რა აზრის ხარ სერიალებზე?**

— კარგია, რომ სერიალები საქართველოში მოდაში შემოვიდა: ფილმს აღარავინ იღებს და სერიალი მაინც გადაიღონ, რამდენი ადამიანი დასაქმდება — მსახიობი იქნება, მემონტაჟე თუ სხვა ვინმე!.. შინაარსიანი და ისტორიული სერიალები მომწონს, მაგრამ ბრაზილიურ სერიალებს ვერ ვიტანი — ორი წელი რომ გრძელდება და დასასრული აღარ აქვს. თან, იცი, რა არის? დიდხანს რომ რომელიღაცა როლს თამაშობ, მერე ეჩვევი და ცხოვრებაშიც ისევე ლაპარაკობ, როგორც როლის შესრულების დროს. გვარს არ დავასახელებ, მაგრამ ჩვენშიც ბევრია ისეთი, როლიდან რომ ვეღარ გამოდის... თებერვალში, „იმედზე“ დათო ჯანელიძის ახალი სერიალი გამოდის. ჩემი გმირი იქაც კვდება, აბორტს ეწირება (რა საშინელებაა — ყველგან ვკვდები!).

**— რა შეგრძნება გეუფლება, როდესაც შენი გმირი კვდება? თუ გიჭირს როლიდან გამოსვლა?**

— არა. ძალიან მაგრად ვიტყუები. ასე რომ იყოს და ოტელო როლში შეიჭრას, მაშინ დეზდემონა მართლა უნდა დაახრჩოს... მსახიობი ზღვარს ყოველთვის უნდა გრძნობდეს და კარგად იტყუებოდეს (მარტივად რომ ვთქვა). ჩემი ტყუილების ხანდახან მეც მჯერა ხოლმე... რაც შეეხება ჩემი გმირების სიკვდილს — „მგლების ხორუმში“ მე და ჩემი შეყვარებული ტალახში რომ ვიწექით გარდაცვლილები, მართლა, ცუდად გავხდი: ჯერ ერთი, არ უნდა გვესუნთქა, რადგან ზამთარი იყო და ცხვირიდან გამოსული ორთქლი ჩანდა, თან ხალხის მგლოვიარე სახეებს ვუყურებდი, მერე კი სახეებზე ნაბადი გადაგვაფარეს და ვიფიქრე, რომ მართლა მოვკვდი, ამით კი ძალიან დავითრგუნე...

**— მოდი, ისევ შენს პროფესიას დავუბრუნდეთ. რა იყო შენი პირველი როლი?**

— ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, თეატრალურ ინსტიტუტში გოგოლის „ქორწინება“ დავდგით, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ჩვენზე იმასაც ამბობდნენ — ამ სპექტაკლის შემდეგ ამბიციები გაუჩნდათო. სასაცილო ის არის, რომ ვინც ეს თქვა, მან თვითონ დადგა პირველ კურსზევე ჩეხოვის „თოლია“!.. საუბედუროდ, ამბიცია დღემდე არ მაქვს, თუმცა ხანდახან საჭიროა... პირველი კინოროლი კი, რეჟისორ იური ბერიძის „დამნაშავე ანგელოზებში“ ვითამაშე. ეს ფილმი ახლა წაიღეს ამერიკაში. ომის პერიოდში ებრაელების დევნას ასახავს.

**— პოპულარობა ყველაზე მეტად, ჯერჯერობით, აჩი მეფარიძის კლიპმა — „მშვიდობით“ მოგიტანა. ეს შენთვის პირველი კლიპი იყო?**

— არა. პირველად ჯგუფ „ვაკის პარკის“

| ჩინეთის დედაქალაქი | | |

სიმღერაზე — „შალალა“ გადაღებულ კლიპში ვითამაშე. ვერ ვიტან ჩემს თავს მაგ კლიპში. „ძმვიდობით“, კახურელას კლიპის — „ისევ მიდიხარ“ — შემდეგ არის გადაღებული, მაგრამ უფრო გვიან გავიდა ეკრანზე.

**— როგორი გამოხმაურებები მოჰყვა ამ შენს როლს?**

— რადგან ხალხს ნარკომანი ვგონივარ, ეი. კარგად ვითამაშე: ვიღაცები მირეკავდნენ და მეკითხებოდნენ — კლიპში მართლა პლანს ეწევიო? ყველას სათითაოდ ვუხსნიდი, რომ სიგარეტს ვეწეოდით. ქუჩაში ერთი გოგო მოვიდა ჩემთან და გამწარებულმა მომახალა — მეტის ღირსი იყავი, იმ კლიპში შეყვარებული რომ გაგექცაო... მადლობა გადავუხადე — აბა, რა უნდა მეთქვა?!

**— ცხოვრებაში ხომ არ გადაგხდენია მსგავსი რამ?**

— არასოდეს — ღმერთმა დამიფაროს! კლიპში ეს როლი კარგად იმიტომ ვითამაშე, რომ ჩემი შეყვარებულის როლს სინამდვილეშიც ჩემი შეყვარებული — დათუნა გამცემლიძე ასრულებდა და წარმოიდგინე, ის რომ ჩემგან წასულიყო... თან, სიმღერის თანხლებით ტექსტს რომ ჩავწვდი, ვიფიქრე — სად მიდის, რომ მიდისმეთქი *(იცინის)*? ამის გამო სერიოზულად ვიტირე. აეროპორტში ხალხი მოდიოდა და მეკითხებოდა — რა გჭირსო?.. ყველაზე კარგი, იცი, რა იყო? ამ კლიპს ამსტერდამში ვიღებდით, იქ კი „ხანიგები“ დადიან, დაუბანლები, ჩაუცმელები და ამ დროს, აჩი თეთრ კოსტიუმსა და ცილინდრში იყო გამოწყობილი. იქაურები ჩერდებოდნენ და სურათებს უღებდნენ — ვიღაც ციდან ჩამოფრენილი ეგონათ.



**— რომელიმე როლის შესრულებაზე თუ გითქვამს უარი?**

— არასოდეს მითქვამს უარი. ახლა ახალი სპექტაკლი რომ იდგმება, ლესბოსელის როლი უნდა შევასრულო. ამისი არ მეშინია, პირიქით — მაინტერესებს. სამ ახალ პროექტზე რომ გითხარი, სამივეში „სტრანნი“ როლებს ვასრულებ. მერე ჩემზე ახალი ჭორები აგორდება და კომერციის მიზნით, ჟურნალების ყდებზე დაწერენ: „არის თუ არა ნანკა კალატოზიშვილი ლესბოსელი?“ ეს სპექტაკლები ზუსტად როდის დაიდგმება, ჯერ არ ვიცი.

ახალი სერიალი გამოდის. ჩემი გმირი იქაც კვდება, აბორტს ეწირება

**— შენზე გავრცელებულ ჭორებზე როგორი რეაქცია გაქვს?**

— ჩემზე საშინელებებს ამბობენ. ამას რომ ავყვე, ხომ გავგიჟდები?! ჭორებს არ ვეხმიანები, რადგან თავს თუ ვიმართლებ, ეი. დამნაშავე ვარ. ადრე მეგონა — თუ ვინმეზე ჭორაობდნენ, ამის მცირე საფუძველი მაინც ჰქონდათ-მეთქი, მაგრამ ახლა საკუთარ თავზე გამოვცადე, რომ აბსოლუტურად უსაფუძვლოდ თხზავენ ხოლმე რაღაც ამბებს... მეცოდება ჭორიკანა ხალხი, რადგან ისინი სულ ამით არიან დაკავებულები და საკუთარი ცხოვრება არა აქვთ.

**— საკუთარ თავში ყველაზე დიდ კომპლექსად რა მიგაჩნია?**

— არ მიყვარს, ფილმსა თუ სპექტაკლში ტანსაცმელის გახდა, რადგან მიმაჩნია, რომ გაშიშვლდე, ძალიან ლამაზი სხეული უნდა გქონდეს. ეს იმდენად კომპლექსი კი არ არის — უბრალოდ, არ მინდა... არ შემიძლია, ქუჩაში ყვავილებით ხელში ვიარო. ვისაც ჩემი გახარება უნდა, შინ მომიტანოს ყვავილები, ოღონდ, ქუჩაში ნუ დამაჭერინებს ხელში. დათუნა მჩუქნის ხოლმე ძალიან ლამაზ, მინდვრის ყვავილების თაიგულს, რომელსაც თავადვე ამზადებს...

**— ახლა შენს გადაცემებზეც — მირეკავდნენ და მეკითხებოდნენ — კლიპში მართლა პლანს ეწევიო? „ექსკლუზივსა“ და „არტ ბულვარზეც“ ვისაუბროთ. როგორ გრძნობ თავს წამყვანის ამპლუაში?**

— „იმედში“ ოთარ შამათავას წყალობით მოვხვდი, რომელსაც გავახსენდი და კასტინგზე მიმიწვია. ძალიან კმაყოფილი ვარ იქ მუშაობით, რადგან ბევრი საინტერესო ადამიანი გავიცანი. უნდა აღვნიშნო, რომ ძალზე რთულია თქვენი პროფესია. წამყვანობას კიდევ არა უშავს, კორესპონდენტობა უფრო შრომატევადია. „იმედში“ ყველანაირად მეხმარებიან, რომ კარგი წამყვანი ვიყო.

**— შენს სიყვარულზეც, დათუნაზეც გვითხარი რამე.**

— დათუნაზე ყველასთან იმდენს ვლაპარაკობ — რაღა უნდა ვთქვა, არ ვიცი. მას ჩემზე ისეთ ამბებს უყვებიან, რომ აგიჟებენ, მაგრამ კარგად მიცნობს და ჩემში ეჭვი არ ეპარება. უკვე ხუთი წელია, ერთმანეთი გვიყვარს და სულ მალე, ერთად ვიცხოვრებთ. ჯვარს აუცილებლად დავიწერთ, რადგან დათუნას უნდა ასე, ხელს კი, არავითარ შემთხვევაში არ მოვაწერთ, რა საჭიროა, ვერ ვხვდები. არც ქორწილი გვექნება, რადგან ჩემში ქორწილი და ქელეხი ერთსა და იმავე ასოციაციას იწვევს. იცი? აჩის კლიპის გადაღებებზე შევრიგდით მე და დათუნა. უაზრო რაღაცებზე ვკამათობთ ხოლმე. მაშინაც ნაჩხუბრები ვიყავით და ვინც ეს ამბავი იცოდა, კლიპის მერე გვირეკავდნენ და გვეკითხებოდნენ — თქვენთვის დაწერეს ეს სცენარი? აი, რამდენად იყო ეს კლიპი ჩემთვის წარმატებული... ■

| ...ბა | „საპნის ოპერის“ ერთ-ერთი ნაწილი | საქართველოს ერთ-ერთი კუთხე | გადაცემა: „ტელე-...-ვიდეო“ | ბეღლის მღრღნელი | „... არიან მორწმუნენი“ | უარყოფითი პასუხი | რისამე გამყოფი ძგიდე |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | |
| | შენი ხმალი და ჩემი ... | სამშენებლო მასალა | ს. თაყაიშვილის როლი ფილმში „დათა თუთაშხია“ | მსახიობი ... პელტროუ | მთა, სადაც გაჩერდა ნოეს კიდობანი | შიანური პირუტყვი | |

# მიგებება (მირქმა) უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი

მორენა მერკვილაძე

მირქმა (მიგებება) უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი – ასე ეწოდება თორმეტ საუფლო დღესასწაულთაგან ერთ-ერთ დღესასწაულს, რომელსაც მართლმადიდებლური ეკლესია ყოველწლიურად, 15 თებერვალს აღნიშნავს.

მირქმის დღესასწაულით წმინდა ეკლესია იხსენიებს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრებიდან, რომელიც უფლის შობიდან მეორმოცე დღეს მოხდა: ყრმა იესო იერუსალიმის ტაძარში მიიყვანეს, რადგან მოსეს სჯულის მიხედვით, როდესაც დედაკაცი მამრობითი სქესის ბავშვს შობდა, ღვთის ტაძარში შესვლის უფლება ორმოცი დღის შემდეგ ჰქონდა. ლუკა მახარებელი წერს: „როგორც უფლის სჯულში წერია, ყოველ მამრობითს, რომელმაც განაპოს საშო, წმიდა უფლისა ეწოდოს“ (ლუკა 2, 23) – ე.ი. საშოს გამხსნელი ყოველი წული, უფლის წმინდად იწოდებოდა. ოჯახი კი ასეთ შემთხვევაში ვალდებული იყო, ღვთისთვის სამადლობელი და განსაწმენდელი მსხვერპლი შეეწირა. ღარიბი ოჯახისთვის დადგენილი იყო ორი გვრიტი ან მტრედის ორი ხუნდი. მართალია, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, რომელმაც ქორწინების გამოუცდელად შვა წყარო სიწმინდისა, განწმენდა არ სჭირდებოდა, მაგრამ თავისი ღრმა სიმდაბლით, რჯულის განაწესს მაინც დაემორჩილა და მართალ იოსებთან ერთად, ღმერთს სამადლობელი და განსაწმენდელი მსხვერპლი შესწირა, კერძოდ – მტრედის ორი ხუნდი.

იმ ხანებში, როდესაც უფალი იშვა, იერუსალიმში ცხოვრობდა მართალი მოხუცი – სვიმონი, რომელიც „ძველი აღთქმის“ წიგნებს ებრაულიდან ბერძნულად თარგმნიდა. სვიმონი დააეჭვა ესაია წინასწარმეტყველის სიტყვებმა, რომელიც აუწყებდა, რომ მაცხოვარი ქალწულისგან იშვებოდა. მართალმა სვიმონმა იფიქრა, რომ სიტყვა „ქალწული“ შეცდომით ეწერა და გადაწყვიტა, თარგმნისას, „ქალწული“ – „ქალით“ შეეცვალა. ამ დროს, სვიმონს ანგელოზის პირით ეუწყა, რომ არ აღესრულებოდა მანამ, სანამ საკუთარი თვალით არ იხილავდა ქალწულისაგან შობილ კაცობრიობის მხსნელს. სვიმონი სასოებით მოელოდა აღთქმული მესიის ხილვას.

მართლაც, სვიმონი, სულიწმიდის შთაგონებით, იერუსალიმის ტაძარში იმ დროს მივიდა, როდესაც ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა და მართალმა იოსებმა ყრმა იესო მიიყვანეს, რათა სჯულით დადგენილი წეს-ჩვეულება აღესრულებინათ. მართალმა სვიმონმა ხელში აიყვანა ყრმა იესო, ადიდა ღმერთი და მაცხოვარზე წინასწარმეტყველური სიტყვები წარმოთქვა: „აწ უშვებ მეუფეო, შენს მონას, შენი სიტყვისაებრ, მშვიდობით, ვინაიდან იხილა ჩემმა თვალმა შენი ხსნა, რომელიც შენ განამზადე ყოველი ხალხის სახის წინაშე, სინათლე წარმართთა გასაბრწყინებლად და შენი ხალხის, ისრაელის სადიდებლად“ (ლუკა 2, 29-32). ე.ი. მოხდა მიგებება, მირქმა. სწორედ ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას განადიდებს საზეიმოდ, 15 თებერვლის საუფლო დღესასწაულით, მართლმადიდებლური ეკლესია.

უფლის მირქმისას, სვიმონ ღვთისმიმრქმელმა აკურთხა უფლის მშობლები და წმიდა მარიამს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „დაყენებულია ეს მრავალთა დასაცემად და აღსადგენად ისრაელში და დავის ნიშნად; და თვით შენს სულშიც გაივლის მახვილი, რათა განცხადდეს მრავალთა გულის ზრახვანი“ (ლუკა 2, 34-35). ეკლესიური განმარტებით, „დაცემულებში“ ქრისტესადმი ურწმუნონი იგულისხმებიან, „აღდგენილებში“ – მორწმუნენი. წმინდა ტიმოთე იერუსალიმელი წერს: „არა თუ სვიმონ თვისითა გონებითა, არამედ უწყებითა სულისა წმიდისათა ეტყოდა ქალწულსა მას უფლისათვის: დაცემად ურწმუნოთათვის იტყოდა და აღდგომად – მორწმუნეთათვის...“

რაც შეეხება, მართალი სვიმონის მიერ, წმინდა მარიამის მიმართ წარმოთქმულ სიტყვებს – „და თვით შენს სულშიც გაივლის მახვილი, რათა გაცხადდეს მრავალთა გულის ზრახვანი“ – იგულისხმება უფლის ჯვარცმა და სხვებთან ერთად ყოველივე ამის მხილველი, დედა ღვთისმშობელი. ამიტომაცაა ღვთისმშობლის მომავალში განსაცდელი ტკივილი, ამ წინასწარმეტყველებაში ასეთი მძაფრი სიტყვებით წარმოჩენილი. როდესაც წმინდა ტიმოთე იერუსალიმელი, „სინურ მრავალთავში“, მაცხოვრის ტაძრად მიყვანებასთან დაკავშირებით საუბრობს, წერს: „ოდეს ჯუარს აცუეს იესო ჰურიათა და მზესა მოაკლდა ნათელი და კლდენი განსქდეს, ამისთვის, ვითარცა მახვილმან განვლო სულსა მისსა. ამას მახვილსა იტყოდა სვიმონი, რომელი იგი ურვაი მოწევნად იყო ქალწულსა და მისი წინავე აუწყა“.

მართალ სვიმონთან ერთად, უფლის მიგებების ღირსი გახდა ანა წინასწარმეტყველიც, რომელიც იმ დროს, 84 წლის

იყო. ანა წინასწარმეტყველი იყო ასული ფანოელისი, ასერისის ტომიდან. ანა ახალგაზრდა დაქვრივდა და დაქვრივების შემდეგ, ტაძარს არ მოშორებია, მარხვითა და ლოცვით მსახურებდა ღმერთს. უფლის მირქმის დროს, ანა წინასწარმეტყველი ადიდებდა ყრმა იესოს და მაცხოვრის შესახებ ესაუბრებოდა ყველას, ვინც კი იერუსალიმის გამოხსნას მოელოდა მესიისგან.

ღვთის მიგებების (მირქმის) დღესასწაული, ქრისტიანული ეკლესიის უძველეს დღესასწაულთა რიგს განეკუთვნება. თუმცა, მიუხედავად ადრეული წარმოშობისა, იგი IV საუკუნემდე არ აღინიშნებოდა. იმპერატორ იუსტინიანეს დროს (527-565 წლებში), ბიზანტია ჯერ საშინელმა მიწისძვრამ, შემდეგ კი ჟამიანობამ შეაწუხა. საყოველთაო უბედურების დროს, ერთ-ერთ ღვთისმსახურს ზეციდან ეუწყა, რომ მორწმუნეებს საზეიმოდ აღენიშნათ უფლის მირქმის დღესასწაული. მართლაც, იმ წელს, როდესაც უფლის მირქმის დღესასწაულის ღამისთევის ლოცვა და ლიტანიობა აღასრულეს, უბედურებანი, რომელიც ბიზანტიას დაატყდა თავს, შეწყდა. მადლიერების ნიშნად, წმინდა ეკლესიამ დაადგინა, რომ ყოველწლიურად, საზეიმოდ აღენიშნათ უფლის მირქმის დღესასწაული. ეს მოხდა 544 წელს.

მიგებების (მირქმის) დღესასწაული კიდევ ერთხელ ნათელყოფს, რომ იესო ქრისტე დედამიწაზე გამოჩნდა ნამდვილი ადამიანის და არა მოჩვენებითი სხეულით. მიგებების დღესასწაული არის ზეიმი ადამიანის მიგებებისა, უფალთან შეხვედრისა. ეს დღესასწაული მიგვანიშნებს, რომ ვინც რჯულის მიხედვით ცხოვრობს, მას უფალი შეწევნასა და სასოებას მიაგებს.

მირქმის დღესასწაულის არსი და მნიშვნელობა ნათლადაა წარმოჩენილი ამ დღესასწაულისადმი მიმართულ ტროპარსა და კონდაკში, რომელიც უნდა წარმოვთქვათ ამ დღესასწაულის დღეს და რაც მთავარია, უფლის მიმართ კრძალვა და პატივისცემა გამოვხატოთ სადღესასწაულო წირვა-ლოცვაზე დასწრებით, რომელიც საგანგებოდ აღესრულება ყველა მოქმედ მართლმადიდებლურ ტაძარში.

■

**განვაგრძობთ „გზის“ წინა ნომერში დაწყებულ საუბარს სამღვდლო შესამოსელთან დაკავშირებით. დაპირებისამებრ, გესაუბრებით „ახალი აღთქმის“ სამღვდლო შესამოსელსა და მისი სიმბოლური მნიშვნელობის შესახებ.**

# „ახალი აღთქმის“ ღვთისმსახურთა სამღვდლო შესამოსელი

*შორენა მერკვილაძე*

*ღვთისმსახურების აღსრულების დროს, ეპისკოპოსი იმოსება შემდეგი შესამოსლით: კვართი; სამკლავეები; ოლარი; სარტყელი; ენქერი; ბისონი; დიდი და მცირე ომფორი; მანტია; ჯვარი; პანაღია; მიტრა და კვერთხი. მღვდლის შესამოსელია: კვართი; სამკლავეები; ოლარი; სარტყელი; ფილონი და ჯვარი; მღვდელს ასევე შეიძლება ჰქონდეს საგვერდულის, ენქერის ან მიტრის ტარების უფლება. რაც შეეხება დიაკვანს, იგი იმოსება სამკლავეებით და სტიქარით ანუ გინგილით.*

*მღვდელმსახურები, რომლებიც არ აღასრულებენ ღვთისმსახურებას, იმოსებიან შემდეგი შესამოსლით: ეპისკოპოსი – ჩოხით, ანაფორით, ჯვრით, პანაღიით, სკუფიით ან კუნკულბარტყულით და კვერთხით; მღვდელი – ჩოხით, ანაფორით, ჯვრით და სკუფიით; დიაკვანი – ჩოხით, ანაფორით და სკუფიით.*

**კვართი** – ბოლომდე დაშვებული გრძელი შესამოსელია; უბიწოების და სულის მხიარულების ნიშნად, ის თეთრი ფერის უნდა იყოს.

**სამკლავეები** – იკეთებენ მაჯებზე; სამკლავეები მიგვანიშნებს მღვდელმსახურთა ხელთა ძლიერებაზე, ასევე ნიშნავს შესაკრავს, რომლითაც შეკრული იყო მაცხოვრის ხელები, მისი ვნების დროს.

**ოლარი** – მღვდლის ყელზე ჩამოსაცმელი გრძელი და ვიწრო ოქრომკედით ნაქარგი ქსოვილი.

**სარტყელი** – მღვდელმსახურს შემორტყმული აქვს წელზე; იგი ნიშნავს ღვთის ძლიერებას, რომელიც ღვთისმსახურს განაძლიერებს.

**ენქერი** – არის ფორმით ოთხკუთხა, გვერდზე ჩამოსაკიდი სამღვდელმთავრო სამკაული; მასზე გამოსახულია ჯვარი; სიმბოლურად ენქერი ნიშნავს ღვთის ძალის სიდიადეს და მაცდურზე – ეშმაკზე და სიკვდილზე გამარჯვებას; ამასთანავე, ენქერი აღნიშნავს სულიერ მახვილს, რომელიც იარაღის მსგავსად, მარჯვენა მხარეს დაიკიდება.

**ფილონი** – ზემოდან ჩამოსაცმელი შესამოსელია; მიგვანიშნებს იმ ძოწეულზე, რომლითაც შემოსეს იესო ქრისტე მისი გაიცხვისას; იგივე დანიშნულება აქვს ბისონსაც, იმ განსხვავებით, რომ ბისონით ეპისკოპოსი იმოსება.

**დიდი და მცირე ომფორი** – მას ეპისკოპოსი მოიდებს მხრებზე და დადგება საკვერებლად და შუამდგომლად, ღმერთსა და ადამიანთა შორის; ომფორით შემოსილი ეპისკოპოსი სიმბოლურად წარმოადგენს იესო ქრისტეს, რომელმაც იტვირთა ადამიანთა ცოდვებისგან გამოხსნა; ასევე უნდა იზრუნოს ეპისკოპოსმა ეკლესიის შვილებისთვის.

**მანტია** – არის ეპისკოპოსის შესამოსელი, რომელიც მხრებზე ჩამოედება; მისი ბოლო საკმაოდ გრძელია, ამიტომ როდესაც ეპისკოპოსი ტაძარში მოძრაობს, მისი ბოლო, ხელით უჭირავს სტიქაროსანს; მანტია ეპისკოპოსის საზეიმო შესამოსელია.

**მიტრა** – სიმბოლოა უხრწნელი გვირგვინისა, რომელიც მოელის ადამიანს ცათა სასუფეველში; მიტრა მღვდელმთავართა თავსაბურავია, ღვთისმსახურების ჟამს.

**პანაღია** – მასზე გამოსახულია ღვთისმშობელი მარიამი; პანაღიას ეპისკოპოსი იკიდებს გულზე, რაც სიმბოლოა წმინდა გულისა და წრფელი სულისა.

**კვერთხი** – ხელში უჭირავს ეპისკოპოსს, ნიშნად ღვთის სიძლიერისა და სამწყსოს კეთილად მართვისა.

**ჯვარი** – სიმბოლოა თავის უარყოფისა და ღვთისადმი თავის მიძღვნისა.

**ანაფორა** – გრძელი შესამოსელია, რომელსაც მღვდელმსახურები იცვამენ ჩოხის ზემოდან.

**ჩოხა** – გრძელი, კაბის სტილში შეკერილი შესამოსელია.

**სკუფია** – მღვდელმსახურთა ქუდია, რომელიც შესაძლოა, იყოს ჯვრის სახის ან მრგვალი ფორმის.

**კუნკულბარტყული** – ბერების ქუდია; მრგვალი ფორმისაა და უკანა მხარეს შავი ქსოვილი აქვს ჩამოშვებული.

**გინგილა** – გრძელი და ვიწრო ქსოვილია, რომელიც დიაკვანს დაკიდებული აქვს მარცხენა მხარზე; ღვთისმსახურების დროს, დიაკვანი სამი თითით ზემოთ ასწევს მას და მრევლს მიანიშნებს, ღვთისმსახურების რომელ მოქმედებას უნდა მიაქციონ ყურადღება; ამასთანავე, გინგილით დიაკვანი მოუნათლავ ადამიანებს ანიშნებს, რომ დატოვონ ტაძარი, კათაკმეველთა ლიტურგიის შემდეგ; სიმბოლურად გინგილა ანგელოზთა ფრთებზე მიანიშნებს.

■

# ჯორდანმა ვარსკვლავემს შეუფია

ჯორდანის ფსევდონიმით ცნობილი ფოტომოდელი კეტი პრაისი ბოლო დროს მეტისმეტად სკანდალურ განცხადებებს აკეთებს. ბრიტანული პრესა იუწყება, რომ უახლოეს მომავალში ფოტომოდელი ავტობიოგრაფიას გამოუშვებს. თავად ჯორდანის თქმით, წიგნში – „მე ცნობილი ადამიანი ვარ... წამიყვანეთ აქედან“ – მსოფლიოში სახელგანთქმულ ადამიანებთან მისი ინტიმური ურთიერთობების შესახებ დაუფარავად იქნება მოთხრობილი. მაგალითად, კეტი პრაისმა უკვე დაასახელა ერთ-ერთი მათგანის ვინაობა – ეს ყოფილი „მანჩესტერელი“ დუაიტ იორკი გახლავთ, რომელიც ჯორდანის შვილის მამაა. იორკმა ბავშვის სახელზე უკვე გახსნა საბანკო ანგარიში, თუმცა ამ ფულს პრაისი ვერ შეეხება. იორკი-უმცროსი მხოლოდ მას შემდეგ ისარგებლებს მამის დახმარებით, რაც სრულწლოვანი გახდება. შესაძლოა, სწორედ ამიტომ უთქვამს ერთ-ერთ ინტერვიუში ჯორდანს დუაიტ იორკის მისამართით – ვნახოთ, ბოლოს ვინ იცინებსო. სხვათა შორის, კეტის ავტობიოგრაფია – „მე ცნობილი ადამიანი ვარ... წამიყვანეთ აქედან“ – მხოლოდ იორკს როდი ემუქრება უსიამოვნებებით. „ჩვენ ყველანი გავოგნდით, როდესაც ერთხელ კოცონთან, მეგობრების წრეში ჯორდანმა დევიდ ბექჰემთან თავისი ინტიმური ურთიერთობების შესახებ წამოიწყო საუბარი“, – ამბობს კეტი პრაისის ერთ-ერთი ნაცნობი, რომლის სკანდალური განცხადების შემდეგაც უტიფარი ფოტომოდელის მიმართ მასმედიის ყურადღება კიდევ უფრო გამძაფრდა. „მე „ფორმულა-1“-ის მრბოლელთანაც მქონდა კავშირი, მაგრამ არსებობს კიდევ ერთი ადამიანი, ვინც მასზე უფრო პოპულარულია. ჩემს წიგნში მას მთელი თავი მივუძღვენი“, – უთქვამს კეტის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში და კორესპონდენტისთვის ისიც მიუნიშნებია, რომ ეს ცნობილი პიროვნება, არც მეტი, არც ნაკლები – დევიდ ბექჰემია. აი, „ფორმულა-1“-ის ვარსკლავთან ურთიერთობაზე კი, ჯორდანი პირდაპირ ალაპარაკდა: „რალფ შუმახერთან სამი წლის განმავლობაში, ხანმოკლე პაუზებით, მქონდა რომანი“. ბუნებრივია, ბექჰემიცა და შუმახერიც უსირცხვილო კეტისთან თავიანთ ინტიმურ ურთიერთობას უარყოფენ და იმუქრებიან, რომ მოდელს სასამართლოში უჩივლებენ. საინტერესოა, ჯორდანის შესახებ ლეგენდარული პანკჯგუფის – „სექსპისტოლზის“ ლიდერის, ჯონი როტენის მოსაზრებაც. პანკების ყოფილი კერპი (პრაისთან ერთად ის ერთ-ერთ პოპულარულ ინგლისურ ტელეშოუში მონაწილეობს) მიიჩნევს, რომ კეტისთან საქმის დაჭერა შეუძლებელია, რადგან ის მეტისმეტად ზარმაცი ადამიანია. ვიდრე როტენი ტელევიზიით ამ განცხადებას აკეთებდა, ჯორდანი ექსმანჩესტერელი ჯორჯ ბესტის ყოფილ მეუღლესთან ერთად იმავე გადაცემაში ჯგუფური მასაჟით იყო დაკავებული... ერთი სიტყვით, ინგლისელი ფოტომოდელი თავის სტიქიაშია. იგი ცნობილ ადამიანებს „დიდ სექსუალურ სკანდალში“ ხვევს და ამით დღითი დღე ზრდის საკუთარ პოპულარობას. ამიტომ მის ავტობიოგრაფიულ წიგნს, რომელიც მასში გამოვა, წარმატებით გასაღება უკვე გარანტირებული აქვს. ■

# „ოცნების გუნდს“ ოლიმპიურ სოფელში ცხოვრება არ სურს

2004 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ამერიკელ კალათბურთელებს ოლიმპიურ სოფელში სხვა მონაწილეებთან ერთად ცხოვრება არ სურთ. აშშ-ის კალათბურთის ფედერაცია ათენი-2004-ის ორგკომიტეტთან და ამერიკის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან ერთად ვაჟთა გუნდის გასათავსებლად სხვა ვარიანტს ეძებს. შესაძლოა, სახელგანთქმული „ოცნების გუნდმა“ საბერძნეთის სანაპიროსთან, გიგანტურ გემზე დაიდოს ბინა. აშშ-ის კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენლის კრეიგ მილერის თქმით, ეს ასპარეზობის ადგილთან გუნდის ახლოს ყოფნის სურვილით კეთდება. როგორც ჩანს, ამერიკელები ძალისხმევას არ იშურებენ, რათა თავიანთი სპორტსმენები საგზაო საცობებს აარიდონ და ისინი შეჯიბრებისთვის განკუთვნილი არენების სიახლოვეს განათავსონ. ისე კი, ამ გადაწყვეტილებას არავინ გაუკვირვებია. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, ამერიკელი კალათბურთელები ოლიმპიადებზე ყოველთვის ძვირად ღირებულ სასტუმროებში ცხოვრობდნენ. სხვათა შორის, ამ ტრადიციისთვის მათ არც 2002 წელს, ინდიანაპოლისში (აშშ) გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე უღალატიათ. ამის გამო პროტესტს გამოთქვამდნენ სხვა გუნდების წარმომადგენლები. ამიტომ 2002 წლის ნოემბერში აშშ-ის კალათბურთის ფედერაციის მესვეურებმა საჯაროდ განაცხადეს, რომ მომავალ ოლიმპიურ თამაშებზე ისეთივე პირობებში იცხოვრებდნენ, როგორშიც სხვები, მაგრამ ათენი-2004-ის მოახლოებასთან ერთად, გეგმა შეცვალეს. ■

# მწვრთნელსა და სპორტსმენს შორის რომანი დაუშვემელია

ორიოდე დღის წინ, ბუდაპეშტში სტარტი აიღო ევროპის ჩემპიონატმა ფიგურულ სრიალში, რომელშიც ისრაელის ნაკრები ცნობილი რუსი სპეციალისტის, ტიტულოვანი ევგენი პლატოვის ხელმძღვანელობით იასპარეზებს. სწორედ მან განაცხადა ტურნირამდე მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში, რომ არასოდეს აძლევს საკუთარ თავს პროფესიონალური ზღვრის გადალახვის უფლებას: „ბევრი მაგალითი არსებობს იმისა, როდესაც ყინულზე პარტნიორები უახლოესი მეგობრები ხდებიან და ქორწინდებიან. სწორედ ამით იწყება ხოლმე პრობლემებიც. 24 საათის განმავლობაში ერთად ყოფნა ძნელია. დარწმუნებული ვარ, რომ ფიგურულ სრიალში ყველაზე მიზანშეწონილი, პროფესიონალური ურთიერთობაა. ვარჯიშის შემდეგ კი, ვაუმაც და გოგონამაც პირად საქმეს უნდა მიხედოს. ამასთან, მწვრთნელსა და სპორტსმენებს შორისაც უნდა იყოს დისტანცია. ვარჯიშის შემდეგ შეიძლება, ჩვენ სხვადასხვა თემაზეც ვისაუბროთ, ერთად მივირთვათ ჩაი, – ასეთი კონტაქტი აუცილებელიცაა, მაგრამ თუ მოსწავლე გოგონა ღამით ჩემთან დარჩენას მოისურვებს, მე მაშინვე ვურჩევ, რომ სხვა მწვრთნელი და სექსუალური პარტნიორი მოძებნოს“. ■

# ჩემპიონი „გადადგა“, მატჩ-რევანში აღარ შედგება

როგორც ჩანს, ლენოქს ლუისისა და ვიტალი კლიჩკოს ყბადაღებული მატჩ-რევანში აღარ შედგება. ბრიტანელმა მძიმეწონოსანმა დიდი კრივიდან წასვლა გადაწყვიტა და თავის უკრაინელ კოლეგას WBC-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვების ჩინებული შანსი მისცა. მას შემდეგ, რაც 2003 წლის 22 ივნისს ლენოქსმა მედიკოსთა გადაწყვეტილების საფუძველზე (ექიმებმა კლიჩკოს ორთაბრძოლის გაგრძელების უფლება აღარ მისცეს), ვიტალი კლიჩკო ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა, უკრაინელი მოკრივე დაჟინებით მოითხოვდა მატჩ-რევანშის გამართვას. თავის მხრივ, 38 წლის ინგლისელი ჩემპიონი, ჯერ მერყეობდა, შემდეგ კი, მატჩში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა, ოღონდ შეხვედრის ორგანიზატორთაგან ჰონორარის სახით 15 მილიონი გირვანქა სტერლინგი მოითხოვა. ლენოქსს არც ის დაუმალავს, რომ კლიჩკოსთან პაექრობის შემდეგ, მას დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება დაეუფლა, რადგან მეტოქე ისე დამაჯერებლად ვერ დაამარცხა, როგორც სურდა. მიუხედავად ამისა, დრო გადიოდა, შავკანიანი მძიმეწონოსანი კი რინგზე გასვლას არ ჩქარობდა.

WBC-ის წესების თანახმად, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვებიდან ექვსი თვის შემდეგ, მოკრივემ აღნიშნულ ორგანიზაციას უნდა აცნობოს – სურს თუ არა წოდების დაცვა. თუ იგი ტიტულის შენარჩუნებითაა დაინტერესებული, კიდევ ექვსი თვე მიეცემა, რათა მომავალ მეტოქეს ორთაბრძოლის გამართვის თარიღზე შეუთანხმდეს. სწორედ ამიტომ WBC-ის პრეზიდენტმა, ხოსე სულეიმანმა 22 იანვარს განაცხადა, რომ ლენოქს ლუისს პირველი თებერვლიდან 30 დღის განმავლობაში მომავალ მატჩთან დაკავშირებული საკითხები უნდა მოეგვარებინა. იმ შემთხვევაში, თუ ბრიტანელი მოკრივე WBC-ის მოთხოვნას არ გაითვალისწინებდა, მას ჩემპიონის ტიტული ჩამოერთმეოდა.

კრივის არაერთი ცნობილი სპეციალისტი ლენოქსს დიდი სპორტიდან დროულად წასვლას ურჩევდა. მაგალითად, სამ წონით კატეგორიაში ყოფილმა მსოფლიო ჩემპიონმა, დუკ მაკენზიმ BBC-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ლუისისთვის უმჯობესი იქნებოდა, პროფესიონალური კარიერა დაესრულებინა, რადგან კლიჩკოსთან განმეორებითი შეხვედრა შეიძლებოდა, სავალალოდ დასრულებულიყო მისთვის. როგორც ჩანს, WBC-ის ვერსიით მოქმედმა მსოფლიო ჩემპიონმა კეთილისმსურველთა რჩევები გაითვალისწინა და რინგის დატოვება საბოლოოდ გადაწყვიტა. „მოკრივეთა საძმოსთვის ეს სიახლე სენსაციური სულაც არ ყოფილა. ყველა, ვინც ლენოქსთან ახლოს იყო, მას კარიერის დასრულებისკენ მოუწოდებდა. ამიტომ მე, როგორც ლუისის თაყვანისმცემელი, მოხარული ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს, მან სწორი გადაწყვეტილება მიიღო“, – ამბობს მაკენზი. თუ ლენოქს ლუისი გადაწყვეტილებას არ შეცვლის და პროფესიონალურ რინგზე აღარ დაბრუნდება, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ვაკანტური გახდება. ასე რომ, ვიტალი კლიჩკოს დიდი ხნის ოცნების ასრულებისთვის ჩინებული შანსი ეძლევა, რადგან ამჟამად მას ღირსეული მეტოქე ნამდვილად არ ჰყავს. ■

# სიკვდილის დოქტორმა პლანეტის ერთ-ერთ ყველაზე მაღალ ადამიანს დაადგა თვალი

გამოფენის – „მსოფლიო სხეულები“ – დამაარსებელმა, გიუნტერ ფონ ჰაგენსმა რუსეთის ყველაზე ტანმაღალ მოქალაქეს უცნაური წინადადებით მიმართა. ჰაიდელბერგის ინსტიტუტი მზადაა, ყოფილ კალათბურთელ ალექსანდრ სიზონენკოს საკმაოდ დიდი თანხა გადაუხადოს და სამუდამოდ პენსიაც დაუნიშნოს, თუკი ეს უკანასკნელი თანახმა იქნება, რომ სიკვდილის შემდეგ, მისი სხეული ჰაგენსის კომპანიას დარჩეს. 248 სმ სიმაღლის ყოფილი სპორტსმენი პლანეტის ყველაზე მაღალ ადამიანად ითვლება და იმ იშვიათი სენითაა დაავადებული, რომელიც სიმაღლეში უჩვეულოდ ზრდას იწვევს. თავად სიზონენკოს თქმით, მას ჰაიდელბერგის ინსტიტუტის მესვეურებმა გერმანიაში მკურნალობა შესთავაზეს, მოგვიანებით კი, მან შეიტყო, თუ რა საკითხზე სურდათ მოლაპარაკება მედიკოსებს.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოება მწვავედ აკრიტიკებს ჰაგენსს გამოფენის – „მსოფლიო სხეულები“ მოწყობის გამო. ადამიანის უფლებათა დამცველმა საერთაშორისო ორგანიზაციამ მოითხოვა გამოფენის დახურვა მანამდე, სანამ არ გაირკვევა იქ წარმოდგენილი მუმიფიცირებული სხეულების პატრონთა ვინაობა. გიუნტერ ფონ ჰაგენსი, რომელსაც ჟურნალი „შპიგელი“ „სიკვდილის დოქტორს“ უწოდებს, ანატომიის პროფესორი და ჰაიდელბერგის პლასტინაციის ინსტიტუტის პროფესორი გახლავთ (პლასტინაცია – გვამებში ფორმალდეგიდის შეყვანა და მათი გაყინვაა).

პირველად ჰაგენსის შესახებ 2000 წელს ალაპარაკდნენ, როდესაც მან გერმანიაში მოაწყო უჩვეულო გამოფენა, რომლის მთავარ ექსპონატს „ცხენი და მხედარი“ ერქვა. მაშინ „მხედარი“ ხელოვნური გახლდათ, ხოლო „ცხენი“ – პირუტყვის მუმიფიცირებული გვამი იყო.

ალექსანდრ სიზონენკო ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ყველა დროის ყველაზე ტანმაღალი კალათბურთელია. კალათბურთის რუსი სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ სიზონენკო პოზიციის შერჩევისა და პასის გადაცემის განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩეოდა, თუმცა უჩვეულო სიმაღლის გამო, თამაშის დროს მოედანზე სწრაფად გადაადგილება არ შეეძლო. სწორედ ამიტომ მან საბჭოთა კავშირის ნაკრებსა და „ცსკა“-ში ადგილის დამკვიდრება ვერ შეძლო.

სპორტული კარიერის დასრულებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, ალექსანდრ სიზონენკო დაინვალიდდა და ამჟამად მას ხელჯოხებითაც კი უჭირს გადაადგილება. სამწუხაროდ, პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ადამიანი ყველასაგან მივიწყებულია და როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისით „სიკვდილის დოქტორი“ დაინტერესდა... ■

# მაკელელეს „ჩელსიში" მარტო ფული იზიდავს

აბრამოვიჩის კლუბის ნახევარმცველი კლოდ მაკელელე არ მალავს, რომ მადრიდიდან ლონდონში მისი გადასვლის მთავარი მიზეზი, ფული იყო. „არ ვნანობ, რომ „რეალი" დავტოვე. ეს გადაწყვეტილება ფინანსური მოსაზრებით მივიღე. მე ეგოისტი არა ვარ, როგორც ესპანურ კლუბში დარჩენილი ბევრი მოთამაშე მიიჩნევს. ეს რთული გადაწყვეტილება იყო, რადგან „რეალმა" ძალიან ბევრი მომცა", – ამბობს მაკელელე, რომელიც „სამეფო კლუბში" 2001-03 წლებში თამაშობდა, თუმცა ხელფასით ყოველთვის უკმაყოფილო იყო. იგი თვეში 125 ათას ევროს იღებდა და შრომის ანაზღაურების მაჩვენებლით, „რეალის" შემადგენლობაში რიგით მეთოთხმეტე გახლდათ. ამის შედეგად, ფეხბურთელსა და კლუბის ხელმძღვანელობას შორის ურთიერთობა მეტისმეტად დაიძაბა და კლოდსაც ისღა დარჩენოდა, რომ აბრამოვიჩის წინადადება მიეღო და ლონდონის „ჩელსიში" გადასულიყო.

# ფეხბურთი ეგვიპტელების მოგონილი ყოფილა

ფეხბურთის სამშობლო ეგვიპტეა – ასეთ დასკვნამდე მივიდა ცნობილი ეგვიპტელი არქეოლოგი ზაჰი ჰავასი. მისი თქმით, ქალაქ მინთან ახლოს აღმოჩენილ უძველეს ფრესკაზე გამოსახული გოგონები ბურთს ფეხებით თამაშობენ. საკარში აღმოჩენილ ფრესკაზე კი, რომელიც თურმე 5 ათასი წლისაა, აღბეჭდილნი არიან ეგვიპტელები, რომლებიც ხელბურთის მსგავსი თამაშით ერთობიან. „გათხრების შედეგად, უამრავი ბურთი აღმოვაჩინეთ, – აცხადებს ჰავასი, – ისინი პაპირუსით, პალმის ქერქით, ტყავით ან ქსოვილით იყო გატენილი. რაც იმას ამტკიცებს, რომ ბურთით თამაში ძველ ეგვიპტეში საკმაოდ პოპულარული იყო".

ეგვიპტეში ბურთით თამაშის წესები ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული საუკუნის წინ შეუმუშავებიათ. მატჩებს, უკვე იმ დროს, მსაჯები უძღვებოდნენ, მოთამაშეები სპეციალურ ფორმებში იყვნენ გამოწყობილნი, ხოლო გამარჯვებულებს ფერადი ბაფთებით ამკობდნენ და ცხოველების ქანდაკებებითა და ლამაზი ბურთებით ასაჩუქრებდნენ. ისტორიკოსები კამათობენ – ძველ ეგვიპტეში სპორტს საკულტო-რელიგიური მნიშვნელობა ენიჭებოდა თუ იგი კუნთებისა და გამძლეობის გამოსამუშავებელი და გასართობი საშუალება იყო. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი სიძველეებით მტკიცდება, რომ მეომრები ბრძოლის წინ, კრივში ვარჯიშობდნენ, ჭიდაობდნენ, ჯირითობდნენ, შუბს ტყორცნიდნენ, ცურავდნენ და მძლეოსნობის სხვადასხვა დისციპლინას ეუფლებოდნენ. გარდა ამისა, ფრესკებზე აღბეჭდილნი არიან ტანმოვარჯიშე და აკრობატი ძველ-ეგვიპტელები. სწორედ ამ ფაქტების გათვალისწინებით, ჰავასი მიიჩნევს, რომ ეგვიპტეს 2010 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლებას მოსაპოვებლად დამატებითი არგუმენტები აქვს.

# პრეზიდენტმა საკუთარი მოთამაშე მოატყუა

არცთუ ისე დიდი ხნის წინ, პრემიერლიგის ერთ-ერთ მატჩში „მანჩესტერ იუნაიტედი" სენსაციურად დამარცხდა „ვულვერჰემპტონთან". შეხვედრის შემდეგ კი, ამ უკანასკნელის პრეზიდენტმა, დეივ ჯონსმა ერთადერთი გოლის ავტორს, კენი მილერს უჩვეულო თხოვნით მიმართა: „კენი, გეთაყვა, შენი მაისური მათხოვე და ზედ ჩემთვის რამეც წააწერე". შოტლანდიის ნაკრების 24 წლის გულუბრყვილო მოთამაშესაც ბევრი არ უფიქრია და ბოსის თხოვნა შეასრულა – ჯონსს თავისი ფორმა გადასცა, რომელზეც ეწერა: „კენი მილერისაგან საუკეთესო სურვილებით". თუ რამხელა შეცდომა დაუშვა „მანჩესტერელთა" კარში გამარჯვების გოლის გამტანმა, მხოლოდ მას შემდეგ მიხვდა, როდესაც 6,6 ათას გირვანქა სტერლინგად შეფასებული თავისი მაისური Sport Signings-ის აუქციონზე იხილა. ამ ფაქტმა ფეხბურთელი ძალზე გააღიზიანა და პრეზიდენტისგან ახსნა-განმარტება მოითხოვა. ჯონსმა კი, თავი იმართლა და უტიფრად განაცხადა – აუქციონთან მე არავითარი კავშირი არა მაქვსო. ერთი სიტყვით, ფეხბურთელი ვერაფერს გაარკვევდა, დავაში კომპანია Sport Signings-ის თავკაცი, ნიკ ჰეივსი რომ არ ჩარეულიყო, რომელიც კენი მილერს მაისურის გაყიდვის შემდეგ შემოსული თანხის ნაწილის გადაცემას შეჰპირდა. საგულისხმოა, რომ „ვულვერჰემპტონი" პრემიერლიგის აუტსაიდერთა რიგს მიეკუთვნება, მისი პრეზიდენტი კი, ამ დროს თაღლითობით იქცევს თავს.

# ნიგერიელები ფაქტზე დაიჭირეს

სელესტინ ბაბაიარო

ნიგერიის ეროვნული ნაკრების წევრები, სელესტინ ბაბაიარო („ჩელსი"), იაკუბუ („პორტსმუტი") და ვიქტორ აგალი („შალკე") სექსუალური თავშეუკავებლობის გამო გუნდის შეკრებიდან დაითხოვეს. ბრიტანული გაზეთი Mirror იუწყება, რომ ღამით სამივე მათგანს ხუთვარსკვლავიანი Kuriat Palace Hotel-ის ნომერში ერთი ინგლისელი და ერთი გერმანელი გოგონა მიუწვევია. მაშინ, როდესაც გუნდის დანარჩენ მოთამაშეებს მშვიდად ეძინათ. ლოველასი ფეხბურთელების ქმედება სასტუმროს დაცვის წარმომადგენელს შეუნიშნავს და მაშინვე მოუხსენებია ნიგერიის ნაკრების მესვეურთათვის. ამის შემდეგ შეამოწმეს ყველა ნომერი, რომელშიც მოთამაშეები იყვნენ განთავსებულნი და მალე, ჩვენთვის ნაცნობი სამი წყვილიც აღმოაჩინეს. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ბრალდება ადრე, სენეგალის ნაკრების მოთამაშეებსაც წაუყენეს. აი, ნიგერიელები კი, როგორც იტყვიან, პირდაპირ ფაქტზე დაიჭირეს.



მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

# „სტრიპტიზ-აერობიკის“ ავტორის საქორწინო რეკორდი

*კარმენ ელექტრას შემოქმედება საოცარი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. რომელ სფეროში აღარ მოღვაწეობდა ის: ცეკვა, სიმღერა, ტელევიზია, კინო, ფოტოსამოდელო ბიზნესი, მულტიპლიკაცია, სტრიპტიზ-აერობიკა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მან არაერთ ასპარეზზე მიაღწია წარმატებას და ვარსკვლავის სტატუსიც მოიპოვა. მის თაყვანისმცემლებს ჯერ კიდევ ახსოვთ მისი სკანდალური ქორწინება კალათბურთის ვარსკვლავ დენის როდმანთან, რომელიც სამწუხაროდ, ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა და ათ დღეში გაყრით დასრულდა. 2003 წლის მიწურულს კარმენმა ხელმეორედ იქორწინა. მისი ამჟამინდელი რჩეული როკმუსიკოსი დეივ ნავაროა. ჯვრისწერამდე ცოტა ხნით ადრე, წყვილმა საკუთარი საიდუმლო ჟურნალისტებს გაუმხილა: თურმე ნუ იტყვით და, დაქორწინება მათ იმ მომენტში გადაუწყვეტიათ, როცა... ავიალაინერის ტუალეტში ერთმანეთის ალერსით ტკბებობდნენ.*

## სასიყვარულო თავგადასავლები

თავდაპირველად, მის ცხოვრებაში გამოჩნდა პოპმუსიკოსი პრინცი, რომელმაც არცთუ ისე უმნიშვნელო როლი ითამაშა შოუბიზნესის ასპარეზზე კარმენ ელექტრას დამკვიდრებაში (ამის თაობაზე ცოტა მოგვიანებით მოგახსენებთ). მათი სასიყვარულო ურთიერთობის დეტალებზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ, რამეთუ ეს ამბები საკმაოდ დიდი ხნის წინ მოხდა. აი, დენის როდმანთან ურთიერთობა კი, სულ სხვა საქმეა...

თურმე მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა კალათბურთელმა, „ჩიკაგო ბულსის“ მოთამაშემ, კარმენის მოხიბვლა მათ შეხვედრამდე ბევრად უფრო ადრე შეძლო. თუმცა, ეს არცთუ ისე გასაკვირია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ როდმანი NBA-ს უამრავი ტიტულის მფლობელი, პოპულარული მსახიობი და MTV-ის წამყვანია — ის ხომ გამუდმებით პუბლიკის ყურადღების ცენტრშია მოქცეული. ამას ხელს უწყობს მისი არაორდინარული გარეგნობა — ორიგინალური სვირინგებით მოხატული სხეული და ყოვლად წარმოუდგენელი ფერის თმა, რომელიც საკმაოდ ხშირად იცვლება. გარდა ამისა, დენისი ცნობილია თავისი დებოშებითა და ხულიგნური გამოხდომებით. სკანდალების მოყვარული როდმანი არაერთხელ გახვეულა უსიამოვნებაში და პოლიციის განყოფილებაშიც არაერთგზის ამოუყვია თავი. თუმცა, საკმაოდ სოლიდური თანხის გადახდის შემდეგ, სასჯელის თავიდან აცილებას ყოველთვის ახერხებდა.



ელექტრას საყვარელი ავტომანქანა „მაზერატი“

მეამბოხე ხასიათის ელექტრამ როდმანში მონათესავე სული შეიცნო და ზანგი გოლიათის გულის მონადირება დაისახა მიზნად. 1998 წლის 14 ნოემბერს, კარმენი და დენისი დაქორწინდნენ. როგორც თვითმხილველნი ირწმუნებიან, თურმე კალათბურთელი საკუთარ ქორწილში ისე გამოთვრა, რომ როცა მეორე დღეს, უკვე გამოფხიზლებულმა, წინადღის მოვლენების აღდგენა სცადა, ვერაფერი გაიხსენა — როდმანი ელექტრასთან რაიმე ოფიციალურ კავშირს კატეგორიულად უარყოფდა. ამის გამო, ფერადკანიან ახმახსა და მის შეურაცხყოფილ მეუღლეს შორის ისეთი ხელჩართული ბრძოლა გაიმართა, რომ პოლიცია იძულებული გახდა, ორივე მათგანი დაეპატიმრებინა. გირაოს გადახდის შემდეგ გათავისუფლებულ მეუღლეებს კი, სასამართლომ ერთმანეთთან 150 მეტრზე მიახლოება აუკრძალა. ათ დღეში ცოლქმარი ოფიციალურად გაიყარა; ამის მერე კარმენი ბევერლი-ჰილზში გაემგზავრა,

**კარმენ ელექტრა, პამელა ანდერსონი და დეივიდ ჰესელჰოფი („მაშველები“)**

დენისი კი – ნიუპორტ-ბიჩში.

ჯგუფ Jane's Addiction-ის გიტარისტი დეივ ნავარო და ელექტრა ორი წლის მანძილზე დანიშნულები იყვნენ. ჯვრისწერის თარიღი დანიშნული არ ჰქონდათ და საერთოდაც, დიდად არ ჩქარობდნენ დაქორწინებას. მაგრამ მაიამიში გადაფრენის შემდეგ სიტუაცია მოულოდნელად შეიცვალა: თვითმფრინავის ტრაპიდან ჩამოსვლისთანავე წყვილი ჯერ „ზეცაში სექსუალური კავშირის მქონეთა კლუბში“ გასაწევრებლად გაეშურა, ხოლო შემდეგ კი, ქორწილის მოსაწვევები დაუგზავნა ახლობლებს. წყვილმა საქორწინო ცერემონიის გადაღების ექსკლუზიური უფლება MTV-ის მისცა. ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ ფეშენებელურ ოტელში გამართულ ცერემონიას MTV-ის გადამღები ჯგუფი „რეალითიშოუს“ ფორმატით იღებდა (გადაღებული მასალა, რომლის სახელწოდებაა – „ვიდრე სიკვდილი არ დავგაშორებს: კარმენი და დეივი“, MTV-ის არხმა ახალი წლის დღეებში უჩვენა მაყურებელს). ქორწილს 200-ზე მეტი სტუმარი დაესწრო. პატარძალი საოცრად ელეგანტურად გამოიყურებოდა, მის კაბას, რომელიც მარგალიტებითა და გამჭვირვალე კრისტალებით იყო გაწყობილი, ცნობილი ნიუიორკელი დიზაინერები ხუთი თვის მანძილზე კერავდნენ და მისი ფასი 9.000 დოლარი გახლდათ. დეივს ქორწილზე „გუჩის“ საკმაოდ გამომწვევი კოსტიუმი ემოსა, მან კიდევ ერთხელ დაუმტკიცა საზოგადოებას, რომ კარგი ტონის გულისთვისაც კი, როკმუსიკოსის იმიჯს არაფრით შეელევა. როგორც ჩანს, ბოლოს და ბოლოს, ელექტრამაც იპოვა თავისი ბედნიერება.

## გზა ვარსკვლავობისაკენ

ელექტრა 1972 წლის 20 აპრილს ოჰაიოს შტატში, ირლანდიური წარმოშობის ამერიკელთა ოჯახში დაიბადა. მისი მშობლები მუსიკოსები იყვნენ და ძირითადად, ცინცინატის მახლობლად მდებარე უაიტ ოაკის ბოჰემურ წრეებში უხდებოდათ ტრიალი. ოთხი ვაჟის შემდეგ, მათ ბოლოს და ბოლოს, ქალიშვილი შეეძინათ, რომელსაც ტარა დაარქვეს. მუსიკალური მონაცემებით გოგონა ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა და სულ ხუთი წლის იყო, როცა მომღერალ ბავშვთა პრესტიჟულ კონკურსში გაიმარჯვა. რამდენიმე წლის შემდეგ, მშობლებმა ტარა ხელოვნებისა და სამსახიობო ოსტატობის სკოლაში მიაბარეს, სადაც ის ქორეოგრაფიას ეუფლებოდა და სასკოლო მიუზიკლებშიც აქტიურად მონაწილეობდა. პედაგოგებს გოგონას ნიჭზე მეტად, მისი ასაკისა და სქესისთვის სრულიად შეუფერებელი მებრძოლი ხასიათი და ჩხუბისთავობა აოცებდათ. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ მისი ოთხივე ძმა კარატეზე დადიოდა და არცთუ ისე იშვიათად, აღმოსავლური ორთაბრძოლის ილეთებსა და გამოცდილებას უმცროს დასაც უზიარებდა. გოგონა კი, ამ ილეთებს სიამოვნებით იყენებდა თანაკლასელებთან ჩხუბის დროს.

სკოლის დამთავრებისთანავე ტარამ შოუბიზნესის სამყაროს დაპყრობა გადაწყვიტა და ლოს-ანჯელესში გაემგზავრა. ამ ასპარეზზე მის მიერ გადადგმული პირველივე ნაბიჯი იღბლიანი აღმოჩნდა: მუსიკალურ სტუდიაში რეპჯგუფში ასაყვანად პრეტენდენტებს არჩევდნენ. კონკურსის დროს, სრულიად შემთხვევით, სტუდიაში პრინცი მივიდა და მონაწილეთა შორის მყოფმა საოცრად ლამაზმა გოგონამ მისი ყურადღება მაშინვე მიიპყრო. თანაც ამ ლამაზმანმა არაჩვეულებრივი სასიმღერო და ქორეოგრაფიული მონაცემები გამოავლინა. სულ მალე ტარა პრინცის პროტეჟე გახდა. სწორედ მან შეურჩია გოგონას ფსევდონიმი – კარმენ ელექტრა. 1991 წელს, „ნათლიის“ მფარველობით ტარამ თავისი პირველი ალბომი გამოუშვა, რომელსაც „კარმენ ელექტრა“ დაარქვა. მართლია, დისკს, რომელიც საკმაოდ მცირე ტირაჟით გამოვიდა, მისთვის პოპულარობა არ მოუტანია, მაგრამ ეს მაინც წარმატებისკენ გადადგმული ნაბიჯი გახლდათ. პრინცის წყალობით ალბომის რამდენიმე სიმღერას MTV-ის არხიც ატრიალებდა, თუმცა კრიტიკამ მის ნამუშევრებს არადამაკმაყოფილებელი შეფასება მისცა და „სრულიად პრიმიტიულის“ ეპითეტით მოიხსენია.

წინააღმდეგობამ ელექტრა კიდევ უფრო გააქტიურა. მართალია, მანამდე ამგვარ ნაბიჯს არავითარ შემთხვევაში არ გადადგამდა, მაგრამ წარმატების მოპოვების სურვილმა სძლია და ჟურნალ „პლეი-

**დეივ ნავაროსთან დაქორწინების დღეს**

14 თებერვალს ყოველთვის განსაკუთრებულად აღნიშნავს...

ბოის“ ფოტოსინჯებში მიიღო მონაწილეობა. სულ მალე ნახევრად შიშველი ელექტრას ფოტოები ჟურნალში გამოქვეყნდა და საზოგადოების უდიდესი მოწონება დაიმსახურა. ამას მოჰყვა ვიდეოგადაღება „პლეიბოისთვის“, სადაც ელექტრა რაღაც ქარაფშუტულ სიმღერას ასრულებდა და ხან მხარს იშიშვლებდა და ხანაც თეძოს. შემდეგ ერთმა ცნობილმა მექსიკურმა გამოცემამ მას ელვის პრესლის მეგობარი ქალის, ცნობილი მსახიობის ენ მარგარეტის გრიმით გადაღება შესთავაზა, რაც განხორციელდა კიდეც. მერე და მერე კი, კარმენს უამრავი ჟურნალის ფოტოსესიისთვის იღებდნენ. მაგრამ ის მიღწეულით არ კმაყოფილდებოდა და MTV-ის სატელევიზიო ტოქშოუს – Singled Out – წამყვანის როლში გადაწყვიტა საკუთარი ძალების მოსინჯვა. ელექტრამ, არხის ფორმატის მოთხოვნების შესაფერისი კეკლუცობითა და მიმიკებით, დიალოგის წარმართვისა და პროვოკაციულ შეკითხვებზე სწრაფი რეაგირების უნარის წყალობით, კონკურსის ყველა მონაწილე დაჯაბნა და წამყვანის ადგილიც დაისაკუთრა. ის ისე ბუნებრივად შეერწყა წამყვანის ამპლუას, რომ ეკრანზე პირველივე გადაცემების გასვლის შემდეგ, ამ პროგრამის რეიტინგმა მკვეთრად იმატა.

თავდაპირველად, MTV-ის წამყვანის ვარსკვლავური იმიჯით ელექტრა ფრიად კმაყოფილი გახლდათ, მაგრამ როცა პოპულარულ სერიალში – „მაშველები“ როლი შესთავაზეს, ცდუნებას ვერ გაუძლო და დათანხმდა. თუმცა, არც შოუს წამყვანობაზე უთქვამს უარი. გარკვეული ხნის შემდეგ, როცა ქრონიკული უძილობა და გადაღებებს შორის ჰამბურგერებით წახემსება მისი ცხოვრების ნორმად იქცა, ელექტრა მიხვდა, რომ ორ სკამზე ჯდომა დიდ პრობლემებს უქმნიდა.

ერთხელ, პირდაპირ ეთერში, საოცარი რამ შეემთხვა: წარსულში კარატეს დიდმა თაყვანისმცემელმა წამყვანმა შოუს ერთერთ მონაწილეს მსუბუქად უბიძგა, მაგრამ როგორც ჩანს, ვერ მოზომა – ძირს გაშხლართულმა მონაწილემ მეტალის იატაკს თავი დაარტყა და შუბლი გაიხეთქა. ეს გახდა მიზეზი თუ არხის ხელმძღვანელობამ სხვა მოსაზრების გამო გადაწყვიტა შოუს დახურვა, არავინ იცის. ფაქტია, რომ პროექტი დაიხურა და ექსშოუვუმენს მთელი თავისი ძალების სერიალისკენ მიმართვის შესაძლებლობა მიეცა. მისი გმირი ახალგაზრდა მოცეკვავე ლენი მაკქენზი გახლდათ, რომელიც ლოს-ანჯელესში საკუთარი ბედის საძიებლად იყო ჩასული. ფაქტობრივად, ელექტრას ფილმში საკუთარი თავის თამაში უხდებოდა და უნდა აღინიშნოს, რომ ეს საოცრად კარგადაც გამოსდიოდა, მაგრამ სერიალი დაუსრულებლად გაიწელა და სიახლის მოყვარულ კარმენს მოჰბეზრდა მასში მონაწილეობა. შემდეგი გრძელვადიანი კონტრაქტი მან მეორე სერიალის – „ძალიბუს ღამეების“ ხელმძღვანელობასთან გააფორმა. მართალია, კონტრაქტი გრძელვადიანი გახლდათ, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ელექტრამ ისე დატოვა გადასაღები მოედანი, რომ არავისთვის არანაირი ახსნა-განმარტება არ მიუცია.

მისი შემდეგი კინონამუშევარი „გულში ჩახუტება“ გახლდათ, რომელიც ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით გადაიღეს. ფილმში კარმენმა მომხიბლავი ვამპირის როლი შეასრულა. გადაღების დამთავრების შემდეგ კი, მსახიობმა საკუთარ თავს პირობა მისცა, რომ დიდი კინოასპარეზის დაპყრობასაც მოახერხებდა.

1997 წლიდან მოყოლებული, კარმენს ხშირად იღებდნენ ფილმებში. ძირითადად, ის ნაკლებად პოპულარულ სურათებსა და სკაბრეზულ კომედიებში მონაწილეობდა; არც მეორეხარისხოვანი როლების შესრულებაზე ამბობდა უარს. კარმენ ელექტრა გადაღებულია ფილმებში: „კარგი ბურგერი“, „ვარსკვლავური მტვერი“, „დედამიწის მკვიდრთა საქორწინო თამაშები“, „ძალზე საშიში კინო“, „სიყვარულის ვირუსი“, „სიყვარული ყველაფერს ცვლის“, „ბინის საკითხი“, „დაქანცული“ და სხვა.

ელექტრა არც ამ ასპარეზზე მოღვაწეობით დაკმაყოფილდა: მულტფილმების გახმოვანების ხელოვნებასაც დაეუფლა და მოდური ტანსაცმლის საკუთარი ხაზიც გახსნა. ამჟამად ის DVD-ზე ჩაწერილ ფიტნეს-ვარჯიშების პროგრამას უშვებს, რომლის სახელწოდებაცაა – „კარმენ ელექტრას სტრიპტიზ-აერობიკა“. მის დასადგმელად მსახიობმა ქორეოგრაფი რობინ ანტინი მიიწვია, რომელთანაც თავის დროზე ელექტრა „ფისუნიათოჯინების“ შოუში მონაწილეობის დროს თანამშრომლობდა.

იმას, თუ რა იქნება კარმენ ელექტრას შემდეგი წამოწყება, მომავალი გვიჩვენებს; ამჟამად კი, ვარსკვლავი თავის მეულლესთან ერთად ლოს-ანჯელესში ბედნიერად ცხოვრობს, რამეთუ მან უკვე გადალახა მისი ქორწინებისათვის კრიტიკული 10-დღიანი მონაკვეთი... ■

„ფისუნია-თოჯინების“ შოუში

# თავისუფალი თემა

## რუსუდან ბერიძე

(დასაწყისი იხ. „გზა“ №48-52,1-6)

მომავალ ისტორიკოს გვანცა ჩოხელს ბედი ბავშვობიდანვე მძიმე გამოცდებს უწყობს. ჯერ, 8 აპრილის ღამეს, დედა მოეწამლება და ფსიქიკურად დაავადდება. შემდეგ, ცოლის უბედურებით თავგზააბნეული მამაც მიატოვებს ოჯახს... გვანცა და მისი პატარა ძმა — მიშიკო ბებია-ბაბუის — ამირან და ლამარა ანთაძეების იმედადღა რჩებიან. თუმცა, გვანცას კიდევ ერთი ადამიანის — თანაკლასელ ლუკა ჩადუნელის დიდი იმედი აქვს. გვანცა ლუკას თავის უახლოეს მეგობრად და მესაიდუმლედ თვლის, ლუკას კი გოგონა მთელი გულით უყვარს.

ახალგაზრდებს შორის შავი კატა მას შემდეგ გაირბენს, რაც გვანცა მასზე ბევრად უფროს მამაკაცს ირაკლი იაშვილს გაიცნობს და მისით უმალვე მოიხიბლება. ირაკლი კი ამით ბოროტად ისარგებლებს და გოგონას ლოგინშიც უპრობლემოდ ჩაიწვენს. თუმცა, მოგვიანებით, ცოლად შერთვასაც შეეპირდება.

ამასობაში, თბილისში სამოქალაქო ომი დაიწყება და ირაკლისაც მაშინვე სერიოზული თავსატეხი გაუჩნდება. ბარიკადების სხვადასხვა მხარეს მისი ორი ნახევარძმა იბრძვის. ირაკლი მათ იარაღის დაყრას ვერაფრით აიძულებს. ხოლო როცა ერთ-ერთ მათგანს — გიორგის მოკლავენ, იარაღს ხელში თავადაც აიღებს...

თბილისის ომის შემდეგ ირაკლი უგზო-უკვლოდ დაიკარგება. გვანცა მის ადგილსამყოფელს ვერაფრით დაადგენს. ცოტა ხანში კი, იმასაც მიხვდება, რომ ფეხმძიმედაა და თავგზა საბოლოოდ აებნევა...

გვანცამ ბებია-ბაბუას კიდევ ერთხელ დამნაშავედ ამოხედა და ისევ თვალები მილულა:

— ფეხმძიმედ ვარ-მეთქი...

— რას ამბობ, ბაბუ?! — შეიცხადა ამირანმა.

— ვისგან, შე სასიკვდილევ?.. როდის?.. როგორ?.. — კითხვა კითხვაზე მიაყარა შვილიშვილს გაცოფებულმა ლამარამ, მაგრამ გვანცას ხმა აღარ ამოუღია.

— გვანცა, ბაბუ... — მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ, ისევ დაიწყო ამირანმა.

— გვანცა მაგას და არგადარჩენა! — გააწყვეტინა ქმარს ლამარამ. — სადღა გამოვყო თავი?!. ვის ვუთხრა — ვიღაც ლაშამ თუ ჯანდაბამ შვილიშვილი გამიბახა-მეთქი?!

— ლაშა აქ არაფერ შუაშია... — თავისთვის ჩაილაპარაკა გვანცამ.

— აბა, ვინ არის?.. ვინ? — ნერვიულობისგან ხმა ჩაუწყდა ლამარას.

— შენ არ იცნობ...

— მოიცა, მოიცა! — უცებ დოინჯი შემოიყარა ლამარამ. — ვიცი... მივხვდი, ვინც იქნება!.. მაგრამ არა უშავს! ვუჩვენებ სეირს, თუ ვყოფილვარ ქალი!

— ვისზე გაქვს, ქალო, ეჭვი?.. აღარ იტყვი? — ალალად დაინტერესდა ამირანი.

— ვისზე და ლუკაზე, ვისზე?!. გველი შემოგვიშვია ოჯახში, ნამდვილი გველი!

— გვანცა, ბაბუ, — მაშინვე მიუბრუნდა შვილიშვილს ამირანი, — მართლა ლუკამ...

გვანცა კვლავ დუმდა.

— ახლავე დაურეკე და უთხარი, აქ მოეთრეს, თორემ თუ იქით მივუვარდი!..

— კარგი, ქალო, დაწყნარდი! — შეუტია ცოლს ამირანმა. — რას ემუქრები, რომ ემუქრები?! მოსახდენი უკვე მოხდა. ასე რომ, ახლა საქმეს შველა უნდა და არა უაზრო წივილ-კივილი. მაცალე, ცოტა გონს მოვეგო და კარგად მოვიფიქრო, რა და როგორ აჯობებს... იქნებ, ის ბიჭი უარზე სულაც არ არის და თავიდანვე მუშტები რატომ მოვუღეროთ?

— უარს იტყვის და მაგისი აჯობებს! — ისევ განაგრძო ლამარამ. — კარგი იყო, დღე და ღამე რომ ჩვენთან ეგდო და თვალებში შემოგვციცინებდა? ჰოდა, როგორც გადაუბრუნა ტვინი ჩემს შვილიშვილს, ისე მოჰკიდოს ხელი და წაიყვანოს...

— რას ამბობ?! — შეიცხადა ამირანმა. — სად უნდა წაიყვანოს? გვანცას გარეშე ერთ დღესაც ვერ გავძლებ! თუ კარგია, თვითონ გადმოვიდეს ჩვენთან. ამხელა სახლში ვერ დავეტევით თუ რა?..

ძალაგამოლეული გვანცა ბებია-ბაბუის კამათს ყურს უხალისოდ უგდებდა, არც შეპასუხების ძალა ჰქონდა და აღარც სურვილი...

მოგვიანებით, ცოლ-ქმარი სალაპარაკოდ სამზარეულოში გავიდა და ცოტა ხანში, გვანცამ ტელეფონის წკრიალიც გაიგონა.

„ეტყობა, ლუკას ურეკავენ. — შიშით გაიფიქრა გვანცამ. — რატომ არ ვუთხარი სიმართლე?..“

— მობრძანდება ვაჟბატონი! — ცოტა ხნის შემდეგ ისევ სასტუმრო ოთახში გაჩნდა ლამარა. — ერთი გაბედოს და რამეზე უარი თქვას!..

— ლამარა! — გააწყვეტინა ამირანმა ცოლს. — იცოდე, იმ ბიჭთან ეგრე არ ილაპარაკო!.. რას ემუქრები, რომ ემუქრები?! შენს შვილიშვილზე ძალა იხმარა თუ რა?.. უბრალოდ, ჯერ ძალიან ახალგაზრდები არიან, სისხლი უდუღთ... ჰოდა...

— ორივეს სისხლს წვეთ-წვეთად დავლევდი, რომ შემეძლოს! — ისევ ჩაირთო ლამარა. — არა, არა, მართლა ყველა და ყველაფერი გათახსირდა, თორემ, ჩვენც ხომ ვიყავით ახალგაზრდები?! წიგნებისა და სწავლის მეტი არაფერი გვახსოვდა!

— შენი არ ვიცი, ლამარიკო, მაგრამ მე სხვა რამეებიც კარგად მახსოვდა და ხშირ-ხშირადაც მენატრებოდა... — ეშმაკურად ჩაეცინა ამირანს.

უცბად, გვანცა სავარძლიდან წამოდგა და ოთახიდან გასვლა დააპირა, მაგრამ ლამარამ აღარ აცალა:

— სად მიდიხარ? — უკივლა მან.

— ჯანდაბაში... — ჩაიბურტყუნა გვანცამ. — სად უნდა წავიდე?.. ჩემს ოთახში გავალ და წამოვწვები...

— წამოგაწვენ მე შენ! — გაკაპასდა ლამარა. — ახლავე აქ მოდი! იმ ვაჟბატონს ვინ უნდა ელაპარაკოს?

— დაანებე ბავშვს თავი! — გულმა ვეღარ მოუთმინა ამირანს. — ვერ ხედავ, ფეხზე ძლივს დგას?!. ლუკას მე დაველაპარაკები.

— მარტო შენ რაზე უნდა ელაპარაკო? ვინც დაორსულა, პირველ რიგში, ის ელაპარაკოს!

— მე ლუკას არ დავუორსულებივარ... — მშვიდად განაცხადა უცბად გვანცამ.

— რა-ა? — გულზე ხელი იტაცა ლამარამ და შემდეგ ქმარს გადახედა. — ამირან, გააჩუმე ეს უნამუსო, თორემ თმით ვითრევ, იცოდე!

სწორედ ამ დროს, კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. ამირანმა ცოლს და შვილიშვილს ანიშნა, ხმა აღარ ამოიღოთო და მაშინვე კარის გასაღებად გავიდა...

ამირანი და ლუკა ოთახში რომ შემოვიდნენ, გვანცა და ლამარა უკვე ოთახის სხვადასხვა კუთხეში ისხდნენ და თავები დამნაშავეებივით ჩაქინდრათ.

— რა დაგემართათ, ქალებო? რა ცხვირ-პირი ჩამოგტირით? — შეუტია მათ ამირანმა. — აბა, ერთი თქვენებურად დატრიალდით!.. ვერ ხედავთ, მეფის ტოლი კაცი გვყავს სტუმრად! — გაამხნევა მან ოჯახის წევრები, ლუკას კი სკამი შესთავაზა.

გვანცას ამირანის მოჩვენებით მხიარულებაზე გული მოეწურა და თავი ნელ-ნელა მაღლა ასწია. ლუკა უკვე მაგიდასთან იჯდა და ზედ დაწყობილ ნერვიულად მომუშტულ საკუთარ ხელებს ისე გულდასმით ათვალიერებდა, თითქოს პირველად ხედავსო. უცბად, თვითონაც თავი ასწია, მაგრამ როგორც კი გვანცას მზერა დაიჭირა, მაშინვე განზე გაიხედა. საერთო დუმილი კი, ისევ ლამარამ დაარღვია.

— მაშ ასე, ბატონო ლუკა! — დაიწყო მან. — წეღან, ტელეფონში, თითქმის ყველაფერი გითხარი... ახლა დასხედით ორივენი და ერთად გადაწყვიტეთ, ან ბავშვს რას უპირებთ და ან — ჩვენ?

— რომელ ბავშვს? — გულუბრყვილოდ იკითხა ლუკამ.

— ღმერთო, ნუ გადამრევ!.. — ხელი უიმედოდ ჩაიქნია ლამარამ და ოთახიდან გავიდა.

ლამარას გარეშე დარჩენილმა ამირანმა ერთი უხერხულად ჩაახველა და დაიწყო:

— ჩემო ლუკა, ხომ იცი, გვანცას შენს მეტი არავინ ჰყავს... თანაც, ჯერ სულ ბავშვია, სრულიად გამოუცდელი... ახლა რომ...

— ბატონო ამირან! — გააწყვეტინა მას ლუკამ. — დამშვიდდით... ყველაფერი კარგად იქნება... მე და გვანცა ვიქორწინებთ და ბავშვიც კანონიერად გაჩნდება, ოღონდ...

— აგაშენებს ღმერთი!.. — სიტყვის დამთავრება აღარ აცალა მას ამირანმა. — ნამდვილი ვაჟკაცი ყოფილხარ! ლამარა, ქალო, სად ხარ? — გასძახა მან შემდეგ ცოლს. — ღვინო მოიტანე! სიძე-პატარძალი უნდა დავლოცო!..

მოგვიანებით, როცა გვარიანად შეზარხოშებული და უზომოდ გახარებული ამირანი ლამარამ დასაძინებლად გაიყვანა და სასტუმრო ოთახის კარიც საგულდაგულოდ გაიკეტა, ლუკა მაგიდასთან ქანდაკებასავით მჯდარ გვანცას მიუბრუნდა.

— ბავშვი იმისია? — ძლივსღა ამოთქვა მან.

— ჰო, იმისია, — ხმა გაებზარა გვანცასაც.

— გამოდის, რომ ყველაზე მეტად რისიც მეშინოდა, სწორედ ის მოხდა...

— ასე გამოდის...

— ახლა რას აპირებ?

— არ ვიცი, — მხრები უმწეოდ აიჩეჩა გვანცამ. — მაგრამ ბავშვს აუცილებლად გავაჩენ...

— მე ბავშვზე არ გეკითხები.

— აბა?

— ჩვენს ურთიერთობას რას უპირებ-მეთქი?

— რას უნდა ვუპირებდე?.. ჩემზე ახლა აღარაფერია დამოკიდებული... სხვათა შორის, მე შენთვის არაფერი მითხოვია... არც აქ მოსვლა... ეს ყველაფერი მხოლოდ ბებიაჩემის ახირება იყო. შეგიძლია, ახლავე წახვიდე და სამუდამოდ დამივიწყო...

— მე სხვა გეგმა მაქვს.

— გეგმა?.. — გაიკვირვა გვანცამ. — მაინც როგორი?

— ჩვენ მართლა ვიქორწინებთ, ბავშვს გვარსაც მივცემ, ოღონდ, ერთი პირობით...

— რა პირობით? — გულწრფელად დაინტერესდა გვანცა.

— როგორც კი ბავშვი გაჩნდება, რამეს მოვიმიზეზებთ და მშვიდობიანად გავიყრებით. გაწყობს?

— მაწყობს, — მაშინვე დათანხმდა გვანცა. — ოღონდ, მეც მაქვს ერთი პირობა:

— მითხარი, რა პირობაა?

— სანამ ერთად ვიქნებით...

— ვიცი. — გააწყვეტინა ლუკამ, — თუ თავად არ მოისურვებ, ახლოსაც არ გაგეკარები...

ლუკას და გვანცას წინააღმდეგობის მიუხედავად, ანთაძეებმა პატარა ქორწილის გადახდა მაინც გადაწყვიტეს და მხოლოდ უახლოესი ნათესავები დაპატიჟეს. მათ, ლუკას რამდენიმე ახლობელიც შეუერთდა და ანთაძეების ბინიდან გათენებამდე სიმღერა და მხიარული შეძახილები მოისმოდა...

ლუკა საცხოვრებლად ანთაძეებთან გადავიდა. ამირანის ბუზღუნის მიუხედავად, ლამარამ ახალშეუღლებულებს თავისი საძინებელი მაინც დაუთმო, თავად კი, ამირანთან ერთად, გვანცას ოთახში გადაბარგდა.

— რად უნდათ ამ ლიფსიტებივით ბავშვებს ამსიგანე საწოლები? — საკუთარი „ბედის“ მოშლას მაინც ვერაფრით ეგუებოდა ამირანი. — ეს ჩვენს ასაკშია, ცოლ-ქმარს ცალ-ცალკე წოლა რომ ეხალისება, თორემ, გვანცა და ლუკა ახლა ცულის ტარზეც კი

თავისუფლად დაეტევიან...

— ცულის ტარი და პირი არ ვიცი მე! — თავისას არ იშლიდა ლამარა. — დედაშენმა რომ პირველსავე ღამეს „ლეჟანკაზე“ დაგვყარა, ის სიმწარე დღემდე მახსოვს და ახლა გინდა, ჩემს შვილიშვილსაც ჩავუმწარო თაფლობის თვე? მე საწოლებს ვუთმობ და თვითონ თუ უნდათ, ცულის ტარზე დაწვნენ და უნდათ, პირდაპირ იატაკზე იკოტრიალონ... შენ რას იტყვი, ქალბატონო? — როგორც იქნა, გვანცას აზრითაც დაინტერესდა იგი.

ლამარას გადაწყვეტილება გვანცას ალბათ, ცხოვრებაში პირველად მოეწონა, მაგრამ ხმამაღლა მაინც სულ სხვა რამე თქვა:

— ჩემთვის სულერთია...

ლუკამ მიცემული პირობა შეასრულა და გვანცას არც პირველ და არც შემდგომ ღამეებში არ გაჰკარებია. თავიდან გვანცა, ამის გამო, მისი ძალიან მადლიერი იყო, მაგრამ მერე და მერე, რატომღაც, თავი შეურაცხყოფილადაც კი იგრძნო, თუმცა გარეგნულად მაინც არაფერს იმჩნევდა...

ამასობაში, დღე დღეს მისდევდა, კვირა — კვირას და გვანცას მუცელიც შესაბამისად იზრდებოდა.

— ბიჭია, ბიჭი! — ხშირ-ხშირად იმეორებდა გვანცას წრიპა მუცლის შემხედვარე ამირანი.

— იცი, რომ შენს შვილიშვილს მუცელში მართლა ბიჭი ჰყავს? — მიახარა ერთხელ ლამარამ ქმარს.

— ვიცი, აბა, არ ვიცი? — ულვაშზე ხელი გადაისვა კმაყოფილმა ამირანმა. — მე უკვე სახელიც შერჩეული მაქვს.

— მერე შენ გჯერა, რომ გვანცა და ლუკა თავიანთ პირველ შვილს შენ მიერ შერჩეულ სახელს დაარქმევენ?

— ვითომ რატომ არ უნდა დაარქვან?! — გაცხარდა ამირანი. — სილიბისტრო ან რაჟდენა კი არ შემირჩევია?

— აბა, რა შეურჩიე? — დაინტერესდა ლამარა და თან, თვალები ეშმაკურად მოწკურა. — შემთხვევით, ამირანი ხომ არა?

— შენ წარმოიდგინე, არა! — გაღიზიანდა ამირანი.

გვანცა ბავშვს სექტემბრის ბოლოსთვის ელოდა. თუმცა, აგვისტოს დასაწყისში უკვე ისე დამრგვალდა, რომ ყველას ეგონა, დღე-დღეზე გააჩენსო, გვანცას სიცხეში მარტო მოძრაობა კი არა, სუნთქვაც კი უჭირდა. ლამარა და ამირანი შვილიშვილს გვერდიდან აღარ სცილდებოდნენ და როგორც შეეძლოთ, მდგომარეობას უმსუბუქებდნენ. პატარა მიშიკოც კი თავისებურად თანაუგრძნობდა გვანცას და ერთხელ თავისი ყველაზე საყვარელი კონსტრუქტორიც დაუშლევინა და ხელახლა ააწყობინა. ამ საერთო ფუსფუსსა და მოლოდინში დისონანსი მხოლოდ ლუკას შეჰქონდა: დილიდანვე სადღაც მიდიოდა და შინ მხოლოდ გვიან ღამით ბრუნდებოდა.

— ნეტავ, გამაგებინა, ეს ბიჭი სად დაეხეტება? — ქოთქოთებდა ლამარა.

— დაეხეტება კი არა, საქმეზე დადის! — ლუკას უმალ გამოესარჩლებოდა ხოლმე ამირანი. ხუმრობა საქმე ხომ არ არის? ბიჭს უკვე ოჯახი აქვს სარჩენი...

— სარჩენი, მაგისმა მზემ, თორემ აგვავსო ხვავითა და ბარაქით!.. ის კი არა და, ისევ მე ვიმარჯვე, თორემ მაგან გვანცას ერთი ხეირიანი ბეჭედიც კი ვერ გაუხერხა.

— რას ჰქვია, გაუხერხა? თუ არ ჰქონდა, რა ექნა?! ოქროულობის მაღაზიას ხომ არ გაძარცვავდა?! თანაც, ბებიამისმა ხომ აჩუქა გვანცას რაღაც ბეჭედი?

— მართალი ხარ! სწორედაც რომ რაღაც ბეჭედი... — დაეთანხმა ქმარს ლამარა. — გვანცას იმას ხელზე გავაკეთებინებდი და მეზობლების დასაცინად გავიხდიდი თავს?!. კიდევ კარგი, რომ წლების წინ, ერთი-ორი ოქროს ნივთი მაინც ვიყიდე და გადავინახე... ხომ გახსოვს, როგორ მებუზღუნებოდი — რისთვის ყიდულობო? ხომ გამოგვადგა?! მთელ სამეზობლოს მოვდე, გვანცას დედამთილმა უძვირფასესი ბეჭდები და სამაჯური გამოუგზავნა-მეთქი!

— მერე?.. არ გეშინია, რომ მეზობლებმა შენი ნაყიდი სამკაულები იცნონ?

— მაგის ჩიტი ვარ სწორედ, რომ მეზობლებისთვის სამკაულები აღრე მეჩვენებინა! პირველად გვანცას ხელზე ნახეს...

— ყოჩაღ, ლამარიკო, ყოჩაღ! — როგორც იქნა, დანებდა ამირანი ცოლს. — მართლა ძალიან წინდახედული ქალი ხარ! შენ რას იტყვი, ბაბუ? — მიუბრუნდა ის შემდეგ სარწეველაში გადაწოლილ გვანცას.

ბებია-ბაბუის ლაპარაკი გვანცას სანახევროდ არც გაუგონია, მაგრამ ამირანს მაინც ყველაფერში დაეთანხმა და ისევ საკუთარ საფიქრალზე გადაერთო: მალე ბავშვი გაჩნდებოდა და მისი და ლუკას გაყრის დროც დადგებოდა...

ლუკა ამ თემაზე საერთოდ აღარ ლაპარაკობდა. ამიტომ, ერთ საღამოს სიტყვა თვითონ ჩამოუგდო:

— ხომ არ დაგავიწყდა, რომ ეს ბავშვი უკვე ძალიან მალე გაჩნდება? — ჯერ მუცელზე დაიხედა და შემდეგ ლუკას გადახედა მან დამნაშავესავით.

— აბა, მაგას რა დამავიწყებს?!. — ბოღმიანად ჩაილაპარაკა ლუკამ.

— მერე?

— რა მერე?

— მოიფიქრე რამე? ბავშვი რომ გაჩნდება, მე ვეღარაფრისთვის მოვიცლი. ამიტომ, მოდი, ახლავე გადავწყვიტოთ, რას ვაკეთებთ. ჩემებს რას ვეუბნებით, რატომ ვიყრებით-თქო?

— ჯერ დრო კიდევ არის, რამეს მოვიფიქრებ... — დაბნეულად ჩაილაპარაკა ლუკამ.

— ლუკა, ძალიან გთხოვ... — ისევ დაიწყო გვანცამ, მაგრამ ლუკამ გააწყვეტინა:

— მეც ძალიან გთხოვ, ახლა ამაზე ნუ ვილაპარაკებთ. პირობას გაძლევ, რაღაც გამოსავალს აუცილებლად მოვძებნი...

— კი, ბატონო, როგორც შენ იტყვი... — დაეთანხმა გვანცა. — ჩემთვის უკვე მაინც ყველაფერი სულერთია...

— ბავშვიც?

— ბავშვი რა შუაშია?! — მუცელზე ორივე ხელი შიშით დაიფარა გვანცამ.

— აბა, რა არის სულერთი?

— ბავშვის გარდა, ყველაფერი.

— ირაკლიც? — დაკითხვას განაგრძობდა ლუკა და თან, ნელ-ნელა იბოღმებოდა.

— მოდი, რა, გავჩუმდეთ, — სთხოვა გვანცამ, — თორემ, თუ ასე შევყევით, ნამდვილად ვიჩხუბებთ.

— რა იყო? იმ ვაჟბატონის ხსენებამ გაგამწარა?..

— სხვათა შორის, ის ვაჟბატონი, როგორც შენ ეძახი, შეიძლება, ცოცხალი აღარც არის...

— თავს დააბრალოს...

— მართალი ხარ, ყველამ ყველაფერი საკუთარ თავს უნდა დავ-



აბრალოთ...

— მითხარი ერთი, მაინც რით მჯობდა?.. რაღა ის აირჩიე? — უცბად ციებიანივით აცახცახდა ლუკა, თან გვანცას მხრებში ჩააფრინდა და ღონივრად შეანჯღრია.

— რას შვრები? გაგიჟდი?! — ლუკას მკლავებიდან თავის გათავისუფლება სცადა გვანცამ.

— ჰო, გავგიჟდი! არ მითხრა ახლა — გიჟების მეშინიაო!.. — კიდევ ერთხელ შეანჯღრია და შემდეგ ხელი თავად უშვა ლუკამ გვანცას.

გვანცას თვალზე სიმწრის ცრემლი მოადგა და ოთახიდან უსიტყვოდ გავიდა...

მეორე დღეს, ლუკა შინ აღარ დაბრუნებულა. მესამე დღეს კი, აფხაზეთში ომი დაიწყო და ლუკაც ანთაძეებთან იარაღასხმული მივიდა.

— ეს რა არის? — გაოცება ვერ დაფარა გვანცამ.

— რა უნდა იყოს? იარაღია... — ავტომატი ოთახის კუთხეში ფრთხილად მიაყუდა ლუკამ.

— მეც ვხედავ, რომ იარაღია... — გაღიზიანდა გვანცა. — ვინ მოგცა? ან აქ რატომ მოიტანე?

— ომში მივდივარ.

— რომელ ომში? — შეიცხადა გვანცამ. — ხომ არ გაგიჟდი?!

— ერთხელ ხომ უკვე გითხარი, რომ გავგიჟდი?! — თავი ჩაქინდრა ლუკამ.

— შენ და ომი? — თვალები გაუფართოვდა გვანცას. — ომი თუ გინდოდა, მთლად აგერ, ყურისძირში არ ხდებოდა ყველაფერი?!.

— აქ რაც ხდებოდა, ომი არ იყო...

— აბა, რა იყო?

— სავარძლებისთვის ბრძოლა.

— შენ რომ მიდიხარ, იმ ომში რისთვის იბრძვიან?

— სამშობლოსთვის...

ლუკას ამირანიც დიდხანს ემუდარა, არ წახვიდეო, მაგრამ გადაწყვეტილება ვეღარ შეაცვლევინა. გამომშვიდობებისას, როცა ამირანმა და ლამარამ ახალგაზრდა ცოლ-ქმარი რამდენიმე წუთით მარტო დატოვეს, ლუკამ გვანცას ხელი ხელში წამით შეაჩერა და ლამაზ თვალებში სევდიანად ჩახედა:

— ესეც გამოსავალი... რაც არ უნდა მოხდეს, აღარ დამელოდო, მე შენთან აღარ დავბრუნდები...

სექტემბრის ბოლოს, გვანცამ მშვიდობიანად მოილოგინა და საღ-სალამათი ბიჭუნა გააჩინა. როცა ბავშვი ძუძუს მოსაწოვებლად პირველად მიუყვანეს, გვანცა მას მაშინვე უცნაურად დააშტერდა.

— რას აკვირდები? — გაეღიმა ექთანს. — არ მითხრა ახლა, ჩემი არ არისო...

— არა, ნამდვილად ჩემია, — ბავშვი უმალვე გულზე მიიხუტა გვანცამ.

— საიდან მიხვდი? იქნებ, მართლა შეგიცვალე? — ხუმრობის ხასიათზე დადგა ექთანი.

— გულმა მიგრძნო.

— ჰო-ო... დედის გული არასდროს ცდება... რა უნდა დაარქვა?

— ჯერ არ ვიცი... — დაიბნა გვანცა. — მაგაზე საერთოდ არ მიფიქრია...

— მამას რა ჰქვია?

— ირაკლი... არა, არა, შემეშალა, ლუკა... — ყურებამდე გაწითლდა გვანცა.

— მაინც, რომელი? ირაკლი თუ ლუკა? — თვალები ეშმაკურად მოწკურა მრავლისმომსწრე ექთანმა.

— ლუკა.

— მადლობა ღმერთს, მამის სახელი დავადგინეთ. მოდი, ახლა ბავშვსაც მივხედოთ და ძუძუ მოვაწოვოთ...

ამირანის დაჟინებული თხოვნით, გვანცამ ბავშვს ლუკა დაარქვა.

— ტრადიციას არ ღალატობთ, ხომ? — ბრაზობდა ლამარა. — ჯერ ორი მიშიკო, ახლა — ორი ლუკა... ამას სჯობდა, მართლა ამირანი დაგერქმიათ...

— მე მართლა ამირანს ვარქმევდი, მაგრამ ბაბუამ გაიგიჟა თავი, — საქმის კურსში ჩააყენა გვანცამ ბებია.

— ნეტავ, რა აგიჟებდა? ამირანი რითია ცუდი სახელი? — ახლა კი მართლა გული დასწყდა ლამარას.

— სახელს არავინ იწუნებს. მე, უბრალოდ, ჩვენი დიდი ლუკა შემეცოდა... — თავის მართლება დაიწყო ამირანმა.

— შესაცოდი რა სჭირს?! — გაღიზიანდა ლამარა. — თვითონ სადღაც ეშმაკებში ომობანას თამაშობს, ჩვენ კი აქ მის შვილსა და ცოლს ვუნანავებთ. რა ენაღვლება?! იცის ბიჭმა, რომ მის დაბრუნებამდე არაფერს მოვაკლებთ...

— აფხაზეთში ომობანა კი არა, ნამდვილი ომია! — გამოესარჩლა ლუკას ამირანი. — შენ გგონია, ლუკას არ უნდა, ახლა აქ იყოს? მეცოდება საწყალი ბიჭი! შვილის დაბადებასაც კი ვერ დაესწრო... ჰოდა, გადავწყვიტე, ბავშვს სახელი მაინც ერქვას მისი...

— მერე, ვისი ბრალია, თუ ვერ დაესწრო? — მაინც არ დაუთმო ლამარამ. — მე ვუთხარი, თვეში ჩამდგარი ცოლი მიატოვე-მეთქი?!

— არ მივუტოვებივარ! — ლუკას ახლა გვანცაც გამოესარჩლა. — აფხაზეთში წასვლა მეც ვურჩიე.

— ურჩიე, ხომ? — დოინჯი შემოიყარა გაცოფებულმა ლამარამ. — ჰოდა, ზარდე ახლა ეს ბავშვი მარტომ!

— ჰოდა, გავზრდი, აბა, რას ვიზამ? — შვილი გულში ჩაიკრა თვალცრემლიანმა გვანცამ...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# „ოქროს ჟოლოს“ პრეზენტაციები

აშშ-ში ყოველწლიური, რიგით 24-ე „ოქროს ჟოლოს“ პრემიის ნომინანტები დასახელდა. პრემია კინემატოგრაფის სფეროში ყველაზე უარესი მიღწევისთვის გაიცემა. ტრადიციულად, მისი გადაცემა ამერიკული კინოაკადემიის პრიზების მინიჭების წინ ხდება. წლეულს, „ოქროს ჟოლოს“ ცერემონია „ოსკარამდე“ ერთი დღით ადრე – 28 თებერვალს შედგება.

როგორც „ანტიოსკარის“ ოფიციალური საიტი იუწყება, წლის ყველაზე უარესი ფილმის კატეგორიაში პირველ ადგილზეა კრიმინალური კომედია „ჯილი“, რომელიც „ოქროს ჟოლოზე“ 9 ნომინაციით წარადგინეს. ამ ფილმთან ერთად, „წლის ანტიკინოშედევრის“ წოდების მოსაპოვებლად იბრძოლებენ: კომედიური ფილმი „ცილინდრიანი კატა“ (8 ნომინაცია), ბოევიკის – „ჩარლის ანგელოზების“ გაგრძელება (ასევე 8 ნომინაცია) და პირველად კინოს ისტორიაში, დოკუმენტური ფილმი „ნამდვილი კანკანი“, რომელიც Reality-show-ს მიხედვითაა გადაღებული.

ყველაზე უარესი მსახიობის ტიტულისთვის მამაკაცებში „იბრძოლებენ“ ბენ აფლეკი, კიუბა გუდინგი-უმცროსი, ჯასტინ გუარინი და მაიკ მაიერსი, ხოლო ქალებში: ჯენიფერ ლოპესი, ანჯელინა ჯოლი, დრიუ ბერიმორი და კემერონ დიასი. „ოქროს ჟოლოს“ პრემიაზე წარდგენილთა შორის ასევე არიან სახელგანთქმული მსახიობებიც: ალ პაჩინო, კრისტოფერ უოკენი, ალეკ ბოლდუინი და სილვესტერ სტალონე.

შეგახსენებთ, რომ „ოქროს ჟოლო“ 1980 წელს, წიგნის – „რაც ვიცი, ყველაფერი კინოსგან შევიტყვე“ – ავტორმა, იუმორისტმა ჯონი უილსონმა დააარსა, რომელიც თავს „გამოუსწორებელ კინომანიაკს“ უწოდებს.

„ანტიკონკურსი“, რომელიც უმეტესად, „ოსკარის“ ძირითადი კატეგორიების პაროდირებას ახდენს, 11 კატეგორიაში ტარდება. გარდა ამისა, კონკურსზე არის ორი ორიგინალური ნომინაცია – „ყველაზე უარესი კინოწყვილი“, „ყველაზე უარესი რიმეიქი ან გაგრძელება“. სულ ახლახან კი, მათ ახალი ნომინაცია – „ყველაზე სულელური ფილმი ტინეიჯერებისათვის“ – დაემატა. ■

# პინკი მოკლული ჩანლას ხილვამ ააღლვა

ცხოველთა უფლებების თავგამოდებული დამცველი პინკი, რომელიც ორიოდ დღის წინ „გრემის“ მფლობელი გახდა, ძალზე გააღიზიანა ნატურალური ბეწვის ქურქში გამოწყობილი მეგობრის, ბეიონსი ნოულზის ხილვამ. მას საკმაო ძალისხმევა დასჭირდა იმისათვის, რომ ამ ამბავს სკანდალი არ მოჰყოლოდა. ლონდონში ორივე ვარსკვლავი ერთი და იმავე მიზეზით ჩავიდა: ისინი „პეპსის“ ახალი სარეკლამო რგოლის გადაღებაში მონაწილეობდნენ, რომელშიც მათთან ერთად ბრიტნი სპირსსაც იღებდნენ. რაც შეეხება ბეიონსი ნოულზს, მან აღნიშნა, რომ მოხარულია ლონდონში ყოფნით, რადგან ძალზე უყვარს დიდი ბრიტანეთი, თუმცა ვერ იტანს სიცივეს. ■

# მადონა მართლმსაჯულების წინაშე წარდგომა

მომღერალ მადონასა და მის ქმარს გაი რიჩის სასამართლოს წინაშე წარდგომა მოუწევთ. წყვილს პლაგიატობაში სდებენ ბრალს. მოსარჩელე გახლავთ მომღერალი, კომპოზიტორი და მსახიობი ვინსენტ დ'ონოფრიო, რომელიც ამტკიცებს, რომ ფილმი – „გატაცებულნი“ 1975 წლის იტალიური კომედიის რიმეიქია. მისი თქმით, რიჩიმ მისგან „ითხოვა“ ეს იდეა და შემდგომ იგი თანაავტორადაც არ დაასახელა. შეგახსენებთ, რომ ფილმში მადონას მიერ განსახიერებული როლი კრიტიკოსებისგან უარყოფითად იქნა შეფასებული. დ'ონოფრიო ირწმუნება, რომ რიჩისთან და მადონასთან ერთად, იგი ჯერ კიდევ 1997 წელს მსჯელობდა ამ ფილმის გადაღებებზე. თუმცა, ვარსკვლავის ადვოკატის თქმით, მან ამის დამადასტურებელი საბუთი ჯერჯერობით ვერ წარმოადგინა. ■

# მარმრა სტრეიზანდი კინოში მრუნდემა

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ცნობილი მსახიობი და მომღერალი ბარბრა სტრეიზანდი, რომელსაც კინოში 1996 წლის შემდეგ არ უთამაშია, კვლავ დიდ ეკრანს უბრუნდება. მას ახალ ფილმში გადაიღებენ. „ფოკერების გაცნობაში“ (ფილმის – „მშობლების გაცნობა“ – გაგრძელება) ცენტრალური პერსონაჟის როლს მსახიობი ბენ სტილერი შეასრულებს. სტრეიზანდს მთავარი გმირის დედის სახე ერგო, მამას კი, დასტინ ჰოფმანი განასახიერებს.

ბარბრა სტრეიზანდის ბოლო ფილმი გახლავთ – „სარკეს ორი სახე აქვს“. მსახიობი სულ 16 ფილმშია გადაღებული. მისი პირველი ეკრანული სახე კი, „სასაცილო გოგონაში“ შესრულებული ფენი ბრაისი იყო, რომელიც 1968 წელსაა გადაღებული. ■

# ანტონიო მანდერასი კვლავ ზორის როლში მოგვევლინება

როგორც მექსიკური კინოგადაღებების ეროვნული კომისიის დირექტორმა სერხიო მოლინამ განაცხადა, ბანდერასის მონაწილეობით „ზოროს ნიღბის“ გაგრძელების გადაღება აგვისტოში იგეგმება. ზემოთ აღნიშნული ფილმი 1998 წელს გამოვიდა. ის ძალზე სოლიდური თანხა დაჯდა, მაგრამ დიდი მოგებაც მოუტანა მწარმოებლებს. როგორც ჩანს, არც ახალი ფილმი იქნება მცირებიუჯეტიანი. დონ დიეგო დე ლა ვეგას კვლავ ენტონი ჰოპკინსი განასახიერებს, ხოლო მშვენიერი ელენას როლზე ისევ კეტრინ ზეტა-ჯონსია მიწვეული. ■

# „მაღდადიდან პირდაპირ ეთერში“

ამ ფილმის რეჟისორია მიკ ჯექსონი, როლებს ასრულებენ მაიკლ კიტონი და ელენა ბონემ კარტერი. 1990 წელს, ქუვეითში ერაყის არმიის შეჭრიდან რამდენიმე დღის შემდეგ, პროდიუსერ რობერტ უინერის თაოსნობით, ბაღდადში ტელეკომპანია CNN-ის გადამღები ჯგუფი ჩადის. მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი საინფორმაციო ტელეკომპანიის ჟურნალისტები ერაყში წინასაომარ სიტუაციასთან დაკავშირებით რეპორტაჟებსა და პრეზიდენტ სადამ ჰუსეინთან ინტერვიუს ამზადებენ. თუმცა, უინერის (რომელმაც შემდგომ, ჯექსონის ფილმისთვის დაწერა სცენარი) ჯგუფის მთავარ მიღწევად, ბაღდადში ამერიკის ავიაციის საჰაერო დარტყმების პირველივე საათების პირდაპირ ეთერში ჩვენება იქცა.

სპარსეთის ყურეში გაჩაღებულ პირველ ომზე შექმნილი სატელევიზიო პროექტი სტრუქტურულად, დოკუმენტურ ფილმს უფრო ჰგავს.

CNN-ის ჟურნალისტები იკვლევენ ქუვეითის სამშობიარო სახლებში ერაყელთა მიერ ბავშვების დახოცვის ფაქტებს, რომლის მოწმეც აშშ-ში ქუვეითის ელჩის 15 წლის ქალიშვილი აღმოჩნდა. ჯექსონის ფილმი არ ამტკიცებს გოგონას ჩვენების უტყუარობას, თუმცა, თეთრი სახლი ამ ფაქტებს ჰუსეინის რეჟიმს ერთ-ერთ მთავარ ბრალდებად უყენებდა. ქუვეითის სამშობიარო სახლებში ერაყელთა მიერ ჩადენილი დანაშაული კითხვის ნიშნის ქვეშ ომის დასრულების შემდგომ, ტელეკომპანია ABC-ის მიერ მომზადებულ რეპორტაჟში დადგა. ■

# გაეროს ხელმძღვანელობა ლმობიერი გახდა

გაეროს ხელმძღვანელობამ პირველად მისცა თანხმობა, მის შტაბბინაში ნიუიორკში ფილმი გადაიღონ. ეს პატივი წილად ხვდა სახელმოხვეჭილ რეჟისორს სიდნეი პოლაკს, რომელიც თავის ახალ სურათში ნიკოლ კიდმანსა და შონ პენს გადაიღებს. ფილმში – „თარჯიმანი“ – კიდმანი გაეროს თანამშრომლის როლს ასრულებს. იგი შემთხვევით შეიტყობს შეთქმულების შესახებ, რომელიც ერთ-ერთი აფრიკელი ლიდერის მოკვლას ისახავს მიზნად.

როგორც აღვნიშნეთ, წინათ, გაეროს ხელმძღვანელობა კატეგორიულ უარს აცხადებდა შენობაში კინოგადაღების დაშვებაზე. მაგალითად, 1959 წელს, გაეროს შტაბბინაში არ შეუშვეს ალფრედ ჰიჩკოკის ჯგუფი, რომელიც მუშაობდა ფილმზე – „ჩრდილოეთისკენ ჩრდილო-დასავლეთის გავლით“. ■


„კვირის პალიტრის“ სასწავლო კომპიუტერული ცენტრი

გთავაზობთ კომპიუტერის შემსწავლელ ინდივიდუალურ კურსებს:

**საოფისე, საგამომცემლო, გრაფიკული და ანიმაციური პროგრამები. პროგრამირება და ვებ-დიზაინი. შეისწავლება აგრეთვე პრინტერთან, სკანერთან და ქსელში მუშაობა, ინტერნეტი.**
**საგამომცემლო პროგრამების შესწავლისას მსურველები პრაქტიკას გაივლიან „კვირის პალიტრის“ გამოცემებში.**
**დამწყები და მოქმედი ჟურნალისტებისთვის ისწავლება აუცილებელი კომპიუტერული კურსი.**



მსმენელთა მიღება ყოველდღე, კვირის გარდა
15⁰⁰-დან 18⁰⁰ სთ-მდე „კვირის პალიტრის“ ოფისში.
მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან).
დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ:
33-27-99; 38-68-77; 8(77) 44-24-74.

შესაძლებელია საუკეთესო მსმენელთა დასაქმება

# სპორტული ავტოლეგენდის დაგვიანებული იუბილე

Chevrolet Corvette-ის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე შარშან უნდა აღენიშნათ, მაგრამ 11 სექტემბრის ტერაქტთან დაკავშირებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა კომპანიას ახალი „კორვეტის“ წარმოდგენა გადაადებინა. ის სწორედ წლევანდელ დეტროიტის ავტოსალონზე გაიმართა.

ახალი სპორტული ავტომობილის კაპოტქვეშ 8-ცილინდრიანი V ტიპის ბენზინის ძრავა „სუნთქავს“, რომლის სამუშაო მოცულობა 5970 კუბ.სმ-ს შეადგენს. მისი სიმძლავრე 405 ცხ.ძ-ა; მანქანა 4,3 წმ-ში აღწევს 100 კმ/სთ სიჩქარეს და 290 კმ/სთ მაქსიმალურ სიჩქარეს ავითარებს. ის 4-საფეხურიანი „ავტომატით“ ან 6-საფეხურიანი მექანიკურ გადაცემათა კოლოფით აღიჭურვება.

აშშ-ში ახალი „კორვეტის“ გაყიდვა წლევანდელი წლის მესამე კვარტალისთვისაა დაგეგმილი – ამ დროისთვის, დილერებს მანქანის მაგარსახურავიან ვერსიას შესთავაზებენ, ხოლო შემოდგომაზე ისინი რბილსახურავიან ვარიანტსაც მიიღებენ. შემოდგომიდანვე დაიწყება „კორვეტის“ ევროპაში ექსპორტირებაც. მწარმოებლის – კორპორაცია „ჯენერალ მოტორსის“ მესვეურებს იმედი აქვთ, რომ ევროპაში 5 ათასამდე „კორვეტის“ რეალიზებას მოახერხებენ. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, გერმანიაში ახალი სპორტული მანქანის ფასი 50.000 ევროს არ უნდა აღემატებოდეს. მათივე შეფასებით, ეს ძალზე კონკურენტუნარიანი წინადადება იქნება, რადგან მანქანის სალონი ნატურალური ტყავითაა გაწყობილი, ხოლო დიზაინი ისეთი აქვს, რომ ვერც ერთ ავტომოყვარულს ვერ დატოვებს გულგრილს. ■

# Range Stormer-ის „ჭკვიანი“ საჯიდარი

ამერიკულ კორპორაცია Ford-ში შემავალმა ინგლისურმა ფირმამ – Land Rover დეტროიტში წარმოადგინა სპორტული ყველგანმავალი Range Stormer, რომელიც დახვეწილი დიზაინითა და მოწინავე ტექნოლოგიური დონით გამოირჩევა. სიახლეებს შორისაა მაგალითად, კარი, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება: ზედა, ფრთის მსგავსად, ზემოთ იწევა, ქვედა კი – ქვემოთ იკეცება და მოსახერხებელი საფეხურის ფუნქციას ასრულებს. მანქანა 8-ცილინდრიანი ბენზინის აგრეგატით აღიჭურვება, რეგულირებადი საკიდარი კი, კომფორტულ მოძრაობას უზრუნველყოფს. ამ სისტემას Terrain Response დაარქვეს; მას 6 პოზიცია აქვს – Dynamic-დან დაწყებული (ავტოსტრადაზე სამოძრაოდ), Deep Ruts-ით დამთავრებული (უგზოობის პირობებისთვის გათვალისწინებული). მის ასამოქმედებლად, მძღოლს მხოლოდ ბერკეტის გადართვა მოეთხოვება. როგორც ვარაუდობენ, ამ მანქანის სერიული წარმოება 2005 წლისთვის დაიწყება. ■

# უნივერსალური Volkswagen

გერმანული კონცერნისთვის უკვე ტრადიციადაა ქცეული, დეტროიტის ავტოსალონზე ექსპერიმენტული ნამუშევრების წარმოდგენა, რითიც ის ჩრდილოამერიკული ბაზრის მოთხოვნების განჭვრეტას ახერხებს. ასე მოხდა Concept 1-ის შემთხვევაში, რომელიც შემდგომ, სერიულ New Beetle-ად („ახალ ხოჭოდ“) იქცა. ასეთივე ბედი ეწია AAC-ის, რომელიც სერიული Touareg-ის კონცეპტ-ავტოს წარმოადგენდა. წლეულს კი ასეთი, სასინჯი მოდელის ფუნქციას ასრულებდა სპორტული ყველგანმავალი VW Concept T, რომელმაც პრინციპულად ახალი კლასის ავტომანქანებს უნდა დაუდოს სათავე. „დღემდე, არ არსებობდა სპორტული მანქანა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, სრული უგზაობის პირობებში მოძრაობას შეძლებდა“, – ნათქვამი იყო ავტოსალონზე გავრცელებულ კონცერნის პრესრელიზში.

მანქანა 241 ცხ.ძ-ის მქონე, 6-ცილინდრიანი V ტიპის ძრავათი და ავტომატურ გადაცემათა კოლოფითაა აღჭურვილი. 100 კმ/სთ სიჩქარეს 6,9 წმ-ში ავითარებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი, 230 ცხ.ძ-ს შეადგენს, რის გამოც სიჩქარის შემზღუდავითაცაა აღჭურვილი. მანქანის მასიური კარი გაღებისას, ზემოთ ადის, სახურავი კი, საჭიროებისამებრ, შეიძლება მთლიანად მოიხსნას და მანქანა კაბრიოლეტად გადაიქცეს. კონდიციონერი და მულტიმედიური სისტემა მინიატურული კომპიუტერის მეშვეობით იმართება. ■

**ნიკა ლომიძე და მისი მეუღლე — თეა გოგიჯიშვილი სასმელზე უარს არ ამბობენ, მაგრამ ძალზე იშვიათად თვრებიან. ნიკა კარგი მსმელი და არანაკლებად კარგი თამადაც ყოფილა, თუმცა, როგორც თეამ გაგვიმხილა, თურმე ყოველთვის ცდილობს, თამადობისგან თავი დაიძვრინოს.**

**რატომ აიკრძალა 9 თვის მანძილზე ნიკამ დალევა და რატომ რჩებოდა ჭიათურაში საცხოვრებლად ნასვამი თეა — ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# „ნიკას გვერდით რომ არ ვყოფილიყავი, ალბათ საჭეზე ჩამოეძინებოდა...“

ნინო ჯავახიშვილი

**თეა:**

— დალევა ორივეს გვიყვარს, ოღონდ — რა თქმა უნდა, ზომიერად. ნიკა საერთოდ, იშვიათად თვრება, ამიტომ მობეზრებული არა მაქვს მისი სიმთვრალე და არასდროს მიჩხუბია — ნუ სვამ-მეთქი. სიმთვრალეში კარგი ხასიათი აქვს, კიდევ უფრო მხიარული ხდება და ამიტომ ვეუბნები ხოლმე — უკვე ამჩატდი-მეთქი...

ნასვამმა, ბევრი ლაპარაკიც არ იცის. თუ ძალიან კარგად არ იცნობ ნიკას, შეიძლება, ვერც შეატყო, რომ მთვრალია.

**— ნიკა, რა სასმელს ამჯობინებ და როგორი მსმელი ხარ?**

— საქეიფოდ ღვინო მირჩევნია, გრადუსის მისაღებად — ტეკილა, რადგან კაქტუსის არაყი ერთადერთი სასმელია, რომლისგანაც „პახმელიობა“ არ მაწუხებს. საერთოდ, ძალიან ცუდი „პახმელიობა“ ვიცი — ორი დღე, თავის ტკივილი მკლავს. სამაგიეროდ, სმის პროცესია სასიამოვნო. რატომღაც ბევრ სასმელს ვიტან. ლიტრობით არ ამირწყავს და არ ვიცი, რამდენის დალევა შემიძლია, მაგრამ „სამჭიქიანი“ ნამდვილად არა ვარ.

**— გონის დაკარგვამდე თუ დაგილევია?**

— ერთხელ, მეგობრები რესტორანში წავედით და გადავწყვიტეთ, გონის დაკარგვამდე დაგველია. მართლაც, ბევრი ვსვით. ქეიფის შემდეგ, საჭმლის ნარჩენები მთელ კუპეში იყო მიმოფანტული, ჩვენს საქციელს ვეღარ ვაკონტროლებდით; ბოლოს, ღვინით ვიწუწავეთ. ეს ამბავი კი, იმით დამთავრდა, რომ რესპუბლიკურ საავადმყოფოში აღმოვჩნდით: ერთ-ერთს, წუწაობის დროს, ჭიქა ხელიდან გაუვარდა და პირდაპირ შუბლში მომხვდა!..

**თეა:**

— ერთხელ კი, ისე დათვრა, რომ მანქანის მართვა ვეღარ შეძლო. გავიუტდა — გინდა თუ არა, საჭესთან მე უნდა დავჯდეო. გზაზე ყოველ სამ წუთში ერთხელ აჩერებდა მანქანას და მის გვერდით რომ არ ვყოფილიყავი, ალბათ საჭეზე ჩამოეძინებოდა. მეორე დღეს, თვითონ აღარაფერი ახსოვდა.

**ნიკა:**

— ახლა ისიც თქვი, შენ თვითონ როგორი ხასიათი გაქვს ნასვამს, როგორ ამჩატდები ხოლმე... ისე, სიმთვრალეში კარგი ხასიათი აქვს. სულ იცინის და გაბრაზება რომც გინდოდეს, ვერ გაუბრაზდები.

**თეა:**

— ჩემი მეგობრები მეუბნებიან — როგორ გვიყვარს, როცა ნასვამი ხარო: სულელურ რაღაცებზეც კი მეცინება ხოლმე... ერთ ამბავს გავიხსენებ. რამდენიმე წლის წინ, გასტროლებზე ვიყავით ჭიათურაში. იქაურებმა კარგად გვიმასპინძლეს. ეტყობა, სასმელი ზედმეტი მომივიდა და დავთვერი. გზადაგზა, უფრო მომეკიდა და იმდენად მშვენიერი მეჩვენებოდა ირგვლივ ყველაფერი, რომ ჭიათურის სილამაზით გაოგნებულმა, იქ დარჩენა მოვინდომე — გინდათ თუ არა, ჭიათურაში უნდა დავრჩე საცხოვრებლად, თბილისში წამოსვლა აღარ მინდა-მეთქი. „მარშრუტკის“ მძღოლს ყოველ წუთს ვაჩერებინებდი მანქანას, ჩავდიოდი და გავრბოდი — თავი დამანებეთ, აქ დარჩენა მინდა-მეთქი... მე გავრბოდი, უკან კი, ჩემი ანსამბლის წევრები და მომღერლები მომდევდნენ... მოკლედ, ყველა გავაწამე.

ახლა ისიც თქვი, შენ თვითონ როგორი ხასიათი გაქვს ნასვამს

**— თეა, როდესაც ნიკა მთვრალია, განსაკუთრებულ ყურადღებას ხომ არ მოითხოვს?**

— არა, ძალზე უპრეტენზიოა. შინ დაბრუნებულმა, აუცილებლად რამე უნდა მიირთვას: სუფრასთან, როდესაც სვამს, ბევრს ვერ ჭამს... შემდეგ კი იძინებს. ძალიან უყვარს მოფერება — თუ რამეზე უარზე დგას, მოფერებით, შეიძლება, მოთაფლო და დაითანხმო.

**ნიკა:**

— *(იცინის)* ასეა, არა? ახლა ყველაფერი გასაგებია. აი, თურმე როგორ სარგებლობ ჩემი რბილი ხასიათით... კიდევ ერთ ამბავს გავიხსენებ. თეა ფეხმძიმედ რომ იყო, მხოლოდ და მხოლოდ სასმლის სუნზე ჰქონდა გართულება. 9 თვის განმავლობაში, ერთადერთხელ დავლიე და ისიც — ორად ორი ჭიქა... მე-9 თვეში რომ იყო, ერთ დღეს, მეგობრებმა დამირეკეს და რესტორანში დაგვპატიჟეს. სმა მონატრებული მქონდა და თავი არ დამიზოგავს. უცებ, თეა მეუბნება — ნიკა, მგონი, მშობიარობა დამეწყოო... — გტკივა-მეთქი? — არა, ძალიან არ მტკივაო, — მიპასუხა. — აბა, მაშინ არაფერია, ნუ ნერვიულობ-მეთქი, — დავამშვიდე. ქეიფი გავაგრძელე და სანამ მართლა არ დაეწყო მშობიარობა, არ ვუჯერებდი... მივიყვანეთ თუ არა სამშობიაროში, 15 წუთში იმშობიარა კიდეც. 9 თვის განმავლობაში ერთხელ დავლიე და ისიც არ შემარჩინა ჩემმა შვილმა... ■

მაია კახიძე

*ამ სახლში მოზარდები საკუთარი ნებით არ მოდიან. თუმცა, გარკვეული ხნის შემდეგ, ბევრი მათგანი, საკუთარ ოჯახში დაბრუნებას, იქ დარჩენას ამჯობინებს... წინათ, ამ დაწესებულებას მილიციის მიმღებ-გამანაწილებელი ერქვა — ისევე, როგორც ყველა სხვა საბჭოთა რესპუბლიკაში. დამოუკიდებელ საქართველოში სახელი შეუცვალეს — თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს არასრულწლოვანთა მიღების, პროფილაქტიკის და ორიენტაციის ცენტრი დაარქვეს. მოგვითხრობს ცენტრის უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი* **ციცო კიკალიშვილი.**

ნინო, (შუაში): მოდელების შეკერვა შემიძლია... მინდა ეს საქმე ვისწავლო

# რა იზიდავს ოჯახიდან გაქცეულ მოზარდს პოლიციის საორიენტაციო ცენტრში?

— ეს ცენტრი 1919 წლიდან არსებობს. უწინ, 5 დეკემბრის ქუჩაზე მდებარეობდა, 1927 წელს კი ამ ტერიტორიაზე გადმოიტანეს. კარგად მოგეხსენებათ, თუ როგორი მარწუხებით გამოირჩეოდა აღზრდის საბჭოური სისტემა, მით უმეტეს — ე.წ. ძნელად აღსაზრდელი მოზარდების მიმართ... მხოლოდ 1994 წლის 21 აპრილის შემდეგ გახდა შესაძლებელი სასიკეთო ძვრები — როცა ჩვენმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ბავშვთა უფლებების კონვენციას...

**— როგორ, რა გზით ხვდებიან არასრულწლოვანი ბავშვები ცენტრში?**

— შესაბამისი ბრძანების თანახმად, ქალაქის არასრულწლოვანთა ინსპექციის რაიონული განყოფილებების თანამშრომლები სპეციალურ პროფილაქტიკურ რეიდებს ატარებენ და ბავშვები ჩვენთან მოჰყავთ. ვადგენთ მათ ვინაობას, ვუტარებთ სამედიცინო შემოწმებას — გადაგვყავს ნარკოლოგიურ დისპანსერში, ტუბდისპანსერსა და ვენდისპანსერში. თითოეულ მათგანს დახმარება სჭირდება. უჭირთ სახელისა და გვარის, ასაკის დასახელება. ზოგჯერ მალავენ, ზოგჯერ სიბრალულის გამოწვევას ცდილობენ და ლეგენდებს თხზავენ; ზოგი შეფარულ აგრესიასაც იჩენს... ვინაობის, ასაკის დადგენას დრო და ფინანსური სახსრები სჭირდება... აღნიშნული დისპანსერები „ქუჩის ბავშვებს“ თავიანთ პროგრამაში სვამენ, მკურნალობას უტარებენ. საზოგადოება სათანადოდ არაა გარკვეული იმაში, თუ რა კატეგორიებად იყოფიან ე.წ. „ქუჩის ბავშვები“. ბევრს ყველა, სოციალურად დაუცველი ჰგონია, არადა, მათ შორის არიან: მათხოვრები, მაწანწალები, ტოქსიკომანები, მეძავები. არიან ბავშვები, რომლებსაც აქვთ მიდრეკილება ჰომოსექსუალიზმისაკენ... მიზეზი უმეტესად, ოჯახიდან მოდის. ისინი ხშირად, ოჯახში გაბატონებული ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან. თუმცა, სიდუხჭირეც გვევლინება ხოლმე მოზარდის შინიდან გაპარვის მიზეზად. ბოლო სამ წელიწადში, ჩვენთან მოხვედრილი 1600 ბავშვის ბიოგრაფია შევისწავლე და მერწმუნეთ — ერთმანეთს ძალიან ჰგავს: დედა — ბაზრობაზე, მამა — ლოთი; ან ერთია საქართველოდან წასული, ან მეორე... უამრავ მშობელს ვესაუბრე და მხოლოდ ერთს ამტკიცებენ — მთავარია, შვილი შიმშილით არ მომიკვდესო...

უმეტესად, მოდის მშობელი და შინ მიჰყავს, მაგრამ ბევრი მათგანი, ერთ კვირაში, მორიგი რეიდის შედეგად, ისევ ჩვენთან ხვდება...

**— თქვენი ცენტრიდან სად ხვდებიან ეს ბავშვები?**

— უმეტესად, მოდის მშობელი და შინ მიჰყავს, მაგრამ ბევრი მათგანი, ერთ კვირაში, მორიგი რეიდის შედეგად, ისევ ჩვენთან ხვდება... პრაქტიკულად, აქ იზრდებიან... განაწილებისას კი, მთავარია, თავად მოზარდის სურვილი გავითვალისწინოთ. თუ ბავშვს აქ დარჩენა უნდა, ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ აქ იყოს (თუმცა, დადგენილი წესით, მხოლოდ ერთი თვეა გათვალისწინებული); თუ ბავშვს სურვილი აქვს, იცხოვროს ოჯახში, ოჯახში ვაბრუნებთ; თუ ბავშვთა თავშესაფარში გადაყვანას გვთხოვს, ვუწევთ რეკომენდაციას და განათლების სამინისტროს საგზურით გადაგვყავს.

**— რამდენი ბავშვის მიღება შეუძლია ცენტრს?**

— ასი ბავშვის. აქ მათთვის ყველა პირობაა შექმნილი. ძირითადი დაფინანსება შინაგან საქმეთა სამინისტროს აკისრია. ახლახან დასრულდა ნაწილობრივი სარემონტო სამუშაოები. იაპონიის საელჩოს მხარდაჭერით, 41-ათასდოლარიანი გრანტი მივიღეთ. ახლა სრულიად ახალი საძინებელი გარნიტური და თეთრეული შევიძინეთ, მოვაწყვეთ დასასვენებელი ოთახი, სასადილო, საშხაპეები, მედპუნქტი — ყველა საჭირო მედიკამენტით. სამწუხაროდ, შენობის ნაწილის გასარემონტებლად თანხა აღარ გვეყო.

**— მძიმე შემთხვევების დროს**

**— ვთქვათ, როდესაც ბავშვს ქირურგიული ოპერაცია ან მაღალკვალიფიციური მკურნალობა სჭირდება — ვინ გეხმარებათ?**

— შარშან, ოთხ ბავშვს გავუკეთეთ ოპერაცია ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში. საამისოდ, ექიმ ზურაბ რუხაძეს საგანგებო პროგრამა აქვს შედგენილი. ვენდისპანსერის მთავარმა ექიმმა — გოგიტა ქერქაძემ თავისი პროგრამით ათ მეძავ გოგონას სტაციონარულად უმკურნალა. ყველაზე უფროსი 17 წლის იყო, უმცროსი — 9 წლის!.. ნარკოლოგიური ინსტიტუტის დირექტორმა გელა ლეჟავამ ორკვირიანი მკურნალობა ჩაუტარა ტოქსიკომანებს. ტოქსიკომან ბავშვებთან ურთიერთობა განსაკუთრებით რთულია, რადგან მეტად აგრესიულები და უმართავები არიან, თანაც ძალზე ძნელია, ამ მავნე ჩვევაზე ათქმევინო უარი...

*ბოლოს, თავად მოზარდებს გავესაუბრეთ:*

***სერგო,*** *14 წლის:*

**— როდის აპირებ აქედან წასვლას?**

— კარგად ვგრძნობ თავს და წასვლა არ მინდა. ბურთები გვაქვს, ფეხბურთს ვთამაშობთ, ვმეცადინეობთ. ისტორია და ხატვა მიყვარს, მინდა, მხატვარი გამოვიდე. შარშან გამოფენაშიც მივიღე მონაწილეობა და სიგელით დამაჯილდოეს. კვირაში ერთხელ, ხატვის მასწავლებელი მოდის ხოლმე და მეც ველოდები. ციცო დეიდა დამპირდა — სექტემბრიდან, სამხატვრო სკოლაში გაგრძელებ სწავლასო. ძალიან მინდა იმ სკოლაში სწავლა, ყველაფრის ხატვა შემიძლია...

***ნინო,*** *14 წლის (ადიგენელი):*

**— შენ ვინ გინდა გამოხვიდე?**

— მკერავი, მოდელების შეკერვა შემიძლია, ძალიან მომწონს. მინდა, ეს საქმე ვისწავლო, მაგრამ ჯერ 14 წლის ვარ და აქ ყოფნა მირჩევნია.

**— აქ როგორ მოხვდი?**

— მამინაცვალი მყავს. ის და დედაჩემი ნაქირავებ ოთახში ცხოვრობენ. თბილისში წამოვედი და სადგურზე ვცხოვრობდი *(ნინო სადგურელ მეძავებთან ერთად ცხოვრობდა, მაგრამ დროზე წამოიყვანეს. — ავტ.)*. თავიდან, არ მინდოდა აქ ყოფნა, მეშინოდა, მაგრამ ახლა ძალიან კარგად ვგრძნობ თავს.

***ანდრო,*** *14 წლის (დმანისელი):*

**— პოლიციამ მოგიყვანა?**

— კი, პოლიციამ, სახლიდან წამომიყვანეს ხულიგნობისთვის.

**— მართლა ხულიგანი ხარ?**

— ...უფრო სწორად — რაღაცებს ვიპარავდი მაღაზიიდან. ალუმინის მავთულიც ბევრჯერ მოვიპარე და ჩავაბარე. ერთხელ კი, როცა „ელექტროშკაფში“ ვიპარავდი, ცეცხლი მომეკიდა და დავიწვი, ცალი ხელი სულ დამწვარი მაქვს...

**— ალუმინში აღებულ თანხას რაში ხარჯავდი?**

— კომპიუტერული თამაშები მიყვარს, იქ კი ფულია საჭირო...

**— საავადმყოფოში ვინ წაგიყვანა?**

— დედამ. დედაჩემი კარგი ადამიანია, ჩამოდის ხოლმე თბილისში და ერთმანეთს ვნახულობთ, ჩემს თანასოფლელებს არ უნდოდათ, იქ რომ ვყოფილიყავი და პოლიციამაც გლდანში წამომიყვანა...

*P.S. ანდროს, მკლავის შესანარჩუნებლად, რთული ოპერაცია ესაჭიროება, ასეთი სახის ოპერაციას კი, გერმანიაში აკეთებენ. იქ გასამგზავრებელი თანხა ცენტრმა უკვე მოიძია — მას ინგლისის „ხსნის არმია“ დააფინანსებს. ასე რომ, მალე ანდრო აღმზრდელთან ერთად, გერმანიაში გაემგზავრება.*

■

ანდროს (წინა პლანზე) მკლავის შესანარჩუნებლად, რთული ოპერაცია ესაჭიროება



# ერთგული მკითხველი

*თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...*

***1. ვინ მოაწერა ფაშისტური გერმანიის კაპიტულაციას ხელი?***

ა) ვილჰელმ კეიტელმა;
ბ) გერმან გერინგმა;
გ) ადოლფ ჰიტლერმა.

***2. ვინ სთხოვა მთავრობას, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელი მკაცრად არ დაესაჯათ, რადგან კაცის მოკვდინება, ილიას იდეალებს ეწინააღმდეგებოდა:***

ა) აკაკი წერეთელმა;
ბ) ილიას მეუღლემ, ოლღა გურამიშვილმა;
გ) ნოე ჟორდანიამ.

***3. რომელ ძვეყანაში არსებობს კინოთეატრი, რომელიც მხოლოდ ერთადერთ ფილმს — „ძარწაღეგულნი“-ს უჩვენებს?***

ა) იაპონიაში;
ბ) ინგლისში;
გ) კანადაში.

*პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე*

*ცნობილი პარაფსიქოლოგის დალი ავაგუმაშვილის შესახებ ბევრს წერენ ჟურნალ-გაზეთები, მაგრამ პირადად მე, ერთი ახლობლის ნაამბობმა დამაინტერესა — აღფრთოვანებული იყო, ლოცვით სასწაულებს ახდენსო. მისგანვე შევიტყვე, რომ ქალბატონი დალი, „სუხიშვილების“ ყოფილი მოცეკვავე, პროფესიით გინეკოლოგი, პოპულარული ქართველი მომღერლის, გია ავაგუმაშვილის (ანსამბლი „ოთხი გია“) და, 25 წლის ასაკში სულ სხვა პიროვნებად გარდაიქმნა და დაადგა გზას, რომელიც თავისი ნებით არ აურჩევია. მან უფლის კარნახით ყველაფერი განზე გადადო და ბოროტ ძალებს ებრძვის — კურნავს ავსულთაგან შეპყრობილებს, მოჯადოებულებსა და გათვალულებს. გადავწყვიტე, საკუთარ თავზე გამომეცადა მისი ლოცვის ძალა და შეუთანხმებლად ვესტუმრე.*

# პარაფსიქოლოგი დალი ავაგუმაშვილი:

# მერწმუნეთ, მხოლოდ ლოცვა გადაგვარჩენს

ნანა სისაური

მოსაცდელში იმდენი ხალხი იყო, რომ კართან ავიტუზე. აღფრთოვანებული პაციენტები ლეგენდებს ჰყვებოდნენ ქალბატონ დალიზე. ცოტა ხნის შემდეგ, მისაღები ოთახიდან შუახნის ქალი გამოვიდა, თვალებით ვიღაცას ეძებდა, ვიგრძენი, მზერა ჩემზე შეაჩერა... დალი ამბობს — კართან შავპალტოიანი გოგონა დგას და ურიგოდ შემოვიდესო. ჟურუნტელმა დამიარა, ვერ მივხვდი, რატომ გამომარჩია ამდენ ხალხში ან საიდან იცოდა, იქ რომ ვიყავი. გამოგიტყდებით, დალისთან ცოტა ნირწამხდარი შევედი.

— **გამარჯობათ!..**

— დაბრძანდით!.. თქვენ ჩემთან დახმარების სათხოვნელად არ მოსულხართ, მაგრამ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ შველა გჭირდებათ.

— **ვერ გავიგე, რას გულისხმობთ?**

— თქვენი გვარის ქალებს პირად ცხოვრებაში არ გიმართლებთ, კაცებში ბედი არ გწყალობთ, უვარგისი ქმრები გხვდებათ, რადგანაც საგვარეულო წყევლამ გიწიათ. თუ არ მოიხსნით, თქვენც მათ ბედს გაიზიარებთ.

— **მართალს ბრძანებთ, მაგრამ როგორ მიხვდით? ნათელმხილველი ხართ?**

— არა, მე არც მკითხავი ვარ და არც ნათელმხილველი, ხანდახან, ღვთის ნებით ინფორმაციას ვიღებ და ვლაპარაკობ, რასაც უფალი მკარნახობს. ვინ აღარ მირეკავს, ხალხს რატომღაც მარჩიელი ვგონივარ... უხილავი ძალა შელოცვის დროს, ჩემი პირით გაძლევთ რჩევებს. ზოგჯერ, შუა ლოცვაში, რომელიმე ორგანო ამტკივდება ხოლმე და მეც პაციენტს ვურჩევ, ექიმს გაესინჯოს.

— **ქალბატონო დალი, ვხვდები, რომ იცით ჩემი ვიზიტის მიზეზი...**

— *(გაღიმა)* მკითხეთ, რაც გაინტერესებთ და გიპასუხებთ.

— **თქვენ ეშმაკეულით შეპყრობილებს ლოცვით ათავისუფლებთ ბოროტ ძალთაგან. საინტერესოა, რა ნიშნის მიხედვით ირჩევს ადამიანს უწმინდური?**

— ეშმაკი, ცოდვილი გვარის წარმომადგენლებზე ნადირობს. გაგიგონიათ, ალბათ, ბაბუის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოსჭრა კბილიო. მოუნანიებელი ცოდვები შთამომავლებზე გადადის და მათ ეშმაკის კერძად აქცევს.

— **რატომ იპყრობს ეშმაკი ადამიანს?**

— შავი ანგელოზები დაცემის შემდეგ ღვთაებრივი ენერგიით ვეღარ საზრდოობენ, ამიტომ იძულებულნი არიან, მოძებნონ სულით დაცემული ადამიანების შთამომავლები, აცდუნონ და მათი ენერგიით იკვებონ... ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ დაკვირვებული ვარ, ჩემს მისაღებში გაზაფხულსა და შემოდგომაზე საგრძნობლად მატულობს შეპყრობილთა რიცხვი, მათ შორის, ბევრი ახალგაზრდაა... შარშან, ოქტომბერში, 8 წლის ბიჭი მომიყვანეს. ბავშვს დღეში 5-6-ჯერ ეცვლებოდა გუნება-განწყობილება, ისეთი დაუნდობელი და აგრესიული ხდებოდა ყველას მიმართ, მშობლებმა არ იცოდნენ, როგორ მოეთოკათ. სხვებთან შედარებით, ბიჭი ბებიას უკეთ ეპყრობოდა, ხოლო ძმასა და დედ-მამას მოსისხლე მტრად მოეკიდა. ისე გამეტებით სცემდა, რომ შესძლებოდა, ალბათ, მიასიკვდილებდა. გუნება-განწყობის უცნაური ცვლილებების დროს, ბიჭს თვალები ისე ჰქონდა გადმოკარკლული და უსისხლიანდებოდა ხოლმე, ლამის ბუდიდან ამოვარდნოდა. მამა შვილს ამგვარ საქციელს უზრდელობად უთვლიდა და გამეტებით სცემდა, მაგრამ ვერაფერს აგებინებდა. ისე გამწვავდა მამა-შვილს შორის ურთიერთობა, რომ ერთმანეთი შეზიზღდათ. ერთხელ, აღრიალებული ბავშვი ბებიას გამოუტყდა — ვიღაც ყურში ჩამძახის და რასაც მეუბნება, მეც იმას ვაკეთებო. ბიჭს ეკლესიის ხსენებაზე კრუნჩხვები ემართებოდა, რამაც ბებია დააეჭვა.

— **მოძღვართან წაიყვანეს?**

— ვერ მოახერხეს, ცოცხალი თავით ტაძარში არავის მიჰყვებოდა. ბებიამ ეს ფაქტი და ბავშვის ნათქვამი ერთმანეთს დაუკავშირა და მიხვდა, რომ ბიჭს ავი სული აწვალებდა.

— **თქვენთან თავისი ნებით მოვიდა?**

— არა!.. ბებიამ დამირეკა — ვერ წამომიყვანია და როგორ მოვიქცეო? ჩამოვატანინე ეზოს მიწა, ბიჭის მაისურები და ისე შევულოცე, ბავშვმა არაფერი იცოდა. ამის შემდეგ, სიზმარში ნახა, როგორ ამოვიდნენ ავსულები ნაჩუქარი კომპიუტერიდან. ბოლოს გამოჩნდა შავოსანი მამაკაცი, უწმინდურთა მბრძანებელი და ბიჭს დაედევნა. ბავშვი ხან ეზოს ერთ კუთხეში იმალებოდა, ხან — მეორეში. უცებ, საიდანღაც გაჩნდა თეთრ ცხენზე ამხედრებული, თეთრებით შემოსილი მხედარი, რომელსაც ხელში ეჭირა ჯვრიანი შუბი. თეთრმა მხედარმა დაამარცხა ავსულთა მბრძანებელი — მიწა გაიპო და უფსკრულმა ჩაიტანა. შავოსანმა ბავშვს მიაძახა — მე მაინც მოგძებნიო.

— **ახლა როგორ არის ბიჭუნა?**

— ლოცვის ძალით გათავისუფლდა

ეშმაკეულისგან, დაწყნარდა და თავს ჩინებულად გრძნობს.

**— ქალბატონო დალი, შიშს შელოცვა შველის?**

— რა თქმა უნდა!.. ამას წინათ განვკურნე 12 წლის გოგონა, რომელიც მეზობლის ქალმა შეაშინა. ღამღამობით, საბრალო, ბალიშზე მოკუნტული იძინებდა. სხვათა შორის, შეშინებულს აკვიატებული ქმედება დასჩემდება ხოლმე. 8 შელოცვის შემდეგ, გოგონა განიკურნა, მშვიდად სძინავს, ბალიშზე უკვე თავი უდევს და აღარ ჭირვეულობს. ზოგჯერ, დიდი სტრესის შედეგად დარჩენილი შიში უშვილობასაც იწვევს. თქვენ წარმოიდგინეთ, შელოცვის შემდეგ, ქალები ორსულდებიან, რადგანაც უშვილობის მიზეზი ქრება. მაგრამ როცა უნაყოფობა ორგანული დაავადების შედეგია, ლოცვა არ შველის.

**— თქვენ ხვდებით, ადამიანს ჯადო აქვს გაკეთებული თუ არა?**

— რა თქმა უნდა!.. ზოგს ჰგონია, რომ ჯადო აქვს გაკეთებული, მაგრამ სინამდვილეში, დაბინძურებული აურის გამოა ცუდად და მის აურას გაწმენდა უნდა. როცა ადამიანს სერიოზული ენერგეტიკული დარტყმა აქვს მიღებული, ზუსტად ვამბობ, ვინ შეუკვეთა ჯადო და რაზეა გაკეთებული. ამას წინათ, ცვილის თოჯინები მომიტანეს... კინაღამ მთელი ოჯახი ამოწყდა. დედას ნემსი თავში ჰქონდა გაყრილი და ტვინში სისხლის ჩაქცევით მოკვდა, მამას — გულში და ინფარქტმა იმსხვერპლა, შვილს ბედი არ ეხსნებოდა. შელოცვებით ჯადო გავანეიტრალე, გოგონას დაბინძურებული აურა გავუსუფთავე და ბედიც გაეხსნა... სხვათა შორის, ზოგიერთებს სასიყვარულო ჯადოს გაკეთება დიდი ბოროტება არ ჰგონია, მაგრამ მერწმუნეთ, რომ ცდებიან... ერთმა ქალბატონმა იმდენი ვირის ტვინი აჭამა ქმარს, რომ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ამოაყოფინა თავი. ამ ბოლო დროს, იმატა იმ ადამიანთა რიცხვმა, რომლებიც კონკურენტებს ჯადოს უკეთებენ. თანამდებობის პირები, მსხვილი ფირმების მეპატრონეები, ცნობილი ბიზნესმენები სხვებს კარიერას ჯადოებით უკეტავენ — კონკურენტები ერთმანეთს მჩხიბავთა დახმარებით ებრძვიან. გარკვეული ხნის წინ, ჩემმა ძმამ თავისი მოჯადოებული მეგობარი მომიყვანა. საყვარელმა კაცობა დააკარგვინა, სხვა ქალისკენ რომ არ გაეხედა. ისეთ დეპრესიაში იყო ჩავარდნილი, მშობლებსაც აღარ ნახულობდა. შევულოცე, აურა გავუსუფთავე, ჯადო გავანეიტრალე და ბედიც გაეხსნა. დღეს ცოლიცა ჰყავს და ორი შვილიც.

**— დეპრესიას თუ კურნავთ?**

— კი!.. ერთი პაციენტი მყავდა, შესანიშნავი ქალბატონი, რომლის დეპრესიის მიზეზიც, საყვარელი მეუღლის მოულოდნელი გარდაცვალება იყო. ისე გაუმწვავდა ურთიერთობა ოჯახის წევრებთან, რომ შვილებსაც ვეღარ იტანდა, დედა სახლიდან გააგდო. სიცოცხლე აღარ უნდოდა. ერთ დროს მოსიყვარულე ოჯახი განადგურდა. 5 წლის განმავლობაში იტანჯებოდნენ ბავშვები დედის დეპრესიის გამო. ქალი პერიოდულად, გონს მოეგებოდა და ხვდებოდა თავის დანაშაულს, მაგრამ ამით არაფერი იცვლებოდა — ყველას შეურაცხყოფას აყენებდა, შვილებს სცემდა, აღარავისთან ჰქონდა კონტაქტი. ბოლოს, როგორც იქნა, დედამ დაითანხმა და ჩემთან მოიყვანა. თქვენ წარმოიდგინეთ, შვიდი შელოცვის შემდეგ, ისევ მოსიყვარულე ადამიანად გადაიქცა. სხვათა შორის, ხშირად მთხოვენ ოჯახური პრობლემების მოგვარებას.

**— შელოცვას ოჯახური ბედნიერებაც მოაქვს?**

— დაბინძურებული აურის გაწმენდა ამშვიდებს აღგზნებულ ნერვულ სისტემას და ოჯახურ ურთიერთობებს აწესრიგებს. შელოცვის შემდეგ, ერთმანეთს იზიდავენ ცოლ-ქმარი, რძალ-დედამთილი, მამა-შვილი და ა.შ. მათი ურთიერთდამოკიდებულება აღარ არის აგრესიული. მაგრამ სიმშვიდის შესანარჩუნებლად აუცილებელია საცხოვრებელი ბინის გამოლოცვაც.

**— რატომ?**

— ოჯახის ერთი წევრის შელოცვას აზრი არა აქვს, რადგანაც დანარჩენები მალევე დააბინძურებენ მის აურას და პრობლემები ისევ შეექმნებათ. თუმცა, ოჯახის ყველა წევრის შელოცვაც არ შველის საქმეს. მათი საცხოვრებელი ბინა თუ არ გასუფთავდა, ცოტა ხნის შემდეგ, სახლის აურის ბინძური ენერგია ოჯახის წევრებზე გადავა და მათ შორის ურთიერთობა კვლავ დაიძაბება, რასაც უსიამოვნება, ჩხუბი და აყალმაყალი მოჰყვება.

**— ჩაკეტილი ბედის გახსნა თუ შეგიძლიათ?**

— თუ ქალს ან მამაკაცს ბედი ხელოვნურად ანუ ჯადოს ზემოქმედებით ჩაუკეტა ვინმემ, გამოლოცვის შემდეგ, ოჯახდებიან, მაგრამ ზოგიერთს ბედი იმიტომ არ ეხსნება, რომ ცოლის მოყვანა და გათხოვება არ უწერია... მინდა, ყველამ იცოდეს, რომ ჯადობაზების პირველი მტერი ვარ. მერწმუნეთ, მიზნის მისაღწევად სატანურ ძალთა გამოყენება კარგს არაფერს მოგიტანთ. ჯადოს დახმარებით მოპოვებული ბედნიერება ხანმოკლე და მოჩვენებითია... 3 თვის წინ, ერთმა ქალბატონმა 16 წლის ქალიშვილი მომიყვანა, უმძიმესი ავადმყოფი იყო, ექიმებმა დიაგნოზიც კი ვერ დაუსვეს.

**— რა დაემართა?**

— ჯადოს გაკეთებისთვის დედამისი შვილის ავადმყოფობით დაისაჯა.

**— ვის გაუკეთა ჯადო?**

— საკუთარ მეუღლეს, რომელმაც საყვარელი გაიჩინა. ვიღაცამ ამბავი მიუტანა — ის ქალი ბავშვის გაჩენას აპირებს შენი ქმრისგანო, — და მათი დაშორება ჯადოთი მოინდომა. მოლასთან წავიდა. მერწმუნეთ, მუსლიმანი ქრისტიანს სასიკეთოს არაფერს გაუკეთებს. არაბული შავი მაგიის გამოყენებით, ისეთ ძლიერ ჯადოს აკეთებენ მოლები, რომლის მოხსნაც თითქმის შეუძლებელია... მაგიური რიტუალით იძახებენ ჯინს ანუ ავსულს და მსხვერპლზე მისი საშუალებით ახდენენ ზემოქმედებას... ამას წინათ, ქალიშვილზე გამწარებული დედა მოვიდა ჩემთან.

**— რა დაუშავა შვილმა?**

— ცოლად გაჰყვა კაცს, რომელიც დედას არ მოსწონს. გოგონას უყვარს ქმარი და შინ არ ბრუნდება... დედამისმა მთხოვა — შეულოცე, რომ ოჯახში წამოვიდესო. გაოგნებული ვარ — როგორ გამიბედა? — მე ვინმეს ოჯახს დავუნგრევ?!.

**— ქალბატონო დალი, რატომ აღარ ჩანს ანსამბლი „ოთხი გია“?**

— დღეს ახალგაზრდობას სატანისტური მუსიკა და ფილმები უფრო იზიდავს, არადა, ქართულ სიმღერას კურნების ძალა აქვს. როცა ძალიან დაღლილი და დაძაბული ვარ, ვუსმენ „რადიო-2“-ს და „საპატრიარქოს რადიოს“. განსაკუთრებით ხშირად უნდა უსმინოთ ქართულ ხალხურ სიმღერებს, რათა სიმშვიდე დაგეუფლოთ და აფორიაქებული სული დაგიწყნარდეთ... ჩემი ძმა ამჟამად მოსკოვშია, იქაური ქართველებისთვის მღერის. დანარჩენებიც დაიფანტნენ... მერწმუნეთ, სიცილი და კომედიური ჟანრის ნაწარმოებების ყურება, გამოგაჯანმრთელებთ. დილით, ნასაუზმევს, დადექით სარკის წინ, სახესა და თმაზე ნაკურთხი წყალი იპკურეთ, გაუღიმეთ საკუთარ თავს და წარმატება უსურვეთ. ვაის იტყვით — ვაი მოვა, კარგზე იფიქრებთ, სიკეთე მოგეცემათ.

**— მოსაცდელში პაციენტებმა მითხრეს — ქალბატონ დალისთან საზღვარგარეთიდანაც ჩამოდიანო, მართალია?**

— კი, მყავდნენ პაციენტები ამერიკიდან, საბერძნეთიდან, ისრაელიდან... ძალიან კმაყოფილები წავიდნენ. ლოცვის ძალა წამალზე ძლიერია. ყოველ დილით, მადლობა უნდა შევწიროთ უფალს და შემწეობა ვთხოვოთ. ბედნიერია ის ადამიანი, ვისაც ღმერთის ჭეშმარიტი რწმენა აქვს.

გაითვალისწინეთ, რომ ჩაწერის გარეშე ქალბატონი დალი არავის იღებს. შეგიძლიათ დარეკოთ ყოველდღე, 9-დან 18 საათამდე. საკონტაქტო ტელეფონები: 96-79-00; 899 10-73-06.

R

# ჯანის ბოჯრის ნაკნუკი სეფუკრეგანი

თუ სახის კანი გამოგიშრათ, დაამზადეთ ასეთი ნარევი: შავი პურის გული დაალბეთ წყალში, მიღებული ფაფისებური მასა წაისვით სახეზე. გაიჩერეთ 2-3 წუთი, შემდეგ ჩამოიბანეთ.

მშრალი კანისათვის კარგია შემდეგი ნიღაბი: აიღეთ 100 გ თაფლი, შეურიეთ მას ერთი ლიმონის წვენი ან ორი ს/კ ჩაის მაგარი ნაყენი.

თუ კანის სიმშრალე სინოტივის ნაკლებობითაა გამოწვეული და არა კუჭ-ნაწლავის დაავადებით, ყოველ დილით სახეზე წაისვით მაწონი ან ნუშის კრემი.

კანის ზედმეტი ცხიმიანობის დროს კარგია ნუშის ნაჭუჭის ნიღაბი: 1 ჩ/კ ცაცხვის ყვავილითა და ნახევარი ჭიქა მდუღარე წყლით მომზადებული ჩაი დაასხით ნუშის ნაჭუჭს. ამ ნაყენში დაასველეთ სალბი და დაიფინეთ სახეზე. ნიღაბს იკეთებენ დღეგამოშვებით, 15-20 წუთით. პროცედურა 15-ჯერ უნდა გაიმეოროთ.

ზედმეტად ცხიმიანი კანის პატრონებმა უარი უნდა თქვან ცხოველურ ცხიმებზე, მიიღონ ნაკლები სითხე.

შავი წერტილები, რომელსაც ფერიმჭამელებს ვუწოდებთ, უმთავრესად ჩნდება ცხვირზე, შუბლსა და ნიკაპზე. ამ შემთხვევაში საჭიროა მტვრისგან თავის დაცვა. შავი ლაქების მოცილება შეიძლება ქაფურით, სუფრის ძმრით, ან ლიმონის წვენით, შემდეგ კი უსათუოდ წაისვით კანზე დამარბილებელი საცხი.

შეგიძლიათ მოამზადოთ ფერიმჭამელების მოსაშორებელი ნაყენი: 2 ს/კ გულყვითელა, 30 გ ოდეკოლონი, 40 გ წყალი, 1 გ გლიცერინი აურიეთ ერთმანეთში და წაისვით. აუცილებელია დიეტის დაცვაც. ნუ დალევთ ბევრ წყალს. თავი შეიკავეთ პურის, ცხარე საკვების, კვერცხის, ზედმეტად ცხიმიანი ხორცის მიღებისაგან. ნუ მიეტანებით ტკბილეულსა და ფქვილის ნაწარმს. კარგია მაწონი, ვიტამინი A, B, სტაფილო და შავი პური. ■

# ლობიოს კერძები

## ამოლესილი იმერული ლობიო

ამოლესილი ლობიოს მოსამზადებლად უმჯობესია მინდვრის, წვრილი წითელი ლობიო გამოიყენოთ. ჩაყარეთ ის თიხის ქოთანში, დაასხით წყალი (დაახლოებით ორლიტრ-ნახევარი) და მოხარშეთ. 1 საათის დუღილის შემდეგ, ჩაჭერით ოხრახუში და განაგრძეთ ხარშვა. 2-2,5 საათის შემდეგ შეურიეთ 4-5 კბილი ნიორი, წითელი პილპილი, ხმელი ქონდარი, ხმელი რეჰანი, ქინძი და უცხო სუნელი. შემდეგ ლობიო ამოლესეთ ხის კოვზით. ბოლოს შეურიეთ კვაწარახი ან ტყემალი. შეგიძლიათ მის ნაცვლად ტყემლის ტყლაპის ნაჭრები ჩაახარშოთ. ცეცხლიდან გადმოდგმის შემდეგ, კიდევ ჩაჭერით ცოტაოდენი ნედლი ქინძი, ნიახური და ოხრახუში. ამოლესილ ლობიოს ძალიან უხდება მჭადი ან ღომი.

## მოშუშულ-მოხრაკული ლობიო

ნახევარი კილო ლობიო კარგად მოხარშეთ (ოღონდ არ ჩაგეშალოთ). 3-4 თავი ხახვი წვრილად დაკეპეთ და 100 გ ზეთში მოშუშეთ. შემდეგ ლობიო თუშფალანგზე მოათავსეთ. როცა კარგად დაიწურება, მოშუშულ ხახვთან ერთად მოხრაკეთ. ბოლოს შეკაზმეთ მარილით, შავი პილპილით და ცეცხლიდან გადმოდგით. ამ რეცეპტით ლობიოს უფრო ხშირად აღმოსავლეთ საქართველოში ამზადებენ. მას ძალიან უხდება თონის პური.

## ნიგვზიანი ლობიო

სასურველია გამოიყენოთ სარის ან ე.წ. „გურული“ ლობიო. ამ ჯიშის ლობიო უფრო სწრაფად იხარშება, ვიდრე მინდვრის, ამიტომ მოხარშვისას შედარებით ნაკლები წყალი უნდა დაასხათ.

დანაყეთ ან ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ 100-150 გ ნიგოზი, 100 გ ახალი ქინძი, 5-6 კბილი ნიორი; დანაყეთ წითელი პილპილი, ალყა-ალყა, თხელ ნაჭრებად დაჭერით 2-3 საშუალო ზომის ხახვი, წვრილად დაკეპეთ 100 გ ოხრახუში და 100 გ ნიახური.

როცა ლობიო კარგად დარბილდება (არ უნდა ჩაგეშალოთ) და წყალს ჩაიშრობს, ამ საკაზმს დაასხით 2-3 ს/კ ღვინის ძმარი და კარგად დასრისეთ, შემდეგ ჩაუშვით მდუღარე ლობიოში, მოურიეთ და ცეცხლიდან გადმოდგით. ნიგვზიან ლობიოს ძალიან უხდება მჭადი.

## ჯირჯაჟი ლობიო

მოხარშული ლობიოს წვენი გადაწურეთ. წვრილად დაკეპეთ ოხრახუში, ნიახური, რეჰანი, ქინძი, ქონდარი, ხახვი, ყოველივე ეს შეურიეთ ლობიოს, მოასხით ზეთი და მოაყარეთ მარილი.

## ლობიოს წვნიანი

ნახევარი კილო ლობიო მოხარშეთ – უმჯობესია, მინდვრის, წვრილი წითელი ლობიო. დაასხით ბლომად წყალი. ორ-სამი თავი ხახვი წვრილად დაკეპეთ და ზეთში მოხრაკეთ. დაჭერით რეჰანი, ქონდარი, პიტნა, ქინძი, ოხრახუში, ნიახური და ნიორი. მოხრაკული ხახვი და მწვანილები მოხარშულ ლობიოში ჩაუშვით, შემდეგ ერთი-ორჯერ ამოურიეთ ციცხვი ისე, რომ ლობიო ნახევრად ამოილესოს და ცეცხლიდან გადმოდგით. სუფრაზე მიიტანეთ მომცრო მათლაფებით და კოვზით მიირთვით. ■

# რა უნდა ვიცოდეთ წებოს შესახებ

არსებობს მრავალი სახისა და დანიშნულების წებო. ის მიიღება როგორც ბუნებრივი, ასევე სინთეზური ნაერთებისაგან. მათი საშუალებით დიასახლისები ხშირად ფაიფურის თუ მინის ჭურჭელსაც აწებებენ, არადა, არის ისეთი წებო, რომლის გამოყენებაც იმ ჭურჭლის დასაწებებლად, რომელშიც საჭმელს ათავსებენ, დაუშვებელია. ასეთია, მაგალითად, წებო „მომენტ-1“. წებოს გამოყენებისას აუცილებელია იმ წესებისა და რეკომენდაციების ზუსტი დაცვა, რომელიც ინსტრუქციაშია მითითებული, თუმცა, არსებობს ზოგადი წესებიც, რომელიც დიასახლისებმა უნდა იცოდნენ.

1) უნდა იცოდეთ, როგორ მოამზადოთ დასაწებებელი მასალის ზედაპირი – მოაცილეთ მას ცხიმი, ჭუჭყი, ძველი წებოსა და საღებავის ნარჩენები, სასურველია ზედაპირი არ იყოს გლუვი.

2) მაქსიმალურად შეეცადეთ, წებო თხელ ფენად წაუსვათ.

3) წებოს წასმისთანავე საგნის ნაწილებს გადაუჭირეთ რეზინის ჟგუტი ან რაიმე მძიმე საგანი დაადეთ.

სილიკატური წებო საშიშია თვალებისათვის – მან შეიძლება გამოიწვიოს რქოვანას ლორწოვანი გარსის დაზიანება.

● გახეული ტანისამოსის „შესარემონტებლად“ შეგიძლიათ გამოიყენოთ წებო, რომლის საშუალებითაც გახეული ქსოვილი შიგნითა მხრიდან ისე შეეწებება ერთმანეთს, რომ დეფექტი შეუმჩნეველი გახდება. წებოს ნაწიბური რამდენიმე გარეცხვას შესანიშნავად უძლებს.

მეტალის ნაკეთობის დაზიანებული ადგილის შესაკეთებლად შეგიძლიათ მოამზადოთ ცეცხლგამძლე საცხი: 140 გ რკინის ნაქლიბი, 200 გ ჩამქრალი კირი, 25 გ სილა და 3 გ ნიშადურის სპირტი შეურიეთ ერთმანეთს და დაუმატეთ ძმარი. განუწყვეტლივ ურიეთ სქელი მასის მიღებამდე და წებოც მზადაა. ეს ნარევი წაუსვით მეტალის ნაკეთობას დაზიანებულ ადგილას, გააშრეთ და გამოწვით. არსებობს წებოს დამზადების მეორე წესიც:

მცირე რაოდენობით ცემენტი, კაზეინი და წყალი შეურიეთ ერთმანეთს. მიიღებთ არაჟნის მსგავს კონსისტენცს (შეგიძლიათ დაუმატოთ გაცრილი სილაც). ეს ნარევი ადვილად იქცევა მყარ მასად და გამოსადეგია კერამიკული ფილების დასაწებებლად.

● თუ რაიმე მიზეზით ღუმლის კარი გაიბზარა ან დასკდა, ნუ შეწუხდებით. მის შესაკეთებლად მოამზადეთ ცეცხლგამძლე წებო: 1 კგ რკინის ნაქლიბი, 20 გ ნიშადურის სპირტი, 100 გ ჩამქრალი კირი და 100 გ სილიკატური წებო („თხევადი მინა“) შეურიეთ ერთმანეთში და ღუმლის კარიც ახალივით იქნება.

● ხის ჭურჭელი რომ წყალშეუღწევადი გახადოთ, შიდა ზედაპირს წაუსვით 200 გ კანიფოლისა და 60 გ სანთლის ნარევი. ასეთი წესით მომზადებული წებოთი შეგიძლიათ დაამუშაოთ თხილამურები, რომელსაც დროთა განმავლობაში ნაპრალები უჩნდება. ■

# ფეხების ბოკვლა

ფეხების დაავადებები თავიდან რომ ავიცილოთ, საჭიროა ვიცოდეთ, როგორ მოვუაროთ მათ.

ფეხები უნდა დაიბანოთ ყოველდღე თბილი წყლით, საპნითა და ჯაგრისით. წყლის პროცედურები დაგეხმარებათ იმაში, რომ დაიცვათ ფეხები ინფექციის შეჭრისაგან, რომელიც ძირითადად თითებშუა კანს აზიანებს და უამრავ დაავადებას წარმოშობს. კვირაში ორჯერ სოკოვანი დაავადებების თავიდან აცილების მიზნით გაიკეთეთ ძმრიანი ან სოდიანი წყლის (უმჯობესია მონაცვლეობით) აბაზანები.

დაბანის შემდეგ გულდასმით შეიმშრალეთ თითებშუა კანი. თუ დარღვეული გაქვთ ძილი, ფეხები დაიბანეთ ძილის წინ.

ფეხზე თუ კოჟრი გაგიჩნდათ, დაიდეთ მაგარ ძმარში ჩამბალი ხახვი ან შავი პური, შეიხვიეთ და გაიჩერეთ 10-12 წთ. შემდეგ გაიკეთეთ სასმელი სოდის წყალხსნარიანი აბაზანა (1 ს/კ 3 ლ წყალში). თუ კოჟრი არ ამოვარდა, პროცედურა გაიმეორეთ.

## სახამებლის აბაზანა ფეხებისათვის

თუ ფეხის ქუსლებზე კანი გაგიუხეშდათ, დაგისკდათ და უსიამოვნოდ გამოიყურება, ამ პრობლემას აუცილებლად დროზე უნდა მიხედოთ. გახსენით ერთ ჭიქა თბილ წყალში ერთი ჩ/კ კარტოფილის ფქვილი, კარგად აურიეთ და დაასხით სამი ჭიქა წყალი. ჩაყავთ ფეხები და 10-15 წუთს გააჩერეთ. ქუსლები კარგად გაიხეხეთ პემზით, გაიმშრალეთ და მკვებავი წაისვით. თუ მკვებავი არ გაქვთ, შეგიძლიათ ქუსლებზე ჩვეულებრივი ზეთიც წაისვათ.

ფეხის ქუსლების გაუხეშებულ კანზე კარგად მოქმედებს აგრეთვე თხის ან ბატის ქონის წასმა. მართალია, ორივე მათგანს უსიამოვნო სუნი აქვს, მაგრამ ამ პროცედურის შემდეგ, ქუსლებთან დაკავშირებული პრობლემა აღარასოდეს შეგაწუხებთ. გაითვალისწინეთ მხოლოდ ის, რომ ქონის წასმის შემდეგ, ფეხები ცელოფანით უნდა შეიფუთოთ და მთელი ღამის განმავლობაში დაიტოვოთ. ■

# როგორ ვუმკურნალოთ თავის ტკივილს

*რუბრიკას უძღვება ექიმი*
*თამარ მამაცაშვილი*

თავის ტკივილი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ჩივილია. ეს დაავადება კი არა – სიმპტომია. მისი გამომწვევი მიზეზი კი შეიძლება იყოს ორგანული ცვლილებები – თავის ტვინის სისხლძარღვების ან კუნთების ფუნქციების დარღვევა, ქალისშიდა წნევის მატება, ტრავმა ან ნერვული მოშლილობა.

*ტრავმის შემდგომი თავის ტკივილი* შეიძლება იყოს მწვავე (უშუალოდ ტრავმის შემდგომ) და ქრონიკული (ადრეული ტრავმის შედეგი). თავის ტკივილის მიზეზი ხშირად ხდება ხერხემლის კისრის ნაწილის მშობიარობის დროინდელი მიკროტრავმა (მალების ქვეამოვარდნილობა ან წანაცვლება), აგრეთვე ტრავმები სპორტული ვარჯიშის დროს და ამის შედეგად, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევა, რის გამოც პაციენტს ეწყება თავბრუსხვევა, ეცვლება ხასიათი, ვარდება დეპრესიაში.

*სისხლძარღვოვან თავის ტკივილს* საფუძვლად უდევს ტვინში სისხლის მიმოქცევის რეგულაციის მოშლა. ვეგეტოსისხლძარღვოვანი დისტონიის ფონზე განვითარებულ ტკივილს თან ახლავს სისხლის შეგუბება ვენურ სინუსებში და ქალისშიდა წნევის მატება. ტკივილი ლოკალიზებულია კეფის არეში, პაციენტს აქვს საერთო სისუსტე, ძილიანობა.

*დაძაბვის თავის ტკივილს* იწვევს თავის კუნთების სპაზმი. კუნთები იკუმშება, ზემოქმედებს სისხლძარღვებზე და არღვევს სისხლის მიმოქცევას, რაც ტკივილის სინდრომს იწვევს. ყრუ ტკივილი კონცენტრირებულია შუბლ-საფეთქლის ან კეფის არეში. მიზეზი შეიძლება იყოს უხერხულ პოზაში ხანგრძლივად ყოფნა, მხედველობის გადაღლა, სტრესი, დეპრესიული მდგომარეობა. კუნთოვანი დაძაბვის ტკივილი თავის არეში გადაეცემა ხოლმე, სინამდვილეში კი სხვა ადგილას (მაგალითად კისრის არეში, ბეჭებს შორის) არის ლოკალიზებული.

*შაკიკი* ხასიათდება უეცარი, ინტენსიური, მოპულსირე ტკივილით, რომელიც თავის ერთ ნახევარში ლოკალიზდება. ზოგჯერ ადამიანს ორგანიზმი აფრთხილებს მოსალოდნელი შეტევის შესახებ თავბრუსხვევით ან მხედველობის უმნიშვნელო დარღვევით. ტკივილის შეტევას თან ახლავს გულისრევის შეგრძნება, პირღებინება. პაციენტი გაღიზიანებულია, ვერ იტანს მკვეთრ სინათლესა და ბგერებს. შაკიკის მიზეზი მრავალგვარია: მეტეოდამოკიდებულება, ზოგიერთი პროდუქტის (შოკოლადის, წითელი ღვინის) გავლენა. არსებობს შაკიკის მემკვიდრულად გადაცემის რისკი.



## როგორ მოვირჩინოთ

თითქოსდა ამაზე ადვილი არაფერია – დალევთ გამაყუჩებელს და ტკივილიც გაივლის, მაგრამ ტკივილგამაყუჩებლებით ზედმეტად გატაცება არ ღირს – ტკივილის მიზეზი ისევ ამოუცნობი რჩება და ამიტომ შესაძლოა, ნებისმიერ მომენტში დაგეწყოთ.

ტკივილის გამომწვევი მიზეზის მოსახსნელად კი საჭიროა, ყური მიუგდოთ საკუთარ შეგრძნებებს, განსაზღვროთ ტკივილის პერიოდულობა, სიძლიერე და ლოკალიზაცია. შემდეგ უნდა ეჩვენოთ ნევროპათოლოგს და საჭირო გამოკვლევებიც ჩაიტაროთ: განსაზღვროთ ქალისშიდა და თვალშიდა წნევა, მონახოთ კავშირი წარსულში ხერხემლის შესაძლო მიკროტრავმებსა და დღეს განვითარებულ თავის ტკივილს შორის.

მაქსიმალური ფიზიკური და ფსიქიკური მოდუნება მინიმუმამდე ამცირებს ორგანიზმზე სტრესული ფაქტორების მოქმედებას.

თავის ტკივილის მიზეზი იმდენად მრავალფეროვანია, რომ მისი მკურნალობისას მთავარი პრინციპი ინდივიდუალური მიდგომა უნდა იყოს. ნუ გეგონებათ, რომ ექიმთან ერთი ვიზიტით იქნება შესაძლებელი მიზეზის პოვნა და განკურნება; საჭიროა მიღებული შედეგების დაწვრილებითი ანალიზი. თუ გსურთ, სამუდამოდ დააღწიოთ თავი ამ სატანჯველს, მაშინ აუცილებლად უნდა გადახედოთ თქვენი ცხოვრების წესსაც.

## შეტევის დროს დაუშვებელია

● ტკივილგამაყუჩებლების უკონტროლო მიღება, დოზის თვითნებურად გაზრდა (ან ორი აბის ზედიზედ გადაყლაპვა), ძლიერმოქმედ პრეპარატებზე გადასვლა.

● მაგარი ყავისა და ალკოჰოლის სმა.

## საჭირო და აუცილებელია

თვითრეგულაციისა და მოდუნების ყველა ხელმისაწვდომი ტექნიკის გამოყენება – იქნება ეს ძილი, შენობის ჩაბნელება, მასაჟი, მშვიდი მუსიკა, არომათერაპია თუ აუტოტრენინგი.

● ნატურალური დამამშვიდებელი და მომადუნებელი საშუალებების: კატაბალახას, პიტნის მიღება.

● სისხლძარღვთა სპაზმის მოხსნა კონტრასტული შხაპით, თბილი აბაზანით, თბილი სახვევით თავზე.

● კეფის, კისრის, წარბზედა არეების მსუბუქი მასაჟი.

● სახის, თავისა და კისრის აქტიური წერტილების წერტილოვანი მასაჟი.

## პროფილაქტიკა

უპირველეს ყოვლისა, მოერიდეთ ტკივილის მაპროვოცირებელ ფაქტორებს: სიგარეტს, ალკოჰოლს, საკვების არარეგულარულ მიღებას, გადაღლას და სტრესებს. სუფთა ჰაერი, რეგულარული, ჯანსაღი კვება და ფიზიკური დატვირთვა თავის ტკივილის საუკეთესო პროფილაქტიკაა.

სწორი ხერხემალი სისხლის ნორმალურ მიმოქცევას უწყობს ხელს. მჯდომარე, ერთფეროვანი სამუშაოს დროს ეცადეთ, დღის განმავლობაში 2-3-ჯერ მაინც შეისვენოთ, გაივარჯიშოთ, ჩაიტაროთ მოთელვა ან უბრალოდ სიამოვნებით გაიჭიმოთ: ეს მოგიხსნით კუნთოვან დაძაბულობას.

*ექიმთან დაუყოვნებელი ვიზიტის საფუძველს იძლევა:*

● პირველად აღმოცენებული ძლიერი თავის ტკივილი.

● ზომიერი თავის ტკივილი, რომელიც 3 დღეზე მეტხანს გრძელდება.

● უეცარი „აფეთქებისმაგვარი“ ტკივილი, რომელსაც თან ახლავს მხედველობისა და მოძრაობის კოორდინაციის მკვეთრი დარღვევა, ღებინება, ძლიერი სისუსტე, ძილიანობა.

თავის ტკივილი, რომელსაც ერთვის ტემპერატურის მკვეთრი მატება (38 გრადუსზე მეტი) ან კისრის დაბუჟება. ■

# თუ უძილობა გაწუხებთ

უძილობა, ასე ულმობლად რომ გვინგრევს ყოველდღიურ ცხოვრებასა და ნორმალურ ბიორიტმს, ნევროზის ყველაზე მძიმე გამოვლინებაა.

უძილობა უმეტესად მათ აწუხებთ, ვისაც დღისით სძინავს, ანდა ძალიან ადრე წვება; ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი რწმენა, თითქოს შუადღისას უთუოდ უნდა მოატყუოს თვალი ან, თუ ღამით ძილი დააკლდა, დღისით უნდა აინაზღაუროს; დაძინებამდე შოკოლადს, ყავას, ჩაის ან გამაგრილებელ წვენებს სვამს. უძილობის ეს მიზეზები უწამლოდაც იკურნება.

უძილობას ზოგიერთი წამალიც იწვევს: მაგალითად, კოფეინი, ზოგიერთი ანალგეტიკი, ჰორმონული პრეპარატები, ფარისებრი ჯირკვლის სამკურნალო საშუალებები. უძილობა შეიძლება თვით საძილე საშუალებების, ტრანკვილიზატორებისა და ანტიდეპრესანტების მიღებითაც იყოს გამოწვეული.

თუ ძილის დარღვევის მიზეზი დეპრესიაა, სწორედ მისგან უნდა განიკურნოთ. დაძაბულობისა და სტრესის დროს, საძილე საშუალებების გამოყენება არამც და არამც არ შეიძლება.

*მათ, ვინც ეს-ეს არის დაიწყო საძილე საშუალებების სმა, ვურჩევთ:*

● ნურც ერთ წამალს ნუ მიიღებთ 2-3 კვირაზე მეტხანს.

● იმ დღეებში, როცა წამალს სვამთ, მოერიდეთ ისეთ საქმიანობას, რომელიც ყურადღების კონცენტრირებას მოითხოვს (ნუ დაჯდებით საჭესთან, ნუ იმუშავებთ დაზგასთან).

● მოერიდეთ ალკოჰოლისა და საძილე საშუალებების ერთად მიღებას. შესაძლოა, ამას სავალალო შედეგი მოჰყვეს.

● სანამ წამალს დაგინიშნავდეთ, ექიმს დაწვრილებით ჩამოუთვალეთ ყველა პრეპარატი, რომელსაც ადრე იღებდით.

*დაიხ სოფეთ:*

თუ დაძინება გსურთ, საათი დაივიწყეთ. ნუ ეცდებით, თავად დაადგინოთ, რამდენ ხანს უნდა გეძინოთ სრულფასოვანი დასვენებისთვის — ამას ექიმი განსაზღვრავს სპეციალური მეთოდით.

სიგარეტის კვამლი ძილს აფრთხობს. ამიტომ უკანასკნელი სიგარეტი დაძინებამდე 4 საათით ადრე უნდა ჩააქროთ. ნიკოტინი და ნარკოტიკული ნივთიერება, რომელსაც შეიცავს თამბაქოს კვამლი, არტერიული წნევის მომატებას, გულისცემის გახშირებას და თავის ტვინის მუშაობის გააქტიურებას იწვევს. ამიტომაც, თავგადაკლული მწეველები ხშირად გათენებამდე წრიალებენ საწოლში.

მაღალქუსლიანი ფეხსაცმელების მოყვარულებს მოუსვენრად სძინავთ, რადგან ფეხის კრუნჩხვები აწუხებთ. ტკივილის მოსახსნელად ფეხებზე მასაჟი გაიკეთეთ, კუნთები მოადუნეთ. ურიგო არ იქნება, თუ დღის განმავლობაში წვივის კუნთს ავარჯიშებთ. ჯდომის დროსაც ხან ქუსლებს დაეყრდნეთ, ხან თითებს.

ძილის დროს ადამიანს ხმაურისადმი სხვადასხვაგვარი მგრძნობელობა აქვს. ზოგს ჩურჩულიც კი აღვიძებს, ზოგს — დიდ აურზაურშიც მშვიდად სძინავს. თვლემის სტადიაზე ხმაურით გამოღვიძება არც ისე ძლიერ ზემოქმედებს, მაგრამ ღრმა ძილის დროს კარის ჭრიალიც კი ქუხილის ხმად ჩაგვესმის.

ასაკთან ერთად ხმაურისადმი მგრძნობელობა იმატებს, ძილიც უფრო ფხიზელი ხდება.

ძილის მომგვრელი მოქმედება აქვს ნაძვისწიწვისექსტრაქტიან ან ზღვისმარილიან აბაზანას. თავდაპირველად, მისი ხანგრძლივობა ხუთი წუთი უნდა იყოს, შემდგომ თანდათან გაახანგრძლივეთ 15 წუთამდე.

ძილს მოგგვრით კატაბალახას, გვირილის, პიტნის ნაყენი. გახსოვდეთ, ძილი გაგიტყდებათ თუ არა, ნუ დაიწყებთ თვითმკურნალობას საძილე ქიმიური პრეპარატებით. ჯერ ცხოვრების წესი მოიწესრიგეთ, ბუნებრივი საშუალებებით სცადეთ მდგომარეობის გამოსწორება და თუ ვერაფერს გახდით, მხოლოდ ამის შემდეგ ექიმის დანიშნულების შესაბამისად დაიწყეთ მკურნალობა. ■

# A ვიტამინი

A ვიტამინი (რეტინოლი) ცხიმში ხსნად ვიტამინთა რიცხვს მიეკუთვნება. იგი ცხოველური წარმოშობის პროდუქტებში გვხვდება. მცენარეული საკვები კი შეიცავს მის წინამორბედს — კაროტინს, რომელიც ორგანიზმში მოხვედრისას A ვიტამინად გარდაიქმნება.

A ვიტამინი აქტიურად მოქმედებს გამრავლებისა და ზრდის პროცესზე, მხედველობაზე, ცილებისა და ნახშირწყლების ცვლაზე, ჟანგვა-აღდგენით პროცესზე, სასქესო ჰორმონების სინთეზზე. მას დიდი მნიშვნელობა აქვს იმუნიტეტისთვის — ადამიანს, რომელსაც A ვიტამინი აკლია, გაცილებით მეტხანს აწუხებს გრიპი და სხვა ვირუსული პათოლოგიები.

რეტინოლის სიმცირე უარყოფითად იმოქმედებს ლორწოვანი გარსების ჩამოყალიბებაზე — შეიძლება მოხდეს ლორწოვანის უჯრედების გარქვანება. ასეთი ცვლილებები მოსალოდნელია განვითარდეს თვალის გარსებზე, ბრონქებში, გულში, კუჭში, ნაწლავებში.

A ვიტამინის უკმარისობა იწვევს დაავადებას, რომელსაც ქათმის სიბრმავეს უწოდებენ — შებინდებისას მხედველობა იკლებს და ღამით ადამიანი ვეღარაფერს ხედავს. დაავადების პირველი ნიშნები კი წონაში უმიზეზოდ დაკლება, ადვილად დაღლა, თვალის რქოვანას სიმშრალეა.

ბავშვებში A ვიტამინის ნაკლებობისას ფერხდება ზრდა, გონებრივი განვითარება, ვითარდება ანემია, დიდდება ღვიძლი და ელენთა, პატარას ემართება ბრონქიტი, პნევმონია, ყურის ანთება, უქვეითდება იმუნიტეტი.

A ვიტამინის დეფიციტის შევსებისას უნდა გაითვალისწინოთ, რომ იგი ცხიმთან ერთად უკეთესად შეითვისება, ამიტომ მისი შემცველი პროდუქტი (მაგალითად, სტაფილო) ცხიმიან პროდუქტებთან (ზეთთან, არაჟანთან) ერთად უნდა მიიღოთ. ცილების სიმცირე ხელს უშლის კაროტინის ვიტამინად გარდაქმნას. კაროტინი მოხარშული ბოსტნეულიდან უკეთესად შეითვისება.

A ვიტამინით მდიდარია თევზის ქონი, ზეითუნის ზეთი, სტაფილო. ■

# მედიცინის სიახლეები

## მცველი №6

ბრიტანელი მეცნიერები იტყობინებიან, რომ დასრულდა ადამიანის №6 ქრომოსომის ანალიზი. ეს ქრომოსომა განსაზღვრავს ორგანიზმის იმუნურ რეაქციას ბაქტერიებსა და ვირუსებზე. იგი ყველაზე დიდია დღემდე გაშიფრული ადამიანის ქრომოსომებს შორის და მთელი გენომის 6%-ს შეადგენს. მკვლევარები ამბობენ, რომ ამ ქრომოსომის გენები მონაწილეობს უცხო ცილის ნაწილაკების დაშლასა და უჯრედის გარეთ გამოძევებაში, ანუ განსაზღვრავს ადამიანის გადარჩენის უნარს ამა თუ იმ ბაქტერიებითა და ვირუსებით დასნებოვნებისას. ქრომოსომის 2190 გენიდან 633 არააქტიურია. დანარჩენ გენებს შორის მეცნიერებმა აღმოაჩინეს 130, რომელთა დეფექტიც იწვევს ადამიანის მიდრეკილებას გარკვეული დაავადებების (მაგალითად, პარკინსონის დაავადების ან ჰემაქრომატოზის) მიმართ. გენეტიკოსებს მიაჩნიათ, რომ №6 ქრომოსომის გაშიფვრა საშუალებას მოგვცემს, შევქმნათ ახალი ეფექტური წამლები მრავალი იმუნური დაავადების სამკურნალოდ.

## ოპერაცია უწონობის მდგომარეობაში

მსოფლიო მიკროქირურგიის პრემიერად იქცა ფრანგი სპეციალისტების მიერ ცხოველებზე ჩატარებული ოპერაციები უწონობის მდგომარეობაში. მედიკოსთა ბრიგადამ ოპერაცია გაუკეთა ოთხ ვირთხას, რომლებიც ზებგერითი თვითმფრინავის სალონში უწონობის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ექიმებმა მიკროქირურგიული ჩარევა განახორციელეს ნერვებსა და სისხლძარღვებზე. სპეციალისტთა აზრით, ჩატარებული ცდა გზას გაუხსნის სრულმასშტაბიან ქირურგიულ ჩარევათა განხორციელებას ადამიანებზე კოსმოსური ფრენის დროს: ოპერაციას ჩაატარებს რობოტი, რომელსაც დედამიწიდან გამოცდილი ქირურგი მართავს.

## ჯიბოს მორიელი დაამარცხებს

ცისფერი მორიელის შხამს შეუძლია კიბოსგან მოარჩინოს ადამიანი – ამტკიცებენ კუბელი მედიკოსები. ათწლიანი გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ კიბოთი დაავადებულთა 56%-ს, ამ შხამზე დამზადებული წამლის ინიექციის შემდეგ, საგრძნობი გაუმჯობესება აღენიშნება, ხოლო 10% მთლიანად განიკურნა. გასარკვევი რჩება მხოლოდ პრეპარატის ორგანიზმზე მოქმედების მექანიზმი.

## ტრანსსექსუალიზმი გენებში

სქესობრივი იდენტიფიკაცია განისაზღვრება გენებით – დაადგინეს კალიფორნიელმა მეცნიერებმა. როგორც ექსპერიმენტებმა უჩვენა, ტვინის აღნაგობის თავისებურება, რომელიც ჩვენს ქცევასა და სქესობრივ ორიენტაციას განსაზღვრავს, გარკვეული გენების აქტიურობაზეა დამოკიდებული. მკვლევარებმა 54 ასეთი გენი აღმოაჩინეს: მათ შორის 18 აქტიურია მამაკაცებში, 36 – ქალებში. ეს განსხვავება სასქესო ჰორმონთა წარმომქმნელი ჯირკვლების ფორმირებამდე გაცილებით უფრო ადრე ვლინდება. ამდენად, ის ჰიპოთეზა, რომ სქესობრივი ორიენტაცია სასქესო ჰორმონთა გავლენით ყალიბდება, უარყოფილია. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, სწორედ გენებს შორის სხვადასხვაობით აიხსნება ის, რომ ადამიანს აქვს ქალად ან მამაკაცად ყოფნის შეგრძნება.

## სინთეზირებულია ხელოვნური სისხლი

ჩატარდა შვეიცის კაროლინის ინსტიტუტის მიერ შექმნილი ხელოვნური სისხლის პირველი გამოცდა. პრეპარატი ჩვეულებრივი დონორული სისხლის კომპონენტებისაგან მზადდება და შეიცავს პრაქტიკულად ბიოლოგიურად აქტიურ ყველა ნივთიერებას, რომელიც ადამიანის სისხლშია. თუმცა ჩვეულებრივი სისხლისგან განსხვავებით, ხელოვნურს ორი უპირატესობა აქვს. ჯერ ერთი, იგი არ შეიცავს უჯრედებს და ამიტომ, ნებისმიერი ჯგუფის სისხლის მქონე ავადმყოფისთვის გამოდგება; მეორეც, თუ დონორული სისხლის შენახვის მაქსიმალური ვადა 42 დღეა, ხელოვნური სისხლი შეიძლება გაიყინოს 6 თვის განმავლობაში. თუმცა ნატურალური სისხლის ფუნქციების მთლიანად შეცვლა ხელოვნურს არ შეუძლია, ამიტომ მას გამოიყენებენ დამატების სახით ჩვეულებრივი სისხლის გადასხმისას. სამაგიეროდ, მისი მეშვეობით დონორული სისხლის უკმარისობის პრობლემა პრაქტიკულად მოიხსნება.

## სიმსივნის უნიკალური მკურნალობა

იტალიის ქალაქ პავიოს სან-მატეოს ჰოსპიტლის ქირურგთა ჯგუფმა და ბირთვული ფიზიკის ნაციონალური ინსტიტუტის ადგილობრივი განყოფილების თანამშრომლებმა უნიკალური ოპერაცია ჩაატარეს, რომელიც სიმსივნის მკურნალობის სფეროში „რევოლუციურად“ შეიძლება ჩაითვალოს. მათ სიმსივნისგან დაზიანებული ორგანო ადამიანის ორგანიზმიდან ამოიღეს და ინტენსიური ქიმიოთერაპიის სეანსის შემდეგ, კვლავ თავის ადგილას დააბრუნეს.

მეცნიერთა აზრით, აღნიშნული მეთოდი პაციენტის ორგანიზმზე ქიმიოთერაპიის ნეგატიურ ეფექტს საგრძნობლად შეამცირებს. ამასთან, ასეთი მეთოდი საშუალებას იძლევა, გამოიყენონ ბორონის ნეიტრონებით დასხივების მაღალი დოზა.

48 წლის პაციენტს, რომელიც ამ ექსპერიმენტში მონაწილეობაზე დათანხმდა, ოპერაციის შემდეგ, სიმსივნის ნიშანწყალიც აღარ ეტყობოდა. ■

# ჯაჭოჩენილი ადამიანების მოსწრებული ჯაჭოსუმოქმედები



## უჩვეულო შემთხვევა

წვეულებაზე მარკ ტვენი სახუმარო ამბებს ჰყვებოდა. ყველა გულიანად ხარხარებდა, მხოლოდ ერთი ბანკირი არ იზიარებდა საერთო მხიარულებას. იგი წამოდგა, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და ქედმაღლურად განაცხადა:

— ბატონებო, ნეტავ, რა არის აქ არაჩვეულებრივი? ყოველი იუმორისტი გონებამახვილობს.

ყველამ მარკ ტვენს შეხედა:

— მართალი ბრძანდებით. არსებობს ამაზე უფრო უჩვეულო ამბებიც, — მიუგო მწერალმა და დასძინა: — განა ჩვეულებრივია ის მოვლენა, რომ ბანკირი საკუთარ ჯიბეში ხელს იყოფდეს?!.

## ლოგიკა

პრუსიის მეფემ, რომელიც ავად იყო, სასახლეში ექიმი რობერტ კოხი დაიბარა და უთხრა:

— იმედია, მე უკეთესად მიმკურნალებ, ვიდრე შენი საავადმყოფოს პაციენტებს!

— მომიტევეთ, თქვენო აღმატებულებავ, ეგ შეუძლებელია!

— რატომ?

— იმიტომ, რომ ჩემს ავადმყოფებს მეფურად ვმკურნალობ!

## საზღვარზე

ერთხელ ჰაინრიხ ჰაინემ ძმასთან ერთად ეტლით გოტინგენიდან პრუსიის ქალაქ ჰაილიგენშტადტისაკენ გაისეირნა. პრუსიის საზღვარს რომ მიუახლოვდნენ, საყარაულოდან მკაცრი ხმა მოესმათ:

— სდექ!

ცხვირაწითლებული ფელდფებელი ეტლს მიუახლოვდა და ჰაინეს ჰკითხა:

— თან რა მიგაქვთ?

— ფიქრებისა და ვალების გარდა, არაფერი, — მიუგო პოეტმა.

## მიძღვნა

ჰაინრიხ ჰაინეს მისმა თაყვანისმცემელმა ქალმა უთხრა:

— მზად ვარ, სული და გული, ოცნება და აზრები, მთლიანად ჩემი არსება შენ მოგიძღვნა.

— სიამოვნებით, ასეთ მცირე ძღვენზე უარის თქმა უხერხულია, — მიუგო მან.

# ანექდოტები

***

კაცმა, რომელსაც ყოველდღე პარავდნენ ხილს, გადაწყვიტა, ქურდი გამოეჭირა. ერთ ღამეს, დაინახა, რომ ვიღაცა წელში მოხრილიყო და ხილს იპარავდა. გაეკიდა. ქურდმა ხეზე აძრომა სცადა, მაგრამ პატრონმა ფეხებშუა ჩაავლო და მაგრად მოუჭირა, თან დაიყვირა — რომელი ხარ, კაცო, შენ? — მმმ, — გაისმა პასუხად. რომელი ხარ-მეთქი, გეკითხები! — მმმ... — მითხარი, ვინ ხარ, თორემ... — და კიდევ უფრო მოუჭირა. — მმმმუნჯი მიტუა ვარ...

***

მიმდინარეობს სასამართლო პროცესი. განიხილება განქორწინების საქმე. მოსამართლე ეკითხება ცოლს:

— რატომ გსურთ ქმართან განქორწინება?

— როგორც მამაკაცი, ვერ მაკმაყოფილებს...

ქალის ხმა დარბაზიდან:

— ყველას აკმაყოფილებს, მაგას კი — ვერა!..

კაცის ხმა დარბაზიდან:

— მაგას ვერავინ ვერ აკმაყოფილებს!..

***

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს:

— ვინ მეტყვის, რა ეწოდება სითხისთვის განკუთვნილ დიდი მოცულობის ჭურჭელს?

მოსწავლე პასუხობს:

— პრეზერვუარი.

— არა, — თავი გააქნია მასწავლებელმა, — ერთი ასო უნდა გამოაკლო.

— აააა... რეზერვაზივი.

***

დოქტორი უოტსონი შერლოკ ჰოლმსს ეკითხება:

— ძვირფასო ჰოლმს, მართალია, რომ ბასკერვილების ძაღლი ნახეთ?

ჰოლმსმა თავისი ჩიბუხი გაუწოდა:

— გასინჯეთ, უოტსონ, უკეთეს რამეს ნახავთ...

***

დოინჯშემორტყმული კაცელი პოლიციაში მივიდა.

— უფროსო, ფული მამპარეს.

— მერე დოინჯი რატომ გაქვს შემორტყმული?

— უი, საზამთროებიც მოუპარავთ...

***

სვანი ცოლს ეუბნება:

— ხომ არ იცი, რატომ ამბობენ, რომ ჩვენ ასეთები (მაგიდაზე აკაკუნებს) ვართ?

ცოლი:

— აკაკუნებენ.

ქმარი:

— იჯექი, მე გავაღებ.

***

მოსამართლე:

— განსასჯელო, აუხსენით სასამართლოს, როგორ მოახერხეთ ერთ ჯერზე ერთი ბინიდან ტელევიზორის, ვიდეომაგნიტოფონის, რადიომიმღების, ჩემოდნისა და ბროლის ჭურჭლის წაღება?

— მე კი აგიხსნით, მაგრამ თქვენ მაინც ვერ შეძლებთ!

***

— მორჩი წუწუნს, თითქოს მე ფულს აქეთ-იქით ვფანტავ. სინამდვილეში, ძალიან ყაირათიანი ვარ.

— მართლა? ცეცხლსაქრობი ვინ იყიდა? ექვსი წელია, სახლში გვიგდია და ერთხელაც არ გამოგვიყენებია!

# კვირის (16 – 22 თებერვალი) ასტროლოგიური პროგნოზი

## მერწყული – 21/I-19/II

ქალი: შეეცადეთ, სამსახურში რეპუტაცია არ გაიფუჭოთ. საქმიანი პარტნიორებისგან მრავალი სიახლეა მოსალოდნელი. თავი შეიკავეთ ნივთების განათხოვრებისგან – მოსალოდნელია, უკან ველარაფერი დაიბრუნოთ.

მამაკაცი: კვირის მეორე ნახევარში საინტერესო საქმიანი ვიზიტი გელით – თუ მეტ გამბედაობას გამოიჩენთ, წარმატება გარანტირებული გაქვთ. უნდა იბრძოლოთ საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად.

## თევზები – 20/II-20/III

ქალი: მეტი დრო დაუთმეთ პირად ცხოვრებას. მიეცით გასაქანი გრძნობებს. კარგი დროა დასვენებისა და სასიყვარულო თავგადასავლებისათვის. შეეცადეთ, მოვლენები რეალურად აღიქვათ და სიმართლეს თვალი გაუსწოროთ.

მამაკაცი: ამ კვირაში ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენთვის უკეთესია. უარს არავინ არაფერზე გეტყვით. ამიტომ კარგად დფიქრდით, რა გჭირდებათ სრული ბედნიერებისათვის და იმოქმედეთ.

## ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: შეიძლება კონფლიქტს თავი ვერ აარიდოთ, მაგრამ დარდს ნუ მიეცემით. მომავალი კვირიდან თქვენი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვლება. თუ ვარცხნილობის შეცვლას აპირებთ, ეს მიმდინარე კვირაში განახორციელეთ.

მამაკაცი: ფრთხილად იყავით – თქვენთვის საყვარელმა ადამიანმა ტყეულში არ გამოგიჭიროთ. კარგი დროა ახალი ცხოვრების დასაწყებად და მავნე ჩვევებისგან გასათავისუფლებლად.

## კურო – 21/IV-21/V

ქალი: თუ ამ კვირაში სადმე გამგზავრებას გეგმავთ, ნუ გადადებთ. ოპონენტების მისამართით მწარე გამონათქვამებისგან თავი შეიკავეთ, გადაწყვეტილების მიღებისას კი ნუ აჩქარდებით.

მამაკაცი: საქმიან პარტნიორებთან ფინანსურ საკითხებზე დავა მოგიწევთ. ამიტომ, ინდივიდუალურ პროექტზე იმუშავეთ და თქვენს საქმეში ცხვირის ჩაყოფის უფლებას ნურავის მისცემთ. გამოიჩინეთ მოთმინება და წარმატებაც არ დააყოვნებს.

## მარგალიტი – 22/V-21/VI

ქალი: ენდეთ საკუთარ ინტუიციას და თავი შეიკავეთ ზედმეტი ემოციებისგან. დეპრესია თუ მოგეძალათ, შინ ნუ ჩაიკეტებით. ეწვიეთ მეგობრებს და დრო მხიარულ საზოგადოებაში გაატარეთ.

მამაკაცი: ნებისმიერი საქმე, რომელშიც მთელ თქვენს შესაძლებლობებს, ცოდნასა და გამოცდილებას ჩაქსოვთ, წარმატებას მოგიტანთ. ირგვლივ საქმიანი ადამიანები შემოიკრიბეთ, მათთან თანამშრომლობის დროს კი გულწრფელი იყავით.

## კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: შუა კვირაში სასიამოვნო სიურპრიზი გელით. საქმიანი ურთიერთობები კი ახალ ფაზაში შევა და წინა კვირასთან შედარებით, თქვენი მატერიალური მდგომარეობაც გაუმჯობესდება.

მამაკაცი: ენერგიის მოზღვავებას იგრძნობთ. თამამად გაუზიარეთ ახალი იდეები ხელმძღვანელობას. შესაძლოა, ამ ყველაფერმა თქვენს შემდგომ კარიერაზე დადებითად იმოქმედოს.

## ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: ახალი საქმის წამოწყება, წარმატებას მოგიტანთ – განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ კომერციას მოჰკიდებთ ხელს. ამ კვირაში განვითარებული მოვლენები თავდავჯერებულობას შეგმატებთ.

მამაკაცი: ზედმეტად ემოციური და მგრძნობიარე ხართ, განსაკუთრებით გამახვილებული გაქვთ პატივმოყვარეობის გრძნობა. შეეცადეთ, ამის გამო ხელქვეითებთან ურთიერთობა არ გაიფუჭოთ.

## ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. დროს და ფულს უაზროდ ნუ გაფლანგავთ. შეეცადეთ, დროის უმეტესი ნაწილი ოჯახის წევრებს დაუთმოთ.

მამაკაცი: ამ კვირაში წამოწყებული პროექტი ძალიან მალე მოიტანს შედეგს. თქვენი ოცნება ფრთებს შეისხამს. საკუთარ ძალებში დარწმუნებული ხართ – ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თქვენს წარმატებას.

## სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: ფინანსურ ოპერაციებთან დაკავშირებით შეიძლება პრობლემები შეგექმნათ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღშფოთების ობიექტური საფუძველი გექნებათ, სიმშვიდე და წონასწორობა შეინარჩუნეთ.

მამაკაცი: პირად ცხოვრებაში მცირედი უსიამოვნებები გელით, მაგრამ საგანგაშო არაფერია. მცირე ხნით სატრფოსთან განშორება თქვენს ურთიერთობას სასიკეთოდაც კი წაადგება.

## ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: აქტიური და საინტერესო კვირა გელით. გარისკეთ – თქვენს გამბედაობაზე ბევრი რამაა დამოკიდებული. მიზანდასახულობისა და შეუპოვრობის წყალობით, ყველანაირ პრობლემას იოლად გაუმკლავდებით.

მამაკაცი: ამ კვირაში ფორტუნა გიღიმით. მთავარია, ცოტა ილაპარაკოთ და ბევრი იმუშაოთ. გაითვალისწინეთ, რომ ყურადღების ცენტრში ხართ და თქვენს ყოველ ნაბიჯს აკონტროლებენ.

## მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: კრიტიკულად მიუდექით საკუთარ თავს, საქმიანობაში კი თქვენი მთავარი პრინციპი დამოუკიდებლობა უნდა იყოს. ნუ მოექცევით სხვისი გავლენის ქვეშ და ნურც თქვენს მოსაზრებებს მოახვევთ სხვებს თავს.

მამაკაცი: სიმშვიდე და კეთილგონიერება – აი, რას შეუძლია თავიდან აგარიდოთ დიდი სკანდალი. შინაც და სამსახურშიც დელიკატურობის განსახიერებად უნდა იქცეთ.

## თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: გაიცნობთ ადამიანს, რომელიც თქვენს ცხოვრებაში მართლაც დიდ როლს ითამაშებს. ყურადღებით მოისმინეთ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც მის შესახებ მოგაწვდიან.

მამაკაცი: არ დაკარგოთ მომავლის იმედი და შეინარჩუნეთ ოპტიმიზმი. თქვენი განწყობა მაგიურად მოქმედებს თქვენს ახლობლებზე. გათავისუფლდით უარყოფითი ემოციებისგან, მეტი დრო დაუთმეთ ოჯახის წევრებს და მშვიდად მოუსმინეთ ყველას, ვინც რჩევის მოცემას შეეცდება.



ფილმ „მამინოს“ მუსიკის ავტორი
ფრანგი მომღერალი და მსახიობი
„ჯსენალის“ ფრანგი თავდასხმელი
გოიკო მიტიჩის ინდიელი პერსონაჟი
შიიზმის მიმდევარი
იკობ ვოგებაშვილის მშობლიური სოფელი
ფილმი კასიუს კლეის ცხოვრებაზე
„ხევისბერი გოჩა“ (პერსონაჟი)
ამერიკელი ლამაისტი მსახიობი
ესპანელი მხატვარი
ქართული კვარტეტი „4 ...“
სხვისი ბავშვის აღმზრდელი
შზამიანი გომბეშო
საბრძოლო მწყობრი ძველად
უმაღლესი მიღწევა სპორტში
არველაძე
...ბან, გან
უსგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისთვის
პოლუსებზე გამავალი ... ხაზი
ისტორიული ოლქი საფრანგეთში
შვლის ნაშიერი
„შესანიშნავი შვიდეული“ (პერსონაჟი)
ჭიამაია, როგორც მწერი
ტბა საქართველოში
ქართული მეფრინველეობის ფაბრიკა
დადებითი ელექტრონი
ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი
თანხმობა
გაშიშვლება მაყურებლის წინაშე
ფეოდალური ...
უცნობი სიდიდე
ბერძნული ციკვა
ირმის ეპითეტი
ადამიანის მაგნიტური ველი
ერთ-ერთი რელიგიის დამაარსებელი
...ს ფრანგული ტრიდ ფული
3,14
ქართული არაყი
პატარა მდინარე არხი
სახოტბო გალობა
...ურმანი
გერმანული პარფუმერიული სერია
მოწითალო ლურჯი
შეადგინა რამაზ ალანიამ





51-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ბ; 3-ა.

ხათუნა ჯავახიშვილი

# შოიკიდებს თუ არა ფეხს შირმა ქართულ ყოფაში?

***„ყველაფერი ახალი, კარგად დავიწყებული ძველია“. ცოტა ხანში თბილისში შეიძლება შირმების მოდა შემოვიდეს. თუმცა ეს არ იქნება იაფი სიამოვნება, რადგან ქალაქში გამოჩენილი რამდენიმე შირმა საშუალოდ 700 დოლარი ეღირება.***

***მხატვარმა ნანა ძიძიკაშვილმა ერთხელ თავის ბინაში მობეზრებული დეკორაციის შეცვლა მოინდომა. საკუთარ საწოლს თავი და ფეხები მოახერხა და საწოლის უკან შირმის დადგმის იდეა გაუჩნდა. ეს იდეა მალევე განახორციელა და როგორც თავად ამბობს, კარგადაც იყენებს ავეჯის ამ სახეობას.***

— მიყვარს ძველი ფოტოები და საერთოდ, სიძველეები. ამის გამო დავინტერესდი ბუდუარითაც. ივლისიდან მოყოლებული, სამი შირმა გავაკეთე: ერთი, პიკასოს ნამუშევრის ასლია, მეორეზე — თოჯინებია გამოსახული და მესამეზე — „მულენ რუჟის“ ქალები. ახლა კიდევ ორ შირმაზე ვმუშაობ: ერთს, ინდურ სტილში ვაკეთებ, მეორეს — იაპონურში.

**— დაახლოებით რა დრო სჭირდება ერთი შირმის დამზადებას?**

— ეს ჩვეულებრივი ფერწერაა, სამუშაო ტილოზე ზეთის საღებავებით სრულდება. ერთი შირმის გაკეთებას დაახლოებით ერთი თვე სჭირდება. ხანდახან შესაძლოა, კვირების განმავლობაში არ გავეკარო სამუშაოს, მაგრამ როცა მუზა მოდის, ღამეებსაც ვათენებ.

**— მხოლოდ შირმებს აკეთებ თუ სხვა ნამუშევრებიც გაქვს?**

— საერთოდ, ბევრი რამის გაკეთების სურვილი მაქვს. მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი დავამთავრე. მიუხედავად იმისა, რომ ქანდაკება არ მისწავლია, ვფიქრობ, რომ მოვინდომო, შევძლებ და გავაკეთებ. რამდენიმე მინიატურა გამიკეთებია კიდეც. ვამზადებ ჭაღებს, თოჯინებს ნაციონალური — ქართული და არაქართული ტანისამოსით. ვკერავ ან ვქსოვ გობელენის ჩანთებს. ოღონდ, ამას ყველაფერს პირველ რიგში, ჩემთვის ვაკეთებ.

**— შენი ნამუშევრები არასდროს გაგიყიდია?**

— შეკვეთით არასდროს მიმუშავია. ჯერჯერობით არც შირმა გამიყიდია, მაგრამ თოჯინებს სალონში ვაბარებ და იყიდება. თუმცა, ამას ძალიან განვიცდი — მენატრება ხოლმე ჩემი ნამუშევრები. ვისაც ჩემს თოჯინებს ვაჩუქებ, მერე ხშირად მივდივარ მათთან და ვნახულობ.

**— ყოველთვის წინასწარ იცი, რა უნდა დახატო თუ იდეა მუშაობის პროცესში მოდის?**

— შირმაზე ყოველთვის ვიცი, რა უნდა დავხატო, რადგან ვიცი, რაც მოუხდება. ტილოზე კი — უბრალოდ, ხატვას ვიწყებ და ხანდახან, ისეც ხდება — საღებავი გამშრალი არ არის, მე კი შემიძლია, გადავაწერო და სხვა დავხატო. საერთოდ, როდესაც ვმუშაობ, ოჯახში იციან, რომ იმ ოთახში ჭიქის გვერდით გადადგმაც კი არ შეიძლება, რადგან მთლიანად სამუშაოში ვარ ჩაფლული და ხელი არ უნდა შემშალონ. სახლს ბუდეს ვეძახი. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ იმას, თუ როგორი სახლი მაქვს და კუთხე როგორ მაქვს მოწყობილი. ხშირად ვცვლი დეკორაციებს და საერთოდ, ყველაფრის გადაკეთება მიყვარს. ტანისამოსშიც, რომელსაც ვყიდულობ, ყოველთვის ვცდილობ, რაიმე შევცვალო. ჩემი შვილიც (13 წლის სალომე) სულ ამბობს — ახლა დედიკო რაღაცას გადამიჭრის, გადამიკეთებს, სხვანაირად არ შეუძლიაო...

*პირველი გამოფენის მოწყობას ნანა აპრილისთვის გეგმავს. გამოფენილი იქნება სხვადასხვა ტიპის 40 ნამუშევარი, მათ შორის — შირმები, რომელიც არა მხოლოდ ესთეტიკურ სიამოვნებას განიჭებს, არამედ მისი პრაქტიკული გამოყენებაც შესაძლებელია.* ■

ეს ჩვეულებრივი ფერწერაა, სამუშაო ტილოზე ზეთის საღებავებით სრულდება

# ხართ თუ არა ზარმაცი?



***იმისათვის, რომ გაარკვიოთ, აქტიური ხართ თუ უმოქმედობისკენ მიდრეკილი, ქვემოთ ჩამოთვლილ კითხვებს უპასუხეთ.***

1. თუ შინ მარტო არა ვარ, სატელეფონო ზარს არასოდეს ვპასუხობ თავად, მირჩევნია, ეს სხვამ გააკეთოს. ხოლო თუკი შინ მარტო ვარ, ველოდები, ვიდრე ტელეფონის ზარი 3-4-ჯერ დარეკავს და მხოლოდ შემდეგ ვიღებ ყურმილს.

ა) დიახ –1; ბ) არა – 0.

2. სამსახურში და შეხვედრაზე ხშირად მაგვიანდება, რადგან მხოლოდ უკანასკნელ მომენტში ვდგები ხოლმე ლოგინიდან.

ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

3. მანქანის გასაჩერებლად ჩემთვის ყველაზე მოსახერხებელი ადგილის შერჩევას კარგა ხანს ვანდომებ, რათა რაც შეიძლება ნაკლები მანძილი გავიარო ფეხით.

ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

4) არ დავრბივარ, ფეხით სიარულსაც ვერიდები, არც ველოსიპედით ვსეირნობ და სპორტის არც ერთი სახეობა არ მიტაცებს. საერთოდ, ფიზიკურ დატვირთვას თავს ვარიდებ.

ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

5) თითქმის ყოველთვის წამოწოლილი ვუყურებ ტელევიზორს და ვკითხულობ წიგნს.

ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

6) დღეში დაახლოებით ორ საათს მაინც არაფერს ვაკეთებ — ვფიქრობ, ვოცნებობ ან აქეთ-იქით უმიზნოდ მივედ-მოვედები.

ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

7) ყოველგვარი დამატებითი საქმის კეთებას თავს ვარიდებ და სამსახურიდან პირდაპირ შინისკენ მაქვს გეზი აღებული.

ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

8) თუ ახლომახლო ურნას ვერ შევამჩნევ, ნაგავს ქუჩაში დავყრი.

ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

9) საწოლის ან კარადის ქვეშ, მტვერს არასოდეს ვწმენდ.

ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

10) როცა ვინმესთან ერთად ვმუშაობ, ყოველთვის ვცდილობ, რომ ჩემმა პარტნიორმა მეტი საქმე გააკეთოს. რა საჭიროა ზედმეტად თავის შეწუხება, როცა შედეგი საერთო ანგარიშზე იწერება.

ა) დიახ – 1; ბ) არა –0.

## დაანგარიშეთ ქულები

**8-10 ქულა:** საოცრად ზარმაცი ხართ. ზედმეტ აქტიურობაში ვერავინ დაგდებთ ბრალს. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ სიზარმაცეში ბადალი არ მოგეძებნებათ. გირჩევთ, თავს ძალა დაატანოთ და ცოტა გააქტიურდეთ. თქვენი უმოქმედობა კარიერაშიც ხელს გიშლით და ირგვლივმყოფებთან ურთიერთობაშიც. მათ თქვენი საქმის კომპენსირება უხდებათ, ამან კი შესაძლოა, გააღიზიანოს ისინი და ოჯახის წევრებთან და თანამშრომლებთან ურთიერთობა გაგიფუჭდეთ.

**4-7 ქულა:** ისევე, როგორც ადამიანების უმრავლესობა, თქვენც სიზარმაცისკენ ხართ მიდრეკილი. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ თქვენ ნორმის ფარგლებს არ სცილდებით — როცა საჭიროა, აქტიური ხართ, მაგრამ თავს ამოსუნთქვის საშუალებასაც აძლევთ.

**0-3 ქულა:** სიზარმაცის ნატამალიც არ გაგაჩნიათ. უკიდურესობა კი, როგორც ამბობენ, საზიანოა. იქნებ, მოგეხერხებინათ და გარკვეული დრო მაინც გაგეტარებინათ უმოქმედოდ. გამორიცხული არ არის, რომ ეს სასარგებლოდაც კი წაგადგეთ.

# გემუშაობათ თუ არა სტრესი?

***მხოლოდ დადებითი პასუხების რაოდენობა დაითვალეთ.***

1. ტირილის სურვილი ხშირად ხომ არ გიჩნდებათ?
2. იკვნეტთ თუ არა ფრჩხილებს, აბაკუნებთ თუ არა ფეხებს, გაქვთ თუ არა თმის თითით ტრიალის ჩვევა?
3. გაუბედავი ხომ არ ხართ?
4. იმის განცდა ხომ არ გაქვთ, რომ გვერდით დამლაპარაკებელი არავინ გყავთ?
5. ხშირად ხომ არ ღიზიანდებით და ხომ არ იკეტებით საკუთარ თავში?
6. ჭამთ თუ არა იმ შემთხვევაშიც, როცა მშიერი არ ხართ?
7. გეუფლებათ თუ არა მტანჯველი შეგრძნება, რომ ამა თუ იმ რამეს ვერ გაუმკლავდებით, რამეთუ ეს თქვენს ძალებს აღემატება?
8. გაქვთ თუ არა იმის განცდა, რომ ცოტაც და იფეთქებთ; ხშირად ხომ არ მრისხანებთ?
9. ხომ არ ეწევით სიგარეტს დასაწყნარებლად და ამავე მიზნით, ხომ არ სვამთ ალკოჰოლურ სასმელს?
10. გაწუხებთ თუ არა უძილობა?
11. თქვენ გამუდმებით ცუდ ხასიათზე ხართ და არცთუ ისე იშვიათად ირგვლივმყოფთა ქმედებაში ეჭვი შეგაქვთ?
12. საკმაოდ დიდი სიჩქარით დააქროლებთ მანქანას და ხშირად რისკავთ?
13. ხომ არ გაგიქრათ ყოველგვარი ენთუზიაზმი და მომავლის იმედი?
14. სქესობრივი კავშირისადმი ინტერესი ხომ არ დაკარგეთ?

## დაანგარიშეთ ქულები

**თუ თქვენ ხუთ ან ხუთზე მეტ შეკითხვას დადებითი პასუხი გაეცით, ჩათვალეთ, რომ სტრესის ზღვარზე იმყოფებით. ამის აღსაკვეთად თქვენ აუცილებლად უნდა გადადგათ განსაზღვრული ნაბიჯები. საკუთარი თავი აიყვანეთ ხელში, გააანალიზეთ შექმნილი სიტუაცია და შეეცადეთ, გააკონტროლოთ თქვენი ქმედება. მიიღეთ მსუბუქი დამამშვიდებელი საშუალებები. სასურველია, მიმართოთ ექიმს.**

## ბრიტანელმა მამაცურმა ოცნება აისრულა

**ექსცენტრიკულმა მოგზაურმა – 44 წლის ბრიტანელმა სტივენ გაფმა, სრულიად შიშველმა მოიარა მთელი ბრიტანეთი და ამით თავისი დიდი ხნის ოცნება აისრულა. ეს უცნაური მოგზაურობა, რომელიც ექვს თვეზე მეტხანს გაგრძელდა, მან ინგლისის სამხრეთი საგრაფოდან დაიწყო, ჩრდილოეთ შოტლანდიაში დაასრულა და დაახლოებით 900 მილი (1400 კმ-ზე მეტი) გაიარა.**

**„შიშველი მარათონის“ დროს, მოგზაური უკაცრიელი გზით სიარულს ამჯობინებდა, სადაც კანტიკუნტად ხვდებოდნენ გამვლელები, რომელთაგან – როგორც თავად იხსენებს – ზოგი სიცილით კვდებოდა, ზოგი კი, აშკარა შიშით, შორიდან უმზერდა. თუმცა მას რამდენიმე ქალაქის გავლაც მოუხდა, სადაც სამართალდამცავებმა არაერთხელ დააკავეს, ორჯერ კი თავისუფლების აღკვეთითაც დაემუქრნენ.**

**სტივენ გაფმა – რომელიც ამჟამად უმუშევარია, განაცხადა, რომ მას ამ უჩვეულო საქციელით ბრიტანული ცივი და მკაცრი კანონების მიმართ პროტესტის გამოხატვა სურდა.** ■

## სპილომ სატრანსპორტო მოძრაობა გადაეტეტა



გასულ კვირას, ახალი ზელანდიის ქალაქ ოკლენდში სატრანსპორტო მოძრაობა შეჩერდა. საქმე ის გახლდათ, რომ პატარა სპილო – სახელად ბარმა, ადგილობრივი ზოოპარკიდან გაიქცა და მიმდებარე პარკში „სასეირნოდ გაემართა.“

სპილო პარკში დაახლოებით ნახევარი საათის მანძილზე სეირნობდა. პოლიციელებმა, ყოველი შემთხვევისთვის, მეზობელ ქუჩებში სამანქანო მოძრაობა გადაკეტეს, რამაც, თავისთავად ცხადია, ქალაქში სერიოზული საცობები შექმნა.

როდესაც ზოოპარკის მომსახურე პერსონალმა, სპილოს წასაყვანად მიაკითხა, ბარმას მათთვის არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია და მშვიდად დაუბრუნდა თავის საცხოვრებელს.

„უახლოეს დღეებში ზოოპარკის თანამშრომლები სპილოს მიმართ ყურადღებას გააასმაგებენ, რათა მას კვლავ არ გაუჩნდეს სადმე გასეირნების სურვილი“ – განაცხადა ზოოპარკის დირექტორმა. ■

## ოთი წელი გახდასვლილი ქმრის გვერდით

ჩეხეთში, ქალაქ პესკოვში, ქალს ორი წლის განმავლობაში გარდაცვლილი ქმრის გვერდით ეძინა, რადგან მის სიკვდილს ვერაფრით ეგუებოდა.

როგორც ჩეხეთის პოლიციამ განაცხადა, 67 წლის ქვრივი, ყოველღამე გვამთან ერთად წვებოდა დასაძინებლად. მეგობრებს კი, რომლებიც მას ქმრის ჯანმრთელობის შესახებ ეკითხებოდნენ, პასუხობდა, – ჩემი მეუღლე ძალიან სუსტად არის და ლოგინსაა მიჯაჭვულიო.

ბოლოს, ქალის უცნაური საქციელით შეშფოთებულმა მეზობლებმა, რომლებსაც თითქმის 18 თვის მანძილზე, მეზობელი მამაკაცისთვის თვალი ერთხელაც არ მოუკრავთ, პოლიცია გამოიძახეს.

ანა ტომასკოვამ – ქვრივის კარის მეზობელმა, მომხდარი ასეთნაირად ახსნა: ჩემი აზრით, ქმარი იმდენად ძლიერად უყვარდა, რომ მასთან განშორებაზე ფიქრიც კი ზარავდაო. ■

## დედა თუ ბებია?

ინდოეთის შტატის – გუჯარათის კერძო კლინიკაში ერთი შეხედვით აბსურდული ამბავი მოხდა: იმშობიარა 43 წლის ინგლისელმა ქალბატონმა, რომელიც ახალშობილი ტყუპისთვის ერთდროულად დედაც არის და ბებიაც. თუმცა, ერთი მხრივ, ამაში უჩვეულო არაფერია. საქმე ის გახლავთ, რომ მშობიარის ქალიშვილი ე.წ. როკიტანის სინდრომით (საშვილოსნოს არქონა) იტანჯება. რა თქმა უნდა, ჩასახვა ხელოვნური განაყოფიერებით სავსებით შესაძლებელია, მაგრამ სხვისი შვილის მუცლით ტარების მსურველი არავინ აღმოჩნდა. წყვილმა ოთხი წლის მანძილზე უშედეგოდ ეძება სუროგატი დედა და ბოლოს, გადაწყვიტა, დასახმარებლად ქალის დედისთვის მიემართა. ინგლისელი ქალბატონი დიდი ხანია შვილიშვილზე ოცნებობდა და ამდენად, ეს წინადადება სიხარულითაც კი მიიღო.

განაყოფიერებული კვერცხუჯრედის გადანერგვიდან ცხრა თვეში, „ბებიამ“ იმშობიარა და ქვეყნიერებას ტყუპი ქალ-ვაჟი მოავლინა. ახალშობილები 2-2 კილოგრამს იწონიან და თავს შესანიშნავად გრძნობენ. ■

**განცხადება**

**ჟურნალ „კარუსელის“ რედაქცია სათანამშრომლოდ იწვევს თანამედროვე, მძაფრსიუჟეტიანი ლიტერატურული ნაწარმოებების ავტორებს.**
**გთხოვთ, მობრძანდეთ ჟურნალ „კარუსელის“ რედაქციაში (აკურის ქ. №8) ან დაგვირეკოთ ტელ.: 98-74-44.**

# MMG

პროფესიონალიზმი
გამოცდილება
ხარისხი

PR
web
რეკლამა
დიზაინი
გამოცემლობა
ბანერული
რეკლამა
სოციოლოგიური და
მარკეტინგული
კვლევები,
რეკომენდაციები
რეკლამის
მენეჯმენტის
კვეკსიის
მედია სივრცეში
ფოტოსესიები
ვიდეო და
აუდიო
რგოლები
იმიჯმეიკინგი
ახალი ტექნოლოგიები
ბიზნეს და
პოლიტიკური
კონსალტინგი
ფინანსები
და აუდიტი
ანიმაცია
პოლიგრაფია
საკრებვნო
ტექნოლოგიები
ფოტოსაკვანძო
კრეატივი
დოკუმენტური და მხატვრული
ფილმები

899 511888, 899 233134

# დეტექტიური ჟანრის მოყვარულთათვის

## დოკუმენტური მოთხრობების კრებული

F1224
2004

649/6

**იკითხეთ საგაზეთო ჯიხურებში და წიგნის მაღაზიებში**

**ფასი 2,5 ლარი**